საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ბ. გამყრელიძე

ცენტრალური კავკასიის ქთიელთა ალპური მესაქონლეობა

(ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1982

902 7 (С 41)
63 5 (24)+45 (24) Г
902 7 (47 92)+636 (23) (47 92) (09)
ბ 198

ნაშრომი დაწერილია ავტორის მიერ ჩრდილო-კავკასიასა და საქართველოს მთიანეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის, სპეციალური ლიტერატურული მონაცემებისა და საარქივო დოკუმენტების საფუძველზე. განხილულია მესაქონლეობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: მესაქონლეობის წლიური ციკლი და სათიბ-საძოვრებით სარგებლობის ორგანიზაცია, შრომის ორგანიზაციის ფორმები, მესაქონლეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ. საკითხები შესწავლილია საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პრილში, წარმოჩენილია სამეურნეო ყოფაში არსებული როგორც ზოგადკავკასიური ელემენტები, ისე ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურებები.

რედაქტორი ალ. რობაქიძე

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1982

ბ $\frac{10604}{М\ 607\ (06)-82}$ 168—82

შესავალი

მესაქონლეობასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევა საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხებისადმი ინტერესი გამოწვეულია იმ როლით, რომელიც მეურნეობის ამ დარგმა შეასრულა საზოგადოების განვითარების საქმეში მისი ისტორიის მთელ მანძილზე. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების, როგორც სამეურნეო დარგების, არსებობას, ნეოლითის ხანიდან ვარაუდობენ. ფ. ენგელსი, ითვალისწინებდა რა ადრეულ ეტაპზე მესაქონლეობის განვითარების საფეხურებს და საზოგადოებრივი ურთიერთობის საქმეში მის შედეგებს — პატრიარქალური ოჯახის წარმოშობას. კერძო საკუთრებისა და მონოგამიის განმტკიცებას და სხვა, მესაქონლეობის, როგორც სამეურნეო დარგის, ჩამოყალიბებას ბარბაროსობის პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა[1].

საკუთრივ კავკასია მესაქონლეობის განვითარების ერთ-ერთ უძველეს კუთხედაა მიჩნეული[2]. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები მეურნეობის ამ დარგს განვითარების შესანიშნავ პირობებს უქმნიდა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, რევოლუციამდელ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მართალია მიწათმოქმედება შედარებით მცირე მასშტაბით იყო წარმოდგენილი, მაგრამ ეს სრულებითაც არ აკნინებდა საზო-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978; В. Равдоникас, Энгельс и проблема происхождения скотоводства в Европе, Вопросы истории доклассового общества, М.-Л., 1939, с. 563.

[2] Б. Пиотровский, Развитие скотоводства, в древнейшем Закавказье, СА, XIII, М., 1955; Е. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960; В. Марковин, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), МИА, М., 1960.

გადოებრივ ყოფაში მის მნიშვნელობას. მიწის სიმცირე მიწათმოქმედებას უფრო ინტენსიურს ხდიდა, ამასთან, მეტ ბიძგს აძლევდა მეურნეობის წამყვანი დარგის — მესაქონლეობის განვითარებას.

კავკასიის სამეურნეო ყოფის შესწავლა XIX ს. მეორე ნახევრიდან იწყება, საფუძველი ეყრება მთელ რიგ პერიოდულ გამოცემებს, რაც მიზნად ისახავდა ამ კუთხის ეკონომიკის, მისი სამეურნეო რესურსების განსაზღვრას[3]. მკვლევარები ცდილობენ ასახონ ქვეყნის ეკონომიკური დონე არსებული მდგომარეობისათვის, სამეურნეო რესურსები, საძოვრების ბოტანიკური შედგენილობა და მათი გამოყენების თავისებურებები, საქონლის ჯიშები და სხვა. ამდენად, ციტირებულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული ყველა ნაშრომის მთავარი მიზანია მეცხოველეობის არსებული მდგომარეობის განსაზღვრა და მისი შემდგომი წარმართვა, მაგრამ არ ითვალისწინებს ხალხური ემპირიული ცოდნის სრულფასოვნად წარმოჩენას, მესაქონლეობის როლის განსაზღვრას საზოგადოების განვითარების საქმეში.

მესაქონლეობის, როგორც ისტორიის განუყოფელი ნაწილის, მეცნიერული შესწავლა, მარქსისტული თეორიის საფუძველზე, დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. მიღებული მემკვიდრეობის მეცნიერული ანალიზისა და ახალი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული საკითხები სათანადო ადგილს იკავებს ეთნოგრაფიის სხვადასხვა პრობლემატიკაში (მიწათმოქმედება, საოჯახო ყოფა, საცხოვრებელი ნაგებობანი, დასახლების ფორმები და სხვა). ამ მხრივ საინტერესოა გ. ჩიტაიას შრომები, სადაც საუბარია საქართველოსა და ჩრ. კავკასიის მთიანეთში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ურთიერთშეფარდებაზე. მკვლევარი ვერტიკალური ზონალობის ჭრილში იხილავს რა მიწათმოქმედების ფორმებს თუ სამეურნეო იარაღებს, მიუთითებს აღნიშნულ კუთხეებში მესაქონლეობის წამყვან მნიშვნელობაზე[4]. რ. ხარაძისა და ვ. ითონიშვილის შრომებში, სა-

---

[3] Свод Материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края; Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края; Кавказское сельское хозяйство; Кавказское хозяйство; Материалы для устроиства казенных, летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе.

[4] Г. Читаиа, Горное земледелие на Кавказе, მსე, XI, თბ., 1960, გვ. 53; მ ი ს ი ვ ე, ქსნური მთის გუთანი, ენიმკი-ს მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 479.

ოჯახო ყოფის პრობლემატიკასთან დაკავშირებით, შესწავლილია მესაქონლეობის ადგილი და მნიშვნელობა ოჯახის ეკონომიკაში. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარალელურ სამეურნეო ბაზებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია (ლაბავ, ბაუ, აგვართა, აგვარა, საყანე, ქართა და სხვა), რაც დასახლების ფორმებთან დაკავშირებით განხილულია ალ. რობაქიძის შრომებში, ნაჩვენებია ამ ბაზების ადგილი დასახლების ფორმათა განვითარების საქმეში[5]. მესაქონლეობასთან დაკავშირებული საკითხები სათანადო ადგილს იჭერს ვ. გარდანოვის, ა. მაგომეტოვის, ბ. კალოევისა და სხვათა შრომებში, რომელთა მიზანია ადიღესა და ოსეთის საზოგადოებრივი ყოფის შესწავლა[6].

გარდა იმისა, რომ მკვლევარები მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საკითხებს აქტიურად მიმართავენ კულტურისა და ყოფის ამა თუ იმ მხარის ასახსნელად, დღის წესრიგში დგება მისი შესწავლაც, როგორც ცალკე პრობლემისა. ქვეყნდება კ. კაკაძის, წ. ბჟანიას, ვ. ითონიშვილის, მ. მაკალათიას, ვ. შამილაძის, დ. პავლიაშვილის, ნ. თოფურიას, თ. ცაგარეიშვილის, ზ. გაგლოევას სტატიები, რომელთა მიზანია მესაქონლეობის სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ასპექტების გაშუქება და მეურნეობის ამ დარგში მოპოვებული ხალხური ემპირიული ცოდნა-გამოცდილების გამოელინება[7].

---

[5] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; მათივე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, კეკ, I, თბ., 1964; მისივე, მეფუტკრეობა გურიაში, მსე, V, თბ., 1951, [illegible] Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II, Тб., 1968; А. Робакидзе, Г. Гегечкори. Формы жилища и структура поселения горной Осетии, Тб., 1975; Р. Хардзе, Грузинская семейная община, Тб., I—1960; II—1961; ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969; მისივე, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970; მისივე, საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, კეკ, III, თბ., 1971, მისივე, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974, მისივე, ოჯახის ეკონომიური საფუძველები წოვა-თუშებში, ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო კრებული, თბ., 1976.

[6] В. Гарданов. Общественный строй адыгских народов, М., 1967; А. Магометов. Культура и быт осетинского народа, Ордж., 1968; его же, Общественный строй и быт осетин, Ордж, 1974; Б. Калоев, Осетины, М., 1967.

[7] კ. კაკაძე, მასალები საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის, მსე, VII, 1955; ვ. ითონიშვილი, მესაქონლეობა სამგორში, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII—B, 1962; მ. მაკალათია, მასალები მსხვილფეხა მესაქონლეობისათვის ხევსურეთში, საქართველოს ეთნოგრაფიის

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც მესაქონლეობის დარგში მომუშავე სპეციალისტების ყურადღების ცენტრში ექცევა, არის საქონლის სადგომები და პარალელური სამეურნეო ბაზები. ამ მხრივ საყურადღებოა გ. ჩიტაიას ხევსურული სახლის „სენე", რომელშიც ვერტიკალურ განზომილებაში ნაჩვენებია საქონლის სადგომი, საცხოვრებელი, ჭერხო, სენე და ა. შ., რაც განსაზღვრული იყო მთური მეურნეობის პროფილით. განსაზღვრულია სენეს ადგილი სახლის დაგეგმარებაში, რაც ადასტურებს ხევსურეთში მესაქონლეობის ტრადიციულობას[8]. ნაშრომები გამოქვეყნდა აფხაზეთის შესახებაც. ი. აჯინჯალმა შოგვცა საკარმიდამო კომპლექსში შემავალი და მის გარეთ მდებარე სამეურნეო ნაგებობების კლასიფიკაცია[9]. ვ. შამილაძის სტატიაში კი განხილულია აჭარული საცხოვრებლის დაგეგმარებისა და სტრუქტურის ის თავისებურებები, რაც გამოწვეული იყო აჭარის მთამაღალში მთური მესაქონლეობის თავისებურებებით[10]. აჭარული სამეურნეო ნაგებობა — ჯარგვალი, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე, შეისწავლა თ. ჩიქოვანმა[11]. მისივე სტატიები, რომელიც ეძღვნება მესაქონლეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლებს, ეხება მესხეთ-ჯავახეთის საიალაღო ნაგებობებს[12]. ავტორი არ იფარგლება უკვე არქეოლოგიურ ძეგლებად ქცეული ნაგებობების აღწერილობით, მასთან ერთად განიხილავს იალაღებს, მცენარეულ საფარს, რაც საშუალებას აძლევს დაახლოებით მაინც განსაზღვროს მესაქონლეობის წარმოების ფორმები და განვითარების მასშტაბები. ასეთივე მეთოდით სწავლობს თრიალეთში საპონაურისა და ცხვარეთის საიალაღო ბაზანამოსახლარებს[13]. დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ნაგებო-

---

საკითხები; ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, 1964; დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მეცხვარეობა ქიზიყში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, 1964 და სხვ.

[8] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის „სენე", ანალები, 1, თბ., 1947, გვ. 145.

[9] И. А д ж и н д ж а л и н. Из этнографии Абхазии, Сух., 1969.

[10] ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, აჭარის სოფელი , თბ., 1969, გვ. 3.

[11] თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე, კეკ, 1, თბ., 1964, გვ. 7.

[12] თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, საიალაღო მატერიალური კულტურის ძეგლები ჯავახეთში, „მაცნე", № 4, 1975, გვ. 153.

[13] თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, საპონაურისა და ცხვარეთის „ზაფხულსაჯდომთა" შესახებ, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 408.

ბებს ერთი სტატია მიუძღვნა ნ. თოფურიამ, სადაც მეგრული და გურული ეთნოგრაფიული მასალის შუქზე განხილულია ქართა, აგვართა, ბოსელი, ახორი და სხვა[14].

1962 წ. გამოვიდა წ. ბჟანიას ნაშრომი, რომელშიც მესაქონლეობა მონოგრაფიულადაა შესწავლილი აფხაზეთში. მასში გამახვილებულია ყურადღება შრომის ორგანიზაციის ფორმებზე, საშეურნეო ნაგებობებზე, მესაქონლეობის პროდუქტებზე, მაგრამ ძირითადი აქცენტირება მაინც გაკეთებულია საძოვრების მფლობელობისა და მით სარგებლობის ორგანიზაციის ფორმებზე[15]. ამას მოსდევს რიგი ნაშრომებისა, რომლებშიც მეურნეობის ეს დარგი შესწავლილია მონოგრაფიულად საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით — აჭარაში[16], სვანეთში[17], ქვემო ქართლში[18], აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში[19].

ვ. შამილაძის მონოგრაფიაში განხილულია საქონლის სახეები, ხელექციისა და მკურნალობის ხალხური წესები, საკვები ბაზა, შრომის ორგანიზაციის ფორმები და სხვა, რაც ავტორს საშუალებას აძლევს დააზუსტოს საქონლის მოვლა-პატრონობისა და მესაქონლეობის წარმოების ფორმათა თავისებურებები. ის აგრძელებს მესაქონლეობის ფორმების კვლევას საქართველოს მასშტაბით, კრებს ეთნოგრაფიულ მასალას და ზედიზედ აქვეყნებს გამოკვლევებს, რომლებიც შემდეგ განაზოგადა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“[20]. სვანეთისადმი მიძღვნილ ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სა-

---

[14] ნ. თ ო ფ უ რ ი ა, საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, მსე, XV, თბ., 1970, გვ. 22.

[15] Ц. Б ж а н и я, Из истории хозяйства абхазов, Сухуми, 1962.

[16] ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969.

[17] ს. კ ვ ი ც ი ა ნ ი, მესაქონლეობა სვანეთში, თბ., 1973. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი.

[18] თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, მესაქონლეობა ქვემო ქართლში, თბ., 1975, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი.

[19] მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მსხვილფეხა მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1975, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი.

[20] ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობა სამეგრელოში; მ ი ს ი ვ ე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში; მ ი ს ი ვ ე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში (იხ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა, 1974, 1975, 1976 წწ.); მ ი ს ი ვ ე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, 1977.

ქონლის საკვები ბაზის მოპოვებაზე, სარწყავ სისტემაზე. თ. ცაგარეიშვილის ციტირებულ ნაშრომში შესწავლილია ქვემო ქართლის მესაქონლეობის ძირითადი ფორმები, მესაქონლეობის მატერიალური ბაზა, პროდუქტები და მათი რეალიზაციის სახეები. რაც შეეხება მ. შაკალათიას ნაშრომს „მსხვილფეხა მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში", ავტორი, ძირითადად ხევსურულ მასალაზე დაყრდნობით, ადგენს სამეურნეო კალენდარს და სწავლობს მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, რიტუალებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ცენტრალური კავკასიონის მთიელთა მესაქონლეობის მონოგრაფიულად შესწავლა. საკითხები, რაზედაც ძირითადად გამახვილებულია ყურადღება, ესაა მეურნეობის ამ სფეროში საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის, სამეურნეო დარგში მათი თანამშრომლობის, ზოგადკავკასიური ელემენტების წარმოჩენა; საკუთრებისა და მფლობელობის თავისებურებების, შრომის ორგანიზაციის ფორმების შესწავლა, საკითხის სოციალური ბუნების ახსნა.

ნაშრომი დაწერილია ავტორის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების, სპეციალური ლიტერატურული მონაცემებისა და არსებული საარქივო დოკუმენტების საფუძველზე.

ნაშრომი ზოგადთეორიული ხასიათისაა, მაგრამ მას აქვს სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობაც. როგორც ცნობილია, სკკპ XXV და XXVI ყრილობებმა სათანადო ყურადღება მიაქციეს სახალხო მეურნეობის და კერძოდ მეცხოველეობის განვითარებას. საქართველოში მეცხოველეობის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII და XX პლენუმები (1975 წ. 12 სექტემბერს და 1980 წ. 16 მაისს). დაისახა გეგმები, რათა საქართველო გადაიქცეს განვითარებული მეცხოველეობის კუთხედ. ამ კურსს მაღალი შეფასება მისცა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში ქ. თბილისში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით (1981 წ. 22 მაისს) და თავის მხრივ დასახა ის ძირითადი ამოცანები, რამაც უნდა განაპირობოს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ხალხის ტრადიციული, სამეურნეო-კულტურული მონაპოვრების, ემპირიული ცოდნა-გამოცდილების გამოვლინება და მეცნიერუ-

ლი ანალიზი; წარსულის დადებითი ტრადიციებისადმი შეგნებული მიდგომა და პრაქტიკაში მათი დანერგვა, თანამედროვე სპეციალური მეცნიერების მონაცემებთან ერთად, ხელს შეუწყობს სოციალისტური მეცხოველეობის რაციონალურ გაძღოლას და მის ახალ ალმაევლობას.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ცენტრალური კავკასიონის მთური სოფელი და დასახლების სამეურნეო პირობები

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში ცენტრალური კავკასიის მთიანეთში სოფელი მჭიდროდ დასახლებულ ერთეულს წარმოადგენდა და ძირითადად, ხეობების მიხედვით იყო განლაგებული. კომპაქტურობა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის საერთო წარმომავლობა, განსახლების პატრონიმიული ხასიათი, ოავდაცვის საერთო ინტერესები, სამეურნეო პირობებისა და შრომის ორგანიზაციის ერთიანობა და სხვა, არის ის ნიშნები, რაც დამახასიათებელია მთური კავკასიური სოფლისათვის. აქ აშკარად გამოიკვეთება კოშკი ან მამისეული სახლი, რომლის ირგვლივაც ლაგდებოდნენ ერთი კერიდან განაყარი ოჯახები. საბოლოოდ, მატერიალური კულტურის ეს ძეგლი იქცეოდა დიდი ოჯახის დაშლას შედეგად შექმნილი სოციალური ერთეულის — პატრონიმიის შაორგანიზებელ ცენტრად, მისი იდეოლოგიური ერთიანობის სიმბოლოდ. მართალია სოფლის სტრუქტურის კვლევა სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს, მაგრამ მას ვეხებით იმდენად, რამდენადაც მეურნეობის ფორმები, მისი წარმოების ხასიათი იყო სოფელთა განსახლების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. განსახლება ხდებოდა, პირველ რიგში, შიგ სოფელშივე, მამისეული სახლის ან კოშკის ირგვლივ; შემდეგ ერთი ხეობის ფარგლებში, ახლად ათვისებულ ფართობებზე — ახოებში ან სამეურნეო ბაზებზე. ამ საკითხზე ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ხეობების მიხედვით სოფელთა განლაგებას შორეულ წარსულში ედება სათავე და გარკვეული სახით XIX ს. ბოლომდე შემოინახა.

ნ. ბერძენიშვილი ხევისპირულ დასახლებას ხალხის გორებზე ცხოვრების შემდგომ ეტაპად მიიჩნევდა[1]. ადამიანთა გორებზე

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 24.



სურ. 1. ჩრდ. ოსეთი, ქურთათის ხეობა, სოფ. ხარისკინი

სურ. 2· ჩრდ. ოსეთი, დიგორი, სოფ. მახჩესკი, აბესალოვების კომპლექსი

დამკვიდრება, თავის მხრივ, ასახულია როგორც საწარმოო ძალთა განვითარების ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც ნეოლითის ხანაში უნდა შექმნილიყო. ამ პერიოდში მეურნეობის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ძველი საცხოვრისის, მღვიმეების ფარგლებში ვეღარ თავსდებოდა. გორებზე ადამიანები გვაროვნული წესით ცხოვრობდნენ, ერთმანეთთან სისხლით ნათესაობით დაკავშირებული ჯგუფები ერთ ჭერქვეშ იყვნენ გაერთიანებული და ცალკე გორი ჰქონდათ დაკავებული. ამდენად, გორა ასახავდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფების სოციალურ ერთობას, ქმნიდა მათ სიმაგრეს, ციხეს და მათი ძირითადი ქონების, საქონლის სათავსო ფართობს. აქვე ჩამოყალიბდა ტერმინები გ ო რ ი (ქ ო რ ი) და ს ა ხ ლ ი (ც ი ხ ე) საზოგადოების ერთობლიობის აღმნიშვნელად, სადაც, ავტორის აზრით, ქორი (გორი, გვარი), ისევე როგორც სახლი (ციხე) შენობასაც აღნიშნავდა და სოციალურ ერთეულსაც. ამ ტერმინების დიფერენციაცია გორად და გვარად, მათი პირდაპირი მნიშვნელობით, შემდგომი დროის ამბავია[2].

ნეოლითში ადამიანი საბოლოოდ გადადის წარმოებით მეურნეობაზე. მართალია კავკასიაში ეს პროცესი, წინა აზიასთან შედარებით, რამდენადმე გვიან დაიწყო და ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ ის V ათასწლეულისათვის უნდა დასრულებულიყო[3]. უკვე ნეოლითური ხანის არქეოლოგიური ძეგლების (ძვ. წ. VI—IV ათასწლ.) საფუძველზე, სამხრეთ კავკასია ხასიათდება როგორც დამოუკიდებელი მძლავრი სამიწათმოქმედო კულტურის კერა. აქ ბოსახლე ტომებისათვის ცნობილი იყო მორწყვითი და გუთნითი მიწათმოქმედება, მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო კულტურების, მათ შორის მრავალწლიანი კულტურების, წარმოება; მისდევდნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგებს, მესაქონლეობას, რომელიც უკვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან, ისახება მეტალურგია. მეცხოველეობაში უპირატესობა მსხვილფეხა მესაქონლეობას ეჭირა. შეიძლება განვსაზღვროთ მეურნეობის ამ დარგის წარმოების ფორმებიც. საეჭვოდ არ მიაჩნდათ ის გარეგნობა, რომ საქონელი ყავდათ იქვე, სადაც ცხოვრობდნენ. ძირითად საკვებ რესურსებს ქმნიდა ველები, სადაც იყო გაშლილი ყანები და ზამთრის საძოვრები, მდინარეთა ნოღებში — ტყე და ბუჩ-

---

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33—37.

[3] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ. 1976, გვ. 45.

ქნარები; გამორიცხული არ იყო, რომ ზაფხულობით საქონელი მიყავდათ სოფლის ახლოს მდებარე მთის საძოვრებზე. ცხოვრება მთლიანად ექვემდებარებოდა მკაცრად შემუშავებულ სამიწათმოქმედო კალენდარს, რაც არსებულ გეოეკოლოგიურ გარემოში საარსებო მინიმუმის გამომუშავების საშუალებას იძლეოდა[4].

დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანაში მოსახლეობა გორებად ცხოვრობდა და ყველა ჯგუფი ფლობდა თავის საგვარეულო ტერიტორიას. გორათა ჯგუფების შიერ პირველ ხანებში უფრო ფართოდ ჩანს ათვისებული ბარი, მაგრამ IV ათასწლ. დასასრულისათვის მდგომარეობა იცვლება[5]. მესაქონლეობის დაწინაურებას, საწარმოო ძალთა განვითარებას, სპილენძის მეტალურგიის აღმავლობას, ტომთა შორის ურთიერთობის ზრდას თან სდევდა მოსახლეობის რიცხობრივი მატება და ცვლილებები სოციალურ ორგანიზაციაში. სულ უფრო და უფრო იზრდება ახალი მიწების ათვისების მოთხოვნილება. ადრეულ ბრინჯაოს ხანაში თითქმის მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის შატარებელი ტომების განსახლება, ხოლო შემდეგ საგრძნობლად სცილდებიან მის ფარგლებს. ამ კულტურის ნამოსახლარები მიკვლეულია როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე. თანმიმდევრულად ხდება ყველა ზოლის — ბარის, მთისწინა და მთის ზონების ათვისება. მიმდინარე პროცესები ზეგავლენას ახდენდა მეურნეობის ხასიათზე, თუ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურზე წამყვანი ადგილი მსხვილფეხა მესაქონლეობას ეკავა, ადრებრინჯაოს ხანაში წვრილფეხა საქონლის ხვედრითი წონა თანდათანობით მატულობს, რაც მაღალმთიანი საძოვრების ათვისების საჭიროებას იწვევს. ამ გარემოებასთანაა დაკავშირებული მთაში მეტ-ნაკლებად მყარი მოსახლეობის წარმოქმნაც[6]. მიუხედავად ამისა, მიწათმოქმედებას ჯერ კიდევ წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მესაქონლეობა კი მასთან კავშირში ვითარდებოდა[7].

---

[4] Т. Чубинишвили, Л. Челидзе, К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры VI—IV тыс. до н. э. I, მაცნე № 1, 1978 წ. გვ. 55—61; 11, მაცნე № 1, 1979 წ. გვ. 72.

[5] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ. 1977, გვ. 19.

[6] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92—95; ტ. ჩუბინიშვილი, ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურა საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, თბ., 1970, გვ. 145—147.

[7] ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

III ათასწლ. მეორე ნახევარში მიწათმოქმედი საზოგადოება გარკვეულ კრიზისს განიცდის, იზრდება მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის როლი, უფრო ინტენსიური ხდება მთისძირა და მთის ზოლის ათვისება, ხოლო ბარის მოსახლეობა თხელდება[8]. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ხდება მესაქონლეობა; საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გამოყენებით, მეურნეები დროებით სადგომებს იჩენენ მთაშიც და ბარშიც. კავკასიაში საქონლის რაოდენობის ზრდამ და მათი საკვებით უზრუნველყოფის საჭიროებამ, აღნიშნავს ბ. პიოტროვსკი, გამოიწვია ბალახით მდიდარი მაღალმთიანი ილაღების ათვისება. საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე (ძვ. წ. II ათასწლ.) მესაქონლეობა იძენს წამყვან მნიშვნელობას (წვრილფეხა მესაქონლეობის უპირატესობით) და მოსახლეობა ბარიდან ინაცვლებს მთაში, ესახლება თავის სამეურნეო ბაზებთან — მთის საძოვრებთან ახლოს. საქონლის საკვები ბაზით უზრუნველყოფის პრობლემა ყოველთვის იდგა მოსახლეობის წინაშე. ზაფხულში იმიტომ, რომ მთისძირა რაიონებში ბალახმა ადვილად იცის გადაწვა, ხოლო ზამთრისთვის მომარაგებული საკვები ვერ უზრუნველყოფდა საქონლის იმ რაოდენობას, რაც ზაფხულის განმავლობაში ყავდათ. ამ გარემოებამ გახაპირობა მესაქონლეობის მთაბარული სისტემის ჩამოყალიბება. ნოღაის და კუმისპირა ველებში — კასპიისპირეთის დაბლობ რაიონებში ნაპოვნი ჩრდილოკავკასიური კერამიკული ნაწარმის, ქვისა და ბრინჯაოს იარაღების საშუალებით მოწმდება, რომ ზაფხულობით საქონელი მიყავდათ ალპურ ზონაში, ზამთარს კი საქონლის დიდი ნაწილი ზღვისპირა ველებზე ატარებდა. საქონელს დაყვებოდა მოსახლეობის ნაწილი, მამაკაცების ის რაოდენობა, რაც მათ მოვლა-პატრონობას დასჭირდებოდა. მთაშიც და ბარშიც დროებითი სადგომები — კოში და კუტანები ჰქონდათ ავებული. ამდენად, როგორც მითითებულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში, განვითარებული ჩანს მესაქონლეობის წარმოების ის ფორმა, რაც დღესაც მოქმედებს ჩრდილო კავკასიის მთიანეთში[9].

როგორც აღვნიშნეთ, ზედაპირული მიწათმოქმედების პირობებში, მთა აღმოჩნდა მესაქონლეობის განვითარების მძლავრი ბა-

---

[8] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 249; მისივე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 201.

[9] Б. Пиотровский. Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА. XIII, М., 1955. с. 6; В. Марковин, Культура племен северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), МИА, М., 1960, с. 133.

ზა; საქონელი უნდა ყოფილიყო თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების სიმდიდრის წყარო. ირიგაციის ჩასახვის შემდეგ სათიბების ხარჯზე იზრდება სამიწათმოქმედოდ ვარგისი ფართობების რაოდენობა, ამავე დროს, მზარდი მესაქონლეობა სულ უფრო და უფრო მეტ საკვებ მარაგს მოითხოვს. ყოველივე ეს გარკვეულ ჩარჩოებში აქცევდა მსხვილფეხა მესაქონლეობის განვითარებას და როგორც აღვნიშნეთ, თანდათანობით იზრდება მეცხვარეობის როლი. სხვა ფაქტორებთან ერთად, შეცხვარეობის განვითარებამაც გარკვეული როლი შეასრულა მოსახლეობის მთიდან ბარისაკენ დეხადობის საქმეში. ამ შემთხვევაშიც მოსახლეობა ინაცვლებს ჯერ მთისწინა ზოლში, შემდეგ — ბარში[10].

გვიანი ბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობა იმდენად განვითარებული ჩანს, რომ არქეოლოგების ვარაუდით ათვისებული და ზამთრის საძოვრებად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ალაზნის აუზის ქვემო წელი, ივრის სანაპირო, შირაქის, ელდარის, ზალიჩის ველები, ქვემო და შიდა ქართლის ბარი. ამ ხანებში იწყება კავკასიონის ალპური იალაღების ათვისებაც[11]. ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში, თრიალეთის კულტურის მქონე საზოგადოება ინტენსიურად ითვისებს თრიალეთის მაღალმთიან ზოლს, ზამთრის საძოვრებად კი გამოიყენებოდა ქვემო ქართლის ვაკე. თრიალეთის ალპური საძოვრები, ერთი მხრივ, ათვისებული ჩანს შიდა ქართლის, ხოლო მეორე მხრივ, ქვემო ქართლის, კახეთისა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე მოსახლე ტომების მიერ[12].

ცხადია, მეურნეობის აღმავლობას თან სდევდა სოციალური ძვრები. მიჩნეულია, რომ თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომებში გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესი საკმაოდ შორს იყო წასული, გვაროვნულმა არისტოკრატიამ, როგორც ქოხებრივად, ისე ძალაუფლების მხრივ, დიდ სიძლიერეს მიაღწია[13]. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი ვითარება: ინტენსიური მიწათმოქმედება და აქედან ჭარბი პროდუქციის წარმოება, წინაპრის კულტთან შეზრდილი ბელადის კულ-

---

[10] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 74.

[11] იქვე, გვ. 106.

[12] ო. ჯაფარიძე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 223-224.

[13] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

ტის არსებობა, კერძო საკუთრების განვითარება, ქონებრივი უთანასწორობა, ქონებრივად აღზევებული სახლების სოციალური დაწინაურება და სხვა, ყველა პირობას ქმნიდა კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის[14].

სპეციალური ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის რიცხობრივმა ზრდამ და საწარმოო ძალთა შემდგომმა განვითარებამ მოშალა გორი როგორც სოციალური ერთეული და მის საფუძველზე ყალიბდება პატარა დასახლებული ერთეულები დაბების სახით. ეს გარემოება გზას უხსნიდა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას, კერძო საკუთრების წარმოქმნას, მაგრამ ის სოციალური წყობა, რაც გორაზე შემუშავდა, აქაც დიდხანს ინახავდა თავს. ამის შემდეგ გორა დარჩა როგორც სალოცავი ხატი ოდესღაც ფიზიკურად ერთი ერთეულის მაჩვენებლად, ერთიანობის სიმბოლოდ. გაძლიერებული და გამრავლებული გვარის ადგილსამყოფელი, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, უკვე ხევია, რომელიც ძველ გორდასთან რელიგიურადაა დაკავშირებული[15].

დგინდება, რომ II ათასწლ. ბოლოს და I ათასწლ. დასაწყისში, ხევი უკვე გარკვეული ტომების საცხოვრისია, ის უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სამეურნეო ერთეული თავისი მთითა და ბარით, რომლის ფარგლებშიც ყალიბდებოდა ამა თუ იმ ხალხის ლოკალური და ეთნიკური თავისებურებები. მაგრამ ხევები არ იყვნენ მკაცრად ჩაკეტილი თავის ფარგლებში, რის შედეგადაც ერთი კულტურის ელემენტები ხშირად იჭრება სხვა კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე[16]. როგორც ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, თავდაპირველად ხევების უმრავლესობას ჰქონდა თავისი ცენტრები[17]. ადრეანტიკური ხანის ძეგლებით, ქართლის ტერიტორიაზე, ხეობათა შუა ზოლში გამოყოფენ ამ ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრებს: ახალგორს, წინწყაროს, ყაზბეგს და სხვა, რომლებიც ამავე დროს ხეობათა ბუნებრივ ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. იგივე პუნქტები მიჩნეულია საკულტო ცენტრებად. სადაც ხევი თუ თემი ტაძრის ირგვლივაა

---

[14] ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[15] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ. 1975, გვ. 43, 53, 59, 60. აქვე მკვლევარი ფართოდ იხილავს დასახლების უძველეს ფორმებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას: გორას, გვარს, ჯვარს, ქორს, სახლს, ციხეს, ჯიხას, ჩიხას და სხვა.

[16] ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

[17] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

გაერთიანებული, ტაძარია ხევის, თემის, სოფლის მაორგანიზებელი და ცხოვრების წარმმართველი[18].

ნ. ბერძენიშვილი ხევისპირულ დასახლებას უკავშირებს მოსახლეობის სარწყავ სისტემაზე გადასვლას. აძ სამეურნეო ფაქტორშა, აღხიშნავს მკვლევარი, განსაზღვრა ის გარემოება, რომ ხევი იქცა ბუნებრივ ტერიტორიულ ერთეულად, ხოლო მთელი საქართველო ხევებად და მოხევეებად დაიყო. ხევების ანუ თავისუფალი თემის განვითარება ქმნიდა მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენის ტენდენციას, რაც კიდევ უფრო ძლიერდება მეურნეობის შემდგომი წინსვლისას. თანდათანობით იშლება თემი და მის საფუძველზე იშვება ახალი სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობა. მაგრამ ეს პროცესი ყველა კუთხეში თანაბრად არ მიმდინარეობდა, შეურნეობას ბარში განვითარების მეტი საშუალება ეძლეოდა, ვითარდებოდა მემინდვრეობა, მებოსტნეობა და სხვა, რაც მთაში მეტისმეტად შეზღუდული იყო და ამდენად, თემის დაშლისა და საზოგადოების სოციალური წინსვლის პროცესი ფერხდებოდა[19]. დ. ძუსხელიშვილი, ახვითარებს რა ამ დებულებას, მიუთითებს, რომ ხევების წარმოქმნა (გვიანბრინჯაოს ხანაში) დაკავშირებულია ეკონომიკურ აღმავლობასა და სოციალური პროცესის გაღრმავებასთან. ამდენად, ხევები, რომლებიც „გორათა გაერთიანების შედეგად წარმოიქმნენ, გაერთიანდნენ ერთ დიდ ხევად", რაც ეტიმოლოგიურადაც ხევთა ერთობლიობას გულისხმობს[20]. ძვ. წ. III ს. და შემდგომ ხანაშიც, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ხევები რეალური ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულებია, რის გამოც ქართულ წყაროებში ქართლი, კახეთი, კლარჯეთი და სხვა, ხევთა კრებულებადაა წარმოდგენილი[21]. ამდენად, დასახლების ერთეული დროთა განმავლობაში ხევსაც გასცდა და ხევების გაერთიანებასაც ხევი ეწოდა. აქ უკვე ასეთი დიდი ერთეულის აღმნიშვნელად ჩნდება ახალი ტერმინი — ქვეყანა. ეს კი მიჩნეულია ხევების გაერთიანების ბუნებრივ შედეგად, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ახალ საფეხურად; ჩვენს წინაა ფეოდა-

---

[18] ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[19] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 423.

[20] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[21] იქვე, გვ. 61.

ლიზაციის გზაზე შემდგარი საზოგადოება, თავისი ოფიციალური ძძართველი ორგანიზაციით, რაც საფუძველს უქმნიდა სახელმწიფოს ჩამოყალიბებას[22].

ვფიქრობთ, არქეოლოგიური და ისტორიული ლიტერატურის ეს მიმოხილვაც ნათელყოფს კავკასიაში მესაქონლეობის დიდ ტრადიციებს, მისი წარმოების მაღალ კულტურას. მოსახლეობის დიდი თუ მცირე მიგრაციების, მათი ბარიდან მთაში თუ მთიდან ბარში მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ყოველთვის იყო სამეურნეო ფაქტორი[23], კერძოდ, მესაქონლეობის განვითარების შემდგომი საფეხურები, ახალი სამეურნეო რესურსების ძიება. ამასთან დაკავშირებით, იხვეწებოდა მეურნეობის გაძღოლის მეთოდები, შრომის ორგანიზაციის ფორმები. მეურნეობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ყალიბდება ხევი, როგორც სამეურნეო-კულტურული კომპლექსი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორია თავისი მთითა და ბარით, რომელიც ვერტიკალური ზონალობის ჭრილში ქმნიდა მეურნეობის, მატერიალური კულტურის ძეგლებისა და გარკვეული სახით, სოციალური ურთიერთობის ერთ მთლიან სისტემას.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დგინდება, რომ კავკასიის მთიანეთის ბუნებრივ-ისტორიულმა თავისებურებებმა თავის დროზე განაპირობეს სოფელთა ჯგუფების სახით ცალკეული სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბება ხეობების მიხედვით. სოფლები ძირითადად მდინარეთა შთავარ არტერიებზე მდებარეობდნენ. დიდ ტერიტორიულ ერთეულებში: არაგვის, ქსნის, ივრისა და ალაზნის ხეობებში — აღმოსავლეთ საქართველოში; ჯარიახისა (მდ. არმხის არტერიებზე) და ასის ხეობებში — მთაინგუშეთში; ქურთათის (მდ. ფიაგდონის არტერიაზე), ალაგირის (მდ. არდონის არტერიებზე), დიგორის (მდ. ურუხის ზემო წელში) — ოსეთში და სხვა ხეობებში, რომელთა მთისა და ბარის სამეურნეო კომპლექსების ერთობლიობა ქმნიდა ქვეყნის ეკონომიკურ საფუძველს, გამოიყოფოდა მცირე სასოფლო-ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც მდებარეობდნენ აღნიშნულ მთავარ მდინარეთა გაყოლებაზე ან მათ შენაკად პატარა ხეობებში. ყოველი სასოფლო-ტერიტორი-

---

[22] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 73, 74, 110, 123—126.

[23] Н. Мерперт, Миграция в эпоху неолита и энеолита, СА, № 3, 1978, с. 9—13.

ული ერთეული იყო მტკიცედ ლოკალიზებული, სოფელთა ერთობლიობა ემყარებოდა მოსახლეობის ძირითადი ნაწილის საერთო წარმომავლობას, ტყით, მთის საძოვრებითა და რიგი სათიბებით ერთობლივ სარგებლობას, თავდაცვის საერთო ინტერესებს, ჰქონდათ თავისი თვითმმართველობა და გამოირჩეოდნენ სოციალური ორგანიზაციის თავისებურებებით. გარდა იმისა, რომ სოფლის სადარაჯოზე იდგა კოშკები და ციხესახლები, ხეობაში შემავალი ყოველი გზა ჩაკეტილი იყო, ხოლო ხეობის გაყოლებით ყოველ მოსახვევში აღმართული ციხე-კოშკები ქმნიდნენ სიგნალიზაციის ერთიან სისტემას. სასოფლო-ტერიტორიული ერთეულები არ იყვნენ იზოლირებულნი, ხეობათა შორის გამავალი გზები და ბილიკები ქმნიდა მათი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფუძველს. შემდგომში კი, საგლეხო რეფორმამდე კარგახნით ადრე, სასოფლო-სათემო ერთობლიობის დაცემასთან ერთად, დასახლების ძირითადი ერთეული ხდება სოფელი, ხოლო სოფელთა გარკვეულმა ჯგუფებმა, რომელთაც მოგვიანებით „საზოგადოებები" ეწოდათ, ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობა ძიღეს[24].

დგინდება, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში მთიულეთი ოთხ ნაწილად იყოფოდა: ხადა, გარეშემო, მრეული და ცხაოტი[25]. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გამოჰყოფენ ხადის, ზემო, ნაღორევისა და ფასანაურის თემებს. ამ დიდ დანაყოფთა შიგნით კიდევ გამოიყოფა სოფელთა ჯგუფები, რომელთა გაერთიანების საფუძველს წმინდა ტერიტორიულ-მეურნეობრივი ინტერესების ერთობლიობა შეადგენდა[26]. ასეთ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება შევიჩნიოთ ხანდოს ხევი, რომელიც შვიდ სოფელს აერთიანებდა (წინამხარი, უკანამხარი, ვეშაგურები, დავითურები, სოდევი, მეჯილაურები, ჯოხარანი. შემდეგ ეს იყო ერთი სამამასახლისო). ყველა სოფელს ჰქონდა თავისი ციხე, სალოცავი, თავშესაყრები ადგილი. სახეობა||სათემო საკითხები კი, ყოველი სოფლის წარმომადგენელთა მონაწილეობით, იხილებოდა წინამხარში ს ა ფ ი-

---

[24] А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II, Тб., 1868, с. 88; А. Робакидзе, Г. Гегечкори, Формы жилища и структура поселения горной Осетии, КЭС, V, I, Тб., 1975, с 160. აღნიშნული გარემოება, გარდა ეთნოგრაფიული მასალისა, დასტურდება საისტორიო და ეპიგრაფიული ძეგლების შესწავლითაც. იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941; ვ. სილოგავა, ქეიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში, სვანეთი, თბ., 1977, გვ. 53—59.

[25] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი... გვ. 6..

[26] იქვე, გვ. 7.

ცარაზე[27]. უფრო ფართო მნიშვნელობის საკითხები, რაც შეეხებოდა მთიულეთის (არაგვის ხეობის) ან საქართველოს თავდაცვის ინტერესებს, წითლიანთკარში წყდებოდა (ფასანაურის ქვემოთ დაახ. ერთ კმ-ზე).

დიგორის სოფლები ამ კუთხის მდინარეთა არტერიებზე იყვნენ განლაგებული და სამ სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულად იყოფოდნენ: 1. სოფელთა ჯგუფს, რომლებიც სტურ-დიგორას თემში იყვნენ გაერთიანებული, ეკავათ მდ. ურუხის ზემო წელი, მათი ცენტრი იყო სოფ. სტურ-დიგორა; 2. დონიფარსის სოფლები, ცენტრით სოფ. დონიფარსი, მდებარეობდნენ მდ. ურუხის მარჯვენა მხარეს, მას ქვემოთ რაც ურუხს უერთდება მდ. სონგუთიდონი; 3. მდ. სონგუთიდონის ხეობაში მდებარე სოფლებს ეწოდებათ ტაფან-დიგორა. ტაფან-დიგორა თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა: საკუთრივ ტაფან-დიგორა, რომელიც აერთიანებდა ხეობის ქვედა წელში მდებარე 13 სოფელს, მათი ცენტრი იყო სოფ. მახჩესკი. მახჩესკის ირგვლივ დაჯგუფებულ სოფლებს მახჩესკის თემის ანუ მ ა ჩ ე ს კ ი ქ ო მ-ის სახელითაც იცნობდნენ. და მეორე, უ ა ლ ლ ა გ ქ ო მ — სონგუთიდონის ხეობის სათავეებში. აქ გაერთიანებული ოთხი სოფლის (დუნთა, გალიათა, კამუნთა, ხონესერ) ცენტრი იყო გალიათა და გალიათას თემსაც უწოდებდნენ.

ხეობა, ერთი მხრივ, ერთ სოფელს შეიცავდა, ხოლო მეორე მხრივ, რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. თუ ხეობები ლ ა ც ქ ო მ — ოსეთში, შ ო ნ ხ ო ი ჭ ო ჟ და ე ბ ნ ხ ო ი ჭ ო ჟ — ინგუშეთში თითო სოფლით: ლაცით, შონით და ებნით იყვნენ წარმოდგენილი, ყ ო რ ა ი ქ ო მ აერთიანებდა სოფლებს ზედა ყორას და ქვედა ყორას; ხ ი ლ ა კ ქ ო მ — ხარისკინს, გუტიათიყაუს და კალოითიყაუს. ინგუშეთში, ხამხოის თემში შემავალ სოფელთა განსახლების შედეგად, ჩულხოის ხეობაში, ფართობებზე, რომელიც ძახამდე ხამხოელების საძოვრებად გამოიყენებოდა, ჩნდება სოფლები, კიაზი, ლიალაღ, ხენი, გუ და სელგი. ეს სოფლები ერთ ტერიტორიულ ერთეულს ქმნიდნენ და დამოუკიდებელი თემის ფუნქციებს ატარებდნენ. ჩაჩნეთში ასეთივე ერთეულები იყო ა კ ი ხ ო ი, ჩ ა ნ ტ ხ ო ი, მ ა რ ტ ა ნ ხ ო ი და სხვ. თავის დროზე, მთიულეთიდან ხევსურეთში გადასახლებული ბურდულები როშკის ხეობის შუა წელში დასახლდნენ და სათავე დაუდეს სოფ. ქმოსტის არსე-

---

[27] ეს იყო დაბლობში ხევის პირას, იხილებოდა სათემო საკითხები, ასამართლებდნენ დამნაშავეებს, ადებინებდნენ ფიცს და ადგილაც საფიცარი ამიტომ შეერქვა.

ბობას. შემდგომში, ქმოსტის განსახლების საფუძველზე, ამავე ხეობაში ჩამოყალიბდა სოფლები: ღელისვაკე, საბერწე, იღლიაი და ყველა ისინი ბურდულებით იყო დასახლებული. გადმოცემით, ლიქოკის ხეობაში სოფ. აჭეს განსახლების შედეგად იქმნება 9 სოფელი, გარკვეული ტერიტორიული ერთეული, რომელიც თავდაპირველად ძოლიანად ლიქოკელებით იყო დასახლებული. ასევე გამოიყოფა ბიჩინაგურთ, ჩუჩეყაურთ (არაბულების, ბიჩინაგურთ და ჩუჩეყაურთ პატრონიმიული ჯგუფებით დასახლებული სოფლები), გოგოჭურთ, ჭინჭარაულთ თემები და სხვა[28].

როგორც ჩანს, განსახლება თავდაპირველად ერთი ხეობის ფარგლებში ხდებოდა. ცხადია, სოფლებს—ლაცს, ებნს და შონს თავისი ზრდის შედეგად ახალი დასახლებული ერთეულები რომ მოეცათ, ისინი გაჩნდებოდნენ ლაცის, ებნის და შონის ხეობებში და ეს ხეობებიც არა თითო, არამედ ორი ან მეტი სოფლის საერთო მფლობელობაში იქნებოდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში, დასახლებული ერთეულების განვითარებას, მათ ბუნებრივ ზრდას, ძოსდევდა დიდი ტერიტორიული ერთეულების სეგმენტაცია. ადრე ტაფან-დიგორა მთელ სიგრძეზე ერთიანი ყოფილა, ხოლო შემდეგ მოძხდარა მისი გაყოფა ორ ნაწილად, გამოეყო უალლაგქომ. დიგორის განვითარების პროცესში სტურ-დიგორა ეყოფა დონიფარსს, ხოლო შემდეგ სტურ-დიგორას დამოუკიდებელ სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულად გამოეყო გულარის სოფლთა ჯგუფი (გულარი, ძინაგა, ნოგყაუა) და ყველაფერი ეს ხეობების ძიხედვით სასოფლო-ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბების პრინციპებს ემყარებოდა[29].

ამგვარად, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში დასახლებული ერთეულების წარმოქმნის, მათი ზრდისა და სეგმენტაციის პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა საზოგადოების ისტორიის მთელ განძილზე, რაც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოების სოციალური ურთიერთობის განვითარებაზე, მიწათსარგებლობისა და შრომის ორგანიზაციის ფორმებზე. ხაზი უნდა გაუსვათ იმ გა-

---

[28] ხევსურული გვარისა და თემის სტრუქტურას, მისი მმართველობის სისტემას, ჯვარისყმობის ინსტიტუტს ნაშრომები მიუძღვნეს ვ. ბარდაველიძემ (ხევსურული თემი, სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 13, 1952, № 8, გვ. 495—502; მ ი ს ი ვ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 13, 1952, № 10, გვ. 623—630) და რ. ხარაძემ (ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 187).

[29] А. Робакидзе, Г. Гегечкори, Формы жилища и..., с. 175.

რემოებასაც, რომ ხევმა, როგორც სოციალურმა და სამეურნეო ერთეულმა, XIX ს. ბოლომდე, გარკვეული სახით, თავი შემოინახა ძალამთიან რაიონებში. გარდამავალ ზოლსა და ბარის რაიონებში, სოციალურ ურთიერთობათა განვითარებისა და სამეურნეო ყოფის თავისებურებათა შესაბამისად, ხევი უფრო ადრე კარგავს თავის მაორგანიზებელ მნიშვნელობას და ასეთ ერთეულად გვევლინება სოფელი.

რაც შეეხება ხევთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას (ქართ. ხ ე ვ ი, ინგ. ჰ ო ე, ოს. ქ ო მ, სვ. ა ბ უ ა ს დ, აფხ. ა პ ა ს ტ ა, ყარაჩ. ა უ ზ უ და სხვა), რამდენადაც ის დასახლების ფორმებთანაა დაკავშირებული, არა მარტო გეოგრაფიული, არამედ სოციალური მნიშვნელობაც ენიჭება. სვანეთში გარდა დასახლებული ტერმინისა, დასახლების ერთეულის აღმნიშვნელად დამოწმებულია ჯ ე უ. რაც ხევის მნიშვნელობას შეესატყვისება და ს ო ფ ე ლ. დადგენილია, რომ ჯევ სვანეთში იხმარებოდა დასახლებული პუნქტის ისეთი ჯგუფის აღმნიშვნელად, რომელსაც ახასიათებდა ტერიტორიული, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და გარკვეულ შემთხვევაში, იდეოლოგიური ერთობლიობა[30]. რამდენადაც ჩაჩნეთ-ინგუშეთში სოფლები ძირითადად მდინარეთა მაგისტრალებზე მდებარეობდნენ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ნახურ ენებზე წყლის აღმნიშვნელ ტერმინ ხ ი-ს, რომელიც ქართულ ხევთანაა დაკავშირებული[31]. საინტერესოა მეორე ტერმინიც ხ ო ი, რომელიც სუფიქსის სახით ერთვის სოფლის ან კუთხის სახელწოდებას და სოფელთა ჯგუფის ან ხალხის ერთობლობას გამოხატავს (ჯეირხოი, ჩულხოი, აკიხოი და სხვ). ჩაჩნეთში დამოწმებულია სოფლის სახელწოდება ხ ო ი, რომელიც ოთხ სოფელს აერთიანებდა (ჭებერლოიში). აქვე ფიქსირებულია სოფლები: ბუნოხოი, ბოსოხოი. საძოვარი მთები: ხოილამ, ბოსოხოილამ და სხვა.

მიუხედავად მისი კომპაქტურობისა, სოფელში მაინც გამოიყოფოდა ცალკე უბნები. უბნების სახით სოფელთა დანაწილება უმეტესად გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით ხდებოდა. ასეთია ზეშო უბანი და ქვემო უბანი, გალმა უბანი და გამოღმა უბანი და სხვა. რამდენადაც განსახლება პატრონიმიულ ხასიათს ატარებდა, უბანი ერთი გვარის წევრებით იყო დასახლებული და იმის სახელითაც მოიხსენიებდნენ, თუ იქ რომელი გვარი ან პატრონიმიული ჯგუფი ცხოვრობდა.

---

[30] რ. ხ ა რ ა ძ ე, ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი..., გვ. 63—76.

[31] А. Р о б а к и д з е, Жилища и поселения горных ингушей..., с. 87.

ალ. რობაქიძის აზრით, დასახელება ეს არის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ეთნიკური შემადგენლობის, ენის, საბეურნეო პირობების, თავდაცვის ინტერესების და სხვათა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა. ამ ნიშნების მიხედვით მკვლევარი გამოყოფს დასახლების მთურ კავკასიურ ფორმას, რომელიც ხასიათდება მსხვილგაბარიტიანი ნაგებობებით, კომპაქტურობითა და აშკარად გამოკვეთილი თავდაცვითი ფუნქციებით[32]. მკველავრის ყურადღებას იქცევს კოშკი ან მამისეული სახლი, რომლის ირგვლივაც ხდებოდა ერთი კერიდან განაყარი ოჯახების დაჯგუფება და ცხადია, ეს გარემოება სოფელში პატრონიმიული უბნის გამოყოფის საშუალებას იძლეოდა[33]. რამდენადაც კოშკი ოჯახის სეგმენტაციის დროს არ იყოფოდა, ხოლო გამოყოფილი ოჯახები მის ირგვლივ კომპაქტურად სახლდებოდნენ, ის უნდა ყოფილიყო კიდეც ამ სოციალური ერთეულის მაორგანიზებელი ცენტრი. ფეოდალური პარტიკულარიზმის პირობებში კოშკი მის მფლობელთა თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა, მაგრამ ის თანდათანობით კარგავს თავის ფუნქციას, საკულტო მნიშვნელობას ღებულობს და პატრონიმიის ერთობლიობის იდეოლოგიურ სიმბოლოდ იქცევა, რომელთანაც წელიწადში ერთხელ თავს იყრიდა პატრონიმიის მთელი შემადგენლობა[34]. დადგენილია ფაქტები, როდესაც პატრონიმიული კოშკი იქცევა საერთო სასოფლო კოშკად. ამ შემთხვევაში ის ხდება სოფლის ერთიანობის სიმბოლოდ და საერთო სასოფლო კულტის ჩატარების ადგილად[35].

მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს. პირიქით თუშეთის სოფ. ფარსმაში ცხოვრობდნენ ცაძიკიძეები, აბაშიძეები, ქააძეები, სულაკაურები. მიუხედავად სოფლის სიმჭიდროვისა, გვარები გარკვეული თახმიმდევრობით იყვნენ განლაგებული. ისინი თავის მხრივ იყოფოდნენ პატრონიმიულ ჯგუფებად. მაგ; ცაძიკიძეები იყოფოდნენ ჩაკოანებად, ჭვრიტოანებად, ბორძაანებად, ბარტაანებად და თალაანებად. ყველა მათგანი ეპონიმის სახელს ატარებდა და სოფელში მცირე ტერიტორიულ ერთეულებს ქმნიდნენ. ჩაკოანთ ჯგუფში, რომელიც ჩვენ დავაფიქსირეთ, ყველაზე ძველია ჩაკოს სახლი, ხო-

---

[32] А. Робакидзе, Г. Гегечкори, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

[33] ი ქ ვ ე, გვ. 85; ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე, კეკ, III, თბ., 1971, გვ. 75.

[34] А. Робакидзе, Г. Гегечкори, დასახ. ნაშრომი, გვ. 95, რ. ხ ა რ ა ძ ე, ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 31; ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე, კეკ, III, თბ., 1971, გვ. 79.

[35] А. Робакидзе, Г. Гегечкори, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

ლო მის გვერდით მიშენებული საცხოვრებელი ნაგებობები ამ ოჯახის გაყრის შედეგად შექმნილი ერთეულებია.

შთარაჭაში სოფ. ღების ძირითადი, ძირძველი გვარებია ლობჯანიძე, გობეჯიშვილი და გავაშელიშვილი. სოფელი მთის ფერდობზე იყო გაშენებული, ზურგით კლდეს ებჯინებოდა, რაც ქმნიდა შის ბუხებრივ სიმაგრეს. წინიდან სოფელს ციხეები იცავდა, რომლებიც გალავნით ყოფილა შეკრული, გვერდით კი მდ. რიონი ჩამოუდიოდა. აქვე იყო მაცხოვრის ეკლესია, რომელიც ამჟამად დანგრეულია ციხე-კოშკებსა და გალავანთან ერთად. შემდეგში სოფელმა დაბლა ჩამოინაცვლა, სამოსახლოდ გამოიყენეს მდინარისპირა ჭალები და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ჩასატარებელი ადგილები. ჩხდება უბნები: ა ხ ა ლ ი უ ბ ა ნ ი (ვორგას ახო), ხ ო ლ ი ს თ ა ვ ი, ზ ე დ ა ჭ ა ლ ა, ქ ვ ე დ ა ჭ ა ლ ა, ს ა ლ ა შ ქ რ ო (ამ ადგილს ლაშქრის თავშესაყრელად იყენებდნენ და უბნის სახელწოდებაც აქედან შომდინარეობს), ნ ა ყ უ რ ი (სოფლის მოედანი ყოფილა, ერთხელ აქ ღებელებს ოსი ტყვეებისათვის ყურები დაუჭრიათ და ადგილის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს); ძველ დასახლებას კი, როგორც უკვე სოფლის ერთ-ერთ განაპირა უბანს, ც ი ხ ი კ ა რ ი ეწოდა. რიონის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობზე კიდევ ჩხდება დასახლებული ერთეული, სადაც ზემოთ აღნიშნულ გვარებს გარდა ესახლებიან გოგრიჭიანები,[36] ბოხაშვილები, ალხიძეები და ბოლოს გაგნიძეები. როგორც ჩანს, ეს მხარე დამოუკიდებელ სოფლად ყალიბდებოდა, მაგრამ ამის ფორმირება საბოლოოდ ვერ მოესწრო და როგორც ღების ერთ-ერთ საკმაოდ მოშორებულ უბანს, ბოლომდე შერჩა სახელწოდება პ ა ტ ა რ ა ღ ე ბ ი.

მეზობლად მდებარე სოფ. ჭიორაში მცხოვრები რეხვიაშვილები ექვს უბნად იყოფოდნენ, თითოეულ უბანში თითო ბაბუის შთამომავლობა ცხოვრობდა და ყოველი მათგანი ეპონიმის სახელს ატარებდა. ესენია: კაცუნეებთ, შოშიტეენთ, გუტეენთ, მამილოენთ, გიოენთ, მახარობლიანთ უბნები. ცალკე იყო გამოყოფილი გობეჯიშვილებისა და ჩაგელიშვილების უბნები. თითოეული პატრონიმიული ჯგუფი კიდევ იყოფოდა პატარა ერთეულებად, ახლო განაყრებად. მაგ., კაცუნეენთში შედის მამიზედეენთი, ხიხოლეენი, კოთხოჯიანი; მახარობლიანთ განაყოფები არიან შოშიტაანი, ხრიკეენი,

[36] ვფიქრობთ, მოტანილი მასალა იგივეა, რაც ხევსურეთში ძველი და ახალი შამანი (იხ. რ. ხ ა რ ა ძ ე, ხევსურული „ძირი" და „გვარი", მიმომხილველი, 1, თბ., 1949, გვ. 187).

ყაყეენი, მამუჩიკიანი, პაატაენი, და ა. შ.[36]. უბანს, რომელიც ერთ შთამომავლობას აერთიანებდა, მთხრობლები თემსაც უწოდებენ-ვარლამ რეხვიაშვილის გადმოცემით, მახარობლიანი ერთი თემია, ხოლო აქედან გამონაყოფი სოციალური უჯრედი შოშიტაანი — გლეხი. ტერმინი გლეხი ამ შემთხვევაში აღნიშნავს კომლს და არა სოციალურ კატეგორიას. შოშიტაანიც 1907 წ-მდე 75 სულისაგან შემდგარი დიდი ოჯახი იყო, რომელიც შემდეგ ქუცმაცდება პატარა ინდივიდუალურ ოჯახებად და ყველა ისინი ერთი გ ლ ე ხ ი ს ა ხ ე ლ ი ს (ამ შემთხვევაში შოშიტაანთ) ქვეშ არიან გაერთიანებული[37].

პატრონიმიული განსახლების პრინციპი დაცული იყო მთისწინა და ბარის ზოლშიც. აღსანიშნავია, რომ ძველად, როგორც მაღალმთიანეთში, ისე მის ქვედა ზოლში, უმეტესად, საცხოვრებლად ირჩევდნენ მთის, გორის ზედა ადგილებს. მთხრობლები ამას ხსნიან თავდაცვითი ინტერესებით და მეორეც, დაბლობებში მდებარე ნაყოფიერ ველებს სახლებით არ იკავებდნენ. სოფ. წვერი (ქარელის რ-ნი) ადრე მთის წვერზე, სამების ეკლესიის ირგვლივ ყოფილა გაშენებული, შემდეგ კი მდ. ფრონეს პირას გაშლილ დედოფლის მინდორზე ჩამოუნაცვლებია. აქ ჩამოყალიბდა კოკოზაშვილების, სამნიაშვილების, ბურჟანაძეების, გოგოლაძეების უბნები, წვერში კი, საიდანაც სოფელი დაეშვა, მოსახლეობა მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე ადიოდა.

კახეთში ხატიაშვილები, გურაშვილები, ათანელიშვილები და ალავერდაშვილები არიან სოფ. ტიბაანის ყველაზე ძველი, მკვიდრი მოსახლეობა. სოფელი დასახლებული იყო ორ პარალელურ ხევში— ზემო ხევსა და კოდახევს შორის მდებარე ბორცვებზე და ყველა გვარს ცალკე გორა ჰქონდა დაკავებული[38]. ზემო ხევში ცხოვრობდნენ ათანელიშვილები და ალავერდაშვილები, კოდახევში —გურაშვილები და ხატიაშვილები. შემდეგ სოფელი თანდათანობით იწყებს დინებას ქვემოთ, ალაზნის ველის მიმართულებით, სადაც მოსახლეობას კალოები და ვენახები ქონდა. ზემო ხევში, სიღრმეში მდებარე მაღალი გორა დაკავებული ქონდა ათანელიშვილების დიდ ოჯახს. შემდეგ ეს ოჯახი იშლება და ინაცვლებს მეორე ბორცვზე, იმავე ხეობაში რამდენადმე დაბლა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ ადგი—

---

[37] მასალები შოშიტაანთ დიდი ოჯახის შესახებ გამოაქვეყნა ამავე ოჯახში აღზრდილმა ვარლამ რეხვიაშვილმა (იხ. მასალები სოფ. ჭიორიდან დიდი ოჯახის გადმონაშთების შესახებ, „მაცნე", № 3, 1964, ივ. 134.).

[38] ალბათ, ასეთი სოფლებიც ჰქონდა მხედველობაში ნ. ბერძენიშვილს, როდესაც ანვითარებდა თეორიას გორებად დასახლების შესახებ.

ლებსაც ტოვებენ და ჩამოდიან დაბლობში, სადაც ამჟამად სოფელია გაშენებული. სოფლის ასეთი დინება თანსდევდა დიდი ოჯახების დაშლას. განაყარი ოჯახები ახალ სამოსახლოზეც ცდილობდნენ დაეცვათ განსახლების ტრადიციული პრინციპები, მაგრამ მათი ტერიტორიული მთლიანობა თანდათანობით ირღვეოდა. გადმოცემებიც დიდ განუყოფელ ოჯახებზე დაკავშირებულია ამა თუ იმ გვარის თავდაპირველ საცხოვრისთან.

ოჯახის გაყოფის დროს საოჯახო ინვენტარიდან გარკვეული ნაწილი განაყარ ოჯახთა საერთო სარგებლობაში რჩებოდა, რაც დიდ როლს ასრულებდა მათი სოციალური და ეკონომიკური ერთიანობის საქმეში, გამოდიოდა ახლად შექმნილი სოციალური ერთეულის დამაკავშირებელ რგოლად. კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელიც ოჯახის გაყოფის დროს ხელუხლებელი რჩებოდა და პატრონიმიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მთლიანობის გამოხატულებად გვევლინება, იყო ზედაშე. ზედაშე ჩვეულებრივი ქვევრია იმ ოჯახის მარანში, საიდანაც იღებს სათავეს ნათესაობის ესა თუ ის შტო. მას ხშირად არც ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ის სალოცავ ხატად იყო ქცეული და მასთან თავს იყრიდა ამ ოჯახიდან გასული მთელი შთამომავლობა.

როგორც აღვნიშნეთ, სოფ. ტიბაანი გორებზე იყო გაშენებული. აქ ყველაზე ბოლო და მაღალი გორა დაკავებული ჰქონდა ათანელიშვილების დიდ ოჯახს, რომელიც რამოდენიმე თაობის წარმომადგენლებს აერთიანებდა, აქვე იყო მათი ზედაშეც. ათანელიშვილების ოჯახის დაშლას თან მოჰყვა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მათ ეს გორა დატოვეს და უფრო დაბლა, სოფლის მეორე უბანში გადმოინაცვლეს. და მეორეც, ოჯახის დაშლასთან ერთად იქმნება პატრონიმიული ერთეულები: ლაყუჩაანთ, ლაზარიანთ, გუგულაანთ, ჭიჭინაანთ, ქევხიანთ. ვინაიდან ზედაშეს ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებოდა, ის დარჩა ძველ საცხოვრებელ ადგილას როგორც ათანელიშვილების ფუძე, მათი საგვარეულოს ერთობლიობის სიმბოლო.

მიუხედავად იმისა, რომ ტიბაანის ნაბუდარზე ხატიაშვილები ერთ უბანში ცხოვრობდნენ, ორ ჯგუფად იყოფოდნენ. ჩალაანები, ჩოგანაანები, ყანდაურაანები, ქოთანაანები და კელემურაანები ერთ ზედაშეზე იყვნენ გაერთიანებული, ხოლო კუდაანები, მზეონაანები, ოტიანები, კურკოანები და კაკბაანები — მეორე ზედაშეზე. ორი ზედაშეს არსებობამ ხატიაშვილების ეს ორი შტო იმდენად დააცილა,

რომ ზოგიერთებს ერთმანეთი სისხლით ნათესავებადაც კი აღარ მიაჩნდათ. საბოლოოდ მოსახელობამ სულ მიატოვა სერები და დაბლობში, თავიანთ ნაკალოვარზე დამკვიდრდა. გორებზე ამჟამად ნასახლარების კვალიც აღარ ჩანს, მთლიანად აღგვილია პირისაგან მიწისა, მხოლოდ ზედაშეებია შემორჩენილი ძეგლებად, რომელთა დიდი ნაწილი შემოკავებული და გადახურულია. ამ ზედაშეებთან ბოლო დრომდე ადიოდნენ მისი მკვიდრნი, მისი კერიდან გამოსული ადამიანები და გარკვეულ წესს ასრულებდნენ.

ცხადია, ზედაშეების კვლევა ჩვენს სფეროს სცილდება, იგი არც მკვლევარებს დაუტოვებიათ უყურადღებოდ[39], მაგრამ ჩვენი მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზედაშე გარკვეული სოციალური უჯრედის სიმტკიცის, მისი იდეოლოგიური მრწამსის ჩამოყალიბების საქმეში ისეთივე როლს ასრულებდა კახეთში, ამ მევენახეობის უაღრესად განვითარებულ კუთხეში, როგორსაც კავკასიის მაღალმთიანეთში კოშკი.

კავკასიის მთიანეთში დასახლების ფორმათა საკითხთან დაკავშირებით მითითებულია, რომ ერთი დასახლებული პუნქტის განვითარება გულისხმობს მასში ცალკეული უბნების გაჩენას, ძირითადი სახმარი ბიწების არსებული ფონდის ფარგლებში, ამიტომ ის არ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ამ უბნის დამოუკიდებელ სოფლად გადაქცევისათვის. სოფლად გადაქცევას უმეტესად საფუძვლად ედებოდა სოფლის გარეთ ახალი ნაკვეთების ათვისება, ახოს აღება[40]. საყურადღებოა ერთი გარემოებაც, მიუხედავად იმისა თუ სად იქმნებოდა ახალი დასახლებული ერთეული, სოფლის შიგნით თუ მის გარეთ, ის მაინც ერთი გვარის წევრებით იყო დასახლებული, რითაც შესაძლებელი ხდება პატრონიმიული ერთეულის გამოყოფა, პატრონიმიულისა, რამდენადაც ის ყალიბდებოდა საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის სეგმენტაციის შედეგად. ეს გარემოება კი საფუძველს იძლევა ვილაპარაკოთ კავკასიის მთიანეთში პატრონიმიული განსახლების პრინციპებზე[41].

---

[39] ნ. თ ო ფ უ რ ი ა, მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მსე, VI, თბ., 1953, გვ. 131; მ ი ს ი ვ ე, ღვინის ზედაშეები, მსე, XII — XIII, თბ., 1963, გვ. 155.

[40] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 8.

[41] რ. ხ ა რ ა ძ ე, ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად..., გვ. 10. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ალ. რობაქიძის შრომები: მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე, კეკ, III, თბ., 1971, გვ. 63; Жилища и поселения горных ингушей..., с. 41; Патронимия у народов Кавказа, Доклад на IX международном конгресе (Чикаго, сентябрь, 1973), М., 1973; А. Р о б а к и д з е, Г. Г е г е ч к о р и, указ. работа, с. 175.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბება ხეობების მიხედვით და განსახლების პატრონიმიული სისტემა დადგენილია ევროპის მთიან რაიონებშიც. სპეციალური გამოკვლევების მიხედვით, ჩრდილოეთ ალბანეთის მთიანეთის მოსახლეობა, უმთავრესად, დაჯგუფებულია მდინარეთა ხეობებში და მთის ფერდობებზე. სოფელი გამოირჩევა მტკიცე ნაგებობებითა და ტერასირებული ფერდობებით. ზამთრობით საქონელი ძოვს სოფლის ახლოს, ხოლო ზაფხულობით მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საქონელთან და თხა-ცხვართან ერთად ინაცვლებს მთის მაღლა მდებარე ფერდობებზე, სადაც სამეურნეო ნაგებობები ჰქონდათ მოწყობილი. გარკვეული ტერიტორიული ერთეული, რომელიც მეორიდან ბუნებრივი საზღვრებითაა გამოყოფილი, ერთი ფ ი ს უ-თია დასახლებული (fis — გვარი), მოსახლეობით, რომელიც თავს ერთი წარმომავლობისად მიიჩნევს და რომელთა შიგნითაც დაცულია ეგზოგამია. ფისუს წევრები წარსულშიც ქმნიდნენ ჩამოყალიბებულ სოციალურ ერთეულს, რომელთა მოქმედება მთაში არსებულ ადათობრივ ნორმებს კ ა ნ უ ნ-ს (kanuni) ექვემდებარებოდა.

ერთი ფისუთი დასახლებულ ტერიტორიაზე გამოიყოფა ნაგებობათა კომპლექსები, ტერიტორიული ერთეულები, რომელიც ე. წ. ვ ლ ა ზ ნ ი ი თ (vllaznia —ძმობა) არის დასახლებული. ეს არის ახლო ნათესავების ჯგუფი, ერთი განაყოფები, რომლებიც ერთი წინაპრის სახელს ატარებენ. ამ უკანასკნელშიც გამოიყოფა მცირე სოციალური ერთეულები ბ ა რ კ უ (barku), რომლის წევრებიც თავს უახლოეს ნათესავებად თვლიან. შემოისაზღვრებოდა დიდი ტერიტორიული ერთეულებიც, რომლებიც რამოდენიმე ფისუს აერთიანებდნენ. ჩრდილოეთ ალბანეთის ასეთი დაყოფა გენეტიკურად დაკავშირებულია გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციასთან, რომლის გადმოხაშთების ხანგრძლივი შემონახულობა, ო. ბუდინას აზრით, განაპირობა თურქთა ხანგრძლივმა ბატონობამ, რაც ამუხრუჭებდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ეს ყველაზე მეტად შეიმჩნეოდა ძნელადმისადგომ მთიან რაიონებში, რომლის მოსახლეობამ შეძლო თავისი კუთხე ნამდვილ სიმაგრედ ექცია[42].

ცხადია, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში, საკვლევი პერიოდისათვის, არ შეიძლება ვილაპარაკოთ გვაროვნულ-ტომობრივი და-

---

[42] О. Б у д и н а, Народное жилище Северной Албании, Культура и быт народов зарубежной Европы, М., 1967, с. 94—97.

სახლების ფორმებზე, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი მასალა ბევრ ანალოგიას პოულობს დასავლეთ ევროპის მთიანეთის საზოგადოებრივ ყოფასთან. როგორც ჩანს, სასოფლო-ტერიტორიული ერთეულების ჩამოყალიბებისა და განსახლების პატრონიმიული სისტემა საერთო პრინციპებს ემყარებოდა ალპებშიც და კავკასიაშიც. მოტანილ მასალებში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ სოფელთა განსახლების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სამეურნეო ყოფაში შეიძლება ვეძებოთ. ოჯახის გაყოფის დროს ახლად გამოყოფილი ერთეული, რომელსაც მამისეული სახლის გვერდით აღარ ჰქონდა სამოსახლო ადგილი, ესახლებოდა სამეურნეო ბაზებზე, სადაც მას ძირითადი, მზარდი მეურნეობის განვითარების ყოველგვარი პირობა ექმნებოდა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ უკვე მოტანილი ფაქტობრივი მასალა, როდესაც გახსახლება ხდება ერთი ხეობის ფარგლებში, სოფლის თუ თემის სარგებლობაში მყოფ სამეურნეო ფართობებზე და დავუმატოთ ზოგიერთი მონაცემი.

ის ტერიტორია, სადაც სოფ. ბეინი მდებარეობს (არმხის ხეობა, „სტალოვაია გორას“ ძირში, 1700 მ სიმაღლეზე), შესანიშნავი კლიმატური პირობებით ხასიათდება და მეცხალის თემის სოფლების მიერ საზაფხულო საძოვრებად გამოიყენებოდა, აქვე ჰქონდათ ზამთრის სამეურნეო ბაზებიც. ხეობის ეს მხარე მთელი დღე მზით არის განათებული, ნიადაგისა და „სტალოვაია გორას“ მიერ შთანთქმული სითბო დიდხანს ინახება ყოველმხრივ ჩაკეტილ ხეობაში. ამის გამო მაღალია ნიადაგის ტემპერატურა, რაც ყველაზე მეტად სოფ. ბეინიში შეინიშნება. ამ სიმაღლეზე, ზოგჯერ ნოემბერშიც კი, შიუხედავად ჰაერის დაბალი ტემპერატურისა, ნიადაგის ტემპერატურა +30°-ზე დაბლა არ ჩამოდის და მწვანე ბალახითაა დაფარული[43]. შემდეგში „სტალოვაია გორას“ ძირში მდებარე ფართობები მოსახლეობას მუდმივ საცხოვრებლად უქცევია, რაც კარგმა ნიადაგმა, ნოყიერმა სათიბ-საძოვრებმა და თბილმა კლიმატმა განაპირობა.

ერთ-ერთი ლეგენდა გადმოგვცემს, რომ მთა წილომზე (ასის ხეობაში) ცხოვრობდა ძველი გვარი ზაბიევი. შემოდგომაზე მათ შვიდი ცხვარი დაკარგეს, რომლებიც გაზაფხულზე ერთ-ერთ გამოქვაბულში შემთხვევით იპოვეს მონადირეებმა თავის ნამატით. მონადი-

---

[43] Н. Чеботаев, Солнечная долина Армхи, ИИНИИК, I, Владик., 1928, с. 178—185.

რეებმა მათ მიერ მიკვლეული ადგილები სოფლის გავლენიან პირებს აჩვენეს. ისინი აღფრთოვანებული დარჩნენ ამ ადგილების კარგი კლიმატური პირობებით, იმით, რომ დაკარგულმა ცხვრებმა არა მარტო გამოიზამთრეს, არამედ ნამატიც მოგვცეს. ამიტომ მოსახლეობამ, მეცხვარეობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მიატოვა მთის მაღალი ზონა და დაბლობში ჩამოსახლდა[44]. ლეგენდის ჩვენ მიერ ჩაწერილ ვარიანტში პიროვნებას, რომელმაც ცხვრები იპოვა და პირველი დაესახლა ამ ადგილას, ერქვა ეგი და სოფელსაც მისი სახელი ეწოდა — ე გ ხ ა ლ.

ანალოგიურია გადმოცემა სოფ. ნარის დაარსების შესახებ: ძესისხლეობის ნიადაგზე ყაბარდოდან გადმოხვეწილი ხეთაგი (ხეთაგუროვების წინაპარი) სოფ. ცმიში ბიგულოვებს დადგომია მწყემსად. სამი წლის სამსახურის შემდეგ ბიგულოვებს ნება მიუციათ ხეთაგისთვის შეერჩია სამოსახლო ადგილი. მას გაუვლია ნარის ხეობაში, რომელიც მანამდე ტყით ყოფილა დაფარული. ერთ-ერთ წყაროსთან დაუწყია ადგილის შესწავლა, საცდელად დაუთესია მარცვლეული და დასახლებულა მას შემდეგ, რაც დარწმუნებულა მის ნაყოფიერებაში.

ხალხური გადმოცემა ხევსურების წინაპრად მიიჩნევს ვინმე გუდახელს, რომელიც კახეთის სოფ. მაღრანიდან ბატონს გაქცევია და ფშავში ასულა, აქ შეძენია შვილი. ერთხელ ეს უკანასკნელი სახადიროდ წასულა და მოუკლავს ცხოველი ისეთი მსუქანი, რომ ძოხუცი გუდანელიც კი გაუოცებია. გუდანელს უფიქრია, რომ ის ადგილი, სადაც მისმა შვილმა ასეთი მსუქანი ცხოველი მოკლა ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო. ამაში რომ დარწმუნებულიყო მამაშვილს წაუღიათ მცირეოდენი ქერი და დაუთესიათ. მეორე წელს ძის ძოსავალს მთელი გუდა აუვსია და მათაც ეს ადგილი მუდმივ საცხოვრებლად აურჩევიათ. აქედან დარქმევია სოფელს გუდანი, ხოლო მის ძოსახლეობას — გუდანელები[45].

ანალოგიური ხასიათის გადმოცემები ფიქსირებულია ჩრდილოეთ ალბანეთის მთიანეთშიც. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, მდ. შალის ზედა წელში სოფ. ფეფ (Фэф) დააარსა ოთხმა ძმამ. ერთ-ერთმა მათგანმა ნადირობის დროს მიაგნო საცხოვრებ-

---

[44] Г. М а р т и р о с я н, Нагорная Ингушия, ИИНИИК, I, Владик., 1928, с. 44.

[45] К. Г а н, Путешествие в страну пшавов, хевсур, кистов и ингушей, КВ, 1900, с. 56; თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურეთში, თბ., 1964.

ლად შესანიშნავ ადგილს და ძმებს მოელაპარაკა იქ გადასახლებაზე. ახალ ადგილზე ძმებმა დაიწყეს მიწის გაყოფა, ყოველ მათგანს უნდა დაეკავებია ის, რის გათიბვასაც მოასწრებდა, თიბვის დროს უფროსი ძმა დაწინაურდა, ეს დანარჩენებს არ მოეწონათ და მას შესვენების დროს ჩუმად ცელის პირი დაუბლაგვეს. ამით განაწყენებული უფროსი ძმა ძველ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდა, დანარჩენები კი დარჩნენ და საფუძველი დაუდეს ახალ დასახლებულ ერთეულს[46]. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კუთხეში, რომლიდანაც ჩვენ პარალელურ მასალას ვიშველიებთ, მეურხეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, ძმებს მიუგნიათ ადგილისთვის, რომელიც მდიდარი იყო შესანიშნავი სათიბებით და ეს გადმოცემაშიც აისახა. საკუთრივ კავკასიის მთიანეთშიც მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო და ახალი საცხოვრებელი ადგილების ძიებისას მოსახლეობა ირჩევდა ისეთ ადგილს, რომელიც ხელს შეუწყობდა მათი ძირითადი, წამყვანი მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. მაგრამ ზემოთ მოტანილ ლეგენდებში არც მეურნეობის მეორე დარგი—მიწათმოქმედებაა უგულვებელყოფილი. მიწის ნაყოფიერებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც მეურნეობის ამ ორი დარგის სიმბიოზურობაზე, ხალხთა საშეურნეო ყოფაში მიწათმოქმედების დიდ ტრადიციებსა და მნიშვნელობაზე მიუთითებს.

როგორც აღვნიშნეთ, ხევი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორია, სამეურნეო-კულტურული კომპლექსი თავის მთითა და ბარით, რომელიც ვერტიკალური ზონალობის ჭრილში ქმნიდა მეურნეობის, მატერიალური კულტურისა და სოციალური ორგანიზაციის ერთ მთლიან სისტემას. მაგრამ ეს ერთეულები არ იყვნენ იზოლირებულნი და მათი განვითარება საერთო კანონზომიერებას ექვემდებარებოდა. ამასთან, მათი სოციალური და ეკონომიკური განვითარება მთისა და ბარის მტკიცე ურთიერთობაში მიმდინარეობდა, მიუხედავად იმ თავისებურებებისა, რაც ამ რეგიონებს შორის არსებობდა. აქედან გამომდინარე, მთიელთა სამეურნეო რესურსები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაშლილი, მაღალმთიანი ალპური საძოვრებიდან სტეპებამდე, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება მთისა და ბარის სამეურნეო კომპლექსების მთლიანობას ემყარებოდა. აქედან ვღებულობთ ვერტიკალური ზონალობისა და მეურნეობის წარმოების საკვლევით ჩამოყალიბებულ სისტემას.

[46] О. Будина, указ. работа, с. 97.

მესაქონლეობის მთაბარული სისტემიდან გამომდინარე, რაც მთისა და ბარის სამეურნეო რესურსების თანმიმდევრულ ათვისებას ითვალისწინებდა, გეოგრაფიული გარემო შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ზონად — მთად და ბარად. მიწა-წყლის ასეთი დანაწილება მტკიცედ არის გამჯდარი ხალხის ბუნებაში, დანერგილია ძეტყველებაში, აღბეჭდილია საბუთებში, იურიდიულ ძეგლებში, სიგელებში. ისტორიულ დოკუმენტებში გამოიყოფა სოფლები — „მთათა შინა“ და „ბართა შინა“. შემდეგ ხდება ამ ზონების კონკრეტიზაცია. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ბარისაგან“ განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ტერმინ „ველს“[47], „ზეგნის“ ადგილი კი ზუსტადაა განსაზღვრული, ეს არის მთისა და ბარის გაძყოფი ზუა ზოლი[48]. ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის კუთხეებს განიხილავს ვერტიკალური ზონალობის ჭრილში, სადაც ყველა სიმაღლის ზონას თავისი საშეურხეო დანიშნულება ჰქონდა.

XIX ს. ავტორები ამიერკავკასიის ტერიტორიას ყოფდნენ ხუთ სამეურნეო ზონად, რაც მესაქონლეობის და მიწათმოქმედების განვითარების ინტერესებიდან გაძომდინარეობდა. ამ კლასიფიკაციის მიხედვით პირველია ყველაზე ცივი ს ი ა ლ ა ღ ო ზონა. მას მიეკუთვნება ტყის ზოლის ზემოთ მდებარე დაუსახლებელი ადგილები, სადაც მკაცრი ზამთარი 8—9 თვის განმავლობაში გრძელდება. სიმაღლის ამ ზონაში შეუძლებელია სამიწათმოქმედო საძუშაოების წარმოება და ცხადია, ძველთაგანვე ის მხოლოდ საზაფხულო საძოვრების ფუნქციას ასრულებდა. მას მოსდევს მ თ ი ს ზონა. მისთვის დამახასიათებელია უხვთოვლიანი ზამთარი, ხანმოკლე ზაფხული, ტემპერატურის სწრაფი ცვალებადობა, რასაც თან სდევდა სეტყვა და ადრეული ყინვები. სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ის მიკუთვნებულია მესაქონლეობა-მიწათძოქძედების რაიონს, სადაც ხალხთა კეთილდღეობის მთავარ წყაროს საქონელი და მესაქონლეობის პროდუქტები ქმნიდა. ს ა შ უ ა ლ ო ზონაში იალაღების სიახლოვე და საქონლისათვის მშრალი საკვების უხვად მომარაგების შესაძლებლობა მოსახლეობას საშუალებას აძლევდა ფართო მასშტაბით ეწარმოებია მესაქონლეობა.

---

[47] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930, გვ. 131.

[48] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფ., 1934, გვ. 129.

ამ ზოლ'ში მეურნეობის ორივე დარგი — მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც ერთნაირ დონეზე გვევლინება. მეოთხეა დ ა ბ ლ ო ბ ი ს ზონა, სადაც 7—8 თვის განმავლობაში თბილი ამინდებია, ზამთარი ხანმოკლეა და მცირეთოვლიანი. ამ ზონაში მიწათმოქმედებას და მებაღეობას წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო მესაქონლეობა უმნიშვნელო როლს ასრულებდა, ის უმეტესად მიწათმოქმედების ინტერესებს ემსახურებოდა როგორც გამწევი ძალა. და ბოლოს, მეხუთე ზონაში შეყვანილია სტეპები, რომელიც უმეტესად მდ. მტკვრისა და არაქსის ხეობებში მდებარეობენ და მხოლოდ ზამთრის საძოვრებად გამოიყენებოდა[49]. მეცხვარეებს შემუშავებული ჰქონდათ ამ დიდი რეგიონებით სარგებლობის სისტემა, თანმიმდევრობით ინაცვლებდნენ ჯერ საგაზაფხულო, შემდეგ საზაფხულო საძოვრებზე და პირიქით, საზაფხულო საძოვრებიდან ეშვებოდნენ საშემოდგომო საძოვრებზე, საიდანაც ერთი თვის ან თვენახევრის შემდეგ აგრძელებდნენ გზას ზამთრის საძოვრებისაკენ.

ვ. შამილაძე, ეხება რა საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურულ ასპექტებს, მესაქონლეობის ფორმათა განვითარების საკითხებს ცალ-ცალკე განიხილავს ბარის, მთისწინა და მთის ზოლ'ში[50]. აქვე ნაჩვენებია, რომ საქართველოს ბარი მემინდვრეობის, მევენახეობა-მეხილეობისა და მებოსტნეობის დაწინაურებული სამეურნეო კომპლექსებით ხასიათდებოდა, შუამთა გამოირჩეოდა მიწათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარების თავისებური შესაძლებლობით, ხოლო მთამაღალი — მესაქონლეობის უპირატესობით. ყოველივე ეს თავისთავად ნიშნავს საქართველოს ტერიტორიის დაყოფას სამ ძირითად ბუნებრივ-ისტორიულ ზონად.

მოცემული კლასიფიკაცია ეხება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, მასში მოქცეულია მცირე და ცენტრალური კავკასიონი, დაწყებული სტეპებიდან მაღალმთიან ალპურ საძოვრებამდე. საყურადღებოა, რომ მეურნეები ცენტრალური კავკასიონის მთიანეთიდან აქტიურად გადიოდნენ მცირე კავკასიონის იალაღებზეც. ამდენად, ეს კუთხეც ჩვენი ინტერესის სფეროში შედის. მცირე კავკასიონი

---

[49] И. А н д р о н и к о в, Скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК, Тифл., 1880, с. 162.

[50] В. Ш а м и л а д з е, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979.

იწყება შავი ზღვის სანაპიროდან და მთელ საქართველოს ტერიტორიას გასდევს. იგი წარმოდგენილია აჭარა-იმერეთის, მესხეთისა და თრიალეთის ქედებით. პირველი ორი მთავრდება ბორჯომის ხეობასთან, ხოლო მესამე — თბილისის ცოტა აღმოსავლეთით. აჭარა-იმერეთის ქედის ერთ-ერთი მწვერვალი მეფისწყარო 2864 მ აღწევს; თრიალეთის ქედის მწვერვალები: არჯევანი 2763 მ-ია, ძუხათა 2840 მ. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გადის მცირე კავკასიონის სომხეთის ქედი, რომლის სიმაღლე 2500 მ არ აღემატება[51]. საერთოდ, მცირე კავკასიონი, ცენტრალურ კავკასიონთან შედარებით, ხასიათდება რბილი, ნაკლებად მკაცრი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებით. აქ ნუდმივი თოვლის ხაზიც უფრო მაღლა იწყევს, ხოლო ბევრი მთა საერთოდ თავისუფალია თოვლის საფარისაგან. მსუბუქი კლიმატური პირობები, ნიადაგისეული წყლების სიუხვე, გაშლილი მთის ველები, მზის აქტიურ ინსოლაციასთან ერთად, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ინტენსიური შეურნეობის წარმოებას[52].

როგორც აღვნიშნეთ, თრიალეთში მოსახლე ტომები უძველესი დროიდან ქმნიან მაღალ კულტურას. ცხადია, ეს განაპირობა ძისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ — წარმოადგენდა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზასაყარს, რაც ზრდიდა მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას საქართველოს სხვა რაიონებისათვის[53]; და მეორეც, მისმა იშვიათმა სამეურნეო პირობებმა, კარგმა ჰავამ, წყლის სიუხვემ, ნოყიერმა ნიადაგებმა და ვრცელმა საძოვრებმა. თრიალეთის სიმბიოზურ მეურნეობაში ეს იყო მესაქონლეობის ფართო მასშტაბით წარმოების განმსაზღვრელი ფაქტორი[54]. ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, თრიალეთი არის „ზაფხულ ფრიად შუენიერი, ბალახოვანი, ყუავილოვანი, წყაროიანი... მოსავლით ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისი. თვინიერ აქლემისა პირუტყვნი მრავალნი“. ტაშირთან დაკავშირებით კი

---

[51] ვ. გულისაშვილი, საქართველოს ბუნება და ბუნებრივი ზონები, თბ., 1977, გვ. 4.

[52] П. Варавин, Летния и зимния пастбища Закавказского края. СМИЭБГКЗК, Тифл., 1888, с. 73: В. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 30.

[53] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 32.

[54] თ. ჩიქოვანი, თრიალეთი, თბ., 1976, გვ. 5, 8.

მიუთითებს, რომ ის „არს ნაყოფიერი ხორბლით, ქრთილით, სელით, შვრიით, პირუტყვის სიმრავლით". ფარავნის ტბის მიდამოებში ზაფხულობით დგებოდა „მრავალნი არვენი ჯოგნი, მროწყლენი, ხუასტაგანი ქართლისა და კახეთისანი"[55]. შემდგომშიც თრიალეთისა და ქვემო ქართლის მთიანეთის შესანიშნავი საძოვრები აკმაყოფილებდა არა მარტო ადგილობრივ მთისა და ბარის მეურნეთა მოთხოვნილებებს, არამედ აქ იკვებებოდა თუშეთის, ფშავის და კახეთის ზოგი რაიონის ცხვრის ფარები და საქონლის ჯოგები[56].

XIX ს. ბოლო ხანების მონაცემებით, თბილისის გუბერნიის სახელმწიფო საზაფხულო იალაღები უმთავრესად ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში მდიდრდებოდა, მისი საერთო ფართობი 105956 დესეტინამდე ადიოდა და თითოეულ დესეტინაზე სახელმწიფოს 26 კაპ. შემოსავალს აძლევდა. ზამთრის საძოვრები კი მთლიანად თბილისისა და სიღნაღის მაზრებში იყო თავმოყრილი, მისი საერთო ფართობი 265015 დესეტინას შეადგენდა და თითოეულ დესეტინაზე მეცხვარე-მესაქონლეობიდან სახელმწიფო ხაზინაში 10,5 მან. შედიოდა[57].

მოკლედ გადავხედოთ მესხეთ-ჯავახეთის სამეურნეო პირობებსაც. სპეციალური მონაცემების მიხედვით, მესხეთ-ჯავახეთი ძდებარეობს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ზონაში და მოიცავს ძცირე კავკასიონის ოლქისა და სამხრეთ საქართველოს ზეგახის ხაწილს; ძიეკუთვნება ისეთი რაიონების რიცხვს, რომელთა ძეურნეობრივ განვითარებაში იგრძნობა ბუნებრივი გარემოს ძკვეთრი გავლენა; ხასიათდება მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობით, მისი ტერიტორია მდებარეობს ზღვის დონიდან 900, ხოლო დიდი ნაწილი 1500 მ მაღლა; გარშემორტყმულია მაღალი მთებით და საქართველოს დანარჩენ კუთხეებს გადასასვლელებითა და მდინარეთა ხეობებით უკავშირდება. სამხრეთ საქართველოს ამ რეგიონის დასავლეთი ნაწილი — მესხეთი მოიცავს ახალციხის ქვაბულს მოსაზღვრე მთის კალთებით და ერუშეთის მაღლობით, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი — ჯავახეთის ზეგანს[58].

---

[55] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 312, 319, 320.

[56] დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979, გვ. 10.

[57] П. В а р а в и и, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[58] მ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, სამხრეთი ეკონომიური რაიონის ბუნებრივი პირობები, რესურსები და მათი შეფასება. საქართველოს სამხრეთი ეკონომიური რაიონი, თბ., 1976, გვ. 17.

შესხეთ-ჯავახეთის გეოგრაფიული გარემო და ნიადაგის თავისებურებები ჯერ კიდევ XIX ს. მკვლევრებს აძლევდა საშუალებას სამეურნეო ყოფის თვალსაზრისით, გამოეყოთ სამი ძირითადი ზოლი: 1. სადაც მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილია მებაღეობითა და მებოსტნეობით; 2. მიწათმოქმედებისა და 3. მესაქონლეობის რაიონები[59].

სამეურნეო დარგთა განლაგების ეს სქემა შევუდაროთ ცენტრალური კავკასიონის ერთ-ერთ კუთხეს — ჩაჩნეთს. ტერმინოლოგია ჩაჩნეთის მოსახლეობას ყოფს მთიელებად — ლ ა მ ა რ ხ ო ი (ან ლ ა მ ა რ ო ი) და ბარელებად უ ა ჰ ა რ ნ ა ხ; მიწათმოქმედ მოსახლეობად ნ ო ხ ჩ ი (ეს არის საერთოდ ჩაჩნეთის აღმნიშვნელი ტერმინი) და მეცხვარეებად ჭ ე ბ ე რ ლ ო ი. ჭებერლოელები ცხოვრობდნენ ჩაჩნეთ-ინგუშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მაღალმთიან ზოლში და მათი მეურნეობის ძირითადი დარგი იყო მეცხვარეობა. ამჟამად ეს კუთხე თითქმის მთლიანად დაცლილია და სოფლები ნანგრევებადაა ქცეული. აღნიშნული ზონებიდან გამოიყოფა ჩ უ ე ჰ ა რ ნ ა ხ — შიგა ჩაჩნები, მათი მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება, ხოლო მესაქოხლეობას აწარმოებდნენ უფრო ფართოდ, ვიდრე ნოხჩი; ა რ ს თ ხ ო ი — უპირატესად ეწეოდნენ მესაქონლეობას, მარცვლეული კულტურებიდან თესდნენ ცერცვს; ტ ე რ კ ი ს ტ ხ ო ი — თერგისპირელები, რომელთა ტერიტორიის მეტი ნაწილი ზამთრის საძოვრებად გამოიყენებოდა. ეს არის ჩაჩნეთის ტერიტორიის დაყოფაც სამეურნეო ზონების მიხედვით.

როგორც ვხედავთ, სამეურნეო დარგთა განლაგება ერთ პრინციპს ეშყარებოდა როგორც მცირე, ისე ცენტრალურ კავკასიონზე. მოტანილ მაგალითებში გათვალისწინებულია როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ზონალობა, მეურნეობის დარგები ვითარდებოდა ამ ზონების მჭიდრო ურთიერთკავშირში. ამ ურთიერთობის შესუსტება, რაც ფეოდალური პარტიკულარიზმისა და გარეშე მტერთა შემოსევების შედეგად არცთუ იშვიათად ხდებოდა, იწვევდა განვითარების რიტმის დარღვევას, მეურნეობის მასშტაბების შემცირებას.

გეოგრაფიულად ოსეთს ორ ნაწილად ყოფენ — ბარის და

---

[59] Х. Вермишев, Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и в Ахалкалакском уездах Тифлисской губернии. МИЭБКЗК, Тифл, 1888, с. 124.

მთის. ბარის რაიონებში მთავარ როლს ასრულებდა მიწათმოქმედეობა, მთაში — მესაქონლეობა. მთის რელიეფი, ეკითხულობთ წყაროებში, მისი ბუნებრივი პირობები, მთებით და კლდეებით შემოზღუდული ფართობები საგრძნობლად ზღუდავდა სამიწათმოქმედო სამუშაოების წარმოებას. სამაგიეროდ ეს პირობები მოსახლეობას საშუალებას აძლევდა დიდი რაოდენობით ყოლოდა საქონელი, ძეტწილად კი ცხვარი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში აძოვებდნენ მთისა და ბარის საძოვრებზე[60]. ვერტიკალური ზონალობისა და სამეურნეო დარგთა განლაგების პრინციპი კარგად ჩანს ქურთათის ხეობის მაგალითზე. ამ ხეობის ქვედა წელში მდებარე სოფ. ძივღისში XIX ს. ბოლოს 25 ოჯახი ცხოვრობდა და 362 სულ მოსახლეს მოითვლიდა. ის საგანგებოდ იყო გამაგრებული და როგორც ერთ-ერთი განაპირა სოფელი, ოდესღაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გარეშე მტერთაგან ხეობის დაცვის საქმეში. ძივღისელები მთის ფერდობებსა და მდინარეთა ნაპირებზე მცირეოდენ ადგილსაც არ ტოვებდნენ აუთვისებლად, მაგრამ მაინც მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, 362 სულ მოსახლეზე 64 დესეტინა მიწა მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მცირე ფართობებზე სამიწათმოქმედო სამუშაოების წარმოება დიდ შრომას მოითხოვდა, მოსახლეობის ბედ-იღბალი სტიქიურ მოვლენებზე იყო დამოკიდებული. დაახლოებით ასეთივე ვითარება ყოფილა ხეობის შუა წელში სოფ. ხარისგინში[61]. მიწათმოქმედებისათვის გაცილებით უფრო რთული პირობები ჩანს ქურთათის ხეობის სათავეებში, სოფ. კალოითიყაუში. აღნიშნულ პერიოდში აქ ცხოვრობდა 4 ოჯახი და 26 სულ მოსახლეს მოითვლიდა. ეს იყო თერგის ოლქის ყველაზე განაპირა და მაღლა მდებარე სოფელი და წარმოადგენდა კულტურული მარცვლეულის ზრდის საზღვარს. მთელ მიდამოზე სუბალპური ველების შესანიშნავი საძოვრები იყო გაშლილი, რომელთა წყალობითაც ცხვრის ხორცი აქ განსაკუთრებით გემრიელი იყო, ხოლო რძის პროდუქტები აღწევდა უმაღლეს ხარისხს[62]. ამჟამად ხეობის ზედა წელში მდება-

---

[60] А. В-в. Дорога от Тифлиса до Владикавказа. Кавказ, 1847, № 31; П. Гаврилов, Устроиство поземельного быта горских племен Северного Кавказа, ССКГ, вып. II, 1869, с. 27.

[61] А. Россиков, В горах и ущельях Куртатии и притоков реки Терека (Из путевых воспоминании о горной Осетии), ЗКОИРГО, Тифл., 1894, с. 313, 315.

[62] იქვე, გვ. 348.

რე სოფლები, რომლებიც ოდესღაც ხილაკქომში იყვნენ გაერთიანებული, მიტოვებულია და ნანგრევებადაა ქცეული.

გადავხედოთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ კუთხეს მთიულეთს. მისი შემადგენელი ნაწილი ხანდოსხევი, რომელიც შვიდ სოფელს აერთიანებდა, იყო ერთი ლოკალური, სავსებით ჩამოყალიბებული სასოფლო-ტერიტორიული ერთეული თავისი მთითა და ბარით. მთას უწოდებდნენ სასოფლო-სამეურნეო ფართობებს (ლომთი, საქერექედი, დავითურთ მთა, ტირიფა, ასხლეპილი, ქვიშიანი, სათიველქედი), რომლებიც სათიბ-საძოვრებად გამოიყენებოდა, ხოლო ბარს — სოფელსა და მის ქვემოთ მდებარე ფართობებს. აქვე სოფ. წინამხარში, ხეობის ქვედა წელში საფიცარაზე იყო სათემო თავშესაკრები ადგილი. თვითონ მთიულეთის ფარგლებში, ფასანაურს ზემოთ მდებარე სოფლებს უწოდებენ მთას, ხოლო ფასანაურს, მთიულეთ-გუდამაყრის მთავარ სავაჭრო ცენტრს, სოფელს, სადაც თავს იყრიდა მთის სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობა, ვაჭრები და ხელოსნები და ამდენად სოფელი ქალაქურ იერს ღებულობდა — ბარს. უფრო ფართო მასშტაბით, არაგვის ხეობის ტერიტორია ჟინვალს ზემოთ და ცხადია მთიულეთიც, მთის ზოლშია მოქცეული, ხოლო ჟინვალს ქვემოთ, სადაც მთიულებს ზამთრობით ცხვარი ჩაჰყავდათ დასაზამთრებლად—ბარია.

ქსნის ხეობის სამეურნეო პირობების დახასიათებისას ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამ კლდეს (ლაპარაკია ალევის მთაზე) ქვეით შტკვრამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან კლდოვანებითა“[63]. როგორც ვხედავთ, ვახუშტი ქსნის ხეობაში გამოჰყოფს ორ ზონას—მთის და ბარის ზონას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ რელიეფით, ბუნებრივი და სამეურნეო პირობებით. ცხადია, ბარში უპირატესობა მიწათმოქმედებას ენიჭებოდა, მთაში კი მესაქონლეობას. ამ უკანასკნელს ადგილობრივი მთის საზაფხულო საძოვრები განვითრების კარგ ბაზას უქმნიდა, შაგრამ ზამთრის საძოვრების ნაკლებობა და ხანგრძლივი ზამთრის პირობებში საქონლის გამოკვების სიძნელეები მას გარკვეულადაც აფერხებდა[64]. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით,

---

[63] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 359.

[64] К. Шаликов, Описание Ксанского участка Душетского уезда Тифлисской губернии, ЗКОИРГО, кн. XVI, Тифл., 1894, с. 248; З. Ванеев

ქსნის ხეველები ბოლო ხანებში სარგებლობდნენ შირაქისა და ყიზლარის, აგრეთვე კასპის, გორისა და სამგორის მიდამოებში არსებული ზამთრის საძოვრებით.

ჯერ კიდევ XVIII ს., ითვალისწინებდნენ რა ქსნის ხეობის სხვადასხვა ზონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს, მთისა და ბარის მოსახლეობის აღწერაც ცალ-ცალკე მოუხდენიათ[65]. გ. ჩიტაია მომდევნო ნაშრომში ქსნურ ხახვნელ იარაღს იხილავს ვერტიკალური ზონალობის ჭრილში და მიუთითებს, რომ აღნიშნული ხეობის მთის ზოლში ტიპიური ალპური ლანდშაფტის ძეურნეობასთან გვაქვს საქმე, სადაც წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეკუთვნოდა, ხოლო მიწათმოქმედება მეორე რიგის მეურნეობა იყო, მაშინ როდესაც მთისძირა და ბარის ზოლში საპირისპირო გარემოებას ჰქონდა ადგილი[66].

ხშირად საკმაოდ ვრცელი რეგიონები, დაწყებული უდაბნოსმაგვარი ველებიდან და სტეპებიდან მაღალმთიან ალპურ საძოვრებამდე, ერთი ხეობის ფარგლებში იყო მოქცეული, მისი მთისა და ბარის მტკიცე კავშირი და ერთიანი სამეურნეო ინტერესები კი ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაზღვრავდა ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ივრისა და ალაზნის ხეობები და სხვ.

თავის მხრივ, ცალკეულად აღებული ყოველი ხეობა წარმოადგენდა სამეურნეო-კულტურულ კომპლექსს თავისი მთითა და ბარით. ამ მიკრო სამეურნეო ერთეულში, მის შუა ან ქვედა ზოლში, გამოიყოფოდა მთავარი სოფელი, სადაც წყდებოდა ხეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, იყო სავაჭრო ცენტრი და არეგულირებდა ადგილობრივი მთისა და ბარის ეკონომიკურ ურთიერთობას. ეთხრობლები ჭენთო-არღუნის ხეობაში (ჩაჩნეთში) ასეთად ასახელებენ ითუმყალეს, რომელიც არა მარტო ჭენთო-არღუნის, მისი შიმდებარე მაღლმთიანი ზოლის ხეობებისთვისაც ბუნებრივ ცენტრს, მთავარ სავაჭრო პუნქტს და ბართან დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა. რაც შეეხება რამდენადმე ქვედა ზოლში ბდებარე სოფელ შატოის (დღევანდელი რაიონული ცენტრი სა-

---

ტ ი, Народное хозяйство Юго-осетии за десять лет и перспективы его развития (1921—1930 гг), ИЮОНИИК, вып. I, Сталинир, 1933, с. 129.

[65] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონომიური ისტორია, I, გვ. 25; გ. ჩ ი ტ ა ი ა. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. ენიმკის ფონდში, IV, თბ., 1939, გვ. 281.

[66] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი..., გვ. 484.

ვეცკოე), გეოგრაფიულად მთიანეთშია მოქცეული, მოსახლეობაც თავს მთიელებად — ლამარხოიდ თვლის. სინამდვილეში ეს არის გარდამავალი ზოლი, სადაც მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც საკმაოდ დიდი პერსპექტივები და მასშტაბები ჰქონდა. ამ ზოხაში მდებარე სოფლებიდან ადვილად მიუწვდებოდათ ხელი, ერთი მხრივ, მაღალმთიან ხეობებზე და მეორე მხრივ, ჩაჩნეთის ბარის რაიონებზე. საკუთრივ შატოი კი მდებარეობს მთისა და ბარის გასაყარზე, შარო-არღუნის, ჭენთო-არღუნის, ხილდიხაროის თუ სხვა მიმდებარე ხეობებიდან ბარისკენ მიმავალი, ბარის საძოვრებისაკენ დაძრული მეცხვარეები შატოის გვერდს ვერ აუვლიდნენ. ასევე ითქმის ვედენოზეც (დღევანდელი რაიონული ცენტრი). ამიტომ იყო, რომ მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ როგორც მთისა და ბარის დამაკავშირებელ რგოლებს. აქ სისტემატურად იმართებოდა დიდი ბაზრობები, სადაც თავს იყრიდნენ არა მარტო ადგილობრივი მთისა და ბარის მოსახლეობა, არამედ საქართველოდან და დაღესტნიდანაც კი გადმოდიოდნენ. ასეთ სოფლებში ესახლებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოყოფილი ვაჭრები, ხელოსნები და სოფელიც ქალაქურ იერს ღებულობდა.

ზემოთ ნაჩვენები გვქონდა ოსეთის ხეობები: სტურ-დიგორა, ტაფან-დიგორა, დონიფარსი თავისი მაორგანიზებელი ცენტრებით. ხეობათა ეს სისტემა კი თავის მხრივ ქმნიდა ერთ მთლიან კუთხეს დიგორს თავისი მთითა და ბარით, სამეურნეო და სოციალური თავისებურებებით. ალაგირის ხეობის სათავეებში, მამისონის, ნარის, ცმის ხეობების გასაყარზე, მთიანი ზოლის მთისა და ბარის დამაკავშირებელ მთავარ არტერიაზე მდებარეობს სოფ. ზარამაგი. ამდენად ის აღნიშნული მთიანი ზოლის ბუნებრივი ცენტრიც იყო. ამასთან, რამდენადაც ზარამაგი მთისა და ბარის ეკონომიკური ურთიერთობის მაორგანიზებელ, მათი მოსახლეობის შეხების წერტილს წარმოადგენდა, აქ პერიოდულად იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გარდა საქართველოს მეზობელი კუთხეებიდანაც გადმოდიოდნენ. ასეთ .სოფელთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფასანაური, თიანეთი, ახალგორი და სხვ. ამგვარად, ცენტრალური კავკასიის ყველა კუთხეში, ყველა ლოკალურ ერთეულში, მცირეშიც და დიდშიც, მკვეთრად იმიჯნება ორი ზონა — მთისა და ბარის. მათ შორის გამოიყოფა შუა ზოლი, გზასაყარზე მდებარე სოფლებით, რომელიც არეგულირებდა ამ ორი ზონის ეკონომიკურ ურთიერთობას, განსაზღვრავდა მათ მთლიანობას.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მესაქონლეობის წარმოების სისტემა

1. მესაქონლეობის წლიური ციკლი და სათიბ-საძოვრებით სარგებლობის ორგანიზაცია

როგორც ცნობილია, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში სოფელი მჭიდროდ დასახლებულ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი მის ირგვლივ იყო განლაგებული. ეს ფართობები სოფლის მომიჯნავე ადგილებიდან იწყებოდა და მაღალმთიან ალპურ საძოვრებამდე ერცელდებოდა. სახნავებს დაბლობები და მთის ფერდობებზე ხელოვნურად შექმნილი ტერასები ეკავა, მას მოსდევდა სათიბები და ბოლოს საძოვრები. სათიბ-საძოვრები ძირითადად ხეობათა სიღრმეში და მთის ზედა ფერდობებზე მდებარეობდა. ამავე დროს სახნავები გვხვდება მაღალმთიან ზოლშიც, მესაქონლეობასთან დაკავშირებულ პარალელურ სამეურნეო ბაზებთან ერთად.

სასოფლო-სამეურნეო ფართობებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სრულად ასახავს ამა თუ იმ ფართობის მდებარეობას, ხარისხს, ექსპოზიციას, საკუთრების ფორმებს და ა. შ. ასეთებია უ ა ლ ღ ა უ თ ა (სოფლის წინ მდებარე ადგილი), უ ს ტ უ რ ხ უ ი მ თ ა (დიდი ყანა), უ ს ტ უ რ უ გ ა რ დ ა ნ თ ა (დიდი სათიბი), წ ე ფ თ ა (სველი ადგილი), ო რ ს ხ უ ი მ (თეთრი ყანა) — ოსეთში; კ ო უ ნ ბ ე შ (სახლის წინ ან გვერდით მდებარე ნაკვეთი), ხ ა ა ხ ა (მოშორებით მდებარე ნაკვეთი), ჩ ე რ ხ ა (ვაკეყანა), ო ვ ო რ ხ ა (ფერდობზე მდებარე ყანა), ჰ უ ნ ი ხ ი ხ ა (ტყისპირას მდებარე ყანა) — ინგუშეთში და სხვ. მათთან ერთად ინგუშეთში ფიქსირებულია ტერმინები ჰ ა ლ ი შ ქ ა რ ხ ა და თ ე შ ჰ ა შ ქ ა რ ხ ა, რაც ქართულ წინყანას და უკანყანას შეესატყვისება. საერთოდ, სახნავის აღმნიშვნელად ოსეთში იხმარება ტერმინი ხ უ ი მ, იგივე მნიშვნელობით ფიქსირებულია ტერმი-

ნი ყ უ გ ო მ. ამ უკანასკნელს ბ. კალოევი ისეთი კატეგორიის მიწებს მიაკუთვნებს, რომლებიც შედარებით ნოყიერი იყო და მეტ მოსავალს იძლეოდა[1]. ოსური ხუიმის შესატყვისია ჩაჩნურ-ინგუშური ჯა. საქართველოს მთიანეთში ფიქსირებული ტერმინები: კ ა რ ი ს მ ი წ ა, კ ა რ თ ა ნ ა, კ ა რ ი ს მ ა მ უ ლ ი, ბ ა ნ თ უ კ ე ნ ა ი, კ ა რ ი ს კ ა რ ა, წ ი ნ ა თ ი, ს ა ხ ლ ძ ი რ ი, ს ა ხ ლ წ ი ნ ა კ ა ლ ო თ ა ნ ა, კ ა რ ი ს ყ ა ნ ა, ს ო ფ ე ლ თ ა ნ ა და სხვ., ზემოთ მოტანილი ჩაჩნურ-ინგუშური და ოსური ტერმინების ანალოგიურია და ზუსტად მიუთითებენ დასახლებული პუნქტებისადმი მათ განლაგებას.

ძოსახლეობას ცალკ-ცალკე ჰქონდა სახორბლე, საქერე და სასვილე ადგილები. ამიტომ სახნავების ცალკეული ფართობები, ზემოთ აღნიშნულ სახელებთან ერთად, პურის ყანად, ქერის ყანად და სასვილეებადაც იწოდებოდა, ადგილმდებარეობისდა მიხედვით კი მთისა და ბარის მამულებად იყოფოდა. ვაჟა-ფშაველას განმარტება: „მთისა საქერე და ბარისა სადიკე"[2] ნათელს ხდის თუ რომელი ადგილები რა კულტურებისათვის გამოიყენებოდა. აღნიშნული სამეურნეო ფართობები მნიშვნელოვან რესურსებს იძლეოდა მესაქონლეობისთვისაც ჩალისა და სხვა უხეში საკვების სახით, გარკვეულ პერიოდებში კი საძოვრებადაც გამოიყენებოდა.

სათიბები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: სოფლისპირა, რომელიც სახნავი ფართობების გაგრძელებას წარმოადგენდა და მთის — მაღალმთიან ზოლში მდებარე სათიბები. მასთან ერთად ითიბებოდა ყანისპირები და დასასვენებლად გაშვებული ყანები. საძოვრებიდან გამოიყოფა ოთხი კატეგორია: სოფლისპირა, საგაზაფხულო-საშემოდგომო, საზაფხულო და საზამთრო.

ამგვარად, მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობები, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, სამეურნეო ზონებად იყოფოდა და ყოველ მათგანს თავისი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. საერთოდ, ალპური მეურნეობის ლანდშაფტისათვის პამირიდან ალპებამდე და პირინეებამდე, მიღებულია მთების დაყოფა სამ სამეურნეო ზონად. ვ. ხრისტიანოვიჩის მიერ მოცემული სქემის მიხედვით, ყველაზე დაბალ ზონას შვეიცარიაში ეწოდება Sennalpen, საფრანგეთის ალპებში — les montagnes laitieres, ე. წ. რძიანი მთები. მისი ძირითადი დანიშნულებაა ზაფხულის 100 დღის განავლობაში მე-

---

[1] Б. Калоев, Осетины, М., 1967, с. 66.

[2] ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 230.

ურნემ მიიღოს მაქსიმალური რაოდენობით რძე, რომლის გადამუშავებაც იქვე ხდება. მეორე ზონა შვეიცარიაში, ავსტრიასა და ბავარიაში აღინიშნება ტერმინით Galtberg ანუ Galtalpen. ტერმინი Galt ნიშნავს მშრალ საქონელს, ხოლო Galtalpen მოიცავს მთის საძოვრების იმ მონაკვეთს, რომელიც მშრალი მსხვილფეხა საქონლისათვის იყო განკუთვნილი. და ბოლოს, მესამე, ყველაზე მაღალი ზონა—Schafalpen გერმანიაში, Alpemoutons — საფრანგეთის მთიანეთში, ნიშნავს ცხვრის ალპებს, ცხვრის საძოვარს.[3]

ჩრდილოეთ ალბანეთის ალპებში ყველაზე მაღალი მთები აღწევს 2500—2700 მ. ბუნება მკაცრია, ხოლო ლანდშაფტი უაღრესად მცირე ტერიტორიაზეც კი გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მაღალ მთებზე სწრაფი მდინარეები ქმნიან ვიწრო და ღრმა ხეობებს, რომლებიც 1700 მ სიმაღლემდე ტყითაა დაფარული. მუხნარი ჯერ იცვლება წიფლნარით, შემდეგ ფიჭვნარით და ნაძვნარით, რომლის შემდეგაც იშლება ალპური ველები[4]. დადგენილია ისიც, რომ შვეიცარიის ალპებში მუდმივი თოვლის ხაზი იწყება ზ. დ. 2200 და 2800 მ სიმაღლეებიდან; ტყის საფარი აღწევს 1500—2000 მ სიმაღლემდე; მარცვლეული კულტურების წარმოების ზედა საზღვარი კი ადის ჩრდილო ფერდობებზე 1300, ხოლო სამხრეთ ფერდობებზე — 1400—1700 მ სიმაღლემდე. ჰიმალაის მთებში მარცვლეული კულტურების წარმოება შესაძლებელი ხდება ზ. დ. 3800 მ სიმაღლემდე, ეკვატორთან ხორბლეული მოდის 2928 მ-დე, ტყე გვხვდება 3355 მ-დე, ხოლო თოვლის საფარი იწყება 4880 მ სიმაღლიდან[5].

რაც შეეხება კავკასიას, ზოგადი მონაცემების მიხედვით, მუდმივი თოვლის ხაზი მთავარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მერყეობს 2745-დან 3660 მ-დე, ხოლო მცირე კავკასიონისათვის ეს ხაზი ადის ზ. დ. 4370 მ-დე. ტყის გავრცელების ზედა ზოლი დასავლეთ ამიერკავკასიაში გადის 1982-დან 2287 მ-დე, ხოლო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში—2287-დან 2440 მ-დე; შვრია კავკასიაში მოდის 2470 მ სიმაღლემ-

---

[3] В. Христианович, Горная Ингушия, Р/Д, 1928, с. 112.

[4] О. Будина, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[5] П. Варавин, Летния и зимния пастбища Закавказского края, СМИЭБГКЗК, Тифл., 1888, с. 70; В. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 29.

დე. ამ გეოკლიმატური და ეკოლოგიური ფაქტორების შესწავლის შედეგად გამოტანილია დასკვნა, რომ კავკასიას ახასიათებს რა რეგიონალური თავისებურებები, მას უპირავს საშუალო მდგომარეობა შვეიცარიის ალპებსა დ ჰიმალაის მთებს შორის. თუ ალპებში საზაფხულო საძოვრების ექსპლოატაციის საზღვარი ადის 2400 მ-დე, ხოლო ინტენსიური მეურნეობის წარმოების ზონა ვრცელდება 800—900 მ-დე, კავკასიაში საზაფხულო საძოვრები ადის 3000 მ-დე, ხოლო ინტენსიური მეურნეობის წარმოების ზონა — 800—1200 მ სიმაღლემდე[6].

ცხადია, დასავლეთ ევროპის მთიანი ქვეყნებისაგან კავკასია გამოირჩევა რიგი თავისებურებებით. რელიეფის მრავალფეროვნება აქ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კლიმატსა და მცენარეულ საფარზე, ზემოქმედებდა როგორც ადამიანის ცხოვრების პირობებზე, ისე ცხოველებზე. ამიტომ მისი სამეურნეო ყოფის შესწავლისას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ სხვადასხვა ზონის კლიმატური პირობების განსაზღვრას.[7] ვ. ხრისტიანოვიჩი, თავის მხრივ, ეხება რა ალპური ლანდშაფტისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, ზემოთ მოტანილი ზოგადი სქემის შესაბამისად, იხგუშურ მთის აღმნიშვნელ ტერმინ ლ ა მ/ /ლ ო ა მ-ს თავისი შინაარსით გერმანულ alp-ს უკავშირებს და მთას სამ სამეურნეო ზონად ყოფს. ამ ტერმინით ის მთის საძოვრებს გამოყოფს სოფლისპირა საძოვრებისაგან და მიუთითებს, რომ ლამ არის მთის ის მონაკვეთი, რომელიც ცოტა თუ ბევრად სწორია და წლის გარკვეულ მონაკვეთში საძოვრებად გამოიყენებოდა. პირველი ზონა, რომელსაც ვ. ხრისტიანოვიჩი გამოყოფს, არის ბ ე ი ნ ე ე — ყველაზე დაბალი, მეწველი ძროხებისა და ერთ წლამდე ხბოებისათვის განკუთვნილი ზონა, სადაც ხდებოდა რძის გადამუშავება. ეს ზონა ტყის ზედა საზღვრებიდან იწყება და ხშირად ტყის ზოლსაც მოიცავს; ვრცელდება ზ. დ. 1700 მ სიმაღლემდე, ზოგჯერ უფრო მაღლაც ადის, მაგრამ 2000 მ არ ასცდება. მეორეა საშუალო ზონა— რ ე მ ანუ ლ ა მ-ტ ე-რ ე მ, მოქცეული იყო 1700—2500 მ ფარგლებში და გამოიყენებოდა მუშა და მშრალი მსხვილფეხა საქონლის საძოვრებად, მისი ძირითადი დანიშნულება იყო მუშა პირუტყვისა და ხორცის წარმოება. და ბოლოს მესამე, ყველაზე მაღალი

---

[6] В. Шамиладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[7] А. Калантар, Вопрос об изучении зональных явлении на Кавказе, КХ, 1911, № 17, 18.

ზონა —ტ ა რ ხ ლ ა მ, ე. ი. ქვიანი საძოვარი. ეს იყო ცხვრისათვის განკუთვნილი ზონა, რომელიც ვრცელდება მუდმივი თოვლის ხაზამდე — 3000 მ სიმაღლემდე და აწარმოებდა მატყლსა და ცხვრის ხორცს. მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ მოტანილი სქემა დამახასიათებელია არა მარტო ინგუშეთისათვის, არამედ საერთოდ, ალპური ლანდშაფტის მეურნეობისათვის პამირიდან ალპებამდე და პირინეებამდე[8]..

ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, თუ რით უნდა იყოს გამოწვეული ბეინეკის აღნიშნულ საზღვრებში მოქცევა. საქმე იმაშია, რომ წველა-დღეებით ქალები იყვნენ დატვირთული, ეს კი აუცილებელს ხდიდა სოფელთან მთის სიახლოვეს და სისტემატურ კავშირს; და მეორეც, მთის ზედა ფერდობები ძლიერ დაქანებულია, რაც ძროხებისა და ერთ წლამდე ხბოებისათვის სახიფათოა. შენიშნულია ის გარემოებაც, რომ დიდ სიმაღლეზე ძროხა თავისი დიდი ტანისა და მთაში ცივი ტემპერატურის გამო მეტ ენერგიას კარგავს, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქტების ხარისხსა და რაოდენობაზე. ძროხა ყველაზე მეტ რძეს 1100—1800 მ სიმაღლეზე იძლევა, მაგრამ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში, ადგილის ტოპოგრაფიული პირობების გამო, შესაბამისი სიმაღლის ზონა კარგავს თავის ფუნქციებს, ხდება ამ ზონის არა მარტო რამდენადმე გადაადგილება, არამედ სულ გამორიცხვაც კი. ამასთან, რადგან სოფლების უმრავლესობა 1200—1700 მ სიმაღლეზე მდებარეობდა, ძროხების უფრო მაღალ ადგილებზე გადენა აღარ იყო აუცილებელი. ამიტომ მათ სოფლისპირა საძოვრებზე ტოვებდნენ და შესაბამისი სიმაღლის ზონაც კარგავდა ალპების მნიშვნელობას. თვით მეურნეების დაკვირვებით, მეწველი ძროხებისათვის ხელსაყრელია საძოვრები იმ სიმაღლემდე, სადაც საშუალო ძროხა ზაფხულის 100 დღის განმავლობაში მოგვცემს პროდუქტებს არახაკლებ ერთი ფუთი ერბოსა და სამი ფუთი ყველისა. დანარჩენი მსხვილფეხა საქონლის საძოვრები კი არ არის ასე ზუსტად შემოსაზღვრული[9].

ახალი გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ მთაინგუშეთში დასახლება და სახნავი ფართობები მდებარეობდნენ ზ. დ. 900—1500 მ სიმაღლეზე; სათიბებს, საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრებს მთის ქვედა და შუა კალთები ჰქონდათ დათმობილი

---

[8] В. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 106—113.
[9] В. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—116.

— 1500-დან 2000 მ-დე. ხოლო მთის საზაფხულო საძოვრები 2000—3000 მ ფარგლებში იყო მოქცეული[10]. ინგუშეთის მთების ზოგად დახასიათებას გვაძლევს მ. ტუსიკოვი. ეს მთებია: ჯეირახ ჭოჟ ქორთ (3135 მ), ბეშქორთ (2786 მ), კონტიე (2936 მ), ტერხლამ (3242 მ), ტალდიქორთ (3411 მ), ხართიქორთ (3242), ჯერლამ (3242 მ), მიათლომ (3002 მ), წიელომ (2867 მ). ყველაზე მაღალ მთად ითვლება შონის ხეობის მთა — შონჭოჟ ქორთ, რომლის სიმაღლე 3800 მ აღწევს და საკმაოდ კარგი იალაღები აქვს. ამ მთების ჩრდილო ფერდობები 1400 მ სიმაღლემდე ტყითაა დაფარული, 3000 მ-დე — ალპური მცენარეულით[11], საერთოდ, მთა ინგუშეთის ტერიტორია, მისი ხეობები, შავ და კლდოვან მთებს შორისაა მოქცეული. კლდოვან მთებს, განსხვავებით შავი მთებისა (ე რ ჯ ი ლ ა მ), წ ი ლ ო მ-ს უწოდებენ, რაც წითელ მთას ნიშნავს. ხეობის ეს მხარე ნიადაგ მზითაა განათებული და სოფლებიც მათივე სათიბ-საძოვრებით, ძირითადად, მის ფერდობებზეა შეფენილი. მზის მიმართ სოფელთა ასეთი ორიენტაცია კი კავკასიის მთიანეთში საერთო მოვლენაა და მთაში ვეგეტაციური პერიოდის სიმოკლითაა განპირობებული.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჩაჩნეთ-ინგუშეთში ლამ||ლამ მთის აღმნიშვნელი ტერმინია, მის ყველაზე მაღალ ნაწილს, მთის თავს ეწოდება ქ ო რ თ. ჯეირახ ჭოჟ ქორთ არის ჯარიახის ხეობის თავი, ხართიქორთ—სოფ. ხართის თავი, ტერხლამ — კლდოვანი მთა, წილომ — წითელი მთა და ა. შ. ჯარიახის ხეობაში კლდოვან ან წითელ მთებს მთხრობლები უწოდებენ ხეობის მზიან მხარეს. ეს მთები ჩრდილოეთიდან ხვეულად მიდის სამხრეთისაკენ, მისი ფერდობები ჩრდილოეთით ტყით არის დაფარული, სამხრეთით — სათიბებითა და საძოვრებით. სწორედ მის მასივში შედის მთა მიათლომ („სტალოვაია გორა"), რომლის პლატოზეც იყო მეცხალის თემის შესანიშნავი საძოვრები.

ჩაჩნეთის საძოვარი მთები იყო: ჭენთოილამ, პოჟახოილამ, ტიულდილამ (თუშები მას ტიბალოს უწოდებენ), მოვხარქორთ, ნერხეიქორთ, ოჟუნჩუ, კიირბას, სტერჩიხიელამ, ყიიჩუალამ, ხარკუროილამ, სედოილამ, იხოროილამ, ხაშხარილამ, ხოილამ, ბოსოხოილამ, ბორზ-

---

[10] А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, КЕС, II, Тб., 1968, с. 86.

[11] М. Тусиков, Горная проблема Ингушетии, ИИНИИ, т. IV, вып. II, Орджоникидзе, 1932, с. 76.

ხოილამ, დაილამ, ჩერმოილამ და სხვ. ოსეთის მთებიდან მთხრობ-ლები გამოყოფენ ყარიუხოხს, ხარეზს, თათორს და სხვ. ამ მთე-ბის გარკვეული ნაწილი სათიბებს ეკავა.

ჩვენ მიერ ველზე ფიქსირებულია მთელი რიგი ტერმინები. რომლებიც ნათელყოფენ მთის ზონალური კლასიფიკაციის პრინ-ციპებს და მასთან ერთად, ალპური მესაქონლეობის მთელ სისტე-მას. ამ მონაცემების მიხედვით, ჩაჩნეთ-ინგუშეთში მთა ლამ// ლოამ შემდეგ ნაწილებად იყოფა: ქ ო რ თ — მთის თავი, ლ ა ძ-ტა[12] — შედარებით სწორი და სათიბ-საძოვრებად ვარგისი ად-გილები, კ ო ქ — ლამტას ქვემოთ მდებარე ზონა[13]. გვხვდება ასე-თი დაყოფაც: 1. ქორთ, 2. ბ ე ლ ი შ — მთის ზედა, ცხვრის სა-ძოვრებად განკუთვნილი ადგილები, ი უ ხ||დ უ ხ — ქვედა, მსხვილ-ფეხა საქონლის სასაძოვრო ზონა. რიგი მასალების მიხედვით, ლამ პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს მთლიანად მთას, ხოლო სა-მეურნეო თვალსაზრისით მიუთითებს მის ზედა ნაწილზე, რომელ-ზეც მუშა საქონელი ადიოდა, ლამტა კი ის მონაკვეთია, რომელიც მეწველი საქონლის საძოვრებად იყო განკუთვნილი. საერთოდ მსხვილფეხა საქონლის საძოვრების მნიშვნელობით მთაინგუშეთ-ში ჩაწერილი გვაქვს ტერმინი —დ ო ა ხ ა ნ დ ე ე მ ე თ თ ი გ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქორთ უნაყო-ფო იყო სამეურნეო თვალსაზრისით, ჩვენი კლასიფიკაციის მიხედ-ვით, გამოიყოფა ორი ძირითადი ზონა — ცხვრისა და მსხვილფე-ხა საქონლის.

ჩაჩნეთში საძოვრის აღმნიშვნელი ტერმინია დ ე-ყ უ ან დ ე-ყ ი ლ ა. მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის სასაძოვრო ადგილე-ბის გამიჯვნის მიზნით კი ხმარობენ ტერმინებს ბ ე ე ქ დ ē ე ი ლ ა და ჯ ე დ ē-ყ ი ლ ა, სადაც პირველი ძროხების ანუ მსხვილფეხა საქონლის, ხოლო მეორე— ცხვრის საძოვარს ნიშნავს. იგივე მნიშვნელობისაა ბ ე ე ნ ი დ ē ყ და ჯ ē ნ დ ē ყ. დ ē ყ რაიმეს ნა-წილია — ქონების, მიწის და ა. შ. ბ ē ნ ი დ ē ყ და ჯ ē ნ-დ ē ყ კი არის

---

[12] ტე წოვა თუშურად ნიშნავს გორაკს, ბორცვს, ნახურ ენებში შეიძლება ის თავს, ზემო ნაწილსაც ნიშნავდეს. ტე დაბოლოება ზოგჯერ ტა-ს სახითაც გვხვდება და მთის კილოებში შეიძლება ტი-თაც შეიცვალოს (თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართუ-ლი ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1965, გვ. 95).

[13] ტერმინი кок ჩაჩნურ-რუსულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც терн, терновник» (Чеченско-Русский словарь, М., 1961, с. 221), ე. ი. ძეძვი, ჯაგი, „კვრინჩხა (Prunus spinosa)... კვრინჩხიანი—კვრინჩხის ბუჩქებით დაფარული ადგილი“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ., 1955, გვ. 1191).

საძოვრებზე მიწის ის ნაწილები, რომლებიც გარკვეული სახის საქონლისათვის იყო განკუთვნილი. სოფ. შაროის ზემოთ, დაახ. ერთ კილომეტრზე მდებარე საძოვრის სახელწოდებაც ბ ე ჟ მ ო ხ ქ, რომელზედაც სოფლის ნახირი დადიოდა, ზუსტად მიუთითებს მის დანიშნულებაზე (ბ ე ჟ ა ნ ა —მსხვილფეხა საქონელი, მ ო ხ ქ — მიწა; ბ ე ჟ ა ნ ა რ ე —საძოვარი).

ანალოგიური ვითარება ჩანს ოსეთის ეთნოგრაფიულ მასალებში. ოსურად მთის აღმნიშვნელი ტერმინია ხ ო ხ, საძოვრის — ხ ი ზ||ხ ი ზ ე ნ, იგივე მნიშვნელობით იხმარება ს ე რ ვ ე ტ, ჰთის საძოვრების აღმნიშვნელად — ხ ე ხ ო ნ ს ე რ ვ ე ტ ტ ე. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით მთა ძირითადად ორ ნაწილადაა გაყოფილი: ხ ო ს გ ე რ ს თ — ქვედა, მსხვილფეხა საქონლისათვის განკუთვნილი ზონა. მისი ფართობის დიდი ნაწილი სათიბებს ჰქონდა დათმობილი და თვითონ ტერმინიც ხოსგერსთ სათიბებზე, სათიბების ზონაზე მიუთითებს; და მეორე, ე რ ნ ე გ — საერთო საძოვარი, უყი, უხარისხო ადგილი, რომელიც ძირითადად ცხვრებს ეთმობოდა. თუმცა გამორიცხული არ იყო ამ სიმაღლეზეც სათიბების დაცვა და მსხვილფეხა საქონლის აყვანა. დიდი ლიახვის ხეობაში (ჯავის რ-ნი) მცხოვრები ოსები ხოხს უწოდებენ მთას, მაგრამ სამეურნეო თვალსაზრისით მიუთითებენ მთის ყველაზე მაღალ მონაკვეთზე, რომელიც ზოგჯერ სამეურნეო მიზნით არც გამოიყენებოდა. მის ქვემოთ არის მაღალმთიანი ზოლის საძოვრები რ ა ღ, ზუსტად ნიშნავს მთის ქედს, ცხადია, აქ არც სათიბები იყო გამორიცხული. მას მოსდევს ა ვ შ ა გ — ზონა, რომლის ფართობის მეტი ნაწილი სათიბებს ეკავა. მთხრობლები ამ ტერმინს ხმარობენ სათიბი (ზოგი — სათიბი და საძოვარი) მთის აღმნიშვნელადაც.

ალაზნის პირას, პანკისის ხეობაში დამკვიდრებული ქისტების სარგებლობაში მყოფი მთები, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, შემდეგ ნაწილებად იყოფოდა: ჰ უ ნ ქ ო ჩ[14] (ტყისთავი), ლ ა მ ა ნ ბ უ ჰ ი ე (მაღალი ადგილები). პირველი მსხვილფეხა საქონლის საძოვრები იყო, მეორე — ცხვრის. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც მთის დაყოფა ზონებად გეოგრაფიული ნიშნის მი-

---

[14] თ. უთურგაიძის განმარტებით, ნახურ ენებში ქ ა ჩ საყელოს ნიშნავს, ბაცბურში კი ზემო ნაწილის, თავის, უღელტეხილის მნიშვნელობითაც იხმარება. მაგ. ჰ უ ნ ი ნ ქ ა ჩ არის ის ადგილი, რომელიც ტყის ზემოთაა, ე. ი. ალპურ ზონაშია, საზაფხულო საძოვარია (თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98).

ხედვით ხდებოდა. აქვე გვხვდება მთის დაყოფა ე. წ. ნაედარებად, სადაც თითოეული ზონის აღმნიშვნელი ტერმინი ზუსტად გამოხატავს მის სამეურნეო დანიშნულებას. ნ ა ე დ ა რ მიუთითებს იმ ადგილზე, სადაც ბინები ჰქონდათ გამართული და რძის პროდუქტები მზადდებოდა. ამის შესაბამისად, მსხვილფეხა საქონლისათვის განკუთვნილ ზონას ეწოდება ბ ე ე ნ ა ე დ ა რ, ხოლო ცხვრისათვის განკუთვნილ ზონას — ჯ ე ნ ა ე დ ა რ, ქვედა ზონაში დაბალი ადგილები მეწველ საქონელს ჰქონდა დაკავებული, ზედა ფერდობები მშრალს. ასევე იყო ზედა ზოლშიც, ბინაზე მეწველ ცხვარს იყოლიებდნენ, მშრალი ცხვარი და ბატკანი კ ი ხ ო რ ხ ე ბ ზ ე ჰყავდათ. უნდა შევნიშნოთ, რომ ნაედარ სამეურნეო ბაზის, ნაგებობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო და შემდეგ მთელ სამეურნეო ფართობებზე გავრცელდა. ასეთი გარემოება შეიძლება ალპური მეურნეობის სისტემაში საერთო კანონზომიერებას დავუკავშიროთ. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ერთი, იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთში მცხოვრები ფრიულების მაგალითი, სადაც მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობის სახელი ს ტ ა ვ ო ლ ი (იტ. Stavoli, ფრიულ. Stalis) გავრცელდა სათიბ-საძოვრებზეც კარნიის ალპების ორ განსხვავებულ ზონაში[15].

როგორც მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, კერძოდ, ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ოსეთში და საქართველოს ტერიტორიაზე, დამკვიდრებული პანკისეული ქისტების სამეურნეო ყოფაში მთის დანაწილება ცალკეულ სამეურნეო ზონებად, ერთი მხრივ, გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით ხდებოდა. კოქ, ლამტა, ქორთ; იუხ||დუხ, ბელიშ, ქორთ (მთაინგუშეთში); ჰუნქოჩ, ლამან ბუჰიე (პანკისის ხეობაში) და სხვ.; ხოლო მეორე მხრივ, ალპურ მესაქონლეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ზუსტად მიუთითებს ამა თუ იმ ზონის, ან გარკვეულ ზონაში მდებარე საძოვრების სამეურნეო დანიშნულებაზე. ასეთებია: ბეე დეეიილა და ჯე დეეიილა, ბეენი დეეე და ჯენ დეეე (ჩაჩნეთში), ბეე ნაედარ და ჯე ნაედარ (პანკისის ხეობაში); ხოსგერსთ და ერნეგ (ოსეთში) და სხვა მრავალი. ამა თუ იმ ზონის სამეურნეო დანიშნულებიდან გამომდინარეობს მთაინგუ-

---

[15] Н. К р а с н о в с к а я, Некоторые элементы материальной культуры и хозяйство фриулов. Культура и быт народов зарубежной Европы, М. 1967, с. 117.

შეთთან დაკავშირებით ვ. ხრისტიანოვიჩის მიერ მოყვანილი ტერმინებიც. კერძოდ, ბეინეე უნდა იყოს იგივე ბეე ნაედარ, ხოლო რემ||ლამტე, რემ||რემლამ ნიშნავს ცხენების მთას, ცხენების საძოვარ ადგილს[16]. ცხადია, ეს ადგილები სხვა მშრალი მსხვილფეხა საქონლისთვისაც იქნებოდა გამოყენებული. რაც შეეხება მესამე ტერმინს — ტარხლამს, კლდოვან მთას ნიშნავს, მ. ტუსიკოვი მას მიიჩნევს ტოპონიმის აღმნიშვნელ ტერმინად[17]. ანალოგიურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებული ტოპონიმები: საჯოგე, საჯოგე მთები, საჯოგის წვერები, სახარე, სახაროვნე, საბერწე, საძროხე, საცხორენი, საბატკნე, სათხე, სათიკნიაი და სხვა.

საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ კუთხეში, ხევსურეთში, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ მსხვილფეხა მესაქონლეობის კლასიკურ კუთხედ, გამოიყოფა ორი ძირითადი ზონა: ქვედა ფერდობები — ს ა ფ უ რ ე|| ს ა ძ რ ო ხ ე — მეწველ საქონელს ჰქონდა დათმობილი, აქვე ს ა მ თ ო||ს ა ბ ო ს ლ ო ე ბ შ ი ხდებოდა რძის გადამუშავება, ზედა ფერდობები — ს ა ხ ა რ ო ვ ნ ე ე ბ ი მუშა და მშრალი საქონლისათვის იყო განკუთვნილი. შეიძლება გამოვყოთ კიდევ მესამე ზონა — ხ ო რ ხ ე ბ ი, რომლებიც თხა-ცხვარსა და ცხენებს ეთმობოდა, მაგრამ ეს უფრო ნათლად გამოიკვეთება პირიქით ხევსურეთში, სადაც მეცხვარეობას მეტი მასშტაბები ჰქონდა. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ხევსურეთისა და სვანეთის ის სოფლები, რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო მესაქონლეობის გადარეკვითი სისტემა, მდებარეობენ ზ. დ. 800—1200 მ სიმაღლეზე და ჰიფსომეტრულად ემთხვევა მთისძირა ზოლს. დაახლოებით 1200—1700 მ სიმაღლეზე განლაგებულია ლ ა ბ ა ვ||ს ა ბ ო ს ლ ო ე ბ ი, 1800—2000 მ-ზე მდებარე სუბალპური ველები — ს ა ფ უ რ ე მ თ ა||ლ ა ფ უ რ მეწველ და მოზარდ საქონელს ეთმობოდა, მის ზემოთ, 2200—2400 მ სიმაღლეზე მდებარე ალპური ველები — ს ა ხ ა რ ო ვ ნ ე||ლ ა ხ ნ ი-ლ ა ხ ვ მუშა და მშრალი საქონლის საძოვრებად გამოიყენებოდა, ხოლო მთის ყველაზე მაღალი ადგილები — ს ა ც ხ ვ რ ე||ს ა-ც ხ ო რ ე ნ ი ცხვარს ჰქონდა დათმობილი. ამ უკანასკნელს კიდევ გამოეყოფა საბატკნე ხორხები, რომელიც მუდმივი თოვლის ხაზამდე ვრცელდება[18].

---

[16] ინგუშური რ ე მ ქართულ რ ე მ ა-ს (ცხენების ჯოგი) შეესატყვისება.
[17] М. Т у с и к о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.
[18] В. Ш а м и л а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

მ. მაჩაბელის ცნობით, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ყველა სოფელს ჰქონდა საზაფხულო საძოვრები, იალაღები, რომლებიც ს ა ძ რ ო ხ ე და ს ა ხ ა რ ო ვ ნ ე ადგილებად იყოფოდა. ამათგან გამოიყოფა მაღალმთიანი იალაღები, რომლებზეც აძოვებდნენ ცხვარს, ცხენს და მშრალი მსხვილფეხა საქონლის დიდ ნაწილს. როგორც ავტორი შენიშნავს, ხევსურები საძროხეებსა და სახაროვნეებს თვითონ იყენებდნენ, ალპურ იალაღებს კი აქირავებდნენ[19]. ეს გასაგებია მეცხოველეობის იმ პროფილისათვის, რაც ხევსურეთისათვის იყო დამახასიათებელი.

გარდა აღნიშნული სასაძოვრო მთებისა, ხევსურები მ თ ა-ს ეძახდნენ სათიბებსაც, რადგან სოფელში ითიბებოდა მხოლოდ ყანისპირები და ჯაგები, ხოლო სათიბები მთებში ჰქონდათ დაცული. ვაჟა-ფშაველას განმარტებითაც, ფშავ-ხევსურეთში მთას ეძახიან მთის ფერდობზე სოფლის მიერ ცალკე ადამიანებისათვის მიზომილ სათიბ ნაწილს, მ თ ა-ბ ა რ ი კი სოფლის სახნავ-სათესი და სათიბი ადგილებია, სასოფლო მამულები და სათიბები[20]. თუმცა, როგორც აღენიშნეთ, სახნავები გვხვდება სათიბების ზოლშიც. ხევსურეთის მთელი რიგი სოფლების მაგალითზე დგინდება, რომ დასახლებულ ნაწილს ემიჯნებოდა სახნავები, სახნავებს მოსდევდა საძოვრები და შემდეგ — სათიბები.

მთიულეთში ყანები სოფლის ქვემოთ ან მის გასწვრივ იყო განლაგებული, სათიბები და საძოვრები კი სოფლის ზემოთ მდებარეობდნენ. ყანები ჰქონდათ მაღალმთიან ზოლშიც, მაგრამ ამ სიმაღლეზე მარცვლეული ხშირად ვერ ასწრებდა დამწიფებას[21]. აქვე, ხანდოს ხევის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ სათიბებად გამოიყენებოდა მთის ზემო კალთები მწვერვალებამდე, რადგან აქ მსხვილფეხა საქონელს უძნელდებოდა ძოვა[22]. ეს გარემოება მთიულეთში მარტო ხანდოს ხევისათვის არ იყო დამახასიათებელი. ამ კუთხის სასაძოვრო მთებიდან გამოირჩევა ნეფისკალო, არაგვისთავი, ერობის მთა და სხვ. მათზე იყო მსხვილფეხა საქონლისა და საცხვარე ადგილები. ქსნის ხეობის ზედა წელში თითქმის ყველა

---

[19] М. М а ч а б е л и, Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, Тифл., 1887, с. 454.

[20] ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969, გვ. 180.

[21] გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1953, გვ. 207.

[22] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 13.

სოფელს ჰქონდა საზაფხულო საძოვარი ე. წ. სახარე ქედი და ხარსაყარი[23]. სოფ. მიდელაანს ზაფხულობით ხარები ედგათ სამგლეთში და ციხიათში; ბალაანს — ვარმეთში, მზორეებში; ჭორჭოხს — საზორეთში; ალეევს — სამების მთაზე (ფიპვები, თიბექედი, სახრავიქედი); ქურთის და ყანჩაეთს — ზებეყურის მთაზე და ა. შ. მოტანილი მასალა მიუთითებს, რომ ხარებისა და მეწვეული პირუტყვისათვის გამოიყენებოდა სოფლის ფარგლებში მდებარე მთისა და ბარის საძოვრები, ცხვრის საზაფხულო საძოვრები კი ძირითადად ხეობის მთიან ნაწილში იყო განლაგებული. ამ მიზნით გამოიყენებოდა ქურთის, ქარჩოხისა და ეამურის ალპური იალაღები. გარდა ამისა, ქსნის ხეველები იყენებდნენ მეზობელ ხეობათა სათავეებში მდებარე საძოვრებსაც (თლი, ჩაბარუხი, ჭალაური, სანგალი, ქნუხი და სხვა)[24].

ივრის ხეობის სათავეებში მდებარე სოფლები მთებსა და ხეობებშია ჩამჯდარი და ეს იმდენად შთამბეჭდავია, რომ ნ. ბერძენიშვილი თიანეთის მხარეს ივრისა და მისი შენაკადების ნაყოფად მიიჩნევდა[25]. ამ მთებიდან ბეღელა, ქუდიელი, ხაშარი, გუზუმბათი, ღოლოანი, არტნის მთა — უტყეო საძოვარი მთებია, მხოლოდ ბოლოებში აქვთ მცირეოდენი ტყეები; ყვარას მთაზე იყო განლაგებული სოფ. ყვარას მცხოვრებთა სახნავები, სათიბები და საძოვრები; ასევე გამოიყენებოდა გარეჯაც (იგივე ბაფხისხევის მთა); საშუბის მთის ქვედა კალთებზე საძოვრები ჰქონდათ, ზემოთ — სათიბები; სოფლიონის მთის ქვედა ფერდობებიც, სოფელთან ახლოს, საძოვრებად იყო გამოყენებული, მის ზემოთ კი —სახნავებად და სათიბებად; შუალა გორას ბოლოებზე ქერი ითესებოდა, დანარჩენი ფართობები სათიბებად იყო დაცული, ახლა კი მთლიანად გასაძოვრებულია; ქუშხევის მთა, სახევის თავი, ჭიაური და სხლოვანი კი მთლიანად სათიბებად იყო გაშვებული. მათთან ერთად შეიძლება დავასახელოთ მაკასტახის მთა, კორსავის მთა, ბაჩალის მთა, შუშანის ვაკე, არზრუმხევა, ხაშრულა, გორმაღალა, ხატიმთა, კეხიგორი, მასარა, ლეკოანა, ღორღა, საჩალეხევკუდი, ლიშოს მთა; ივრის ხეობის შუა წელში — ორხევისა და ერ-

---

23 მ. მაკალათია, მესაქონლეობა ქსნის ხეობაში, ქსნის ხეობა, თბ. 1975, გვ. 61.

24 იქვე.

25 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 179.

წოს ტერიტორიაზე იყო სათიბისა და იკვლივის მთები[26] და სხვ. გარდა აღნიშნულისა, ფშაველი მესაქონლეები ზაფხულობით ფშავშიც გადადიოდნენ და თავიანთ სასაძოვრო მთებს ესტუმრებოდნენ ხოლმე — ფადლაურს, ახადის მთას, ჭიჩოს მთას, ხოშარის მთას, ვანხევის მთას და სხვ., რომლებიც ადრე, ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებამდე, მათ სარგებლობაში იმყოფებოდა. ისეთი დიდი მეცხვარეები კი როგორიც იყვნენ ნადირაშვილები (გუგუდაანები), ბეწუკელები, ნაკვეთაურები, ზურაბაშვილები, ყაყიშვილები და სხვ., აღნიშნული მთების ფარგლებში ვერ თავსდებოდნენ და შირაქსა და თრიალეთს შორის მთაბარობდნენ.

საქართველოში და საერთოდ, კავკასიაშიც, მეცხვარეობის ერთ-ერთ ყველაზე კლასიკურ კუთხედ შეიძლება თუშეთი მივიჩნიოთ. ის მდებარეობს კავკასიონის მაღალმთიან ზოლში, მდინარეების თუშეთის ალაზნისა და პირიქითა ალაზნის აუზებში. რელიეფურად თუშეთი ვრცელი მაღალმთიანი ქვაბულია, რომელიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია კავკასიონის მაღალი მთებით. სამხრეთით ისაზღვრება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ნაწილით, სადაც განლაგებულია მაღალმთიანი მწვერვალები: კურკუმისწვერი, შავი მთა, ჭეშო და სხვ; აღმოსავლეთით საზღვრავს თუშეთ-დაღესტნის ქედი; ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან — პირიქითული და ჰაწუნტის ქედები. აღნიშნული ქედების სიმაღლე ზ. დ. 3500—4000 მ აღწევს. მის ერთ-ერთ ბუნებრივ სიმდიდრედ ითვლება ალპური და სუბალპური ველები — შესანიშნავი საზაფხულო საძოვრები[27].

თუშეთშიც სოფელს ემიჯნებოდა მთა, გორა, ხეობა, სადაც განლაგებული იყო სასოფლო-სამეურნეო ფართობები. რადგან მათი ფერდობები ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობის ინტერესებს ემსახურებოდა, მთხრობელები ს ა ს ო ფ ლ ო/ /ს ა ნ ; ა ხ ი რ ე ადგილებსაც უწოდებენ და ამით მკვეთრად გამოყოფენ ს ა ც ხ ვ რ ე მ თ ე ბ ი-საგან. სასოფლო მთები იყო ინდურთის მთა, ეთელტის მთა, საგირთის მთა, წაროს მთა, რომლებიც ეკუთვნოდათ შესაბამისად სოფ. ინდურთას, ეთელტას, საგირთას და წაროს

---

[26] სათიბის მთა ორია, ერთი ორხევს აკრავს, მეორე ერწოს ტერიტორიაზეა, იკვლივის მთა კი ერწოში სოფ. ზემო ნაქალაქარის თავზეა.

[27] მ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, აღმოსავლეთ ეკონომიური რაიონის ბუნებრივი პირობები, რესურსები და მათი სამეურნეო შეფასება, აღმოსავლეთის ეკონომიური რაიონი, თბ., 1977, გვ. 40, 41.

(წოვა თუშეთში); ჩიღოს მთა, ჩიღოს ხაა, ბაგათანა, კვავლოს მთა, კვავლოს ხაა, დანოს მთა, დანოს ხაა, წყაროთგორი, ცირბევი, ცირბაშტე, ალარტე, დართლოს მთა, ვეშარი, ჭეშოს თავი, ჭეშოს ხაა, ჭეკინაჩო, ბუზურთა, ცხვარნაღები და სხვა (პირიქით თუშეთში); დიდგორი, სხვინიურთის გორი, ფერცხალთა, ჯავახე და სხვა შიგნი გომეწრის ხეობაში (ჯვარბოსლის სამამასახლისოში) შემავალი სოფლების (ჯვარბოსელი, ბეღელა, კოკლათა, ვერხოვანი, ვეძისხევი, ალისგორი) სასაძოვრო მთები და ა. შ.

ხშირად, მათ შორის ჩამოთვლილ სასაძოვრო მთებზეც, საცხვრე მთები სასოფლო||სანახირე მთების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა. მაგალითად, კვავლოს მთის ზედა ფერდობები: სადროშე, ქარუხი, ბაქანე, დიდვაკე, სოფლისპირა საძოვრების გაგრძელებას წარმოადგენდა და ყველა მათგანზე იყო თითო ბინა. სოფ. ბოჭორმა (ჩაღმა თუშეთში) მდებარეობს მთის ფერდობზე, რომელსაც ბოჭორმის მთას ეძახიან. წუაქიმბარი, მტრედაულთა, სათხავაცე, ხავამბარი, კახაისგორი იყო ამ მთის ის ნაწილები, რომლებიც მდებარეობდნენ სოფლის ბოლოში, მთელ გაყოლებაზე ბოჭორმიდან დოჭუს საზღვრამდე და სადაც დოჭუელებს ზამთრის ბოსლები და სახნავი ნაკვეთები ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ყანები დაიხვნებოდა, საქონელი სოფლის თავში გადაჰყავდათ. აქაც ბოჭორმის მთაში შემავალი ფართობები: იელოანი, ვაკე, საბოლოკე, გოგორათა, ტბათანა, სადაც სოფლის ნახირი ზაფხულს ატარებდა, დოჭუს საზღვრამდე ვრცელდებოდა. მის ზემოთ მდებარე ფართობები უკვე ცხვრის საძოვრებად გამოიყენებოდა. ბოჭორმელების საცხვრე მთა იყო სახარე, კერძოდ, ლილაურთ სახარე (ლილაურების და ივაჩიძეების. გადმოცემით ისინი ერთი განაყოფები არიან). შემდგომში, როდესაც ბოჭორმა ომალოს საზოგადოებას მიაკუთვნეს, მისმა მცხოვრებლებმაც ომალოს თემის მთებზე დაიდეს ბინა. სოფ. დოჭუს ქვემოთ მდებარე ვრცელი ადგილები, რომელსაც ახოსვაკეს უწოდებენ (მას გარშემო ტყე აკრავს და შუაზე ალაზანი ჰკვეთს), ხაროვანისათვის გამოიყენებოდა, სვილოანი სოფლისპირებიდან იწყებოდა და მეწველი საქონლის საძოვრები იყო, ხოლო მთის ზედა ფერდობები — წითელი წყლები, ცხვარს ჰქონდა დათმობილი.

წოვა თუშების საცხვრე მთები ალაზნისთავში იყო. როგორც ივ. ბუქურაული აგვიწერს, ალაზნისთავს თუშები უწოდებენ მდ. ანდაქის ყოისუს სათავეს. ის საკმაოდ ვაკე, გაშლილი ხეობაა,

ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნაროვანის მთები, აღმოსავლეთიდან — ნაროვანის მთის შტო, დასავლეთიდან და სამხრეთიდან — მთავარი კავკასიონის ქედი. გამლილ ვაკეზე მოედინება მდ. ყოისუ, რომელსაც ერთვიან მთის მჩქეფარე წყაროები. აქ დასახელებულია ორი მდინარე — სამროვნის წყალი და ყურის წყალი, რომლებიც ნაროვანის მთებში იღებენ სათავეს და მარცხენა მხრიდან ერთვიან მდ. ყოისუს. ხეობას, რომელსაც მდ. ყოისუ ქმნის, ზემოდან გადმოჰყურებს ნაროვანისა და მისი შტოს თოვლით მოსილი მწვერვალები. აქ მთის ძირებზე და წყლის კიდეებზე წოვა თუშებს გამართული ჰქონდათ ცხვრის ბინები და ნაბდის ალაჩუყები, აქვე მზადდებოდა მთელ კავკასიაში განთქმული თუშური ყველი[28].

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, წოვა თუშების ცხვრის საზაფხულო საძოვრები იყო ალაზნისთავი და წიფლოვანა, მათ ერთმანეთისაგან ყოფს ბორბალოს მთა. აქვე იღებს სათავეს ალაზანი — ალაზნისთავის მდინარე, რომლის ერთი ტოტი დაღესტნისკენ მიედინება, ხოლო მეორე — ალაზნისთავის საძოვრებს გადმოსჭრის. ალაზნისთავის საძოვრები ხეობებად არის დაყოფილი: ბორბალო, სამრულისწყლის ხევი, ყურისწყლის ხევი და ყვავისწყლის ხევი. სამრულისწყალი, ყურისწყალი და ყვავისწყალი, მდინარეები, რომლებიც აღნიშნულ ხეობებში მოედინებიან, ნაროვანის მთებში იღებენ სათავეს და მარცხენა მხრიდან ერთვიან ალაზნისთავის მდინარეს. ცხვრის ბინებიც ამავე ხეობებში იყო განლაგებული. ბორბალო არის ალაზნისთავის სათავე, მის მიდამოებში ხადისგორი იყო მეწველი ცხვრის საძოვარი (აქ ხუთი ბინა შეიძლებოდა გამართულიყო), საწოლისხევი, დიდი მასარა და პატარა მასარა კი — სამშრალე და საბატკნე. ბორბალოს ქვემოთ არის სამრულისწყლის ხევი, აქ მდინარის პირას ხუთი ბინა იყო გამართული, მაღლობებზე — ნაროვანი, ნახირხორხი, შებონგორი, საჰეღლო, ბატკანი ძოვდა, მშრალი ცხვარი კი წიფლოვანზე გადადაჰყავდათ. ყურისწყლის ხევი და ყვავისწყლის ხევი სამრულისწყლის ხევის პარალელური ხევებია, პირველზე ცხვრის ორი ბინა იყო, მეორეზე — სამი, მშრალი ცხვარი კი აქედანაც წიფლოვანაზე გადაჰყავდათ.

ამგვარად, ალაზნისთავში მეცხვარეებს ბინები ჰქონდათ და მისი ფართობები, ძირითადად, მეწველი ცხვრის საძოვრებად გა-

---

[28] ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ, მოამბე, IX, ტფ., 1897, გვ. 197.

მოიყენებოდა, წიფლოვანა კი მშრალი ცხვრისა და ბატკნების საძოვარი მთა იყო. წიფლოვანა თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა— დიდი წიფლოვანა და პატარა წიფლოვანა. დიდი წიფლოვანა ბორბალოს მთიდან იწყება და კუპრაბალანჩომდე ვრცელდება. მისი საძოვრებია (ბორბალოს მთიდან დაწყებული თანმიმდევრობით) საყორნე, წვრილგორი, დეკიანგორი, მაჟურა, ლეკთავი, კუპრაბალანჩო. ყველა ეს საძოვარი დიდ წიფლოვანაში შედის და მშრალი ცხვრის საძოვრებად გამოიყენებოდა. პატარა წიფლოვანას საძოვრებია: ბონგალთგორი (ეს არის პატარა წიფლოვანას სათავე), ბაძოსგორი, მშრალგორი. ეს ადგილები პირიზმის მხარესაა და სამშრალეებად და საბატკნეებად იყოფოდა; ჩრდილოვან მხარეს მდებარე ადგილები: მატრდაყოშის ხორხი, წოტორბოსის ხორხი, ძევრის ხორხი, კალოს ხორხი, ნაშრის ხორხი კი მხოლოდ საბატკნეებს განეკუთვნებოდა. ბონგალთგორის ძირში, მდინარის პირას, ცხვრის ბინა ყოფილა გამართული, შუა ზოლში მშრალი ცხვარი ჰყავდათ, ხოლო მწვერვალებზე საბატკნეები იყო.

ყადოვანის მთა ალაზნისთავს გამოჰყოფს საძოვარი ფართობებისაგან, რომელიც შიგნი გომეწრის ხეობაში შემავალ სოფლებს ეკუთვნოდა და ამიტომ წოვა თუშები მას საჩაღმოს უწოდებდნენ. ეს სოფლები, გარდა საჩაღმოსი, სარგებლობდნენ საცხვრე მთებით — საჯინჭვლე, საგველე და ბაყლასგორით. ყველა მათგანს ჰქონდა თავისი სამშრალეები და საბატკნეები.

გომეწრის ხეობის ქვედა წელში, ივანაურთის თემში შემავალი სოფლებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საძოვრებად შეიძლება დავასახელოთ სახარე. მთხრობელთა დახასიათებით, ის არის დაბალი, გაშლილი მთები, გამოირჩევა კარგი, ღალიანი ბალახით, რის წყალობითაც იქ განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ყველი მზადდებოდა. სახარეში შემავალ ცალკეულ სასაძოვრო ფართობებს ეწოდება: ლილაურთ სახარე, ჯვარის სახარე, წინათვაკე, დიდბოსელა, ორწყალი, ცხენთვაკე, შანტლოანი, კლდისსადგომი, სამყივნე, ყიცელი, წითელი და სხვ. დიდბოსელა სოფ. საჩიღოლოს ემიჯნება, მის მოსახლეობას სოფლისპირებში მეწველი საქონელი დაუდიოდა, მაღლა — კლდისსადგომში კი მშრალი საქონელი და მეწველი ცხვარი ჰყავდათ; ცხვრის სამი ბინა ჰქონდათ წინათვაკეშიც. დიდბოსელას გარკვეული ნაწილი ეკუთვნოდა სოფ. დოშუსაც. ვესტმოს და ვესტმოთის სარგებლობაში იყო შანტლოანი, ორივეს თავისი საზღვრები ჰქონდა. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, მისი ფართობი მსხვილფეხა საქონლისა და მშრა-

ლი ცხვრის საძოვრებად ნაწევრდებოდა, რადგან ბინის მოწყობა აქ არ ხერხდებოდა. მხოლოდ ვესტომთის მცხოვრებთ ჰქონიათ ერთი ბინა საალმეზე. ეს უკანასკნელი სოფლის ახლოსაა, აქ ადრე ალამს დგამდნენ და სოფლიდან ალმამდე დოღს მართავდნენ, საალმეც იმიტომ შერქმევია.

ორწყალი ორ ნაწილად იყოფა — ზეთორწყალი და ქვეთორწყალი. საცხვრე ხორხიდან მოედინება საცხვრე ხორხის წყალი, ხოლო სამყივნიდან — სამყივნის წყალი. ეს მდინარეები ერთმანეთს უერთდებიან და მთელ იმ ფართობს, რომელიც მათ შორისაა მოქცეული, ზეთორწყალი ეწოდება. უფრო ქვემოთ ამ მდინარეს კიდევ უერთდება სახარედან მომდინარე წინათვაკის წყალი, იმ მიდამოებს კი, რომლებიც აღნიშნულ მდინარეებს შორისაა მოქცეული, ქვეთორწყალს უწოდებენ. ზეთორწყალის თავზეა ცხენთვაკე და იქვე მის მობმითაა წითელიც. ზეთორწყალში ბინები ჰქონდათ (დოჭუს და ბეღელას), ხოლო აქედან მეწველი ცხვარი საძოვრად ცხენთვაკეზე ადიოდა, მშრალი ცხვარი კი წითელზე. მათივე მფლობელობაში იყო სამყივნე (აქ ჰქონდათ ორი ბინა თავისი სამშრალეებით და საბატკნეებით); სამერცხლე (დოჭუელების ერთი ბინა სამშრალეებით და საბატკნეებით); ყიცელი (სამშრალე და საბატკნე). ქვეთორწყალში ბინების გამართვა არ ხერხდებოდა, ამიტომ აქ ცხვარი საძოვარზე წინათვაკიდან ჩამოჰყავდათ. შეიძლება კიდევ დავასახელოთ სასაძოვრო მთები: ვესტმოვაკე, ბიღოელთსათიბე, ფელკეურთა, ნაციხრიგორი, კვეზერაულთა, შავკილღე, წოხვა, ნახიდური, ორმოთგორი, ოთხწყაროო, საგველე, ალატოანი, ბულანჩო— ჩაღმა თუშეთში; ნაროვანი, ყონიყურები, ლუიბარჩე, თურსიეხი, ჩხათისუე, ქვახიდი (უკანასკნელი ოთხი საძოვარი ერთ გაყოლებაზეა ჭონთიოს ხევში) — პირიქით თუშეთში და სხვ.

მას შემდეგ, რაც თუშეთში მეცხვარეობამ ინტენსიურად იწყო განვითარება, რასაც თან სდევდა მოსახლეობის დაბალ ზოლში, ალვანის ველზე ჩამოსახლება, მთაში სათიბების რაოდენობამ იკლო და მისი ადგილი საძოვრებმა დაიკავა. ამასთან, სასოფლო მთებიც ძირითადად მეცხვარეობის ინტერესებს დაექვემდებარა. აქაურმა მეცხვარეებმა იმდენად განავითარეს თავისი მეურნეობა, რომ თუშეთის ფარგლებში ველარ თავსდებოდნენ, დიდი მეურნეები აქტიურად იყენებდნენ, ერთი მხრივ, ჩაჩნეთისა და დაღესტნის და მეორე მხრივ, თრიალეთის მთებს.

მას შემდეგ, რაც თუშებმა მუდმივ საცხოვრებლად ალვანში გადმოინაცვლეს, ისინი სეზონურად კვლავ უბრუნდებოდნენ თა-

ვიანთ ნასოფლარებს, აჰყავდათ ცხვარ-ძროხა და ზაფხულის თვეებს იქ ატარებდნენ. ამდენად, ნასოფლარები ფაქტიურად უკვე პარალელური სამეურნეო ბაზების ფუნქციას ასრულებდა. წოვა თუშების დიდმა ნაწილმა კი საზაფხულოდ და მსხვილფეხა საქონლის საძოვრებად ტბათანაზე დაიდო ბინა. ტბათანა ბორბალოს მთის სამხრეთ-დასავლეთ შტოს ბოლო ნაწილია. მის ზედა წელში პატარა ტბაა, რის მიხედვითაც მთელმა მიდამომ მიიღო ეს სახელწოდება. მას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან პატარა ხევები ჩამოუდის. ერთია ქოჩალდის ხევი, რომელიც მთაშივე ერთვის ალაზანს და მეორე, ბაწარას ხევი, უხვევს წინ ტბათანის და პანკისის ხეობაში ერთვის ალაზანს. ტბათანის კალთები დაბურული ტყით ყოფილა დაფარული და მრავლად შეიცავს ნოყიერ საძოვრებს. როგორც ჩანს, ყოველივე ამის წყალობით, კარგ ჰავასთან ერთად, ტბათანის მიდამოები შესანიშნავი ღამის სათევი ადგილები ყოფილა მგზავრთათვის[29].

საძოვრების კლასიფიკაციის პრინციპი იგივეა მცირე კავკასიონზეც; მაგ., მესხეთ-ჯავახეთში, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, გამოყოფენ ქვეშა მთას და ზედა მთას[30]. აჭარაში — ბარის, ზეგანი||ფერდას და მთა||თა-ს ზონებს. ამ უკანასკნელში კიდევ გამოიყოფა საძროხე, ხაროვანი// ||ხარის საწოლი, საცხვრე[31].

ამგვარად, მესაქონლეობის რესურსები ცენტრალური კავკასიონის კალთებზე იყო განლაგებული, ის სოფლისპირებიდან იწყებოდა და 3000 მ სიმაღლემდე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები, კერძოდ, თუში და ფშაველი მეურნეები, დიდი მეცხვარე-მესაქონლეები აქტიურად იყენებდნენ მცირე კავკასიონის ფერდობებზე მდებარე სასაძოვრო მთებსაც. ხშირად მთა ატარებდა იმ სოფლის სახელწოდებას, რომელსაც ეკუთვნოდა. ასეთებია დასახელებული მთები: ხართიქორთ (ინგუშეთში), ხოილამ, დაილამ, ჩერმოილამ (ხოის, დაის, ჩერმოის მთები ჩაჩნეთში), ყვარას, კორსავის, სოფლიონის (ივრის ხეობის სათავეებში), წაროს, დართლოს, დანოს, ჩიღოს, კვავლოს (თუშეთში) და

---

[29] ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ, მოამბ, VIII, ტფ., 1897, გვ. 34.

[30] მ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთში, მესხეთ-ჯავახეთი, თბ. გვ. 66.

[31] ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969. გვ. 18.

სხვა მრავალი. მთელი ფართობები სამეურნეო ზონებად იყოფოდა და ყოველი სიმაღლის ზონას თავისი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. სწორედ აქედან გამომდინარეობს საძოვრების ოთხი კატეგორიის გამოყოფა.

საერთოდ, ალპური მეურნეობის ლანდშაფტისათვის მიღებულია მთების დაყოფა სამ ნაწილად. ერთმანეთისაგან გამოყოფენ მეწველი, მშრალი მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის ზონებს. მთების კლასიფიკაციის ეს სისტემა, ზოგად ფორმებში, შეესატყვისება ცენტრალური კავკასიონის მთური მეურნეობის პრინციპებს. საყურადღებოა ისიც, რომ ცენტრალური კავკასიის მთიანეთში შემავალი ყოველი კუთხე ხასიათდება მეურნეობის წარმოების ზოგადკავკასიური ფორმებით, რაც ახლო ანალოგიას პოულობს დასავლეთ ევროპის მთიანეთის ალპური მეურნეობის სისტემასთან.. ამავე დროს, ყოველი კუთხე, ერთ ხეობაში შემავალი სოფლებიც კი გამოირჩევიან ლოკალური თავისებურებებით. ამას განსაზღვრავდა მეურნეობის პროფილი, სამეურნეო ფართობების ოდენობა, სოფლის მიმართ მათი განლაგების თავისებურებები, რელიეფი, კლიმატური პირობები, კომუნიკაციები და სხვ. ყოველივე ეს აისახებოდა მეურნეობის წარმოების სისტემასა და შრომის ორგანიზაციის ფორმებში. როგორც დავინახეთ, ეთნოგრაფიული მასალა მკვეთრად გამოჰყოფს საჯოგე მთებს საცხვრე მთებისაგან. აქედან გამომდინარე, ვღებულობთ ორ ძირითად ზონას: პირველს მსხვილფეხა საქონლისა და მეორეს ცხვრისათვის. პირველი მათგანი, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ორ ნაწილად — საძროხედ და სახაროვნედ, ხოლო მეორეში მეწველი ცხვრისათვის განკუთვნილ ფართობებს გამოეყოფა სამშრალე და საბატკნეები.

არამარტო მაღალმთიან ზოლში, ზამთრის საძოვრებზეც გამოიყოფა მ თ ა და ბ ა რ ი; ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო და ს ა შ ე მ ო დ გ ო მ ო; ჩ რ დ ი ლ ი და მ ზ ვ ა რ ე; ს ა დ ო ლ ე და ს ა მ შ რ ა ლ ე; უ ო რ უ ღ ი (დაცული საძოვარი) და სხვა, მაგრამ ამაზე შემდეგ. რაც შეეხება ტერმინ მ თ ა ს (ქართ.), ლამ/ /ლოამ-ს (ჩაჩნინგ.), ხოხ-ს (ოს.) მარტო გეოგრაფიული ცნება კი არ იყო, მას სამეურნეო მნიშვნელობაც ჰქონდა. რა სიმაღლეზეც არ უნდა ყოფილიყო სოფელი, მთას უწოდებდნენ მის ზემოთ მდებარე ფართობებს, განსხვავებით ბარისა — იმ ფართობებისა, რომლებიც სოფლისპირას და მის ქვემოთ მდებარეობდა. ტერმინოლოგიაშიც მტკიცედ იყო დამკვიდრებული მთა და ბარი, რომელშიც ჰიფსომეტრულად ამ ორი განსხვავებული ზონის სამეურნეო მნიშვნე-

ლობა იგულისხმება; მ თ ა ბ ა რ ო ბ ა — მესაქონლეობის იმ ფორმის აღმნიშვნელად, რომელიც ითვალისწინებდა მთისა და ბარის საძოვრების თანმიმდევრულ ათვისებას, როგორც სოფლის ან ხევის ფარგლებში, ისე უფრო ფართო მასშტაბებით; მ თ ო ბ ა — მთის საძოვრებისაკენ დაძვრა; მ ე მ თ ე ვ რ ი — მთის საძოვრებზე საქონლის მოვლა-პატრონობისა და წველა-დღვებისათვის გამოყოფილი პიროვნება და სხვა.

ზამთრის საძოვრებად გამოიყენებოდა ამიერკავკასიის ცხელ და ველიან ზოლში მდებარე ფართობები. ძირითადად ეს იყო მტკვრისა და არაქსის ხეობებში მდებარე, აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიის ყველა ურწყავი ველი. ეს ადგილები დაცულია კავკასიის ქედიდან მონაბერი ქარებისაგან და გამოირჩევა ატმოსფერული ნალექების ნაკლებობით. აღნიშნულთან ერთად, სარწყავი სისტემის უქონლობა, ცხელი და აუტანელი ზაფხული, რაც წვავდა მცენარეულს, მწერებისა და ქვეწარმავლების სიმრავლესთან ერთად, აღნიშნულ ფართობებს ზაფხულის პერიოდში გამოუყენებელს ხდიდა. ზამთრობით კი პირიქით, რბილი და მცირეთოვლიანი ზამთარი და ახლად ამოსული მცენარეული საკვები საქონლის გამოზამთრების კარგ პირობებს ქმნიდა. ზამთრის საძოვრები, რომლებიც მდებარეობდნენ ქვემო ქართლში, ივრის ხეობის დაბლობებსა და შირაქის ველზე, შემოსაზღვრული იყო ბორჩალოს, დუშეთის, თიანეთის, თელავის მაზრებით (დუშეთის, თიანეთის, თელავის, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონები). მათ ასევე ემიჯნებოდა ზაქათალისა და დაღესტნის ტერიტორია, რომელთა საზაფხულო საძოვრებსაც არ გააჩნდათ დასაზამთრებელი ადგილები[32].

ქვემო ქართლის, მტკვრისა და ივრის ხეობებში მდებარე ზამთრის საძოვრები ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი. ამ ადგილებისათვის ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მიუქცევია ყურადღება, რაც სახელმწიფოს ეკონომიკაში მის როლზეც მიგვანიშნებს. „ტფილისიდგან ვიდრე ბარდავადმდე, აღნიშნავს მემატიანე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ მშუენიერთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის ვითარცა არესა გაზაფხულისასა ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს

---

[32] И. А н д р о н и к о в, Скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК, V, I, Тифл., 1888, с. 231; П. В а р а в и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, 103.

სიმრავლე ნადირთა თვითოფერი და საშუებელი ყოველი"[33]. შემდეგ მასზე ყურადღებას ამახვილებს ვახუშტი ბაგრატიონი. ივრის ხეობის აღწერისას ის აღნიშნავს, რომ ხორანთიდან იორსა და მტკვარს შუა წამოიმართება მცირე მთა, რომელსაც ეწოდება გრძელტბა და გარეჯა, ეს მთა ყოფს ერთმანეთისაგან ქართლსა და კახეთს. გარეჯის მთა ჩადივარის გორებით მიადგება ლილოს, ხოლო ლილოს მთა—კახეთის მთას. „მდებარებს მთა ესე, წერს ავტორი, ვითარცა მდინარე იორისა, და არს უტყეო, თვინიერ ძეძუთა, და თუთუბოთა და ეგრეთთა სხუათა მრავალთა... გარნა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზამთრებიან სიმრავლე არვეთა, მროწლეთა, რემათა იმიერ და ამიერ, გარნა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები". გარდა ამისა, მდ. იორის ნაპირები ვარკვეულ მონაკვეთში ირწყვებოდა ნაკადულებითა და წყაროს წყლებით, რის წყალობითაც ის იყო იმიერ და ამიერ „ფრიად ნაყოფიერი... და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხოხობნი". ივრის ხეობა ალაზნის შესართავამდე და სამგორამდე კარგი შენობებითაც ყოფილა დამშვენებული, მაგრამ ბერქას და თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად მოოხრებულა. შემდეგ აქ დაუსახლებიათ ელი, რამაც ცხადია, გარკვეული გავლენა იქონია ამ კუთხის მეურნეობის ხასიათზე. აქედან მოყოლებული საგარეჯომდე იორს არ ერთვის არც ერთი მდინარე და ხევი, ალაზნამდე არის გაშლილი ველი „ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირე თოვლიანი, ნადირ-ფრინველიანი, ჰავით მშვენი, ხოლო ზაფხული ცხელი, ხაშიანი და გაუძლისი"[34]. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი შემოსაზღვრავს აღნიშნულ ზამთრის საძოვრებს, იძლევა მათი ბუნებრივი პირობების დახასიათებას[35].

ეთნოგრაფიული და სპეციალური მონაცემების მიხედვით, შირაქის ველი მდებარეობს მდინარეებს — იორსა და ალაზანს შორის და 2120 კვ. კმ ფართობი უკავია[36]. ის ორ ნაწილად იყოფა — ბარი და მთა ანუ შირაქი. პირველი მდებარეობს მდ. იორისა და ალაზნის ნაპირებზე, ხოლო მეორეს ამ მდინარეებს

---

[33] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 332.

[34] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 527.

[35] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ. 1930, გვ. 147.

[36] П. В а р а в и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

შორის მდებარე ბორცვები უკავია. მთხრობელთა გადმოცემით, ეს უკანასკნელი იყო საერთო, დაუყოფელი ადგილები, სადაც ოქტომბრიდან თუშებისა და ფშაველების ცხვარი იყრიდა თავს. აქ ძოვდა ცხვარი 1—2 თვეს, რის შემდეგაც მეცხვარეთა ცალკეული ჯგუფები თავიანთ დასაზამთრებელ ადგილებში — შირაქის ბარის ნაწილებში გადიოდნენ. საზამთრო საძოვრებზე ცხვარს დააცალკეევებდნენ და ყველას თავის ადგილს მიუჩენდნენ. თოხლი ცხვარი, რადგან ის უფრო ამტანია, ცალკე ჰყავდათ მაღალ ადგილებზე, ხოლო მოსაგებ ცხვარს თბილ და მყუდრო ადგილებს ურჩევდნენ. ასეთები ყოფილა: ლეკისწყალი, სამუხი, ვაშლოვანი, აჟინაურები, იორი, ტარიმანა, შავი მთის ძირები, ალაზნისპირები. ეს ადგილები, გარდა იმისა, რომ იყო მზვარე, ქარისაგან დაცული, მლაშე ნიადაგებითაც გამოირჩეოდა, მისი ბალახი ცხვარს სიმხურვალეს მატებდა და როგორ ყინვაშიც არ უნდა მოხვედრილიყო არ გაცივდებოდა. ადგილებში: ნაზარლები, ჩაიბულაყები, ღორისწყალი, შუამთა, პატარა შირაქი, ნაგომრალები — თოხლი ცხვრის ბინები ჰქონდათ; ხოლო დიდ ოლეზე, პატარა ოლეზე, შავ მთაზე, კორმებზე თოხლებთან ერთად ზოგიერთები სადოლე ცხვარსაც აზამთრებდნენ. გარდა აღნიშნულისა, ქართველ მეურნეებს ცხვარი ელდარსა და შირვანშიც გაჰყავდათ. გადმოცემით, ისინი ვრცელი, გაშლილი ადგილები იყო მლაშე ნიადაგებით, სადაც ყუათიანი ბალახი მოდიოდა. შირაქში კი სჭარბობდა ურო ბალახი, ყველაზე დაბალპროდუქტიული საკვები.

შირაქის საძოვრები ცალკეულ მეცხვარეებს ჰქონდათ მიზომილი. ის თავდაპირველად მთავრობას დაუნაწილებია და ყოველი ნაკვეთისათვის სათანადო გადასახადი დაუდევთ, მაგრამ ამის შემდეგაც დარჩენილა თავისუფალი ადგილები, რომლებსაც მეცხვარეები სურვილის მიხედვით იკავებდნენ. როგორც ჩანს, XIX ს. 80-იან წლებში თუში და ფშაველი მეცხვარე-მესაქონლეები შირაქში ავიწროებენ კახელებს, კერძოდ ქიზიყელებს, რომლებიც იქ დიდი ხნიდან მოყოლებული მტკიცე მეურნეობას ეწეოდნენ. მაშინდელი ხელისუფლება იძულებულია ანგარიში გაუწიოს თუშების და ფშავლების მეურეობის ზრდის ტემპებს და ცდილობს კახელი მეურნეების ხარჯზე გააფართოვოს მათი მოქმედების ასპარეზი[37]. დამდგარა საკითხი შირაქის საძოვრების გადანაწილების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით 1883 წ. მარტში ბოდბისხევის სოფ-

[37] სსცა, ფონდი 244, ანაწერი 3, საქ. № 1155, ფ. 4.

ლის საზოგადოება შეკრებილა და ამოურჩევიათ თავიანთი წარმოწადგენლები, რომლებიც უნდა დასწრებოდნენ შირაქში საძოვრების გადანაწილებას. ამავე მიზნით ამოურჩევია წარმომადგენლები სოფ. მირზაანის საზოგადოებასაც[38]. 1883 წ. 29 მარტს ბორჩალოს მაზრის უფროსის თავად აფხაზის წინადადებით შეიკრიბენ თუშები, ქისტები, ფშავლები, მთიულები და თიანეთის მაზრის კახური მოსახლეობა საერთო ყრილობის სახით და გადაწყვიტეს მათ სარგებლობაში მყოფი შირაქის საძოვრები, რომლის საერთო ფართობი იყო 101168 დესეტინა, 600 კვ. საჟენი, გაეყოთ ორ თანაბარ ნაწილად. ერთი ნაწილი უნდა დარჩენოდა თუშებს და ქისტებს, მეორე ნაწილი—ფშავლებს, მთიულებს და თიანეთის მაზრის კახურ მოსახლეობას. აირჩიეს თავისი რწმუნებულებიც, რომელთაც უცხადებდნენ სრულ ნდობას და ავალებდნენ საძოვრების გაყოფაში მონაწილეობის მიღებას[39].

როგორც ჩანს, საძოვრების ხელახალი გადანაწილების შესახებ კანონი 1884 წ. 29 ივლისს გამოცემული. ამასთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული კანონის მოქმედებაში შესვლამდე საძოვრები: 1. შ ი რ ა ქ ი და ტ ა რ ი ბ ა ნ ი, საერთო ფართობი 107617 დესეტ. 200 კვ. საჟ. იმყოფებოდა თიანეთის მაზრაში მცხოვრებ თუშების და ფშავლების, დუშეთის მაზრაში მცხოვრებ ქისტების და მთიულების სარგებლობაში, შემდგომშიც ასევე დარჩენილა. მეურნეები ზაფხულობით გადადიოდნენ თიანეთის, ყარსის ოლქისა და დაღესტნის მთებში. 2. ჯ ე ი რ ა ნ ჭ ო ლ ი, ზ ი ლ ი ჩ ი და შ ა ვ ი ი მ თ ა, საერთო ფართობი 17582 დეს. 800 კვ. საჟ. 1884 წ-მდე იმყოფებოდა თუშების, ფშავლების და ზაქათალის ოკრუგის მცხოვრებთა სარგებლობაში. შემდგომში დარჩენილა ზაქათალის ოკრუგის მცხოვრებ ლეკების ხელში. ამ უკანასკნელთ ზაფხულობით ცხვარი მიუდიოდათ დაღესტნის ოლქის სამურის ოკრუგის მთებში. 3. კ ო მ რ ო ი, ბ უ ღ ა მ ა ი დ ა ნ, ბ ე ნ ბ უ ლ ა ხ, ა რ პ ა დ ა რ ა და ჯ ე ი რ ა ნ ჭ ო ლ ა, 20059 დეს. 1600 კვ. საჟ. იმყოფებოდა თუშების, ფშავლების და ზაქათალის ოკრუგის მცხოვრებთა სარგებლობაში. ეს უკანასკნელნი ზაფხულობით ინაცვლებდნენ სამურის ოკრუგის მთებში. შემდგომში ეს ფართობები დარჩენილა სამურის ოლქის ლეკების სარგებლობაში. 4. „ელდარი“, 14243 დეს. იმყოფებოდა სიღნაღის

---

[38] იქვე, ფ. 172.

[39] იქვე, ფ. 72.

მაზრის სოფლების კიანლ კიანტისა და ნაგლათ კიანტის სარგებლობაში, რომლებიც ზაფხულობით მომთაბარეობდნენ ერევნის გუბერნიის ნოვობაზალეთის მაზრის მთებში. 5. ჩ ა თ მ ა, 16080 დეს. 1200 კვ. საჟ. იმყოფებოდა ყაზახის მაზრის მცხოვრებთა სარგებლობაში, ზაფხულობით მომთაბარეობდნენ ერევნის გუბერნიის ნოვობაზალეთის მაზრის მთებში. საძოვარი 1884 წ. შემდეგაც დარჩენილა მათივე სარგებლობაში. 6. ს ა რ ი ლ ო რ, 1768 დეს. ნაკვეთი იმყოფებოდა სამეურნეო გამგებლობაში, 1884 წლიდან მით სარგებლობის უფლება მიუღიათ სიღნაღის მაზრის სოფ. უსუფლის მცხოვრებთ, რომლებიც ზაფხულობით მომთაბარეობდნენ ნოვობაზალეთის მაზრის მთებში. მომდევნო ნაკვეთების სახელები დასახელებული არ არის, ნაჩვენებია მხოლოდ მათი ფართობები და ვის სარგებლობაში იმყოფებოდა. მაგალითად: 7. 1492 დეს. 1200 საჟ. 1884 წლამდე სარგებლობდნენ თუშები და ფშავლები, შემდეგ კი მიუკუთვნებიათ სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბეს მცხოვრებთათვის. ამ უკანასკნელთ ზაფხულობით პირუტყვი თრიალეთის მთებში მიუდიოდათ. 8. 2532 დეს. 1200 კვ. საჟ, მით სარგებლობდნენ თუშები და ფშავლები, შემდეგ მიუკუთვნებიათ სიღნაღის მაზრის სოფ. მირზაანისათვის. მათაც პირუტყვი ზაფხულობით თრიალეთის მთებში მიუდიოდათ. 9. 1963 დეს. 1800 კვ. საჟ. ეს ფართობი 1872 წ. 24 წლის ვადით არენდით ჰქონიათ გადაცემული სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ ბაღდასარ და პავლე საფაროვებს. და ბოლოს, 10. 5000 დეს. 1884 წ. 1 ივლისიდან 3 წლით იმყოფებოდა თბილისის გუბერნიის თავადების რევაზ ვაჩნაძის, სიმონ ანდრონიკაშვილის ანუ აფხაზის, გიორგი ჯორჯაძის და ალექსანდრე მაჩაბლის სარგებლობაში[42].

იმის საილუსტრაციოდ თუ რა სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა ივრის ხეობის ქვედა წელსა და შირაქის ველებს ქიზიყის მცხოვრებთათვის, რომლის საზღვრებშიც ისინი იყვნენ მოქცეული, მოვიტანთ ჩვენ მიერ სოფ. ზემო მაჩხაანში ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალას.ზემო მაჩხაანი ქიზიყის მთიანეთად ითვლება, მართალია აქ ვაზი ხარობს, მაგრამ ყურძენი დამწიფებას ვერ ასწრებს და ღვინოც შედარებით მჟავე, უხარისხო დგება. ამიტომ მოსახლეობას ვენახები ძირითადად ქვემოთ ჰქონდათ, ალაზნის ველის მიმართულებით. ასეთი ადგილები ყოფილა ქუმბათი, შიხახევი და სხვა, სოფლიდან დაახ. 15 კმ-ზე, სოფ. ქვემო მაჩხაანსა და ჯუგაანს შორის. სოფლისპირები საძოვრებად ჰქონდათ და უმნიშვნე-

[42] სსცია, ფონდი 244, ანაწერი 3, საქ. № 1155, ფ. 224.

ლო ფართობებს სათიბებად იცავდნენ. აქ მოწეული თივა და საძოვრები ძირითადად სახედრებს ხმარდებოდა, საქონელი კი ზამთარ-ზაფხულ ჰყავდათ თელაწყალზე, იორზე, ოლეზე, წინამხარში და შირაქში. ივრის ქვედა წელში ველები მხოლოდ საძოვრების ფუნქციას ასრულებდა და მასზე ქიზიყის ყველა სოფელს ედო წილი. მისი ტერიტორია და, საერთოდ, აღნიშნული საძოვრები, მთელი წლის განმავლობაში ეთმობოდა მსხვილფეხა საქონელს და კამეჩებს, ხოლო ცხვარი და ზოგიერთებს მსხვილფეხა საქონელიც ზაფხულობით თრიალეთსა და ლეკიმთებში (დაღესტნის საძოვრებზე) მიუდიოდათ. ერთ-ერთი მთხრობელის, გიორგი ნატროშვილის, გადმოცემით, მათ ოჯახს ბინები ჰქონდა ოლეზეც, წინამხარშიც და შირაქშიც. შირაქი შედარებით მაღალი და ცივი ადგილია, თუ აქ საქონელს საკვები არ ეყოფოდა, წინამხარში ჩაიყვანდნენ და ცხვართან ერთად ჰყავდათ. თელაწყალსა და შირაქში საქონლის საზაფხულო და საზამთრო ბინებთან ერთად ჰქონდათ სათიბები, აქვე ჰქონდათ მოწყობილი კალოები, მარცვლეულის შესანახი ორმოები და სხვ. თელაწყალი სოფელთან შედარებით ახლოსაა, მდებარეობს სოფლის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთით 9 კმ-ზე და მით, უფრო მეტად, ნატროშვილები და მაღრიბაშვილები სარგებლობდნენ. მათ აქ ჰყავდათ საქონელი იმ რაოდენობით, რაც დასჭირდებოდათ მამულების დასამუშავებლად და საწველად, დანარჩენი იორზე ჰყავდათ გარეკილი. ამჟამად თელაწყლის ფართობების დიდი ნაწილი ვენახებს უკავია. შირაქი სოფლიდან 30—40 კმ-თაა დაშორებული. ოჯახს ან თელაწყალზე უნდა ჰქონოდა მამულები ან შირაქში, ორივეგან არ შეიძლებოდა და ვერც გასწვდებოდა. სამიწათმოქმედო სამუშაოების დაწყებისთანავე ოჯახები მთელი შემადგენლობით ინაცვლებდნენ თავიანთ სამეურნეო ფართობებზე, აქედანვე იგზავნებოდა პიროვნება ვენახების დასამუშავებლად.

ამგვარად, შირაქი წარმოადგენდა ქიზიყის მოსახლეობის ძირითად სამეურნეო ფართობს, აქ იყო გაშლილი მათი სახნავები, სათიბები და საძოვრები მესაქონლეობის სრული წლიური ციკლის საწარმოებლად. ოჯახის მთელი სამეურნეო საქმიანობა თითქმის ამ ფართობზე წარმოებდა. ქართველი მთიელები კი, როგორც აღვნიშნეთ, შირაქს მხოლოდ ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ.

თანამედროვე მონაცემების მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული რაიონები, რომლებიც ალაზნისა და ივრის აუზებ-

შია მოთავსებული, სხვათა შორის, მოიცავს ერწო-თიანეთსა და თუშეთსაც. ეს ე. წ. აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონი, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ხასიათდება უაღრესად კარგი სასოფლო-სამეურნეო პირობებით. ამ პირობებს ქმნის მისი რელიეფი, კლიმატი და ნიადაგობრივი საფარი. მიუხედავად იმისა, რომ რაიონი გამოირჩევა მარცვლეული კულტურების წარმოებისა და მევენახეობის მაღალი დონით, სათიბ-საძოვრების დიდი მარაგი მესაქონლეობის განვითარებასაც კარგ პირობებს უქმნიდა. სათიბ-საძოვრებს მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 55,2% უკავია. აქ თავმოყრილია ზამთრის საძოვრების ძირითადი ფონდი (იორ-ალაზნისა და მტკვარ-ივრის წყალგამყოფზე), რაც მეცხვარეობის განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს[41]. ისინი შეიცავენ როგორც საკუთრივ საზამთრო საძოვრებს (ზ. დ. 400—500 მ სიმაღლეზე), ისე გარდამავალს (500 — 1000 მ-დე), რომელთა ექსპლოატაცია გაზაფხულსა და შემოდგომაზე უნდა ხდებოდეს, მაგრამ საზამთრო ფონდების უკმარისობის გამო, ზამთარშიც ხდებოდა მისი გამოყენება. საზაფხულო საძოვრები კი განლაგებულია თუშეთისა და კავკასიონის მაღალმთიან ზოლში[42].

საქონლის საზამთრო ძოვება ხდებოდა მთაშიც. ამის შესაძლებლობას იძლეოდა მთის სამხრეთისაკენ დაქანებული და ხეობებით დაღარული ფერდობები, სადაც მზისა და ქარის მეშვეობით თოვლი დიდხანს ვერ ძლებდა.

როდესაც სამეურნეო რესურსებს ვეხებით, არ შეიძლება გვერდი აუაროთ ჩრდილო კავკასიის ბარის რაიონებს, თერგის პირებსა და ყიზლარის ველებს; დასავლეთ კასპიისპირეთს, განსაკუთრებით კი, ე. წ. „შავ მიწებსა“ და „ნოღაის ველებს“, რომლებიც უძველესი დროიდან და ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც მნიშვნელოვან სამსახურს უწევდა არა მარტო ჩრდილო კავკასიის მეცხვარეებს, არამედ ქართველ მთიელებსაც[43].

XIX ს. მეორე ნახევარში თბილისის გუბერნიაში (თბილისის,

---

[41] გ. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი, საქართველოს სსრ აღმოსავლეთი ეკონომიური რაიონის ფორმირება-განვითარების ეკონომიურ-გეოგრაფიული საფუძვლები, საქართველოს აღმოსავლეთი ეკონომიური რაიონი, თბ., 1977, გვ. 6—15.

[42] ე. ზ ო ნ ე ნ ა შ ვ ი ლ ი, გ. ც ა გ ა რ ე ლ ი, სოფლის მეურნეობა, საქართველოს აღმოსავლეთი ეკონომიური რაიონი, თბ., 1977, გვ. 146.

[43] Е. К р у п н о в, К истории моздокской степи и западного Прикаспия, Материалы по археологии и древней истории Северной Осетии, т. II, Орджоникидзе, 1969, с. 61.

ბორჩალოს, თელავის, სიღნაღის, გორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში) აღრიცხულია მთის საზაფხულო საძოვრების 183 ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 105956 დესეტინას აღწევდა; და ზამთრის საძოვრების 742 ნაკვეთი (თბილისისა და სიღნაღის მაზრებში) — 265015 დესეტინა ფართობის მოცულობით. ქუთაისის გუბერნიის საზაფხულო საძოვრები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ დასაზამთრებელი ადგილები, ძირითადად განლაგებული იყო რაჭისა და ლეჩხუმის მთებში და მათი საერთო ფართობი შეადგენდა 65054 დესეტინას[44]. ცხადია, მოტანილი ციფრები სრულად არ ასახავს საძოვრების რაოდენობას, მასში აღრიცხულია მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს განმგებლობაში იყო და ხაზინას გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის ფარგლებსაც სცილდება სასაძოვრო ფართობების აბსოლუტური სიზუსტით წარმოჩენა. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების დისპროპორცია ყოველთვის მწვავედ იგრძნობოდა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, რაც მეურხეებს დიდ საზრუნავს უჩენდა.

საძოვრების მოცემული კლასიფიკაციის თანახმად, მესაქონლეობის წარმოების სისტემა ასე გამოიყურება: გაზაფხულზე, თოვლის აღებისთანავე საქონელი გამოდის სოფლისპირა საძოვრებზე. საძოვრებად ამ პერიოდში, სხვა ფართობებთან ერთად, ყანები და მისი მომიჯნავე ფართობები გამოიყენებოდა. სამიწათმოქმედო საშუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით ხდება სათანადო ფართობების იზოლირება და საქონელი (ჯერ ცხვარი, შემდეგ კი მსხვილფეხა საქონელიც) ინაცვლებს შედარებით მაღლა, საგაზაფხულოსაშემოდგომო საძოვრებზე. ამ ფუნქციას, ძირითადად, სოფლიდან რამდენადმე მოშორებით მდებარე სათიბები ასრულებდა. მაისის ბოლოს ან ივნისის პირველი რიცხვებიდან საქონელი უკვე მთის საზაფხულო საძოვრებზეა. სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან საქონელი იწყებდა დაბლა დაშვებას. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის სოფლისპირა საძოვრებით სარგებლობდა, შემდეგ კი გადადიოდა ბაგურ კვებაზე. ნაწილი მთის საზამთრო სამეურნეო ბაზებზე გაჰყავდათ, ხოლო დიდ ფარებს ბარისკენ მიერეკებოდნენ. საქონლის მთის საძოვრებზე წაყვანისა და იქიდან დაბრუნების ვადები ამინდების შესაბამისად იგეგმებოდა.

საქონლის გადაადგილების ეს მტკიცედ შემუშავებული ვერტიკალურ-ზონალური სისტემა ითვალისწინებდა სამეურნეო რე-

[44] П. Варавин, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—97.

სურსების რაციონალურად გამოყენებას. მაშინ როდესაც სოფლისპირა საძოვრები მწვანით იყო მოსილი, ხოლო მაღალმთიან ზოლში ჯერ კიდევ ციოდა და არც საკვები მცენარეული ჩანდა, საქონელი გადაჰყავდათ საგაზაფხულო საძოვრებზე, სადაც ის მთაზე ასასვლელად ემზადებოდა, ნედლი ბალახით იკვებებოდა და თან აკლიმატიზაციას გადიოდა. ასეთი საძოვრები, ჩვეულებრივ, ხეობის მზიან ფერდობებზე იყო შეფენილი, იგივე ფართობები გამოიყენებოდა საშემოდგომო საძოვრებადაც მთიდან დაბრუნების ჟამს.

ამგვარად, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში მესაქონლეობა ალპურ ხასიათს ატარებდა. ის ითვალისწინებდა ადგილობრივი მთისა და ბარის საძოვრების გეგმაზომიერ ათვისებას, რის გამოც საქონლის გადაადგილება ხდებოდა ვერტიკალურ-ზონალურ ჭრილში მტკიცედ შემუშავებული პრინციპების მიხედვით. სპეციალურ ლიტერატურაში ალპური მეურნეობის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია ალპური მცენარეულით მდიდარი საზაფხულო საძოვრებისა და ბარის საზამთრო საკვები ბაზების სამეურნეო-გეოგრაფიული ერთიანობა: საქონლისა და მისი მომსახურე პერსონალის მოძრაობა ბარიდან მთაში და მთიდან ბარში; ალპური მესაქონლეობის სეზონურობა და მისი დამოკიდებული ხასიათი ბარის სამეურნეო ბაზებთან[45]. მისთვის ასევეა დამახასიათებელი ერთი და იგივე ზონაში საქონლის ჰორიზონტალური გადაადგილება ხეობის სხვადასხვა მხარეს მდებარე საძოვრების ასათვისებლად. ხეობის დაყოფაც მზიან და ჩრდილოვან მხარეებად სამეურნეო პირობებიდან გამომდინარეობდა. ეს პირობები იმაში მდგომარეობდა, რომ მთის სამხრეთი კალთები მთელი დღის განმავლობაში მზითაა განათებული, ამიტომ თოვლი ადვილად დნება და მოსახლეობას საშუალება ეძლეოდა საქონელი ზამთრის დღეებშიც საძოვარზე გამოეყვანათ. ამასთან, ადრე გაზაფხულზე საქონელი მზიან ფერდობებზე გამოჰყავდათ, რადგან მოპირდაპირე ფერდობებს ჯერ კიდევ თოვლი ფარავდა. ყოველივე ეს განსაზღვრავდა იმასაც, რომ საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრებად მზიანი ფერდობები გამოიყენებოდა.

მაგრამ ყველა სოფელი არ სარგებლობდა საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრებით. ცალკეულ შემთხვევებში ისინი იმდენად ახლოს იყვნენ სოფელთან, რომ სოფლისპირა საძოვრებს ერწყმოდ-

---

[45] ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში..., გვ. 18. მისივე, К вопросу горного скотоводства в Грузии, „მაცნე", 1968, № 3, 106.

ნენ და ამდენად, იქ სპეციალური სამეურნეო ბაზების მოწყობა აუცილებელი აღარ იყო. ამ შემთხვევაში ვერტიკალური ზონალობის სისტემაში არსებული ერთი საფეხური ირიცხებოდა და საგაზაფხულო საძოვრების ფუნქციას სოფლისპირა საძოვრები ითავსებდა. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთის საძოვრების სიახლოვის, რთული რელიეფისა თუ სხვა გარემოებათა გამო, მეწველი ძროხებისათვის განკუთვნილი ზონა კარგავდა ალპების მნიშვნელობას და შესაბამის საძოვრებს მეურნეები უშუალოდ სოფლიდან უკავშირდებოდნენ ყოველდღიურად. ყველა ეს თავისებურება კარგად ჩანს კონკრეტულ მაგალითებში.

ვ. შამილაძეს თავის მონოგრაფიაში მოტანილი აქვს ხევსურეთის სოფ. დათვისის სქემა, როგორც მთური მესაქონლეობის ერთ-ერთი ტიპიური მაგალითი[46]. ამ სოფელში მართლაც კარგად ჩანს საძოვრების კლასიფიკაციისა და მათი თანმიმდევრული გამოყენების პრინციპი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. გაზაფხულზე, სამიწათმოქმედო სამუშაოების დაწყებისთანავე, სოფლისა და საბოსლოების მომიჯნავე სახნავი ფართობების დაცვის მიზნით, საქონელი გადაჰყავდათ შედარებით მაღალ ზოლში, საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრებზე, სადაც ასევე ს ა ბ ო ს ლ ო ე ბ ი|ს ა მ თ ო ე ბ ი ჰქონდათ მოწყობილი. მაისის პირველი რიცხვებიდან კი იწყებოდა მაღალმთიანი ალპური საძოვრების ექსპლოატაცია, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი თოვლის საფარისგან თავისუფლდებოდა. სექტემბრიდან, როცა მთაში საგრძნობლად აცივდებოდა, საქონელი ჩამოინაცვლებდა საშემოდგომო საძოვრებზე, ხოლო სოფლად ჭირნახულის აღებისა და საკვების საზამთრო მარაგის დაბინავების შემდეგ სოფელში ბრუნდებოდა.

სოფ. ჩირდილისა და ბუჩუკურთას სასაძოვრო მთა იყო საჩალე. ეს მთა ორ ზონად იყოფოდა—დაბლობში საზაფხულო ბოსლები ჰქონდათ მოწყობილი და მისი მახლობელი ფერდობები მეწველ საქონელს ეთმობოდა, ზედა წელში კი ხაროვანი ძოვდა. მართალია მთა სოფელთან ახლოს არის, მაგრამ მოსახლეობა მაინც ამჯობინებდა იქ ბაზების შექმნას და ზაფხულობით საქონლის სტაციონალურად ყოლას. ანალოგიური ვითარება იყო სოფ. როშკაში. მისი სასაძოვრო მთის ფერდობები, რომლებიც სახნავების გაგრძელებას წარმოადგენდა, ორ ზონად იყოფოდა. ქვედა წელში მდებარე საძოვრები — საროკვის ვაკე, უნაგირა, ელიაწმინდა, საბაგო მეწველ სა-

---

[46] В. Шамиладзе Хозяйственно-культурные и..., с. 88.

ჭონელს ეთმობოდა და საზაფხულო ბოსლები ჰქონდათ მოწყობილი. ზედა წელი კი, ე. წ. მთის კუდები (სალოკოკუდი, სახოხე, სალებეთავი, საზამთრო) სახაროვნეებად ჰქონდათ. ამ ზონამდე ზოგჯერ მეწველი საქონელიც ადიოდა. სოფელში რომ მამულები დაიხვნებოდა და სათიბები დაისარყებოდა, საქონელი მთაში მიჰყავდათ და ზოგჯერ ოქტომბრამდეც იქ აჩერებდნენ (ამინდების შესაბამისად). ბაგურ კვებაზე გადაყვანამდე შეიძლებოდა კვლავ საძოვრებით ესარგებლათ, მხოლოდ საქონელი საღამოს სოფელში უნდა ჩამოეყვანათ. რადგან იქ უკვე საკმაოდ ციოდა. საქონელი აქ სოფელში იზამთრებდა, სხვა საზამთრო ბაზეაი არ ჰქონდათ.

სოფ. ღულის მოსახლეობას მეწველი და მშრალი საქონელი ღულისთავზე დაუდიოდა, მხოლოდ ისინი ცალ-ცალკე იყვნენ დაჯგუფებული და ორივეს თავ-თავისი მწყემსი ჰყავდა. საღამოს კი საქონელი სოფელში ბრუნდებოდა. სოფელი მხოლოდ ამ საძოვრებით კმაყოფილდებოდა და, ცხადია, არც პარალელური სამეურნეო ბაზები ჰქონდა სადმე მოწყობილი. სოფ. ქობულოს მცხოვრებნიც ყოველდღიურად მოდენიდნენ საქონელს სოფელში. მის საძოვრებზე (მთათმეედანი, დეკათყურე, ბაჭყუისყურე, საქონლის საქუჩელა, ყველა ერთი მთის ნაწილებია) საზაფხულო ბოსლების მოწყობა იმითაც ხდებოდა შეუძლებელი, რომ მათზე წყალი არ იყო, საქონელი უკან მობრუნებამდე ვერ ნახულობდა დასარწყულებელს. ცალკე ჰქონდათ სახაროვნეები — ბუქურათ ახო და იჩიტი და ზამთრის ბოსლები: კეოზე, ტინთიზე, დათვიათჭალაზე — სოფლის ქვემოთ ხეობის მზიან მხარეს.

მოტანილი მაგალითებიდან ისიც შეიმჩნევა, რომ ზამთრის ბოსლები ეწყობოდა სოფლის გასწვრივ, ან მისგან რამდენადმე დაბლა, მაგრამ ყველა სოფელი არ სარგებლობდა ასეთი ზამთრის ბოსლებით. თუ სოფ. ჩხუბას საზამთრო სამეურნეო ბაზები ჰქონდა სოფლიდან რამდენადმე ქვემოთ, ხეობის მოპირდაპირე მზიან მხარეს, იმიტომ რომ სოფელი გაშენებულია ხეობის ჩრდილოვან მხარეს, სადაც შედარებით უხვთოვლიანი და მკაცრი ზამთარი იცის. გარდა ამისა, ხეობის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სამეურნეო ფართობებიდან არცთუ ისე იოლი იყო საქონლის საკვების და მარცვლეულის გადმოტანა. სოფ. მისახოს კი ასეთი საბოსლოები არ სჭირდებოდა, რადგან ის მზვარეზე მდებარეობს (ხეობის მოპირდაპირე მხრიდან გაჰყურებს სოფ. ჩხუბას) და საზამთრო ბაზებად განკუთვნილი ფართობები სოფლისპირებში იყო. გადმოცემით, სოფ. მი-

სახოს ტერიტორია ადრე დაუსახლებელი ყოფილა და მას ჩხუბას მცხოვრებნი იყენებდნენ — ხნავდნენ და საზამთრო ბაზები ჰქონდათ მოწყობილი. შემდეგ ერთ-ერთ, ფშავიდან მოსულ მწყემსს არაბულის გვარი მიუღია და იქ დამკვიდრებულა. ცხადია, მისახოში დაფუძნებულ ოჯახს მეურნეობის და კერძოდ, მესაქონლეობის განვითარების შესანიშნავი ბუნებრივი პირობები ექნებოდა.

ამგვარად, იმასთან დაკავშირებით თუ სოფელი როგორ გეგმავდა მეურნეობის სისტემას, გასათვალისწინებელია ჰიფსომეტრულად ის რა სიმაღლეზე მდებარეობდა, როგორი ექსპოზიცია ეკავა მზის მიმართ, სოფლის მიმართ როგორ იყო განლაგებული მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და რა გზებით უკავშირდებოდა მათ. ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ მამულების დაცვა აუცილებელს ხდიდა სოფლის გარეთ მეწველი ძროხებისათვის სამეურნეო ბაზების მოწყობას, თუნდაც მისთვის განკუთვნილი ფართობები არცთუ ისე შორს ყოფილიყო. როგორც აღვნიშნეთ, ამ ბაზების სოფელთან სიახლოვე აუცილებელიც იყო, რომ იქ ზომსახურე პერსონალს ოჯახთან განუწყვეტელი კავშირი ჰქონოდა. ასეთი ბაზების მოწყობას ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ საქონელი დღის განმავლობაში ბინასა და საძოვრებს შორის დიდი მანძილის დაფარვით ზედმეტ ენერგიას აღარ ხარჯავდა, რაც დადებითად ზემოქმედებდა წველადობასა და რძის ხარისხზე. სხვა შემთხვევაში, სოფლის მიმართ სასოფლო-სამეურნეო ფართობების განლაგების თავისებურება, სახნავების იზოლირების შესაძლებლობა და მთის სიახლოვე საშუალებას იძლეოდა საქონელს მთელი ზაფხული სოფელში გაეტარებინა. უმეტეს შემთხვევაში, სოფელში რჩებოდა მხოლოდ მეწველი ძროხები, მშრალი საქონელი და ხაროვანი კი ცალკე ჰყავდათ მათთვის განკუთვნილ საძოვრებზე.

თუშეთის სოფლებში სანახირე მთების ქვედა კალთები სოფლისპირებიდან იწყებოდა. ამდენად, ალპური ლანდშაფტის სისტემაში სიმაღლის ამ ზონას სოფლისპირა საძოვრები ფარავდა და სარძეო მეურნეობასაც სტაციონარულად აწარმოებდნენ. მხოლოდ სოფ. ომალოსა და შენაქოს მოსახლეობას სოფლისპირა საძოვრების უკმარისობა აიძულებდა ზაფხულის პერიოდში ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი მოეწყვიტა და გაეშვა რამდენადმე მოშორებით მდებარე სამეურნეო ბაზებზე, საქონლის მოვლა-პატრონობისათვის და რძის პროდუქტების საწარმოებლად. დაბალ ზოლში ჰქონდათ ზ ა მ თ რ ი ს ბ ო ს ლ ე ბ ი — სოფლის ქვემოთ საყანე ადგილებში

და მთის საბოსლოები — მაღალ ზოლში საქერეებთან და სასვილეებთან. რადგან მთის საბოსლოებიდან უგზოობის გამო საკვების გადმოტანა არ ხერხდებოდა, შემოდგომაზე იქ მიჰყავდათ მშრალი საქონელი, ხოლო შემდეგ ზამთრის საბოსლოებზე ინაცვლებდნენ. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც მეწველი ძროხები მთიდან ჩამოდის სოფელში და შემდეგ ეშვება კიდევ უფრო დაბლა, ბინავდება საზამთრო ბაზებზე. მშრალი საქონელი კი მთიდან დაშვებისას ჩერდება მთის საბოსლოებზე, ხოლო აქ არსებული საკვები მარაგის ათვისების შემდეგ გადაჰყავთ ზამთრის ბოსლებში. ანალოგიური გარემოება ფიქსირებულია ჩრდილო კავკასიის მთიანეთშიც[47].

მთიულეთ-გუდამაყარში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სოფ. დუმაცხოს მოსახლეობას ბოსელში გამოზამთრებული, ყანებსა და სოფლისპირა საძოვრებზე უკვე მუხლგამართული და ნედლ ბალახს შეგუებული საქონელი მიჰყავდათ ბურსაჭირის ხეობაში, სადაც ბოსლები ჰქონდათ მოწყობილი. შემდეგ კი მაღალმთიან ზოლში ინაცვლებდნენ—ღათხევზე, საღვთომაღლის ღელესა და მაკრატელაზე. ოჯახი სოფელში ერთ ძროხას თუ დაიტოვებდა ყოველდღიური საჭიროებისათვის. უკან დაბრუნების დროს ჯერ ბურსაჭირში შეჩერდებოდნენ, ხოლო აქ არსებული საკვები მარაგის ათვისების შემდეგ საქონელი სოფელში გადმოჰყავდათ. სოფ. ცხვედიეთში, მთხრობელთა გადმოცემით, საჯოგარში ყველა ვერ წავიდოდა (ეს იყო სატეტიაის ხევი, ქვიშანი, ტირიფნი. აქ იყო საცხვრე მთებიც), მცირერიცხოვანი და ეკონომიკურად სუსტი ოჯახები სოფლისპირებში მდებარე სოფნაჭერით კმაყოფილდებოდნენ. მაგრამ იყო ისეთი სოფლებიც, რომელთა მოსახლეობაც ძირითადად სოფლისპირა საძოვრებით კმაყოფილდებოდა — მთები არ ჰქონდა, ან მათი სიახლოვე საშუალებას იძლეოდა საქონელი ყოველ საღამოს მოედენათ სახლში.

დამოწმებული გვაქვს ისეთი ფაქტებიც, როდესაც ზაფხულის პერიოდს სოფლისპირა საძოვრებზე ატარებდა არა მარტო მეწვე-

[47] ჩრდილო კავკასიის მთიანეთთან, კერძოდ, ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა, ამ კუთხეებში მესაქონლეობის წარმოების სისტემა აისახა ჩვენს ადრეულ ნაშრომებში, რის გამოც მათზე აღარ შევჩერდებით (იხ. ბ. გამყრელიძე, მესაქონლეობა მთაინგუშეთში, თბ., 1968, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი; მისივე, Из истории скотоводства в горной Ингушетии, КЭС, II, Тб., 1968, с. 237; Егоже, Система скотоводства в горной полосе Северной Осетии, «Мацне», Известия АН ГССР, серия истории,... Тб., 1975, № 3, с. 104; егоже, система скотоводства в Осетии, КЭС, V, ч. 3, Тб., 1980).

ლი საქონელი, მის ფარგლებში რჩებოდა მეწველი ცხვარიც. მაგ., ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე სოფ. გონდაურას, კუპრიანთკარის, სიონის მცხოვრებთ (გარდამავალ ზოლში) ზაფხულობით ცხვარ-ძროხა სოფლისპირა საძოვრებზე დაუდიოდათ და ზამთარშიც ადგილზე ჰყავდათ ბაგურ კვებაზე. სოფლებს არ ჰქონდათ სასაძოვრო მთა, საქონლის იმ რაოდენობისთვის კი, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა იყოლიებდა, სოფლისპირა საძოვრებიც საკმარისი ყოფილა. ცხვარს აერთიანებდნენ და მისთვის იქვე მინდორში აწყობდნენ ბაკებს, საზამთროდ კი ტყის პირებში ჰქონდათ ფარეხები და ქოხები ცხვარ-მეცხვარისათვის. მაგრამ აქაც გამოერეოდნენ ისეთები, რომელთაც სოფლის ფარგლები ევიწროებოდათ და თავიანთი ფარებისათვის შორეულ ადგილებში ეძებდნენ საძოვრებს. ასევე სოფ. ურიყაუში (ქურთათის ხეობის შუა წელი) სოფლისპირებში ეწყობოდა ბინები მეწველი ცხვრისათვის, რძე ზურგზე მოსაკიდებელი ხის ჭურჭლებით გადმოჰქონდათ სახლში, სადაც ხდებოდა მისი გადამუშავება. ჩაჩნეთის მთიანეთში (სოფ. დანხელ, ჭენთოარღუნის ხეობაში) სოფლისპირა საძოვრებზე მეწველი საქონელი რჩებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში, ცხვარი — იელისამდე, სანამ იწველებოდა, შემდეგ კი მთაში ჭენთოილაშზე მიუდიოდათ. რაც შეეხება მშრალ საქონელსა და ცხვარს, ისინი გადიოდნენ ყველა თანმიმდევრულ საფეხურს სოფლიდან მაღალმთიან ალპურ საძოვრებამდე. მაგრამ ჩაჩნეთის აღნიშნულ სოფელშიც ყოფილან ისეთი ოჯახები, რომელთაც სოფლისპირები არ აკმაყოფილებდათ, მათი სარჩო მეურნეობა გაცილებით მეტ ფართობებს მოითხოვდა.

მესაქონლეობის სისტემაში მთავარი პრობლემა იყო საქონლის გამოზამთრება. როგორც დავინახეთ, ეს პროცესი ხდებოდა სოფელში, ძირითად საცხოვრებელ ადგილას, ზამთრის სამეურნეო ბაზებზე, ყანებსა და ტყის პირებში, ბარის საზამთრო საძოვრებზე. ზამთრის სამეურნეო ბაზები, ე. წ. ზამთრის ბოსლები ეწყობოდა ყანებში, შედარებით დაბლობ, ქარისაგან დაცულ და მზიან ადგილებში. აქ გაჰყავდათ საქონელი მთლიანად ან მისი გარკვეული ნაწილი. ეს ბაზები, გარდა იმისა, რომ თბილ და მყუდრო ადგილებში ეწყობოდა, რაც საქონელს შესანიშნავ ბუნებრივ პირობებს უქმნიდა, მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა შრომასაც. ოჯახი თავისუფლდებოდა აქ მოწეული ჭირნახულისა და საქონლის საკვები მარაგის სოფელში გადაზიდვისაგან; ამასთან, იქვე დაგროვილი ნაკელი ადვილად გაჰქონდათ ყანებში. ამგვარად, აღნიშნულ ადგილებში სამეურნეო ბაზების მოწყობა გამომდინარეობდა როგორც მიწათმოქმე-

დების, ისე მესაქონლეობის ინტერესებიდან. ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილის იქ ყოფნა აუცილებელი იყო ჯერ ხვნა-თესვასა და თიბვასთან დაკავშირებული სამუშაოების საწარმოებლად, შემდეგ ჭირნახულისა და საქონლის საკვების მოსამარაგებლად და ბოლოს, საქონლის გამოსაზამთრებლად. მაღალმთიან ზოლში მდებარე სოფლებს ასეთი საბოსლოები ჰქონდათ რამდენადმე დაბლა და მესაქონლეობის წლიური ციკლიც აქედან იწყებოდა. მაგრამ ყველა სოფელი არ სარგებლობდა ასეთი ზამთრის ბოსლებით. ეს დამოკიდებული იყო სოფლის ჰიფსომეტრულობაზე, მის ექსპოზიციაზე მზის მიმართ. სოფლის მიმართ სასოფლო-სამეურნეო ფართობების განლაგებაზე, ოჯახის ფორმასა და ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. შრომის ორგანიზაციის დაგეგმარებაც ამ ფაქტორების გათვალისწინებით ხდებოდა.

თუშეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით, შემოდგომაზე საბოსლოებში საქონელთან ერთად თითქმის მთელი ოჯახი ინაცვლებდა და მთელი სამეურნეო საქმიანობაც აქ წარმოებდა. მთიულეთში მეურნეობის ის ფორმა, რომელსაც ოჯახი აწარმოებდა ერთდროულად სოფელშიც და სამეურნეო ბაზებზეც, ო რ ხ ე ლ ა ო ბ ი ს სახელითაა ცნობილი. იმისთვის რომ ზუსტად გაეერკვეთ მეურნეობის ამ ფორმაში, მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს.

სოფ. წინამხარში მცხოვრებ იოსებ მელიქიშვილის ოჯახს 20-მდე საქონელი და 100 სული ცხვარი ჰყავდა. მამულები ჰქონდათ სოფელში (ბარგლეთი, მეტეხენი, მანათვაკე) და სოფლიდან დაახ. 3 კმ-ზე — ჯავიათში. ოჯახი ძირითადად ცხოვრობდა წინამხარში და ჯავიათშიც ჰქონდა მეორე სახლი. თუ სოფელში მდებარე მამულებს ხნავდნენ, ჯავიათს ასვენებდნენ, ამიტომ ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი ჯავიათში გადადიოდა და საქონელიც თან მიჰყავდა. სოფელში რჩებოდნენ ისინი, ვინც სამიწათმოქმედო სამუშაოებზე იყვნენ გაპიროვნებული. ამით სოფელში მამულებს იცავდნენ, ხოლო ჯავიათი საძოვრების ფუნქციას ასრულებდა. მეორე წელს პირიქით ხდებოდა, ჯავიათს ხნავდნენ, ხოლო სოფელში მდებარე ნაკვეთებს ასვენებდნენ. ამის შესაბამისად საქონელი მისი მომსახურე პერსონალით სოფელში გადმოდიოდა, ხოლო ხვნა-თესვაზე გაპიროვნებული წევრები ჯავიათში ინაცვლებდნენ. ზოგიერთებს სამეურნეო ბაზებზე ორი სახლიც კი ჰქონდათ. ორი სახლი ჰქონია სოფ. გოგონაურში მცხოვრებ დიდკედელაანთ—ერთი ბოთიანში და მეორე ჩავტევარში. ოჯახის წევრები, რომლებიც 56 სულს მოითვ-

ლიდნენ, სამეურნეო ბაზებზე რიგრიგობით დადიოდნენ, რ ი გ ა ო ბ-
დ ნ ე ნ. საქონლის ნაწილი სოფელში იზამთრებდა, ნაწილი ბოთიან-
ში და ნაწილიც ჩავტეევარში. ანაწილებდნენ იმის მიხედვით, თუ სად
რა რაოდენობით საკვები ჰქონდათ მომარაგებული[68]. მთა რაჭის სოფ.
ლებში მოსახლეობის ერთ ნაწილს სამეურნეო ბაზები ჰქონდა თევ-
რეშოსა და ჩვეშოზე და მათ მორიგეობით იყენებდნენ. ორი წლის
განმავლობაში რომ თევრეშოს ხნავდნენ, ჩვეშოზე არსებულ ნაკვე-
თებს ასვენებდნენ და საქონელი იქ გაჰყავდათ, შემდეგ კი ჩვეშოს
ხნავდნენ და საქონელი თევრეშოზე ინაცვლებდა. რადგან საქონლის
საკვებისა და ჭირნახულის მომარაგება სამეურნეო ბაზებზე ხდებო-
და, ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი, მესაქონლეობასა თუ საბი-
წათმოქმედო სამუშაოებთან დაკავშირებით, სოფელსა და სამეურ-
ნეო ბაზებს შორის მოძრაობდა. ვფიქრობთ, აქაც ორხელაობის ტიპის
მეურნეობასთან გვაქვს საქმე.

ორხევის ქართლურ მოსახლეობაში ყოფილან ოჯახები, რომე-
ლთაც იქვე საჯინიბოსა და ორხევში მოწყობილი ჰქონიათ საზაფხუ-
ლო ქოხები და ზამთრის ბოსლები. საქონელი მთელი წლის განმავ-
ლობაში მოცილებული იყო ძირითად საცხოვრებელ ადგილს, ხოლო
ოჯახის წევრები რიგრიგობით დადიოდნენ სამეურნეო ბაზებზე მათ
მოსავლელად და რძის პროდუქტების საწარმოებლად. სოფ. გორა-
ნაში მოსახლეობის ძირითად მასას საქონელი მცირე რაოდენობით
ჰყავდა და მათ იქვე, სოფლის ფარგლებში ატრიალებდნენ. იდუკა-
შვილების ერთ ოჯახს მხოლოდ ძს შემდეგ მოუმრავლებია საქო-
ნელი, რაც ადგილები იყიდეს და საქონლის გამოზაფხულება-გაზამ-
თვრის მეტი საშუალება მიეცათ. მათ თავად ხიმშიაშვილებისაგან
უყიდიათ ხოდაბუნები დუშეთის რაიონის სოფ. დავათში. მეწველი
საქონელი ხოდაბუნებში ჰყავდათ, ცხვარსა და მშრალ საქონელს
კი შირაქსა და თიანეთის მთებს შორის ამთაბარებდნენ. გაზაფხულ-
სა და შემოდგომაზე, ადგილმონაცვლეობის დროს, ცხვარი ორ კვი-
რას შეჩერდებოდა ხოდაბუნებში, გაიპარსებოდა და გზას აგრძე-
ლებდა. გორანაში მცხოვრებ ივანე და სიმონ გურგენაშვილებს,
ილალო დორეულს და არსენ უნდილაშვილს 1904—1905 წწ. ქოჩა-
კაანთკარში უყიდიათ ადგილები, რომელიც მანამდე ახატანში მცხო-
ვრებ ოზიაშვილებს ეკუთვნოდათ. მათ აქ აუშენებიათ მიწური სახ-
ლები, გომურები, მოუწყვიათ ყანები და კალოები. აქვე ჰყავდათ სა-

---

[68] ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში (მთი-
ულური ორხელაობა), კეკ, III, თბ., 1971, გვ. 43.

ქონელი დაახ. 6—7 ძროხა, ამდენივე მოზარდი, 4 უღელი ხარი და კამეჩი, 3—4 ცხენი, 20-მდე თხა-ცხვარი, დანარჩენი შირაქში მიუდიოდათ. ოჯახის წევრებს ქოჩაკაანთკარში წასვლისა და იქ მეურნეობის წარმოების რიგი ჰქონდათ დაწესებული. ამგვარად, იქმნებოდა ორხელაობის ტიპის მეურნეობა, ოჯახი ერთ ხელ მეურნეობას აწარმოებდა გორანაში, ძირითად საცხოვრებელ ადგილას, ხოლო მეორეს — ქოჩაკაანთკარში. ოჯახის ხელმძღვანელობა აორგანიზებდა ორივე მხარის მეურნეობის წარმოებას, მოწეული პროდუქციის ხარჯვისა და რეალიზაციის მთელ სისტემას.

ორხელაობის ტიპის მეურნეობა ფიქსირებულია ზემო იმერეთშიც და ის აქ ო რ გ ა ნ ო ბ ი ს სახელით არის ცნობილი. როგორც მ. მაკალათია აღნიშნავს, საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში ორგანობა||ორგანაობა ეწოდება საზაფხულო თუ საზამორო ბაზების გამოყენებას. ორგანობას ეწეოდა მაგ., კვასალიების სერი (უბანი) სოფ. ჩხირულიდან. ისინი ხელმოსმულას ხეობაში ფლობდნენ ადგილს — ბ ა რ დ ნ ა ლ ი, სადაც ჰქონდათ ვენახები და ყანები. აქვე ხუთ ოჯახს ედგა სახლები და ბოსლები (სახ-ბოსელა), სადაც მშრალ საქონელს აზამთრებდნენ. ასეთივე ორგანობა ჰქონია სოფ. კორბოულსაც[49]. სოფ. პერევში (ყვირილის ხეობის ზედა წელში) მცხოვრებ იასონ შუკაიძის გადმოცემით, ოჯახი ორგანობას ეწეოდა მაშინ, თუ მას სოფლის მოშორებით მდებარე სამეურნეო ფართობებზე ჰქონდა მეორე სახლი, ნაგებობა, სადაც ოჯახის წევრთა გარკვეულ ნაწილს ცხოვრების ნორმალური პირობები ექნებოდა ზაფხულშიც და ზამთარშიც; როდესაც დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახი გაორებული იყო, მისი წევრები ცხოვრობდნენ სოფელშიც, ძირითად საცხოვრებელ ადგილზე და მეორე სახლშიც, სამეურნეო ბაზებზე; ერთ ხელ მეურნეობას აწარმოებდნენ სოფელში, ხოლო მეორეს — სამეურნეო ბაზებზე და ყოველივე ამას ოჯახის ხელმძღვანელობა ერთ მთლიანობაში წარმართავდა. მთხრობელის ოჯახს ნალია და პატარა ქოხი ჰქონდა სამეურხეო ფართობებზე — სხანარში, რომ იქ მომუშავეს საჭიროების შემთხვევაში ღამე გაეთია. სხანარი ისე შორს არ იყო სოფლიდან, რომ აუცილებელი ყოფილიყო ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილის მოწყვეტა და იქ დაბინავება მეურნეობის საწარმოებლად, ამიტომ მას მთხრობელი არც უწოდებს ორგანობას. მისი სიტყვით, ორგანობა ჰქონდათ

---

[49] მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მეცხოველეობა ზემო იმერეთში. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1978, გვ. 64.

სოფ. ქარძმანში მცხოვრებ ბატურიძეებს. მათ სოფლიდან რამდენადმე მოშორებით მდებარე ყანაში აგებული ჰქონდათ სახლები, ბეღლები, სასიმინდეები, აქვე აზამთრებდნენ საქონელს.

ახლა ჩამოვინაცვლოთ რამდენადმე დაბალ ზოლში, ყვირილის ხეობის შუა წელში. სოფ. იტავაზაში მცხოვრებ ირაკლი შაორშაძის მამას (მას 11 შვილი ჰყავდა, მათ შორის 7 ვაჟი, ახლა არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის) ჭალის მთაზე — კატნაურაზე, რომელიც წაბლნარი ტყეებით იყო დაფარული, აბაშიძეებისგან ნაყიდი ჰქონდა ერთი ადგილი, სადაც ედგა პატარა გძელური სახლი; ყანებში თესდა სიმინდს, ქერს და კარტოფილს და იქვე ინახავდა საქონელს. ამგვარად, სახლი ედგა იტავაზაშიც, სადაც ოჯახი ძირითადად ცხოვრობდა, კატნაურაზეც, სამეურნეო ბაზებზე რამდენადმე მაღალ ზოლში და ეწეოდა ორგანობას. კატნაურაზე უმეტესად ოჯახის ერთი შვილი და რძალი იყო მეურნეობის საწარმოებლად, ისინი ზოგჯერ ზამთარშიც არ ჩამოდიოდნენ სოფელში. ასევე ორგანობდა არგვეთში მცხოვრები სოლომონ თოდაძის ოჯახი, მათ სახლი ედგათ ყვირილის ხეობის ზედა წელში — პერანგაზე დარყულაში.

როგორც ვხედავთ, სოფელში, სადაც მოსახლეობა ძირითადად ეწეოდა მიწათმოქმედებას და მევენახეობას, სამეურნეო ბაზებს იჩენდა მაღალ ზოლში, მთაში, რაც მესაქონლეობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარეობდა, თუმცა შეძლებისდაგვარად მიწასაც ამუშავებდა. მაგრამ ასეთი ორგანობის წარმოება მხოლოდ დიდ ოჯახებს შეეძლოთ.

ყვირილის ხეობის სათავეებში, ჭალის მთაზე, რომელიც ადრე აბაშიძეებს ეკუთვნოდათ, შეიქმნა რამოდენიმე ოსური სოფელი: სინაგური, ჯალაბეთი, ხახიეთი, თედელეთი, ქარძმანი, ტბეთი. ამჟამად ეს სოფლები, პერევის მცირე ნაწილის ჩათვლით, ჯავის რაიონშია მოქცეული და ზოგიერთ მათგანში ოსებთან ერთად ქართველებიც ცხოვრობენ. მთხრობელის, ვასილ ღენტორის ძე თანდელოვის (დაბ. 1890 წ.) გადმოცემით, მის წინაპრებს (ბესთაევებთან, გაგიევებთან და თამაზოვებთან ერთად) სამოსახლოდ აურჩევიათ ალპური ზონა, „სულ მაღლა, მოტიტვლებული ადგილები“ და შეუქმნიათ სოფელი თედელეთი. ოჯახი აქ ძირითადად მესაქონლეობას ეწეოდა, ხოლო მცირეოდენ სახნავ ფართობებზე ქერს თესდნენ. ამასთან, რამდენადმე დაბალ ზოლში, სოფლის ქვემოთ—პანტებში, რომელიც ტყით იყო დაფარული, თედელეთელებმა დაიწყეს ახოს აღება და სახნავ-სათესი ფართობების მოწყობა. მოსავალი პირველ ხანებში თედელე-

თში აჰქონდათ, ხოლო მას შემდეგ, რაც პანტებში საკმაო რაოდენობის ადგილები გაიჩეხა, იქ სახლებიც ჩადგეს. ისინი ზამთრობით უკვე პანტებში რჩებოდნენ, რადგან უქარო, მყუდრო ადგილი იყო, ზამთარი შედარებით რბილი, ნაკლებთოვლიანი იცოდა, აქვე ჰქონდათ სახნავები და საქონლის გამოზამთრებაც გაცილებით იოლი იყო. ზაფხულობით კვლავ თედელეთში ადიოდნენ, აქ საქერეებსა და სათიბებს მიხედავდნენ და ცხადია, საქონელიც მთაზე თავს ლაღად გრძნობდა. ამგვარად, ოჯახი ეწეოდა, ორხელაობა||ორგანაობის ტიპის მეურნეობას, რასაც ოსები დ უ ვ ა რ ა ნ ს უწოდებენ. დროთა განმავლობაში მოსახლეობამ მიატოვა თედელეთი და პანტებში დამკვიდრდა. ამჟამად მთელი მისი ფართობი მეურნეობის საძოვრებადაა გამოყენებული. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, მთის სოფელი სამეურნეო ბაზებს იჩენს დაბალ ზოლში, რომლის ძირითადი მიზანი მიწათმოქმედების განვითარება და საქონლის გამოზამთრება იყო.

სოფ. კორსევი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობის ქვედა წელში (ჯავის რ-ნი) დაბა ჯავის გასწვრივ ხეობის სიღრმეში, ჯავიდან 7კმ-ზე. სოფელი იყოფა ორ ნაწილად და ორივე თედეევებით არის დასახლებული. ჩვენი მთხრობლის, ვლადიმერ თედეევის (დაბ. 1905 წ.) გადმოცემით თედეევები ოთხი ძმის შთამომავლები არიან და ოთხ ძირითად პატრონიმიულ ჯგუფად იყოფიან. ესენია: გამზათა, თადიათა, ალხასთა, რევაზთა. ეს ჯგუფები თავის მხრივ კიდევ იყოფიან მცირე პატრონიმიულ ერთეულებად—გამზათა ჯგუფში გამოიყოფა თამათა, წეწითა, მანელთა; რევაზთა ჯგუფში — ედიათა, ზლოითა, კოზმანთა, შურითა პატრონიმიები და ა. შ. ყველა მათგანი ეპონიმის სახელს ატარებს და სოფელში მცირე პატრონიმიულ უბნებს ქმნიდნენ. ამ უბნებს სოფლადაც კი მოიხსენიებდნენ: მაგ., იმ უბანს, სადაც მანელის შთამომავლობა ცხოვრობდა, მანელთიყაურს უწოდებდნენ.

ვლადიმერ თედეევის მამა-ბიძები: როსე, ალექსანდრე, ფიოდორ და საშკა 1914 წლამდე ერთად ცხოვრობდნენ თავიანთი ცოლშვილით, სულ 18 სული. ოჯახს სოფელში ედგა ერთსართულიანი ხის სახლი, რომელსაც გვერდით ჰქონდა მიდგმული საკმაოდ დიდი ფართობის საბძელი — ხ ო ლ ა გ დ ო ნ, მისი სიგრძე 12 მ იქნებოდა. მეორე სახლი ჰქონდათ სოფლიდან დაახ. 2 კმ-ზე, ხეობაში, რომელსაც მ ა ნ ე ლ თ ი ქ ო მ ს უწოდებდნენ (რადგან ის მანელთი პატრონიმიას ეკუთვნოდა). მთხრობლის გადმოცემით, ეს არ იყო სამეურნეო ბაზა დარან ან უეთერ, ეს იყო ჩვეულებრივი სახლი მა-

ნელთიხაძარ, რომელშიც ოჯახის წევრთა დიდი ნაწილი ატარებდა ზამთარ-ზაფხულს. მანელთიხაძარ ორსართულიანი იყო, პირველი სართული, ქვის მასალით ნაგები, საქონლის სადგომად გამოიყენებოდა, მეორე სართულზე, ხის სამ ოთახად დატიხრულ ფართობში კი ოჯახი ცხოვრობდა. აქვე იყო პატარა, შედარებით თბილი ნაგებობა ზამთარში საცხოვრებლად.

გარდა აღნიშნულისა, ოჯახის ქონებას შეადგენდა 7 ძროხა, 4 უღელი ხარი, 40 ცხვარი, 30 თხა, 1 ცხენი, 3 დედაღორი. მოზარდებიდან ყოველწლიურად იტოვებდნენ 4 სულს, დანარჩენი, ცხვრის, თხისა და ღორის ნამატთან ერთად, ხარჯებში მიდიოდა. სახნავები ჰქონდათ სოფელში 20—30 დღიური (მათში თესდნენ ხორბალს, კარტოფილს და მუშავდებოდა ყოველწლიურად) და ხუთი დღიური — მანელთიქომში. ამ ფართობებში თესდნენ ქერს, სვილას და ყოველ ნაკვეთს მეორე ან მესამე წელიწადს ასვენებდნენ. სათიბები ჰქონდათ მხოლოდ მანელთიქომში (სულ 120 ძირი თივა მოსდიოდათ), საძოვრები კი იყო სოფელშიც — სოფლისპირა საძოვრები და მანელთიქომშიც. აქ, სახლთან ახლოს, ყველაზე დაბლობი ადგილები სახნავებს ეკავა, მას მოსდევდა საძოვრები, ხოლო სათიბები ყველაზე მაღალ ადგილებში ჰქონდათ დაცული, რომ ის საქონელს არ გაეფუჭებინა. ამგვარად, ოჯახი ეწეოდა ორხელ მეურნეობას, მისი წევრები ცხოვრობდნენ სოფელშიც და მანელთიქომშიც; ყანები და კალოები ჰქონდათ სოფელშიც და მანელთიქომშიც. ზამთრობით ოჯახის წევრთა მცირე ნაწილი რჩებოდა სოფელში, იქ დარჩენილი საქონლის მოსავლელად, დანარჩენები მანელთიქომში გადადიოდნენ. ასეთივე სახლები ჰქონიათ რევაზთა პატრონიმიაში შემავალ ოჯახებს ედიათიქომში, თადიათა პატრონიმიას—კანელთიყაუში, ალხასთა პატრონიმიას — კაშითაშაგათზე და ა. შ.

ვფიქრობთ, მანელთიხაძარის ანალოგიური უნდა იყოს ხ ა ძ ა რ თ ა—სამეურნეო ბაზები ზაკის ხეობაში. რომლითაც ნარის ქვაბულში მცხოვრები მამიევები სარგებლობდნენ (ჩრ. ოსეთი). აქ ჰქონდათ ქვის ერთსართულიანი სახლები — ხ ა ძ ა რ ე ბ ი და ბოსლები საქონლისათვის. აქვე მუშავდებოდა მცირეოდენი სახნავები, ითიბებოდა თივა და მარაგდებოდა ზამთარში საქონლის გარკვეული ნაწილის გამოსაზამთრებლად. ძირითად საცხოვრებლ ნაგებობებთან ერთად ორხელაობა||ორგანობა||დუვარან ტიპის მეურნეობას ქმნიდა თ რ ქ ა ი ხ ო მ—ფართობები, რომლითაც ქურთაოიის ხეობაში მდებარე სოფლების — ხარისკინის, ანდიათიყაუს და გუტიათიყაუს მცხოვრებნი სარგებლობდნენ; მთათუშეთის ნაგებობათა კომ-

პლექსები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულებასთან ერთად შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობებს ქმნიდნენ და თავდაცვითი ფუნქციების მატარებელნიც იყვნენ.

ჩვენ ზემოთ თუშური საბოსლოები ორხელაობა||ორგანობის ტიპის მეურნეობას დავუკავშირეთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ საბოსლოებზე თუშებს აგებული ჰქონდათ ერთ და ორსართულიანი ნაგებობები, რომლებიც ერთ ჭერქვეშ ითავსებდნენ საცხოვრებელ და სამეურნეო სათავსოებს. ამასთან, ოჯახის წევრთა გარკვეულ ნაწილს, რომელთა ყოფნაც იქ აუცილებელი ხდებოდა ზამთარშიც და ზაფხულშიც, მიწათმოქმედება-მესაქონლეობის წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები ექმნებოდა. დროთა განმავლობაში, თუშების ბარად გადმონაცვლებასთან დაკავშირებით, საბოსლოები თანდათან კარგავენ მნიშვნელობას, მაგრამ ამით ორხელაობა||ორგანობის ტიპის მეურნეობა კი არ შეწყვეტილა, არამედ განვითარების ახალ საფეხურზე ადის. ოჯახი კვლავ განაგრძობს ცხოვრებას მთაში, ხოლო მეორე სახლს იჩენს ბარში — ალვანის ველზე, სადაც მისი წევრების გარკვეული ნაწილის ყოფნა აუცილებელია მიწათმოქმედების საწარმოებლად და საქონლის გამოსაზამთრებლად. შემდეგ ოჯახი საბოლოოდ მკვიდრდება ბარში, მთის სახლს კვალავ ინარჩუნებს და მას უბრუნდება ზაფხულობით თავის საქონელთან ერთად. ნაწილი ზამთარშიც იქვე რჩება, რასაც მოითხოვს სამეურნეო ინტერესები. ამგვარად, ოჯახი ორივე შემთხვევაში გაორებულია, მაგრამ მისი წევრების ორივე ნაწილი — ისინიც, რომლებიც მთაში აწარმოებენ მეურნეობას და ისინიც, რომლებიც ბარში საქმიანობენ, ერთ ხელმძღვანელობას ექვემდებარება, ხოლო მეურნეობის სისტემაში მთაც და ბარიც ერთმანეთს ავსებს. სწორედ ამაში უნდა დავინახოთ ორხელაობა-ორგანობის ბუნება.

ჩვენი აზრით, მეურნეობის აღნიშნულ ფორმას შეიძლება დავუკავშიროთ სეზონური ნამოსახლარები, რომლებიც არქეოლოგების მიერ მიკვლეულია თრიალეთის მაღალმთიან ზოლში[50]. აღნიშნულ სეზონურ ნამოსახლარებს ნ. ბერძენიშვილი ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ს ა ჯ დ ო მ ე ბ ს უწოდებს. მკვლევარის აზრით, ის მეურნეობის განვითარების გარკვეულ მომენტთანაა დაკავშირებული და მთისა და ბარის ურთიერთობის მატერიალური გამოსახულებაა. გარკვე-

---

[50] თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში..., გვ. 229.

ულ დროს ბარის სოფელი ზაფხულის საჯდომს იჩენდა მთაში და არც ის იყო გამორიცხული, რომ მთის სოფელს გაეჩინა ზ ა მ თ რ ი ს ს ა ჯ დ ო მ ი ბარში სამეურნეოდ. ზოგი ასეთი ზაფხულის საჯდომი დროთა განმავლობაში სამოსახლოდ იქცეოდა, მთაში ჩნდებოდა ახალი სოფელი, რომლის მოსახელობასაც მთაში, სახლთან ერთად, თავისი ტრადიციებიც აჰქონდა[15]. სამხრეთ საქართველოს საიალაღო ნამოსახლარაგან თ. ჩიქოვანი[52] განიხილავს ორს — მდ. ქციის (ხრამის) სათავეებში მდებარე საპონაურისა და ცხვარეთის ზ ა ფ ხ უ ლ ს ა ჯ დ ო მ ე ბ ს. როგორც ირკვევა, ეს ბაზა-ნამოსახლარები გვიანფეოდალურ ხანაში ციციშვილებს ეკუთვნოდა და მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ცხოვრება კვლავ განაგრძობდა მოქმედებას. აქ უნდა ყოფილიყო სტაციონარულად წარმოებული მცირე მასშტაბის მესაქონლეობა და მოსახლეობის მხოლოდ ის ნაწილი იყო დამკვიდრებული, რაც საქონლის მოვლა-პატრონობას ესაჭიროებოდა. აღნიშნული ბაზა-ნამოსახლარები განიხილება როგორც თრიალეთისათვის ტიპიური მაგალითები, რომელთაგანაც ზოგი სოფლადაც კი ჩამოყალიბდა. ასეთებად მიჩნეულია სოფლები: საბატე, საქათმე, სამროწლე, საბოზკურო, სამეხრეო, ცხვარეთი და სხვ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში და მათ შორის საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში, ორხელაობა//ორგანობის ფორმის მეურნეობამ გარკვეული როლი შეასრულა სოფელთა განსახლების საქმეში. არცთუ იშვიათად, ოჯახის წევრთა ნაწილი ოჯახის გაყრის შემდეგ მკვიდრდება სამეურნეო ბაზებზე, რითაც საფუძველი ედება ახალი დასახლებული ერთეულის, სოფლის არსებობას. მოსახლეობის ასეთი მოძრაობა ხდებოდა, ერთი მხრივ, ვერტიკალური ზონალობის ჭრილში, რამდენადაც მთის სოფელი ზამთრის საჯდომს იჩენდა ბარში, ხოლო ბარის სოფელი — ზაფხულის საჯდომს მთაში; და მეორე მხრივ, განსახლება ხდებოდა ჰორიზონტალურად. ამ უკანასკნელს განსაზღვრავდა სასოფლო-სამეურნეო ფართობების განლაგება სოფლის მიმართ და სოფელთა ექსპოზიცია მზის მიმართ, რამდენადაც მოსახლეობა დიდ ყურადღებას აქცევდა ხეობების მზიან და ჩრდილოვან მხარეს განლაგებული სამეურნეო ფართობების კლიმატურ თავისებურებებს

---

[51] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ისტორიის საკითხები, 1,..., გვ. 219.

[52] თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, საპონაურისა და ცხვარეთის „ზაფხულსაჯდომთა“ შესახებ, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 408.

და მათი ათვისების თანმიმდევრულობას. XIX ს. ძირითადად ტენ-დენცია იყო მოსახლეობის დინებისა ზემოდან ქვემოთ, მთიდან მთისძირებში და ბარში, ხეობის ზედა ფერდობებიდან ხევისპირებში. უმეტესად ესახლებოდნენ თავიანთ სამეურნეო ფართობებზე, არა მარტო ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი, სოფლებიც კი იწევდა დაბლა. ასე იქმნებოდა სოფლები, რაც ტოპონიმიკაში აისახება. გარდა ზემოთ მოტანილი ფაქტებისა, ამ პროცესის შედეგი უნდა იყოს სოფელთა სახელწოდებები: ბ ო ს ე ლ ი (გუდამაყარში), ბ ო ს ლ ე ბ ი (ქვემო ქართლში), ბ ო ს ლ ე ვ ი (ზემო იმერეთში), წ ვ ე რ ი — სოფელი, რომელიც მთის წვერიდან დაეშვა მდ. ფრონის ნაპირებზე, ხოლო მთის წვერზე დარჩა მათი სალოცავი ხატი (შიდა ქართლში), გ ო რ ა ძ ი რ ი — სოფელი, რომელიც გორის ძირშია გაშლილი, ხოლო მისი სალოცავი ხატი გორიდან გადმოჰყურებს: გორისა — დაბლობის სოფელი, რომელიც გ ო რ ი ს განსახლების შედეგი უნდა იყოს (ორივე ზემო იმერეთში) და სხვ.

ორხელაობა//ორგანობა მნიშვნელოვნად აფართოებდა ოჯახის მეურნეობას. ოჯახი ურთიერთკავშირში ანვითარებდა მთურ მიწათმოქმედებას და ალპურ მესაქონლეობას, მისთვის მეურნეობის ეს ორივე დარგი იყო უაღრესად მნიშვნელოვანი, მიუხედავად მათი მასშტაბებისა. სწორედ ეს არის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობის ბუნება. მისი განმსაზღვრელი, რაც კარგად ჩანს მეურნეობის ამ ფორმაში. სპეციალურ ლიტერატურაშიც, ალპური მეურნეობის განსაზღვრისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული მთური მიწათმოქმედებისა და ალპური მესაქონლეობის სინთეზს. როგორც ალ. რობაქიძე მიუთითებს თავის ერთ-ერთ ნაშრომში: კავკასიის მთიელთა სამეურნეო ყოფის თავისებურებას, რომელმაც თავისი კვალი დაჩნია მათი ფეოდალური ურთიერთობის ხასიათს, წარმოადგენს მაღალგანვითარებული ·ალპური მესაქონლეობისა და მთური მიწათმოქმედების ინტენსიური ფორმების შეთანაწყობა. ამან განაპირობა დიდი ოჯახის — საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის — და მასთან დაკავშირებული პატრონიმიის ხანგრძლივი შემონახულობა და ფუნქციონირება სასოფლო თემის ტრადიციების არსებობის პირობებში[53]. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც, ორხელაობა/ /ორგანობის წარმოება შეეძლოთ მხოლოდ დიდ, მრავალრიცხოვან ოჯახებს, ის ხელს უწყობდა დიდი

---

[53] А. Робакидзе, Некоторые черты горского феодализма на Кавказе, СЭ, № 2, М., 1978, с. 23.

ოჯახების სიმტკიცეს, მის ერთიანობას, ხოლო როდესაც გაყრის საკითხი დადგებოდა, ამასაც სავსებით მომზადებული ხვდებოდა. პატარა ოჯახები ზრდასა და ეკონომიკურ მომძლავრებასთან ერთად სწრაფად გადადიოდნენ მეურნეობის ამ ფორმაზე.

ალბათ, არ შევცდებით, თუ ორხელაობა||ორგანობა||დუვარან ტიპის მეურნეობას ალპური მეურნეობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მივიჩნევთ. მეორე მხრივ, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული გადარეკვითი სისტემის მესაქონლეობასთან, რაც ზოგად ლიტერატურაში ტრანსუმანსეს (მცირე მომთაბარეობის) სახელითაა ცნობილი[54]. ცენტრალური კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს ტყის პირებში ჰქონდათ გამართული ზამთრის სამეურნეო ბაზები, სადაც საქონელი მთიდან დაბრუნების შემდეგ ბინავდებოდა. უფრო შეძლებული ოჯახების ცხვარი და ზოგან საქონლის ჯოგებიც ალპური საძოვრებიდან ბარის საძოვრებისაკენ მიემართებოდნენ. მათი მოქმედების რადიუსი მესაქონლეობის მასშტაბების ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა. უეჭველად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მესაქონლეობის აღნიშნული ფორმის ჩამოყალიბება გარდამავალ ზოლში ხდებოდა და სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით წარმოადგენდა მთური მესაქონლეობის ძირითად ქვესახეობას[55]. ის ერთ ტერიტორიულ მთლიანობაში, მჭიდრო ეკონომიკურ კავშირში წარმოსახავდა ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაცილებულ რეგიონებს — ძირითად დასახლებას, მაღალმთიანი ზოლის, მთისძირა და ბარის საძოვრებს, მთისა და ბარის სამეურნეო კომპლექსებს.

სამეურნეო ფართობების ზონებად დანაწილების პრინციპი და მეურნეობის წარმოების ის სისტემა, რომელიც XIX ს. ბოლოსთვის მივიღეთ, საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა, შეიძლება ითქვას, იმ პერიოდიდან, რაც მესაქონლეობა ცალკე დარგად ჩამოყალიბდა. ზემოთ შევეხეთ არქეოლოგიურ მონაცემებს, სადაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მესაქონლეობის განვითარების ადრეულ საფეხურზე თანმიმდევრულად ხდებოდა ბარის, მთისწინა და მთის ზონების ათვისება, ხოლო ხალხთა მოძრაობას ბარიდან მთაში და პირიქით, ძირი-

---

[54] ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მომთაბარე მეცხვარეობის ისტორიიდან საქართველოში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი XIII საიუბილეო სამეცნიერო სესიის მასალები (მოხსენებათა მოკლე შინაარსი), თბ., 1976, გვ. 77.

[55] В. Ш а м и л а д з е, Хозяйственно-культурные и ..., с. 86.

თადად, სამეურნეო ფაქტორები განსაზღვრავდა. ბრინჯაოს ხანაში კავკასიონის მაღალმთიან ალპურ საძოვრებთან ერთად ათვისებული ჩანს ქვემო ქართლის ზამთრის საძოვრები, ალაზნის აუზის ქვემო წელი და ივრის სანაპიროები, რაც გვაფიქრებინებს, რომ უკვე საქმე გვაქვს ხავსებით ფორმირებულ გადარეკვითი სისტემის მესაქონლეობასთან. მომდევნო პერიოდში, I—II სს. მეურნეობის წარმოების ფორმა იგივე რჩება, რაც მანამდე შეიმჩნეოდა, ქართლის მთიანეთის მთა-ბარში მთიან რაიონებში წამყვანი იყო მეჯოგეობა, ბარის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. განსაკუთრებით ფართოდ ჩანს განვითარებული მეცხვარეობა. მეურნეობის ამ დარგის წარმოება ამ ეტაპზეც, მაღალმთიან ალპურ ველებთან ერთად, დაბლობის საძოვრების ათვისებას ითვალისწინებდა. ამ მიზნით ცხვარი საკმაოდ დიდ მანძილზე, მცხეთიდან ჯავახეთის მაღალმთიან საძოვრებამდე მომთაბარეობდა[56].

ცხადია, მეურნეობის წარმოების ამ ფორმასაც გარკვეულ სამსახურს უწევდა არქეოლოგების მიერ მაღალმთიან ზოლში მიკვლეული ის ბაზა-ნამოსახლარები, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

გარდა იმისა, რომ მესაქონლეობის განვითარება გარკვეულად ზემოქმედებდა მოსახლეობის განსახლების პროცესებზე, ყალიბდებოდა მეურნეობის ამ დარგის წარმოების ძირითადი ფორმები, რომელიც მთისა და ბარის საძოვრების თანმიმდევრულ ათვისებას ითვალისწინებდა. საქონელი მთელი წლის განმავლობაში მოძრაობდა საკმაოდ დიდ მანძილზე, მაღალმთიანი ალპური საძოვრებიდან ზღვისპირა ველებამდე, რაც მესაქონლეობის წარმოების ჩამოყალიბებულ სისტემასთან ერთად მის ფართო მასშტაბებსაც გულისხმობს. მესაქონლეობის ასეთი სრულყოფილი ფორმა უნდა განვითარებინათ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს, რომლებიც კავკასიონის მაღალმთიან ალპურ საძოვრებთან ერთად, ზამთრის საძოვრებად ინტენსიურად იყენებდნენ ივრისა და ალაზნის ქვემო წელს, შიდა და ქვემო ქართლის ველებს და სხვა. გარდა ამისა, ყველა სოფელს, ხეობას, ცალკეულად აღებულ მცირე ტერიტორიულ

---

[56] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 85; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 571.

ერთეულს, ჰქონდა თავისი მთაც და ბარიც, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული და საქონლის მოძრაობაც ამ ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ხდებოდა, მთაშიც და ბარშიც ეწყობოდა დროებითი სადგომები, პარალელური სამეურნეო ბაზები და ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ხდებოდა სამეურნეო რესურსების გეგმაზომიერი და თანმიმდევრული ათვისება.

არქეოლოგი ი. კიკვიძე, განიხილავს რა აღნიშნულ საკითხებს, ჩერდება ერთ-ერთ კონკრეტულ მაგალითზე. მისი დაკვირვებით, ახალქალაქისა და ერუშეთის პლატოები, რომლებსაც ერთმანეთისაგან არტაანის მტკვრით შექმნილი ღრმა და ფართო კანიონ ყოფს, ზ. დ. 1700—1800 მ სიმაღლეზე მდებარეობენ, ჰავა საკმაოდ კონტინენტურია, ცხელ ზაფხულს ცვლის ცივი ზამთარი. კლიმატი მშრალია, მაგრამ მემინდვრეობის კულტურები მაინც ასწრებენ მოურწყავად შემოსვლას. ამჟამად ეს პლატოები მხოლოდ ბალახეული საფარითაა დაფარული, ადრე (შუა ბრინჯაოს ხანაში) ტყიანი უნდა ყოფილიყო და ცხადია, კლიმატიც უფრო ნოტიო იქნებოდა. თვით ხეობაში ჰავა შედარებით ზომიერია და უფრო თბილი ზამთრით ხასიათდება. ამდენად, მტკვრიდან არც ისე მაღლა მდებარე ტერასებისა და პლატოების მიკროკლიმატი ერთმანეთისაგან განსხვავდება, რის საფუძველზეც ვღებულობთ ერთ სამეურნეო რეგიონს თავისი მთითა და ბარით. მთისა და ბარის სამეურნეო შერწყმა, განაგრძობს ავტორი, ისტორიულ ხანაში განსაზღვრავდა ამ აუზის სამეურნეო ცხოვრებას (ქაჟკარი—ბარი, გოგაშენი—მთა) და განსაზღვრავს დღესაც (ქვემო თმოგვი, ნაქალაქევი — ბარი, აგარა, ზემო თმოგვი — მთა). ამდენად, საქონელი (სადაც უპირატესობა მსხვილფეხა მესაქონლეობას ეკუთვნოდა) ხევის ფარგლებში მომთაბარეობდა. ამ მასშტაბით მესაქონლეობის განვითარება კი ძირითადად მაინც მიწათმოქმედებითა და სათიბი მეურნეობით იყო განსაზღვრული[57].

ახლა ვნახოთ აღნიშნულ რაიონებში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ერთ მთლიანობაში როგორ იყო წარმოსახული მთის და ბარის სამეურნეო კომპლექსები. სოფ. გოგაშენი გაშენებულია ჯავახეთის მთის კალთებზე, ზ. დ. დაახ. 1800 მ სიმაღლეზე, სოფელს გარს აკრავს ჯავახეთის მთის შესანიშნავი ველები. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ყანებში მონაცვლეობით თესდნენ ხორბალს, ქერს, საქონლისათვის ცერცვს, ფიგს, ოსპს, უგრეხელს. მოსახლეობა, ნაყოფიერი ნიადაგების წყალობით,

---

[57] ი. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66—69.

პურის ნაკლებობას არ განიცდიდა, ამასთან, შესანიშნავი სათიბ-საძოვრები მესაქონლეობის განვითარების კარგ პირობებს ქმნიდა. გაზაფხულზე საქონელი სოფლისპირა საძოვრებზე გამოდიოდა, მაისის შუა რიცხვებიდან ნიალის მთაზე მიჰყავდათ, შემოდგომაზე კი კვლავ სოფელში ბრუნდებოდნენ. დეკემბრიდან მეწველი საქონელი ბაგურ კვებაზე გადადიოდა, ცხვარი და მშრალი საქონელი კი ჭაჭკარში ჩაჰყავდათ (მტკვრის ხეობაში ვარძიის გვერდით მდებარე ადგილებში). აქ შედარებით თბილი კლიმატია, ნიადაგი თოვლის თხელი საფარით იფარება და ისიც მალე დნება. ჭაჭკარში ჰქონდათ ბაღები, ქოხები და ბოსლები ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლისათვის, აქვე იმარაგებდნენ საქონლის საკვებს — თივას, რაც ბაღებში გაითიბებოდა, და ფოთოლს. მსხვილფეხა საქონელს ჭაჭკარში ერთ თვეს ამყოფებდნენ და შემდეგ სოფელში აჰყავდათ, ცხვარს კი უმეტესობა აქედანვე დასძრავდა ნიალის იალაღებისაკენ.

ვფიქრობთ, მოტანილი მასალა სავსებით შეესატყვისება მთური მესაქონლეობის სისტემას, რომელსაც შორეულ წარსულში ეყრება საფუძველი. როგორც ეთნოგრაფიული, ისე არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ საქონელი მთაბარობდა ერთ გარკვეულ მიკრორაიონში ან ერთი ხეობის ფარგლებში და ცხვარი მოძრაობდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. ცხადია, დაბლობის რაიონებთან ერთად კავკასიონის ალპური ზონის ათვისება, შორეულ წარსულშიც, მეცხვარეობის ფართო მასშტაბებს ითვალისწინებდა. მართალია, გარეშე მტერთა შემოსევების შედეგად მთისა და ბარის ეკონომიკური მთლიანობა ხშირად ირღვეოდა, რითაც პირველ რიგში მეცხვარეობა ზარალდებოდა, მაგრამ მეურნეები ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ ამ მთლიანობის აღსადგენად.

მესაქონლეობის კავკასიურ ფორმებს სავსებით პასუხობდა აქ გავრცელებული საქონლის ჯიშები. ამასთან დაკავშირებით საკმარისია თუნდაც მოკლედ შევეხოთ ცხვრის ჯიშებს. მ. რჩეულიშვილი კავკასიაში გავრცელებულ ცხვრის ძველი ჯიშებიდან გამოყოფს, ცოტა თუ ბევრად განკერძოებულ, ორ ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ გარდამავალი ფორმებით. ერთ ჯგუფს წარმოადგენს თუშური, კახური, ხემშური, ყარაბახული, ვოლოშური (კავკასიის დაბლობ რაიონებში გავრცელებული ცხვარი), მაზეხ-ბალბას და სხვ; მეორეს — იმერული და დაღესტნის მთიანეთის. ამ უკანასკნელთან ახლოს დგას ოსურ-ყარაჩაული

ჯიში[58]. საქართველოს ბევრ რაიონში ამრავლებდნენ წმინდა-მატყლიან ან ნახევრადრბილ მატყლიან ჯიშის ცხვარს. ზოგიერთ რაიონში ნავარაუდევია ნახევრად უხეშმატყლიანი ცხვრის ყოლაც, რომელიც ეკონომიკისა და კულტურის საერთო დონის დაცემასთან ერთად, რაც თან ხდევდა გარეშე მტერთა შემოსევებს, თანდათანობით გადაიქცა უხეშმატყლიანად[59]. ცხვრის ცალკეული ჯგუფები, კერძოდ ვოლოშური, საქართველოში უნდა შემოსულიყო ჩრდილო კავკასიიდან. მათი შემოყვანა დაკავშირებულია VIII—IX სს. საქართველოს ტერიტორიაზე სარმატული ტომების (ღალღაების — წოვა თუშების) დამკვიდრებასთან[60]. ამ დროისათვის აღნიშნულ ცხვარს ჰქონდა თუშური ჯოყარის ტიპის ძალიან უხეში, აბურძგნული მატყლი, სამკუთხედის ფორმის გრძელი და ცხიმიანი კუდი და დაგრეხილი რქები. გარკვეულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს საქართველოში ყარაბახული ცხვრის შემოყვანაც, რომელიც ხასიათდება ნახევარდუმითა და დაბალი ხარისხის მატყლით. თუშეთში ვოლოშური და ყარაბახული ცხვარი უნდა შეჯვარებოდა ძველქართულ, სქელკუდიან, ნახევრადრბილ მატყლიან ცხვარს, რის შედეგადაც მივიღეთ კავკასიაში საუკეთესო უხეშმატყლიანი, მომთაბარული ჯიშის ცხვარი, რომელშიც სინთეზირებულია სამივე ჯიშის ცხვრის საუკეთესო თვისებები[61].

მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ ქართველმა ხალხმა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებშიც კი შეძლო წარმატებით გამოეყენებია ზემოთ აღნიშნული ცხვრის სამივე ჯიშის საუკეთესო თვისებები და მიეღო კავკასიაში ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშის ცხვარი — თუშური ცხვარი. ის კავკასიის ყველა ცხვართან შედარებით ამტანია, აქვს გემრიელი და მაღალპროდუქტიული ხორცი, დამაკმაყოფილებელი წველადობა, მისი მატყლი გამოირჩევა სიმაგრით, დრეკადობით, ელასტიურობით,

---

[58] М. Рчеулишвили, К истории овцеводства рузии, Тб., 1953. с. 134.

[59] იქვე, გვ. 100.

[60] ამ შემთხვევაში მ. რჩეულიშვილი ეყრდნობა 1912 წ. ნ. მოჩალოვის მიერ სოფ. წაროში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 145). მართალია წოვა თუშების საკითხი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ შესწავლილი, მაგრამ ამის გარეშეც საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან გარკვეული ჯიშის ცხვრის შემოყვანა არაა გამორიცხული.

[61] М. Рчеулишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

ბზინვარებით და სხვა[62]. ასევე ახასიათებენ თუშურ ცხვარს მთხრობელები აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში. მ. რჩეულიშვილი თუშური ცხვრის ჩამოყალიბებას ვარაუდობს VIII—IX სს-დან. გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს, წოვა თუშებს, აღნიშნავს მკვლევარი, რომლებთანაცაა დაკავშირებული ეს ჯიში, მაღალხარისხოვან ალპურ საძოვრებთან ერთად, უნდა ესარგებლათ კახეთის ბარის საძოვრებით. მეცხვარეობა, მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, განვითარებული უნდა ყოფილიყო კახეთშიც, მაგრამ ისტორიულმა მოვლენებმა თუშეთში და განსაკუთრებით კახეთში, ძლიერ შეამცირა მეურნეობის ეს დარგი[63].

ვახუშტის აღწერილობით, მთიულეთში ჰყოლიათ ცხვარი უდუმო — კუდიანი; ასეთივე უდუმო კუდიანი ცხვარი იყო გავრცელებული საქართველოს მაღალმთიანეთის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილებში, თუშეთის გამოკლებით. XVIII ს. ოსეთშიც ჰყოლიათ „ცხოვარი უდუმო-კუდიანი და მომცრო"[64]. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთში ადრე გავრცელებული ყოფილა ყარაჩაული ჯიშის ცხვარი — გრძელკუდიანი, შავი და ნაცრისფერი, XIX ს. ბოლოდან კი დაუწყიათ თუშური ჯიშის ცხვრის მომრავლება და გასულან ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე. მეცხვარეები მანამდე ყიზლარის საძოვრებით არ სარგებლობდნენ, მხოლოდ ადგილობრივ ბარის რაიონებში დაქირავებული სიმინდის ყანებით კმაყოფილდებოდნენ. გარდა ინისა, რომ XIX ს-მდე მეცხვარეობის მასშტაბები მცირე იყო და მეცხვარეები შორეული საძოვრების ძიების აუცილებლობის წინაშე არ იდგნენ, ყარაჩაულ ცხვარს არც შეეძლო დიდი მანძილის დაფარვა, რადგან მოძრაობის დროს გრძელი კუდი უკანა ფეხებში სცემდა და უზიანებდა მას.

XIX ს. მეორე ნახევრიდან მთიულეთ-გუდამაყარშიც ვრცელდება თუშური ცხვარი და მეცხვარეები აქტიურად იწყებენ შორეულ საძოვრებზე გასვლას. ამგვარად, მეცხვარეობის მასშტაბებს მკაცრად განსაზღვრავდა ცხვრის ადგილზე გამოკვების აუცილებლობა. მართალია, მთიულ-გუდამაყრელებს XIX ს. ადრეულ პერიოდშიც შეეძლოთ ქართლის ბარის საძოვრებით ესარგებლათ, მაგრამ ამ შესაძლებლობას ან გარეშე მტერთა შემოსე-

---

[62] იქვე, გვ. 155.

[63] М. Рчеулишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

[64] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 635.

ვები უშლიდა ხელს ან კიდევ იქ, ძირითადად, მთისძირა ზოლის მოსახლეობას ჰქონდა მონოპოლია. უკეთეს შემთხვევაში, მაღალ-მთიანი სოფლებიდან ბარად მხოლოდ 100 სულზე მეტი ცხვრის პატრონები ჩამოდიოდნენ. ასეთები კი ერთეულები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა იმ დონით ვერ უკავშირდება ბარის საძოვრებს, როგორც ამას თუშები ახერხებდნენ. ასეთ პირობებში მოსახლეობა იძულებული იყო მთელი ყურადღება მსხვილფეხა მესაქონლეობაზე გადაეტანა, ხოლო ცხვარს იმდენს სჯერდებოდნენ, რისი გამოკვების საშუალებაც ჰქონდათ[65].

როგორც აღვნიშნეთ, მეცხვარეობის ფორმები უშუალოდ იყო დაკავშირებული მეურნეობის ამ დარგის მასშტაბებთან. მეცხვარეობის მასშტაბების ზრდას, რაც ცალკეულ ტომთა კარჩაკეტილობის ლიკვიდაციისა და მთისა და ბარის სამეურნეო მთლიანობის აღდგენისთანავე საგრძნობი ხდებოდა, თან სდევდა შორეული საძოვრების ძიება, მეურნეთა სამოქმედო ასპარეზის გაფართოება. ამავე დროს, ცდილობდნენ ოემრავლებინათ ისეთი ჯიშის ცხვარი, რომელიც ამ ზრდის ყველა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. ასეთი ჯიშიც მიღებული იქნა თუშური ცხვრის სახით, რაც კავკასიის ხალხთა შორის სამეურნეო სფეროში არსებული თანამშრომლობის, ქართველ მეურნეთა დაუღალავი ძიებისა და ხალხური სელექციის მდიდარი ტრადიციების შედეგი იყო. შემდეგ ეს ცხვარი თანდათანობით ვრცელდება მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანეთიდან მცირე კავკასიონის მაღალმთიან პლატომდე და მათ შორის მდებარე დაბლობებში[66]. თუშური ცხვრის ასეთმა გავრცელებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო XIX ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, მეცხვარეობის პროდუქტებს სასაქონლო მნიშვნელობა მიეცა.

ცხადია, კავკასიის მთიელთა დაუღალავი ძიებისა და ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა მთური ჯიშის ძროხაც, რომელიც ბარის საქონელთან შედარებით, იყო პატარა ტანის, დიდი ამტანობის, კარგად იყო შეგუებული მთის რელიეფს, კლიმატს, მცენარეულს, იყო ადვილი გასაკვები და გამოირჩეოდა

---

[65] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან..., გვ. 22
[66] М. Рчеулишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

რძის მაღალი ცხიმიანობით. რაც შეეხება ლიტერატურასა და ყოფაში დამკვიდრებულ ჯიშების სახელწოდებებს — ხევსურული თუ ბალყარული ძროხა, თუშური თუ ყარაჩაული ცხვარი და სხვა, ბიუთითებენ გარკვეულ ეთნიკურ წრეზე, რომელშიც ხდებოდა ამა თუ იმ ჯიშის ჩამოყალიბება. მაგრამ ამ ჯიშების გავრცელების არეალი არ იყო მკაცრად შეზღუდული ეთნიკური ერთეულის ტერიტორიული ჩარჩოებით და მათ მოშენება-გამოყენებას კავკასიის მთიულების ყველა ის ხალხი მისდევდა, რომელთაც ცხოვრების ბუნებრივი გარემო საამისოდ ხელშემწყობ პირობებს უქმნიდა. ამდენად, მესაქონლეობის სფეროში მოპოვებული მიღწევებიც კავკასიის მთიელთა შორის ურთიერთგაცვლის საგანს წარმოადგენდა და ასახავდა ამ ხალხთა თანამშრომლობას ახალ კულტურულ ღირებულებათა შექმნაში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად როგორ ხდებოდა ახალი ფართობების ათვისება, ხოლო მოსახლეობის გადმონაცვლებას მთიდან მთისძირა ზოლში, რისი მიზეზებიც ძირითადად სამეურნეო ფაქტორში უნდა ვეძებოთ, რა კორექტივები შეჰქონდა მესაქონლეობის წარმოების ფორმებში.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჩაჩნეთში ითუმყალეს ზემოთ მდებარე ერთ-ერთი ხეობიდან წამოსულან მონადირეები ვედენოსკენ, ასულან ჩერმოილამზე, მოსწონებიათ მისი გარემო და დასახლებულან. სოფელს გარს ეკრა შესანიშნავი სათიბ-საძოვრები თავისი დასაზამთრებელი ადგილებით. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მცირეოდენ კარტოფილს თუ დათესავდნენ ნაკვეთებში. ამდენად, მეურნეობის წამყვანი დარგი აქ მსხვილფეხა მესაქონლეობა ჩანს. მეურნეობის ეს დარგი ჩერმოელებში ალპურ ხასიათს ატარებდა და მისი მოქმედების რადიუსი მაღალმთიან ზოლში მდებარე ერთი სოფლის საზღვრებში მოქცეული სამეურნეო ფართობებით შემოიფარგლებოდა. XIX ს. პირველ ნახევარში ჩერმოელები იწყებენ სამოსახლოდ ახალი ადგილების ძებნას, ცდილობდნენ მოენახათ ისეთი ადგილები, რომელიც მათ მეურნეობას განვითარების მეტ პერსპექტივებს მისცემდა. ისინი ინაცვლებენ შედარებით დაბალ ზოლში, რაიონულ ცენტრ ვედენოს გასწვრივ, ადგილზე, რომელიც მანამდე ტყით იყო დაფარული და აარსებენ სოფ. მახკეტის, რაც ჩაჩნურად ახალ ადგილს ნიშნავს. აქ ისინი ჩეხავენ ტყეს, რის შედეგადაც ქმნიან საცხოვრებელ და სამეურნეო ფართობებს.

ეს მოხდა 1830 წ. ამ დროს აღნიშნულ ზოლში უკვე არსებობდა სოფლები: ქირავიურთ, ელისტანჯი, ხათუნი, ვედენო, ხარაჩო და სხვ. ჩერმოელების მახკეტში დასახლებას წინააღმდეგობა გაუწიეს სადოევებმა, რომლებიც მახკეტიდან დაახ. 200—300 მეტრზე ცხოვრობდნენ, მდინარის მეორე მხარეს მდებარე ერთ-ერთ გორაზე — სადოიკორტზე. ეს ბრძოლა ჩერმოელების სასარგებლოდ დამთავრდა და სადოევებიც არგიშტში გადასახლდნენ — მახკეტიდან 7 კმ დაშორებით. ჩერმოელები ამის შემდეგაც იბრძვიან თავისი ახალი ტერიტორიის გასაფართოებლად მეზობელი სოფლების ხარჯზე. საბოლოოდ, სოფ. მახკეტი, გარკვეულ საზღვრებში, მტკიცდება ჩერმოელების უფლებებში[67].

მახკეტი გარდამავალ ზოლშია მოქცეული; აქ დამკვიდრებული მოსახლეობა ადვილად უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, ჩერმოილამს, თავიანთ ყოფილ საცხოვრისს, რომელიც უკვე მთის საზაფხულო საძოვრების ფუნქციას ასრულებდა (მიტოვებული ბინები პარალელურ სამეურნეო ბაზებად გამოიყენებოდა), ხოლო მეორე მხრივ — ჩაჩნეთის ბარის რაიონებს. აქვე იყო ვედენოც, მთავარი სავაჭრო პუნქტი, ჩაჩნეთის მთისა და ბარის ურთიერთობის ერთ-ერთი მარეგულირებელი ცენტრი. მახკეტი, უმოკლესი კომუნიკაციებით, ვედენოს გვერდის ავლითაც უკავშირდებოდა ბარის რაიონებს, პერიოდულად (ცვირაობით) აქაც იმართებოდა ბაზრობა, მთიელებს გასაყიდად ჩამოჰყავდათ საქონელი, მოჰქონდათ რძის პროდუქტები, ბარელებს კი ამოჰქონდათ სიმინდი, ხახვი, ნიორი, კიტრი და სხვ. მოსახლეობა აქ ფართო მასშტაბით აწარმოებდა მიწათმოქმედებას, თესდნენ სიმინდს, ხორბალს, კარტოფილს: მნიშვნელოვნად ვითარდება მესაქონლეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა. იყვნენ ოჯახები, რომელთაც 1000-მდე სული ცხვარიც კი ჰყავდათ. ზაფხულობით ცხვარიც და მსხვილფეხა საქონელიც ჩერმოილამზე მიჰყავდათ, აქვე ამზადებდნენ რძის პროდუქტებს. ზამთარში მსხვილფეხა საქონელი მახკეტში იზამთრებდა, შეიძლებოდა გარკვეული ნაწილი ჩერმოილამზეც დაეტოვებინათ, ცხვრის ფარები კი თერგისპირებისაკენ მიემართებოდნენ.

ე. ბორჩაშვილი თავის საკანდიდატო დისერტაციაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, ხოლო ბარად — მი-

---

[67] ამის შესახებ შამილის მიერ შედგენილია საბუთი არაბულ ენაზე, 1840 წლით დათარიღებული, რომელიც ინახება სოფ. მახკეტის საშუალო სკოლაში.

წათმოქმედება. მაგრამ ბარშიც კი, მთიდან მათი ჩამოსახლებიდან XIX ს. 30-იან წლებამდე, წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეკავა, რამდენადაც ბარად ჩამოსახლებას, სხვა მიზეზებთან ერთად, ბარის საზამთრო საძოვრებიც განაპირობებდა, ხოლო ამ კოლონიზაციას, პირველ რიგში, მსხვილი მესაქონლეები ხელმძღვანელობდნენ. შემდგომში ამ კუთხის ბარის მესაქონლეობა თანდათანობით უთმობს პირველობას მიწათმოქმედებას, რასაც ავტორი ზამთრის საძოვრების შემცირებით ხსნის[68]. აქვე დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როდიდან იწყებენ მთიელები დაბალ ზოლში ჩამონაცვლებას. როგორც ირკვევა, ჩაჩნეთ-ინგუშეთში აღნიშნული პროცესი იწყება XIV ს. ბოლო ხანებიდან და დაკავშირებულია ოქროს ურდოს დასუსტებასთან, შემდგომში. XVI ს. მეორე ნახევრიდან — თერგსა და სუნჟაზე რუსული ციხე-სიმაგრეების მშენებლობასთან. ეს პროცესი მასიურ ხასიათს ღებულობს XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს., რაც განაპირობა სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ, კავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ და განმტკიცებამ. ყოველივე ამან ძლიერი ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას[69].

გადმოვინაცვლოთ საქართველოს ტერიტორიაზე. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მესაქონლეობა ყოველთვის იყო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი და დაწინაურებული დარგი, მაგრამ ფეოდალური პარტიკულარიზმისა და გარეშე მტერთა შემოსევების შედეგად, დროდადრო იშლებოდა საზამთრო და საზაფხულო საძოვრების ტერიტორიული მთლიანობა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მეცხვარეობის ფართო მასშტაბით განვითარებისათვის. მაგრამ ქართველი მეურნე განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ამ მთლიანობის აღდგენას. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ XVI ს. დასაწყისში კახეთში შექმნილი პირობები.

როგორც ცნობილია, XVI ს. ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდა. საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით,

---

[68] ე. ბ ო რ ჩ ა შ ვ ი ლ ი, სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში XVIII ს. ბოლოს და XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1975, გვ. 28. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი.

[69] ე. ბ ო რ ჩ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

უკეთესი პირობები შეექმნა კახეთს. XV—XVI სს. მიჯნაზე, კახეთის მეფეების აქტიური პოლიტიკის წყალობით, ქვეყნად მშვიდობიანობა დამყარდა, გაძლიერდა ცენტრალური ხელისუფლება, რამაც მტკიცე საფუძველი შეუქმნა მის ეკონომიკურ აღმავლობას[70]. XVI ს. პირველ ნახევარში, წერს ნ. ბერძენიშვილი, კახეთის მეფე ლევანმა „დაიმორჩილა კარგახნის გამდგარი ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი. მორჩილების პირობად ამ მთიელებმა მოითხოვეს, რათა მათი ოთხფეხი საქონელი კახეთის ზამთრის საძოვრებზე გამოზრდილიყო. მეფემ მისცა ეს პირობა, ხოლო მთიელებმა თავს იდვეს ლაშქრობა და ბეგარა"[71]. ამ მორჩილების მიზეზებს თვალნათლივ ასახავს ვახუშტი ბაგრატიონი: „არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი, და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ ძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა"[72]. როგორც ვხედავთ, ქართველი მთიელებისათვის საძოვრების საკითხი იმ დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი არც ერთ შემთხვევას არ გაუშვებდნენ ხელიდან და ამ ისტორიულ მოვლენასაც თავის ეკონომიკურ მიზნებს დაუკავშირებდნენ.

შემდგომ პერიოდში, XVII ს. შუა ხანებში, უცხოელ დამპყრობთაგან ბახტრიონის განთავისუფლებამ მთიელებს ფართოდ გაუხსნა გზა კახეთის ბარის საძოვრებისაკენ. აქედან მოყოლებული, განუხრელად ფართოვდება თუშეთში მეცხვარეობა, ხოლო ფშავში, მეცხვარეობასთან ერთად, მსხვილფეხა მესაქონლეობა. ალბათ ამიტომ არის, რომ მთხრობლები ბახტრიონის განთავისუფლებას მიიჩნევენ მესაქონლეობის განვითარებაში სტიმულის მიმცემად და ეს მომენტი ფართოდ აისახა ხალხურ გადმოცემებსა და თქმულებებში. მთხრობელთა გადმოცემით, მეფემ გადასცა თუშებს ალვანის მინდორი ბახტრიონიდან ტახტისგორამდე იმ დამსახურებისათვის, რაც მათ ბახტრიონის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიჩინეს. თუშებს მხოლოდ ამის შემდეგ დაუწყიათ ალვანის

---

[70] ვ. გ უ ჩ უ ა, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XVI—XVII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 160.

[71] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ. 1973, გვ. 161.

[72] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 573.

ველის ზამთრის საძოვრებად გამოყენება. მართალია პირველ ხანებში თითო-ოროლა მეცხვარე ჩამოდიოდა, მაგრამ ასეთი ბაზის შექმნამ ძლიერი ბიძგი მისცა ჯერ მეცხვარეობის განვითარებას, ხოლო შემდეგ, XIX ს-დან აქ ხალხის ჩასახლებას.

XVIII ს. პირველ ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონი გამოყოფს კახეთის თუშებს, რომელთაც ზამთრობით გაღმა მხარში ჩამოჰყავდათ ცხვარი. XVIII ს. პირველი მეოთხედის კახეთის აღწერის დავთრებში გაღმა მხარში მოხსენებულია სოფლები: შილდა, ვეძისხევი, საბუე, გრემი, ფშაველი, ფიჩხოვანი და სხვა[73]. თუშების სარგებლობაში უნდა ყოფილიყო ალვანის ველიც, რომელსაც ვახუშტი იხსენიებს როგორც კარგ სანადირო ადგილებს[74]. ზემოთ მოტანილ გადმოცემასთან ერთად, ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ თუშებს საქართველოს მეფეებისაგან მიღებული ჰქონდათ ორი სიგელი. ერთ-ერთი მათგანი გაცემულია 1757 წ. თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ, ხოლო მეორე—1781 წ. უშუალოდ ერეკლე მეორის მიერ. პირველი გუჯარი თუშებს სამუდამოდ უმტკიცებს „ალონის" მინდორს, რისთვისაც უნდა გადაეხადათ ბალახისა და ფოთლის ხარჯები, როგორც ეს ძველთაგანვე ჰქონიათ დაკანონებული. იქვე ნათქვამია, რომ ვინც ამ ადგილებს მოხნავდა, იმას ხაზინაში უნდა შეეტანა მიწის ღალა. ამით უსარგებლიათ ალვანის გარშემო მდებარე სოფლების — მაღრანის, ლალისყურის, ფშაველის მცხოვრებთ და ალვანის მინდორის გადახვნა მოუნდომებიათ, რასაც თუშებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს[75]. როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთსაა დაპირისპირებული სხვადასხვა ინტერესების მქონე ხალხის ორი ჯგუფი: თუშები, რომელთაც ალვანის ველი საძოვრებად სჭირდებოდათ და მეორე მხრივ, კახეთის ბარის მოსახლეობა, რომლებიც თავიანთ ეკონომიკას ძირითადად მიწათმოქმედებაზე ამყარებდნენ და აღნიშნული ფართობები ამ მიზნით უნდა გამოეყენებინათ.

უნდა ვიფიქროთ, რომ 1757 წ. საბუთის გაცემა თუ განახლება, ისევე როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ უფრო ადრე ჩატარებული ანალოგიური ღონისძიებები, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი. სამეფო ხელისუფლება, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწ-

---

[73] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 8.

[74] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 549.

[75] დ. ა ლ ბ ა ნ ე ლ ი, თუშების ორი გუჯარი..., „ქვალი", 1897, № 50.

ყობდა თუშეთში მეცხვარეობის განვითარებას. შედეგმაც არ დაყოვნა, უკვე XVIII ს. მეორე ნახევარში თუშები თვითონაც მრავლდებიან და ცხვარიც ისე გაუმრავლებიათ, რომ მარტო ალვანის მინდორი მათთვის საკმარისი აღარ ყოფილა. ეს გარემოება სამეფო ხელისუფლებას გაუთვალისწინებია და თუშებისათვის ნება მიუცია სამ ადგილას — ალვანში, პანკისისა და ლოპოტის ხეობებში დაეყენებინათ თავიანთი ცხვარ-ცხენი და სხვა საქონელი. შემდეგ კი მთელ კახეთში საქონლის ძოვების ფართო უფლებები მიუცია: კახეთის ყოველი სოფლის ბოლოში შეეძლოთ დაეყენებინათ ორ-ორი ფარა ცხვარი, გარდა საყდრიონისა (ალავერდის გარშემო სოფლებისა), რადგან ესენი პატარა სოფლები ყოფილან, თითო ფარა ცხვრის დაყენება შეიძლებოდა[76].

მ. მაჩაბელის ცნობით, 1882 წ. 21 მაისს მთელი თუშეთის საერთო კრებაზე დაადგინეს, რომ ალვანის ველი ოთხთვალის ტყით სამუდამოდ დარჩენილიყო თუშების საერთო მფლობელობაში. ყველა თუშს ეძლეოდა უფლება ესარგებლა ამ ველით ან დამკვიდრებულიყო ალვანში. უფლება ჰქონდა აეღო სამი დღიური (1,5 დესეტ.) მიწა და აუცილებლად უნდა შემოეღობა[77]. ავტორი იქვე მიუთითებს, რომ ალვანის ველი წარმოადგენს დიდ სოფელს, რომელიც ალაზნის მარცხენა მხარეს ცხრა ვერსზე იშლება. მის ცენტრში დგას ლევან მეფის მიერ აშენებული მართლმადიდებლური ეკლესია. ამ დროს ყველაზე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული გურგალჭალა, სადაც წოვა თუშები ცხოვრობდნენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ აღნიშნულ პერიოდში წოვებს უკვე დიდი ხნის მიტოვებული ჰქონდათ მთის სოფლები და ალვანში იყვნენ დამკვიდრებული, ხოლო დანარჩენი თუშების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ მთაში ცხოვრობდა.

როგორც აღვნიშნეთ, ალვანთან ერთად, თუშების ცხვრის დასაყენებელი ადგილები ყოფილა პანკისისა და ლოპოტის ხეობები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ პანკისის ხეობაზე გადიოდა თუშეთისა და კახეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, თუში მეცხვარეების მიერ ამ კუთხის გამოყენების საწყისები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ[78]. ეთნოგრა-

---

[76] დ. ალბანელი. თუშების ორი გეჯარი. ., „კვალი", 1897, № 50.

[77] М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 286.

[78] პანკისის ხეობის სამეურნეო ყოფის საკითხებზე იხ. ჩვენი ნაშრომი „სამეურნეო ყოფის ზოგიერთი მხარე პანკისის ხეობაში", „მაცნე", 1977, № 2.

ფიული მასალების მიხედვით, პანკისის ხეობის, ლალისყურის და ყარაჯალის ფართობებზე ხდებოდა ცხვრის საგაზაფხულო და საშემოდგომო ძოვება და პარსვა. ეს ადგილები მემამულეებს ეკუთვნოდათ და საძოვრებს მეცხვარეებზე, ხოლო ტყეებს მსხვილფეხა მესაქონლეებზე აქირავებდნენ. თუშ და ფშაველ მესაქონლეებს აქ ზამთრის ბინები ჰქონდათ გამართული, სადაც მსხვილფეხა საქონელთან ერთად მცირეოდენ ცხვარსაც იყოლიებდნენ ხოლმე.

ვაჟა-ფშაველას ცნობით, XX ს. დასაწყისში ქართველი მთიელები: ფშავლები, თუშები, მთიულები, გუდამაყრელები, ხევსურები, მოხეველები, მიაწყდა შირაქს. მთიელების გარკვეული ნაწილი, გარდა თუშებისა, იქ ჩასახლებულა კიდეც, გაუშენებიათ სამი სოფელი — ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო. მათ სამიწათმოქმედო სამუშაოებისათვის მოუკიდიათ ხელი, რასაც თუშების უკმაყოფილება გამოუწვევია. თუშებს ყოველი ღონე უხმარიათ, რათა აქ ჩამოსახლებული მხვნელ-მთესველი მოსახლეობა უკანვე მთებში დაებრუნებინათ[79]. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ XIX ს-მდე თუშების მიერ შირაქის ველის გამოყენების არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს ფაქტი სავარაუდოა XVIII ს. 80-იანი წლებიდან, როდესაც თუშებმა კახეთის სოფლებში ცხვრის დაყენების ფართო უფლებები მიიღეს[80].

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ თუშური მესაქონლეობა ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, მთის ფარგლებში იყო ჩაკეტილი და იქაც, ისევე როგორც კავკასიის მთიანეთის სხვა კუთხეებში, უპირატესობა მსხვილფეხა მესაქონლეობას ენიჭებოდა. XVI ს. დასაწყისიდან თუშები სარგებლობენ კახეთში შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური პირობებით და კახეთის ბარის საძოვრებით სარგებლობის უფლებებს ღებულობენ. ამას შედეგად მოჰყვა მესაქონლეობის, პირველ რიგში, მეცხვარეობის აღმავლობა. თუში მეცხვარეები მეურნეობის ამ დარგის მასშტაბების ზრდასთან ერთად, თანდათან აფართოებენ თავის მოქმედების ფარგლებსაც, მოძრაობენ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე. ყოველივე ამის შედეგი იყო ისიც, რომ თუშები თანდათანობით ინაცვლებენ მთიდან ბარში, საცხოვრებლად ირჩევენ ისეთ ადგილს, რომელიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მათი მზარდი მეურნეობის განვითარებას.

---

[79] ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. X, თბ., 1964, გვ. 80.

[80] ვ. ე ლ ა ნ ი ძ ე, თუშეთის სოციალ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1968, გვ. 106 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი).

ამ შემთხვევაში, ალვანის ველი იყო მათთვის ისეთი ადგილი, საიდანაც ადვილად მისწვდებოდნენ, ერთი მხრივ, ბარის საზამთრო საძოვრებს და მეორე მხრივ ალპურ იალაღებს, თავიანთ ნასოფლარებს, რომლებიც უკვე საზაფხულო საძოვრების ფუნქციას ასრულებდნენ. როგორც აღვნიშნეთ, თუშური ცხვარი თავისი მომთაბარული ბუნებით სავსებით პასუხობდა გადარეკვითი მეურნეობის ფორმებს, თავისუფლად ფარავდა დიდ მანძილს, ადვილად მოძრაობდა მთაში, კარგად იტანდა მთისა და ბარისათვის დამახასიათებელ კლიმატურ პირობებს. რაც შეეხება ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც მსხვილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობით იყვნენ დაკავებული, ზაფხულობით კვლავ უბრუნდებოდნენ თავიანთ ნასოფლარებს, ხოლო ნაწილი ტბათანაზე ადიოდა. საქონლის გამოზამთრება კი ალვანში ხდებოდა.

გადავხედოთ კიდევ ერთ კუთხეს — ერწო-თიანეთს. ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიული მასალა მთისა და ბარის მეურნეობათა შერწყმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მთაში შეუძლებელია მესაქონლეობის ფართო მასშტაბებით განვითარება, თუ მას მჭიდრო კავშირი არა აქვს ბარის რაიონებთან. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მთიან ზოლში მეურნეობის ეს დარგი იყო წამყვანი, მაღალგანვითარებული და ტრადიციული, ამ კუთხის სამეურნეო მნიშვნელობა პირველ ყოვლისა იმაში გამოიხატებოდა, რომ ის, ფხოვთან და თუშეთთან ერთად (ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობით ამ ჯგუფში შედიოდა ძურძუკეთი და ღლიღვეთიც), კახეთის მთიანეთად ითვლებოდა[81] და ცხადია, როგორც მესაქონლეობის კუთხე, დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის სამეურნეო ყოფაში. ისეთი ჰავისა და რელიეფის მქონე ქვეყანაში, ითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, როგორიც საქართველოა და საკუთრივ ისეთ მთიან კუთხეში, როგორიც იყო თავდაპირველი კახეთი, მეურნეობის ძირითადი დარგი უნდა ყოფილიყო მესაქონლეობა და კერძოდ, მეცხვარეობა. თავის მხრივ, მესაქონლეობას ფართო მასშტაბით განვითარებისათვის სჭირდებოდა ვრცელი რეგიონები და ამ მხრივ მთა ბარზე იყო დამოკიდებული[82].

---

[81] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 21.
[82] იქვე, გვ. 49.

კახეთში მესაქონლეობის წამყვან დარგად მიჩნევა სავსებით რეალურია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თავდაპირველი კახეთი მოიცავდა ივრის ხეობის ზემო წელს, ერწო-თიანეთიდან უჯარმის ჩათვლით. მიჩნეულია, რომ შემდგომში კახეთი, თავისი სტრატეგიული მდებარეობის მეშვეობით (რამდენადაც მასზე გადიოდა მთისა და ბარის დამაკავშირებელი მაგისტრალი, ხოლო მეორე მხრივ, ჰერეთისა და ქართლის დამაკავშირებელი გზები), დაეუფლა მთას და კახეთისა და ჰერეთის გარკვეულ ნაწილებს, რის შედეგადაც მივიღეთ საკმაოდ ვრცელი რეგიონი[83]. ცხადია იმ დროს მესაქონლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზას ივრის ხეობა წარმოადგენდა, მისი იშვიათი ზამთრის საძოვრებით. როგორც აღვნიშნეთ, ამ გარემოებისთვის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც მიუქცევია ყურადღება[84]. ზემოთ ნაჩვენები გვქონდა ისიც, თუ ვახუშტი ბაგრატიონი როგორ ახასიათებს ივრის ხეობას. ცხადია, მას აქ აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს აღწერილობა საინტერესოა ხეობის ვერტიკალური ზონალობის თვალსაზრისითაც, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ხეობის მთელ სიგრძეზე ამა თუ იმ ზონის სამეურნეო ხასიათსა და დანიშნულებაზე, მთისა და ბარის სამეურნეო ურთიერთობაზე. თუ ივრის ხეობის ზედა წელი იყო უვენახო, უხილო, პირუტყვიანი, ბალახოვან-ყვავილოვანი და ცხადია, მეურნეობის წამყვანი დარგი აქ მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო, ქვედა წელი ხასიათდება როგორც ზამთარშიც თბილი და ბალახიანი, სადაც იზამთრებდა დიდი რაოდენობით ცხვრის ფარები და ცხენთა რემები; ივრის ხეობის სანაპიროებზე მდებარე სარწყავი ველები ნაყოფიერი ყოფილა სამიწათმოქმედო სამუშაოების საწარმოებლადაც.

ეს გარემოება ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტების მიერაცაა შენიშნული. მათი დაკვირვებით, ივრის ხეობა ორ სამეურნეო ზონად იყოფა: ზემო წელი (ივრის ფშავი, თიანეთი, ერწო), სადაც მთის ტიპის მეურნეობაა — მესაქონლეობა, მემინდვრეობა, პირველის უპირატესობით და ქვემო წელი (უფრო სწორად, შუა წელი — გარე კახეთი), სადაც განვითარებული იყო ბარის ტიპის მეურნეობა—მემინდვრეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა[85]. მის ქვემოთ მდებარე ტერიტორიას თბილისიდან

---

[83] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 332.

[84] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 332.

[85] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა..., გვ. 55.

ბარდავამდე და ივრის სანაპიროებს, გარეჯის მთებს უდაბნოსთან ერთად, ივ. ჯავახიშვილიც აქცევს ზამთრის საძოვრების არეში. ამავე მიზნით ყოფილა გამოყენებული სამგორის ველი და ჩადიავარიც, ქიზიყისა და შირაქის ჩათვლით[86]. მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელი იყო ქართლის სამეფოს თავის ფარგლებში სრულად მოექცია აღნიშნული ფართობები.[87]. მიჩნეულია, რომ გარკვეულ პერიოდში (IV ს. პირველი ნახევრიდან) უჯარმის ქალაქად ქცევასა და მის ზრდა-განვითარებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებია მესაქონლეობას და, საკუთრივ, მეცხვარეობას. უჯარმა, მდებარეობდა რა ივრის ვიწრო ხეობაში შესასვლელთან, მას ფაქტიურად ორ სამეურნეო ზონად ყოფდა, ივრის ხეობაში მიმავალ კახეთის მთიელთა ფარ-ჯოგებს სწორედ ამ პუნქტზე უნდა გაევლოთ. ამდენად უჯარმის ხელში უნდა ყოფილიყო ივრის ზამთრის საძოვრების მთიელთა მიერ გამოყენების კონტროლი და რეგულაცია[86]. ციტირებულ ნაშრომში მითითებულია ჯუანშერის ცნობაზე იმის შესახებ, რომ ვახტანგმა უჯარმა გამონახა „სიმარჯვედ... ნადირთა და ცხოვართათვის“[89] და გამოტანილია დასკვნა, რომ ვახტანგ გორგასალის უჯარმაში დაჯდომა განპირობებული იყო როგორც პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნებით, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. უჯარმა მას, პირველყოვლისა, ცხვრისთვის სჭირდებოდა, ვის ხელშიც იყო უჯარმა, მის ხელში იქნებოდა კახეთის მთიანეთის ცხვარიც.

ამგვარად, მთისა და ბარის გასაყარზე ისეთი პოლიტიკური ცენტრის შექმნა როგორიც იყო უჯარმა, პუნქტისა, რომელზეც გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, თავის ხელში აქცევდა საქონლის გადასარეკ ტრასებს და ზედამხედველობას უწევდა მესაქონლეობის წლიურ ციკლს, თავისთავად მეტყველებს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებაზე, მთისა და ბარის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე. მიჩნეულია, რომ რამდენადაც განვითარებული და მრავალფეროვანია ბარში მეურნეობის დარგები, მით უფრო ძლიერია მთის ბარზე დამოკიდებულება. მთისა და ბარის, ამ ორი ეკონომიკური რაიონის ურთიერთშერწყმა კი, აღნიშ-

---

[86] იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონომიური ისტორია, I, გვ. 147.

[87] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

[88] იქვე, გვ. 56.

[89] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

ნული პერიოდის აღმ. საქართველოში მთელის ძალით მიმდინარეობდა[90].

ყოველივე ზემოთ აღნიშნული წარმოდგენას გვაძლევს მესაქონლეობის წლიურ ციკლზეც. აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში ის ითვალისწინებდა საქონლის მოძრაობას ივრის ხეობის მთელ სიგრძეზე, მთისა და ბარის სამეურნეო რესურსების თანმიმდევრული ათვისების მიზნით. ერთ სამეურნეო ერთეულად ისახება ივრის, არაგვისა და ილტო-ალაზნის ხეობები, სადაც ყოველი ხეობა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იყო დაყოფილი და ყოველ ზონას თავისი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. უფრო მეტიც, აღნიშნულ პერიოდში დადასტურებულია საქონლის მოძრაობა უფრო დიდი რადიუსით — შიდა ქართლიდან ჯავახეთის მაღალმთიან საძოვრებამდე. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მემატიანის ცნობა, თუ როგორ შეხვდა წმინდა ნინო ფარავნის ტბის მიდამოებში მცხეთელ მწყემსებს[91]. ჩანს, ეკონომიკის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. მაღალმთიან ალპურ იალაღებთან ერთად, ზამთრის საძოვრებად ათვისებული ჩანს ბარის რაიონებიც, რაც მთისა და ბარის ეკონომიკური შერწყმის აუცილებელი პირობაა. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების შემდგომ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც კახეთი ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა, უჯარმა თანდათანობით კარგავს პრივილეგიებს და კახეთის სამთავროს ცენტრი ჩრდილოეთით, თიანეთში ინაცვლებს. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიჩნეულია იმ ეკონომიკური ბაზისის მოშლა, რაზედაც აღნიშნული კუთხე იყო დამყარებული. აღმ. საქართველოში, VIII ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საუკუნოვანმა ბრძოლებმა განადგურების პირამდე მიიყვანა მეურნეობის ისეთი ინტენსიური დარგი, როგორიც იყო მევენახეობა, იგივე ფაქტორებმა შეზღუდა მთიელთაგან ზამთრის საძოვრების გამოყენების შესაძლებლობაც, რამაც დიდი ზიანი მიაყენა კახეთის მესაქონლეობას. კახეთის სამთავროს ეკონომიკური ძლიერება კი სწორედ მეურნეობის ამ ორ დარგზე იყო დამყარებული[92].

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ერწო-თიანეთის დიდი

---

[90] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები..., გვ. 216.

[91] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 85.

[92] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

ეკონომიკური მნიშვნელობა აღმ. საქართველოში, პირველ რიგში, განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ[93].

ეს კუთხე, წარმოადგენდა რა არაგვის, ივრისა და ილტო-ალაზნის ხეობების მთიანი ნაწილების ბუნებრივ ცენტრს, მთისა და ბარის დამაკავშირებელ ხიდს, შეიძლება მივიჩნიოთ მთისა და ბარის სამეურნეო შერწყმის იშვიათ მაგალითადაც. ნ. ბერძენიშვილს შენიშნული აქვს ვახუშტის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ფშავნიო „სიმწრისათვის მონებენ ვისაცა უპყრავს თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ"[94]. მეურნეობის განვითარების გარკვეულ პირობებში, აღნიშნავს ავტორი, მთა ბატონობს ბარზე, მაგრამ შემდგომ ეტაპზე იცვლება ეს პირობები და პირუკუ მოვლენას აქვს ადგილი, „ამაყი მთის შვილები მორჩილების ქედს უხრიან განვითარებულ მეურნეობის ნიადაგზე ორგანიზებულ ბარს, „რამეთუ იზრდებიან მუნიდამ"[95]. ივრის ხეობის სამეურნეო მნიშვნელობამ განსაზღვრა აქ ისეთი პოლიტიკური ცენტრების შექმნა, როგორიც იყო უჯარმა და თიანეთი. ამ პუნქტებზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და მთისა და ბარის ურთიერთდამაკავშირებელი გზები. ამიტომ იყო, რომ ისტორიულ ხანაში ჯერ უჯარმა, ხოლო შემდეგ თიანეთი კონტროლსა და რეგულაციას უწევდა მთიელთა მიერ ზამთრის საძოვრების გამოყენების საკითხს, მთისა და ბარის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას. სწორედ ამიტომ შენიშნავს ვახუშტი, რომ ფშავლები და არა მარტო ფშავლები, მტკიცედ იყვნენ დამოკიდებული იმაზე, ვის ხელშიც იმყოფებოდა თიანეთი. უამისოდ ისინი ვერ გავიდოდნენ კახეთის ზამთრის საძოვრებზე, რითაც მათ ეკონომიკას, მათი მეურნეობის წამყვან დარგს — მესაქონლეობას საფუძველი ეცლებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, XVI ს. დასაწყისში ქართველი მთიელები—თუშ-ფშავ-ხევსურები სარგებლობენ კახეთში შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური პირობებით და კახეთის ბარის საძოვრებით სარგებლობის უფლებას ღებულობენ, რაც მესაქონლეობის განვითარების სტიმულს იძლევა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმ გარემოებაზეც, რომ მესაქონლეობის განვითარების საქმეში აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მთისა და ბარის მჭიდრო ეკონომიკური კავშირი. უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ კავკასიის პირველი სახელმწიფოები სწორედ მთისა და ბარის სამეურნეო

[93] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176

[94] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 533.

[95] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

შეერთება იყო, მთისა და ბარის სამეურნეო შერწყმის შედეგ'ს წარმოადგენდნენ. საკუთრივ საქართველოც, გარკვეული დროიდ'ნ, მთაბარული სამეურნეო-კულტურული კომპლექსებისაგან შედგებოდა. საზოგადოებრივი წარმოების გარკვეული საფეხური მოითხოვდა ასეთ კომპლექსებს და ამ საფეხურზე მდგომი საზოგადოება ეუფლება მთასა და ბარს, ისინი ამ საზოგადოების წარმოებაში ერთმანეთს ავსებენ. სახელმწიფო, განმარტავს ნ. ბერძენიშვილი, შეუძლებელია „მთაში", თუ მას ბარი არ ახლავს, თუ ბარი არ განსაზღვრავს მის სახეს. მხოლოდ ბარში, უმთოდ შეიძლება სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მთა კი საამისო პირობებს არ იძლევა; მთა კი არ იპყრობს ბარს, არამედ პირიქით, მას მეურნეობრივად იმორჩილებს ბარი[96]. ყოველივე ამ'ასთან ერთად, ჩნდება გარკვეული ცენტრები — ქალაქები, სადაც ხდება წარმოების გაცვლა. როგორც წესი, ქალაქები ჩნდება მთისა და ბარი'ს გამყოფ ზოლში, როგორც ბარის წარმონაქმნი ერთეულები, მათ რიცხვს მიეკუთვნება უჯარმა და თიანეთიც[97].

გადავხედოთ ერწო-თიანეთის დღევანდელ მოსახლეობასაც. XVIII ს. მეორე ნახევარში, გარეშე მტერთა შემოსევების შედეგად, საბოლოოდ დასრულდა საქართველოს ზოგი კუთხის მოსახლეობისაგან დაცლის პროცესი, რომელიც კარგახნის დაწყებული იყო. ეს გარემოება შეეხო ერწო-თიანეთსაც. მაგრამ XVII—XVIII სს. ამავე დროს იყო ის პერიოდი, როდესაც საერთო ხასიათს ღებულობს მთიელთა ჩამოწოლა ბარის რაიონებში.[98] რაც შეეხება ერწო-თიანეთს, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მისი დღევანდელი მოსახლეობა შედგება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ჩამოსახლებული ფშავლების, მთიულეთ-გუდამაყრელების და ნაწილობრივ მოხევეებისაგან. მათ გვერდით არიან ქართლისა და კახეთის სხვადასხვა რაიონებიდან გადმოსახლებულნი და შეიმჩნევა ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობის ელემეტებიც. ყველა ე'ს ეთნოგრაფიული ჯგუფი აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპაქტურად განსახლდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ერწო-თიანეთის ძირითადი მოსახლეობა ფშაურია, ისინი წარმოადგენენ აბსოლუტურ უმრავლესობას.

---

[96] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 641.

[97] იქვე, გვ. 328.

[98] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 288.

თუ რამ განაპირობა მთიელთა ჩამოწოლა ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე, კარგად ჩანს ნ. ქუმსიაშვილის მოგონებაში თავის წინაპრებზე: „XIX საუკუნიდან იწყება ფშაველთა გადმოსახლება სხვადასხვა ადგილებში, იგონებს ცნობილი მომღერალი, ამის მიზეზი, ერთის მხრივ, ქისტების მუდმივი თავდასხმები იყო, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება—ცხვრის გამრავლების სურვილი. ჩემი წინაპრებიც ცაბაურთა თემიდან ჩარგალის მცირერიცხოვან მკვიდრთა შორის დასახლებულან. თუ რამდენ ხანს უცხოვრიათ ჩარგალში ზუსტად არ ვიცი, მაგრამ პაპაჩემი ნადირას ხელში გადასულა თუ არა ოჯახის უფროსობა და შეძლებული მეცხვარე გამხდარა, ბუჭყინტაში (შარახევის მთა) გადმოსახლებულა; ეს ადგილი დღესაც განთქმულია თავისი საძოვრებით და ზაფხულობით ბარიდან საქონელი იქ ამოდის საიალაღოდ. ცხვარ-ძროხით მდიდარ პაპაჩემს სახნავ-სათესის ნაკლებობა აქაც აწუხებდა თურმე, მაგრამ ბუჭყინტის ბარაქიანი საძოვრების დათმობაც უმძიმდა; ამასთან, სამი ვაჟი ჰყავდა უკვე და, ვინ იცის რა ფიქრები უტრიალებდა, როცა დამძიმებული გულით გამოეთხოვა ამ ზღაპრულ სამყაროს, ქვემო ერწოში ჩამოსახლდა და უხვწყლიან ივრის სანაპიროზე, სოფელ ორხევში დამკვიდრდა“. ნადირას ფშავიდან წამოსვლისთანავე გვარიც გამოუცვლია და ფშაველთა ტრადიციის მიხედვით, თავისი საგვარეულოს უფროსის სახელიდან წარმომდგარი გვარი — ქუმსიაშვილი მიუღია (ნადირა ქუმსის მეხუთე შტოს ეკუთვნოდა).[99].

ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ფშავლების ჩამოსახლებისა და და დამკვიდრების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მთხრობლები ასახელებენ მთაში სახნავ-სათესი ფართობების ნაკლებობას და ნიადაგის სიმწირეს. გადავხედოთ კვლავ ნ. ქუმსიაშვილის მოგონებებს: „ერთხელ პაპაჩემს თავისი ნათლიმამა, ხევსური ღაძია ესტუმრა. იგი ახლად გადმოსახლებული იყო ჩვენს ზემომდებარე სოფელ გონდაურაში. პაპაჩემმა სტუმარს ხევსურეთიდან გადმოსახლების მიზეზი ჰკითხა და ღაძიამაც უპასუხა: „ნადირაის ჭირიმევ, აღარ მედგომებოდა ხევსურეთში. შენ კარგად იცი, ჩემო ნადირავ, ხევისბერ ვიყავ ხახმატის ჯვარისა. ერთ წელს შიმშილობა ჩამოვარდა, შუა ზამთარში გამითავდა ნაფქვავი. დავაპირე პურის საშოვნელად წასვლა. ამიტყდნენ ქადაგები: ხატ არ გიტევსო. მეტი რაი მექნა, ჩამოვუარე ნათესავებს, ზოგმ ერთი ლიტრა მამც, ზოგმ ორი, მეყოფინ

[99] ნ. ქ უ მ ს ი ა შ ვ ი ლ ი, სიმღერის უკვდავება, თბ., 1965, გვ. 6.

ცოტა ხანს. ისევ დავაპირე კახეთს წასვლა, მაგრამ ისევ ამიტყდნენ. ქადაგები: ხატ არ გიტევსო. მესამედაც არ გამიშვეს და მეც რაი მექნ, კარგიო ვუთხარ ხატის კაცთ, არ წავალ ცოლ-შვილ კი შიმშილით გამიწყდებისავ. მერე შევკაზმე ჩემ ჯორაკაი, ავკიდ ცარიელ ტომრები და მიუელ ხახმატის ჯვარსა, მოვიხად ქუდი, ჩავიჩოქე და შევეხვეწე: დიდო და ძლიერო ხახმატის ჯვარო, განა კი მეხალისება კახეთს სიარული, ცოლ-შვილი შიმშილით მეღუპება; თუ რამეს მიშველი და ხვალისთვის ამ ტომრებს ფქვილით დამივსებ აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო. ჩემ ჯორაკა ხეზე მივაბი და წავედ. მეორე დილას მიუველ ხატსა, მივიხედ-მოვიხედე, აღარსა ჩემი ჯორაკაი, ტომრებ ცარიელებ ეყარის მიწაზე, ჯორაკა ზევით ეთრია მგლებს და გამოხრულ ეგდო. ამის მნახავმა, ჩემო ნადირავ, მივაფურთხე ხახმატის ჯვარსა და წამოვედი. წავედ კახეთს, მოვიტანე ფქვილი და ცოლ-შვილი გადავარჩინე, მაგრამ სოფელმა ამომიკვეთა, ხატის ურჩი ხარო. გადმოვსახლდი აქა გონდაურში, პურიცა მაქვის, ხორციც, ერბო-ხაჭოცა, მტერსაც ვუხვდები და მოყვარესაცა"[100].

მოსახლეობის დენა მთიდან მთისძირა და ბარის რაიონებისაკენ ალპური ლანდშაფტის მეურნეობის თავისებურებებითაა გამოწვეული. იმდენად რამდენადაც მთაში სოფლის მეურნეობის პროდუქცია განსაზღვრულია, მოსახლეობის სიმჭიდროვე როგორც კი მიაღწევდა თავის ზღვარს, მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა იძულებული იყო, პირველ რიგში, მთისძირში გადმოსასლებულიყო[101]. ვფიქრობთ, მეურნეობის იმ თავისებურებებში, რაც იწვევდა მთიდან მოსახლეობის მიგრაციას მთისძირა და ბარის რაიონებში, იგულისხმება, ერთი მხრივ, მთაში სახნავი ფართობების სიმცირე და სიმწირე, ხოლო მეორე მხრივ, მთიელი მეურნეების მიერ ახალი სასაძოვრო ფართობების ძიება. გარდა ეთნოგრაფიული მასალისა, ნ. ქუმსიაშვილის ზემოთ მოყვანილი გადმოცემიდანაც შეიმჩნევა, რომ მთაში შეუძლებელია მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის ფართო მასშტაბებზე ვილაპარაკოთ, მიუხედავად იმისა, რომ მესაქონლეობა მთის სამეურნეო ყოფაში წამყვან მნიშვნელობას ინარჩუნებდა. ცალკეული მეურნეები, როლებიც თანმიმდევრულად აფართოებდნენ მეურნეობის ამ დარგს, იძულებული იყვნენ გასცლოდნენ მთის ფარგლებს და მთისძირა და

---

[100] ნ. ქ უ მ ს ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[101] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკ-ის მოამბე, IV, 3, თბ., 1939, გვ. 284.

ბარის რაიონებში ეძებნათ პარალელური სამეურნეო ბაზების მოსაწყობი ადგილები. ერწო-თიანეთის ტერიტორია კი ასეთი ბაზების მოწყობის შესანიშნავ პირობებს იძლეოდა; ეს იყო სათიბ-საძოვრებით მდიდარი კუთხე, მთასა და ბარს შორის გადებული ხიდი, საიდანაც მეურნეები ადვილად უკავშირდებოდნენ როგორც თავიანთი კუთხის მაღალმთიან იალაღებს, ისე ბარის საზამთრო საძოვრებს.

ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ფშავლების ჩამოსახლებასა და ამ კუთხის სამეურნეო მნიშვნელობაზე საინტერესოა ჩვენ მიერ სოფ. ომარაანში ჩაწერილი მასალა. ამ მასალების მიხედვით, ბახტრიონის განთავისუფლებაში 160 ფშაველი მონაწილეობდა, რომელთაგან 60 მათურის თემიდან ყოფილა. გამარჯვების შემდეგ მეფეს უკითხავს ხალხისთვის რით დაჯილდოებინა ისინი. ხევსურებს ჯილდოდ იარაღი მოუთხოვიათ, ფშავლებს კი ადგილები და მიუღიათ კიდეც ახმეტაში (მათურლებს, უკანა ფშავლებს და ახადლებს) და ხოდაშენში (გოგოლაურელებს). მათ იქ ვენახები გაუშენებიათ, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ამუშავებდა და ფშავლებს ღალას უხდიდა. ახლა რაც შეეხება მათ ომარაანში დამკვიდრებას. მეფე ერეკლეს ბოჭორმის ციხეში მეციხოვნეები ეყენა, რომელთა შორის ფშავლებიც ყოფილან — 13 მათურელი. ამათ XVIII ს. ბოლოს საქონელი ზამთრობით მათურაში ჩამოჰყავდათ, ხოლო ზაფხულობით კვლავ თავიანთ მთებში მიუდიოდათ. მაშინ მთელი ეს ტერიტორია უკაცრიელი ყოფილა. იმ ადგილებში, სადაც ახლა სოფ. ომარაანია, ფშაველ მესაქონლეებს ჩალით და ჩადუნით დახურული საზამთრო ბინები ჰქონდათ გამართული. თოვლის მოსვლამდე საქონელი ტყეებში დაუდიოდათ, შემდეგ კი თივით კვებავდნენ. გარდა ამისა, აშზადებდნენ ნიჩბებს, ცხავებს, ცხრილებს, შემოდგომაზე მიჰქონდათ ახმეტაში, ხოდაშენში, ქისტაურში, იქ მათ პურსა და ღვინოზე ცვლიდნენ და თავიანთ ქოხებში ამოჰქონდათ. ფშავლები მაშინ ომარაანში ხვნა-თესვას არ მისდევდნენ, მხოლოდ თიბავდნენ და საქონელს აზამთრებდნენ. ხვნა-თესვისთვის კი მას შემდეგ მოუკიდიათ ხელი, რაც აქ მუდმივად დასახლდნენ. თუ როდის მოხდა ეს, ამაზეც ეთნოგრაფიული მასალა იძლევა პასუხს.

ერთ ზაფხულს ომარაანში მყოფ ფშაველ მესაქონლეებს შეხვედრიან სანადიროდ მიმავალი ჩოლოყაშვილები. მათ ფშავლებისთვის უკითხავთ, იცოდნენ თუ არა ვის ადგილებში იყვნენ და რა უფლებით სარგებლობდნენ. ფშავლებსაც უპასუხიათ, რომ ისინი

სარგებლობდნენ ბოჰორმის საბერო-საეკლესიო ადგილებით და მიუთითებიათ ზურმუხტების მაღალზე მდებარე სასაზღვრო ქვაზე, სადაც მინიშნებული იყო მისი საზღვრები. ჩოლოყაშვილებს ეს ქვა იქვე მთის ძირში მდებარე ტბაში გადაუგდიათ და დაუწყიათ ფშაველ მესაქონლეებთან მოლაპარაკება. შეუთავაზებიათ, რომ მისცემდნენ საბუთს, თითქოს ისინი ჩოლოყაშვილების ყმები იყვნენ და ამ უფლებით სარგებლობდნენ აღნიშნული ფართობებით. თავის მხრივ, ფშავლები მთიელებს აგიტაციას გაუწევდნენ და ომარაანში ჩამოასახლებდნენ. ამ დამსახურებისათვის ისინი 100 წლის განმავლობაში უხარჯოდ და შეუზღუდველად ისარგებლებდნენ ომარაანის მთელი ფართობებით, დანარჩენებს კი ჩოლოყაშვილების სასარგებლოდ უნდა ეხადათ წელიწადში ერთ დესეტინა სათიბზე 2 მანეთი, სახნავზე — 3 მანეთი. ამის შემდეგ ჩასახლებულან ფშავლები ომარაანში და სამიწათმოქმედო სამუშაოებისთვის მოუკიდიათ ხელი. მთხრობელთა გადმოცემით, 1910 წ. შესრულებულა პირობით გათვალისწინებული ვადა და ჩოლოყაშვილებსაც მოუთხოვიათ იმ პირთა შვილიშვილებისათვის, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმების დროს მათთან იყვნენ დაკავშირებული, შეესყიდათ მათ მიერ დაკავებული ადგილები. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად სწორია ზემოთ მოყვანილი თარიღები, მაგრამ ერთი კი ცხადია, ფშავლები XIX ს. პირველ ნახევარში საბოლოოდ მკვიდრდებიან ომარაანში და მესაქონლეობასთან ერთად, სამიწათმოქმედო სამუშაოებსაც ჰკიდებენ ხელს, მანამდე კი, დიდი ხნით ადრე იყენებდნენ მის ფართობებს საქონლის გამოსაზამთრებლად.

1861 წ. 15 ივნისს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია, რომ პანკისის ხეობაში მსხვილფეხა საქონლის საზამთრო ბინები ჰქონდათ მოწყობილი ფშავლებს. ისინი აქ ყოველ წელიწადს ჩამოდიოდნენ შემოდგომაზე, ხოლო გაზაფხულზე მთელი თავისი ოჯახითა და საქონლით უკან ბრუნდებოდნენ. მაგრამ 1860 წ. გაზაფხულიდან ფშავლებსაც დაუწყიათ პანკისის ხეობაში ადგილების დამუშავება. აქვე ნათქვამია, რომ თუშები, ფშავლები და ბახტრიონის კახური მოსახლეობა უხსოვარი დროიდან სარგებლობდნენ პანკისის ხეობის ტერიტორიით, ქართველი მეფეების მიერ გაცემული სიგელების საფუძველზე[102]. ანალოგიური ხასიათის საბუთში ვკითხულობთ, რომ ფშავლებს მთაში ადგილების ნაკლებობის გამო არ შეეძლოთ ზამთრობით საქონლის გამოკვება, ამიტომ ქართველმა მეფეებმა პანკისის ხეობაში მისცეს მათ სა-

[102] სსცა, ფონდი, 254, ანაწერი 1, საქ. № 1078, ფ. 295.

ხელმწიფო მიწების ნაწილი. აქედან მოყოლებული 1861 წ-მდე (ე. ი. ამ საბუთის შედგენამდე) ფშავლები შეუზღუდველად ცხოვრობდნენ მეფე გიორგის მიერ ბოძებულ ადგილებზე[103].

ფშავლებს საზამთრო ბინების მოსაწყობად ადგილები ეჭირათ პანკისის ხეობის ქვედა წელში, ბახტრიონელების მიერ დაკავებული ადგილების მოსაზღვრედ. ამ ადგილებში ფშავლები ძველთაგანვე ჩამოდიოდნენ და საქონელს აზამთრებდნენ. ბევრი მათგანი სეზონურადაც კი ცხოვრობდა იქ, მაგრამ სახელმწიფო მიწაზე მათ სამიწათმოქმედო სამუშაოების წარმოების უფლება არ ჰქონდათ, საამისოდ კერძო მფლობელებისგან უნდა დაექირავებინათ ადგილები[104]. ამჟამად ფშავლებით დასახლებულია პანკისის ხეობის სოფლები: დედისფერული, ზემო ხალაწანი, ყვარელწყალი. კუწახტა, საკობიანო, ბაყილოვანი. ფშაველი მესაქონლეები თუშებთან ერთად იყენებდნენ ლალისყურის, ფშაველისა და ყარაჯალის ფართობებსაც. ეს ადგილები თაკადებს ეკუთვნოდათ და ისინიც საძოვრებს მეცხვარეებზე (საგაზაფხულოდ და საშემოდგომოდ), ხოლო ტყეებს მსხვილფეხა მესაქონლეებზე აქირავებდნენ. თუშ და ფშაველ მესაქონლეებს აქ საზამთრო ბინები ჰქონდათ გამართული, სადაც მსხვილფეხა საქონელთან ერთად მცირეოდენ ცხვარსაც იყოლიებდნენ ხოლმე. ამჟამად ს. ფშაველის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფშაურია, ფშავლებითაა დასახლებული ლეჩური და ლაფანყური. მთხრობელთა გადმოცემით, ფშავლები ფშავში უფრო ადრე ჩასახლებულან, ვიდრე თუშები ალვანით სარგებლობის უფლებას მიიღებდნენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ერწო-თიანეთის ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვითაც აშკარად შეიმჩნევა, რომ ბახტრიონის განთავისუფლების შემდეგ ფშაველ მესაქონლეებს, თუშ მეცხვარეებთან ერთად, ფართოდ გაეხსნათ გზა კახეთის ბარის საძოვრებისაკენ.

1886 წ. ოქტომბერში სოფ. მარელისის საზოგადოება თხოვნით მიმართავს თბილისის გუბერნიის ხელმძღვანელობას, დართონ ნება თავიანთი მუშა საქონელი უფასოდ აძოვონ ხევისჭალის ტყისპირა ზოლში, რადგან ხახნავი და საძოვარი ფართობების დიდ ნაკლებობას განიცდიან. ამავე დროს, თხოულობენ ამ ადგილებით სარგებლობის უფლება აეკრძალოთ ფშავლებს, რომელთაც იქ რვამდე საზამთრო ბინა ჰქონდათ მოწყობილი. ჩვენი ცხოვრების

---

[103] იქვე, ფ. 294.

[104] სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 1078, ფ. 300.

ხასიათის მიხედვით, აცხადებენ მარელისელები, არ შეგვიძლია საძოვრების საძებნელად შორეულ ადგილებში წასვლა. ფშავლებს კი, რომელთაც ჩვენს ახლოს აქვთ ადგილები დაკავებული, თავისუფლად შეუძლიათ გასვლა შირაქში[105].

ამ დოკუმენტში კარგად ჩანს ის განსხვავება, რაც არსებობდა კახეთის ბარის რაიონის სოფლების, კერძოდ, მარელისის მოსახლეობისა და ფშავლების მესაქონლეობის ფორმებში. მარელისის მოსახლეობა მთელ მეურნეობას ადგილზე აწარმოებდა, მათ ცხოვრების ხასიათი არ აძლევდა უფლებას შორს გაერეკათ საქონელი და ამიტომ სოფლისპირა საძოვრებით კმაყოფილდებოდნენ. ფშავლები კი პირიქით, არ ერიდებოდნენ საძოვრების საძებნელად შორეულ ადგილებში გასვლას, ყველა მოხერხებულ ადგილს იკავებდნენ, რაც კი გზად ხვდებოდათ, და თავის სამეურნეო მიზნებს უკავშირებდნენ.

ცხადია, ფშაველი და ხევსური მეურნეები, ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლების შემდეგ, მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ თავიანთ საზამთრო-სამეურნეო ბაზებს, ადგილობრივ ხეობებს, ტყეებს და ტყისპირა ველებს, რაც საშუალებას იძლეოდა კაცი დიდი ხნით არ მოწყვეტოდა ოჯახს, მასთან მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი ჰქონოდა. ამასთან, ერწო-თიანეთის ტერიტორია, როგორც აღვნიშნეთ, მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთისა და ბარის გამყოფ ზოლში, საიდანაც მეურნეები ადვილად უკავშირდებოდნენ როგორც თავიანთ მთის საზაფხულო იალაღებს, ისე ზამთრის საძოვრებს. რაც შეეხება ფშაველი და ხევსური მეურნეების საქონლის შემადგენლობაში მუშა პირუტყვის რაოდენობის ზრდას, რაც აქ ჩამოსახლების შემდეგ თვალნათლივ გამოიხატა, მიუთითებს მათ სამეურნეო ყოფაში მიწათმოქმედების გაფართოებაზე. მათ სამეურნეო ყოფაში ასევე დიდ ადგილს იჭერს მეკამეჩეობა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში — მეღორეობა და მეფრინველეობა. ყოველივე ამაზე გარკვეული გავლენა იქონია როგორც ქართლურ და კახურ მოსახლეობასთან უფრო მჭიდრო მეზობლურმა ურთიერთობამ, ისე ადგილობრივმა ბუნებრივმა პირობებმა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური კავკასიის მთიანეთში მესაქონლეობა იყო მეურნეობის წამყვანი დარგი, მთა ვერ უზრუნველყოფდა მას მტკიცე საკვები ბაზით. ბართან მჭიდრო

---

105 სსცია, ფონდი 244; ანაწერი 3, საქ. № 539, ფ. 1.

სამეურნეო კავშირის გარეშე მესაქონლეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა, მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. მთიელები მცირეოდენ შესაძლებლობასაც კი არ უშვებდნენ ხელიდან იმისათვის, რომ ბარის სამეურნეო ბაზებს არ მოსწყვეტოდნენ და თუ მთასა და ბარს შორის კავშირი დარღვეული იყო — აღედგინათ. ასეთი მომენტიც უდგებათ XVI ს-დან როგორც ქართველ მთიელებს, ისე ჩრდილო კავკასიელებს, რაც მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. მესაქონლეობის სფეროში მოპოვებულმა მიღწევებმა და ახალმა პერსპექტივებმა განაპირობა მთიელთა მნიშვნელოვანი ნაწილის თანდათანობით დაბალ ზოლში ჩამონაცვლება. ამით ისინი უფრო მეტად დაუახლოვდნენ თავიანთ საზამთრო სამეურნეო ბაზებს; საცხოვრებლად ირჩევდნენ ისეთ პუნქტებს, რომლებიც მთისა და ბარის სამეურნეო ერთიანობის მარეგულირებელი იქნებოდა, საიდანაც ადვილად მისწვდებოდნენ როგორც მაღალმთიან ალპურ იალაღებს, ისე ბარის საზამთრო საძოვრებს. მესაქონლეობის მცირე მომთაბარეული ფორმა კი სავსებით ჩამოყალიბებულ, სრულყოფილ სახეს ღებულობს. ამ ზოლში მთიელები მნიშვნელოვნად აფართოებენ მიწათმოქმედებასაც, მაგრამ, როგორც ტრადიციით, მესაქონლე ხალხი, უპირატესობას მაინც მესაქონლეობას აკუთვნებენ.

2. მესაქონლეობასთან დაკავშირებული ნაგებობანი

მესაქონლეობასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები, საქონლის სადგომები, ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გაშლილი, რაც სავსებით შეესატყვისება მეურნეობის ამ დარგის წარმოების ფორმებს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საქონელსა და მესაქონლეობის პროდუქტებს დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საცხოვრებელი ნაგებობის ჭერქვეშ, რაც საერთოდ დამახასიათებელი მოვლენა იყო ცენტრალური კავკასიონის მთიანი ზოლის მეურნეობისათვის. ამ მხრივ, საკვლევი ობიექტის ყველა კუთხის საცხოვრებელ კომპლექსში შემავალი სამეურნეო სათავსოები, კერძოდ, საქონლის სადგომები, ანალოგიას პოულობენ ერთმანეთთან. მ. მაჩაბელი საერთო ელემენტებს იმაში ხედავს, რომ მას (მხედველობაში აქვს ყოფილ თიანეთის მაზრაში შემავალი ქართველებისა და მათი მეზობელი ქისტების სოფლები) ეთმობოდა სახლის პირვე-

ლი სართული და ზედა სართულიდან სპეციალური ჩასასვლელით უკავშირდებოდნენ, არ ჰქონდა ფანჯრები, იატაკზე მოგებული იყო ქვის ფილები, ხოლო კედლებს მიუყვებოდა დაბალი ბაგა[106]. საქონლის სადგომებს თერგისა და თეთრი არაგვის ხეობათა სოფლებში გვაცნობს ვ. გეევსკი. თუ სახლი ორსართულიანია, წერს ის ზამთარში საქონელი ჰყავთ პირველ სართულზე. სახლის ამ ნაწილს სოფელშიც და მთაშიც შესაძლებლობის ფარგლებში, ერთ გვერდს მაინც უტოვებენ მიწისას, რომ მეტი სითბო ჰქონდეს. ღარიბ გლეხობას საქონელი ჰყავთ იქვე, სადაც თვითონ ცხოვრობენ, გომური ემიჯნება საცხოვრებელს ან მისგან არის გამოყოფილი, ადამიანები ცხოვრობენ ცხოველებთან ერთად. ავტორის აზრით, საქონელი ოთახსაც ათბობდა და ის დაცულიც იყო ქურდებისაგან[107].

მიუხედავად იმისა, რომ სახლის ჭერქვეშ მოქცეული სადგომები საერთო ელემენტებით ახლოს დგანან ერთმანეთთან, მათში მაინც აისახება ამა თუ იმ კუთხის ლოკალური თავისებურებები. ამიტომ მოკლედ შევეხებით ზოგიერთ მათგანს. XIX ს. და XX ს. დასაწყისში ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში გავრცელებული იყო სამ-ოთხსართულიანი ციხესახლები გ ე ნ ა ხ და ერთ ან ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობები ხ ა ძ ა რ. ორ და მეტსართულიანი სახლების პირველი სართული საქონლის სადგომად იყო განკუთვნილი, ერთსართულიან სახლებს კი ბოსელი ს კ ა თ გვერდით ჰქონდა მიშენებული (სურ, 3, 4; 5). ა. მაგომეტოვის აღწერილობით, ოსური სამსართულიანი ციხესახლების პირველი სართული საქონლის სადგომად და მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა, მეორე სართულზე ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო მესამე სართული თავდაცვითი ფუნქციების მატარებელი იყო[108]. ხშირად სახლის პი-

---

[106] М. М а ч а б е л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 500.

[107] В. Г е е в с к и, О состоянии скотоводства в верховях рр. Террека и бел. Арагви. Материалы для устройства казенных, летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе, Тифл., с. 32.

[108] А. М а г о м е т о в, Культура и быт осетинского крестьянства, Орджоникидзе, 1963, с. 96. ოსურ საცხოვრებელ ნაგებობებს გამოკვლევა მიუძღვნა გ. გეგეჭკორმა, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ამ ნაგებობებში ფართის განაწილების პრინციპი (იხ. А. Р о б а к и д з е, Г. Г е г е ч к о р и, Формы жилища и структура поселения горной Осетии, КЭС, V, I, Тб. 1975, с. 16—65).

რველ სართულს ოჯახი საქონლის სადგომადაც იყენებდა და ზამთარში საცხოვრებლადაც. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძმები სახლს სართულების მიხედვით იყოფდნენ, პირველი სართული, ახალი სახ-

ჭრილი 2-2



ჭრილი 1-1

დასავლეთის ფასადი

13 0 1 2 3 4 5 6 7 8 9

სურ. 3. ჩრდ. ოსეთი, ქურთათის ხეობა, სოფ. ბარზიყაუ, ზადიკო გურიევის საცხოვრებელი კომპლექსი

ლის აშენებამდე, საქონლის სადგომის ფუნქციასაც ასრულებდა და საცხოვრებლისაც. საქონლის სადგომის ან სახლის პირველი სარ-







სურ. 4. ქსნის ხეობა, სოფ. ჩიგოიანი, კუკური ჩიგოევის სახლის I, II და III სართულების ფასადი



სურ. 5. ქსნის ხეობა, სოფ. ჭენქანი, საცხოვრებელი ქომპლექსი

სურ. 6. ჩრდ. ოსეთი, ჭურთათის ხეობა, სოფ. ცმიტი, ფაიყო ჭიტიევის საქონლის სადგომი, ფასადი და ჭრილი

თულის გამოყენება საცხოვრებლად ან პირიქით, ერთსართულიანი სახლის გადაკეთება ბოსლად, არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა (სურ. 6. 7)

ვ. ითონიშვილი, ეხება რა საქართველოს მთიანეთში, თრუსოს ხეობაში მცხოვრებ ოსთა საცხოვრებელ კომპლექსებს, გამოყოფს სახლის პირველ სართულს, რომელიც იყოფოდა საბერწედ, საცხვრედ და საძროხედ[109]. მოხეური ორ-სამსართულიანი ნაგებობის პირველი სართულის ქ ო ი თ ს ა ხ ლ ი ს ნახევარს ბოსელი მოიცავდა, მეორე ნაწილი კი ზამთარში ოჯახის საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ერთ შემთხვევაში ბოსლის ფართობი დაყოფილი იყო ს ა ფ უ რ ე დ, ს ა ბ ე რ წ ე დ, ს ა ხ ბ ე დ, ს ა ც ხ ვ რ ე დ, ს ა ბ ა ტ კ ნ ე დ, მეორე შემთხვევაში კი ფართობი დაუტიხრავი იყო, თუმცა ყველა მისი ნაწილი გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა[110]. რიგ კონკრეტულ შემთხვევებში მთიულური სახლის პირველი სართული, ძ ი რ ა ს ა ხ ლ ი ანუ ს ა ჯ ა ლ ა ბ ო ს ა ხ ლ ი საქონლის სადგომსაც წარმოადგენდა და საცხოვრებელსაც. ისინი ერთმანეთი-

---

[109] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კეკ., I, თბ., 1964, გვ. 116, 118.

[110] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, გვ. 22, 34.



სურ. 7. ჩრდ. ოსეთი, ქურთათის ხეობა, სოფ. ცაიტი, ფაიეო ქიტიევის საქონლის სადგომი, გეგმა და კრილი

საგან არაფრით არ იყო გამოყოფილი, ან შუაში წნული ტიხარი ჰქონდა. ჯალაბი ძირა სახლში ზამთრობით იმყოფებოდა, ზაფხულში კი მეორე სართულზე ინაცვლებდა[111].

ხევსურული სამსართულიანი კალოიანი სახლის პირველი სართული, ს ა ხ ლ ი ჯალაბისა და პირუტყვის, ყ ვ ე ლ ფ ი ს (ცერის) და ოჯახის ბ უ ნ ა გ ი ს შესანახად იყო განკუთვნილი. საქონლის სადგომი საცხოვრებლიდან წნული კედლით გამოიყოფოდა. მეორე სართულზე ჰ ე რ ხ ო მამაკაცთა სადგომი და ადამიანისა და საქონლის მარაგის საცავი იყო, ხოლო მესამე სართულზე კალო ჰქონდათ[112]. უფრო ადრე ამ ნაგებობებს ყურადღება მიაქცია მ. მაჩაბელმა და შენიშნა, რომ პირიქითელი ხევსურების საცხოვრებელი ნაგებობა;

---

[111] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 27, 29; გ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი, მთიულური ქვითკირის ზოგიერთი მხარე, კეკ, III, თბ., 1971, გვ. 27.

[112] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის სენე, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 145.

თავისი დაგეგმარებით რამდენადმე განსხვავდება პირაქეთელი ხევსურების სახლისაგან. პირიქითში ტიპიური სახლი ოთხსართულიანია, პირველი სართული ეთმობა ბოსელს, მეორე—საცხოვრებელს, მესამეა ჭერხო, მეოთხე — კალო. პირაქეთ ხევსურების საცხოვრებელ კომპლექსს, ძირითადად, სამსართულიანს წარმოგვიდგენს, რომლის მესამე სართული კალოს ეკავა. პირველ სართულს ყუთები ორ ნაწილად ყოფდა, კარებიდან მარცხენა მხარეს ფართობი საქონელს ეთმობოდა, მარჯვენა მხარეს თ ა ვ ს ა ხ ლ ი (საცხოვრებელი) იყო[113]. ერთ-ერთ ასეთ სახლში მოხვედრილა რადეც (სოფ. ბლოში). მისი გადმოცემით, სახლი იყო ორსართულიანი, მეორე სართულზე ცხოვრობდნენ კაცები და ხბოები, აქვე ენთოთ შუაცეცხლი. მეორე სართულიდან კიბე ჩადიოდა პირველ სართულზე, სადაც ცხოვრობდნენ ქალები და ბავშვები, აქვე ჰყავდათ საქონელი და ცხენები[114] (სურ. 8, 9, 10). სოფ. ბისოში (პირაქეთ ხევსურეთში) ჩვენ მიერ ფიქსირებულ ნადირა ბერდიას ძე ქეთელაურის ორსართულიანი მიწურბანიანი სახლის პირველ სართულზე საძროხეს და საცხოვრებელს ერთმანეთისაგან დერეფანი ყოფდა. პირიქით ხევსურეთში (შატილში) ერთ-ერთი ოთხსართულიანი სახლის პირველი სართული მსხვილფეხა საქონლის სადგომად გამოიყენებოდა, მეორე — ცხვრის, და ხბოების სადგომად, ხოლო მესამე და მეოთხე — საცხოვრებლად. ეს სახლი ფერდობზე დგას, რამაც განაპირობა ის გარემოება, რომ პირველ და მეორე სართულს გზის პირიდან აქვს კარები (სურ. 11, 12). გ. რადეს მიერ აღწერილი ხევსურული სახლის მაგალითზეც, ოჯახის წევრებთან ერთად საქონელს ეკავა პირველი და მეორე სართული. უმეტესად კი საქონელს სახლის მხოლოდ პირველი სართული ეთმობოდა.

ინგუშეთშიც გვხვდება ისეთი ფაქტები, როდესაც სახლის პირველი სართული მსხვილფეხა საქონელს ეთმობოდა, მეორე — ცხვარს, ხოლო მესამე საცხოვრებლად გამოიყენებოდა (სოფ. ბეინი, ეგხალი). ცხვარი მეორე სართულზე ადიოდა კარების ზღრუბლთან ჩამოშვებული განიერი ფიცრის მეშვეობით. ამ მხრივ ის განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს ხევსურულ მასალასთან. არქიტექტურულად რამდენადმე განსხვავებულ ნაგებობებს ვხვდებით ჩაჩნეთის ერთ თემში — ჭებერლოიში. თუმცა ფართის განაწილების პრინციპი აქაც ისეთივეა, როგორც სხვა კუთხეებში. ქვის ბოძები, რომლებ-

---

[113] М. М а ч а б е л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 498, 499.

[114] Г. Р а д д е, Хевсуры и Хевсурети, газ. «Кавказ», 1876, № 84—87.



სურ. 8. პირაქეთ ხევსურეთი, სოფ. ბარისახო, მზექალა ჭინჭარაულის სახლის ჭრილი და პირველი სართულის გეგმა



სურ. 9. პირაქეთ ხევსურეთი, სოფ. ხახაბო, სახლის პირველი სართულის გეგმა

საც ეყრდნობა ჭერი, როგორც საცხოვრებელში, ისე გომურში; ქმნის თაღებს, რომლებიც ჭერს ყოფენ თანაბარ კვადრატებად, ხოლო თითოეულ კვადრატზე ქვის ფილებისაგან იქმნება გვირგვინისებური წყობა. კარებები უმეტესად თაღოვანია. ჭებერლოიში თითქმის ყველა ძველი საქონლის სადგომი არქიტექტურული დაგეგმარებით ერთმანეთის ანალოგიურია, განსხვავებას მხოლოდ მათი ფართი ქმნის. ფართი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ ბოძს ეყრდნობოდა; ზოგი კვადრატულია და ზოგიც მართკუთხა ფორმის; ბოსელი სახლის გვერდითაა ან მის პირველ სართულზე. ის დაყოფილი იყო საცხვრედ და საძროხედ, რის გამოც ტერმინები ბ ო ჟ ა ლ და ჟ ი ლ ა (საძროხე და საცხვარე) გაიგივებული იყო.

სურ. 10. პირაქეთ ხევსურეთი, სოფ. ხახაბო, ბოსლის ინტერიერი

საცხოვრებელ და სამეურნეო სათავსოთა ერთობლიობის თვალსაზრისით, საინტერესოა ამიერკავკასიის დარბაზული საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ერთ საერთო ჭერქვეშ, ჰორიზონტალურ დაგეგმარებაში აერთიანებდა დარბაზს, ბეღელს, მარანს, სათონეს, ჩარდახ-დერეფანს, საბძელს და ბოსელს. ქართლურ დარბაზში XIX ს. 80-იანი წლებიდან ბოსელი და საბძელი, არამასიურად, მაგრამ მაინც, ეყოფა საცხოვრებელ ფართობს ღა ეზოში

ცალკე დაგეგმარებულ სათავსოებად გვევლინება[115]. მესხეთ-ჯავახეთის ალპურ ზოლში — ნიალის ველზე ჩვენ მიერ ფიქსირებულ დარბაზულ საცხოვრებელ კომპლექსში შედის ორი საკმაოდ მოზრდილი ბოსელი და ეს ალბათ იმის შედეგია, რომ ამ ზოლის მეურნეობის ერთადერთი დარგი იყო მესაქონლეობა და მას საკმაოდ ფართო მასშტაბები ჰქონდა. ოჯახი ზამთრობით აქ იყოლიებდა მსხვილფეხა საქონელს, ცხვარი კი ქვემოთ ჩაჰყავდათ ვარძიის მიდამოებში. ამჟამად ნიალის ველზე მოსახლეობა აღარაა და მთელი ფართობი საზაფხულო საძოვრებს ეთმობა.



სურ. 11. პირიქით ხევსურეთი, სოფ. შატილი, ჭინჭარაულების ციხე-სახლის I, II სართულების გეგმა და ჭრილი

საყურადღებოა, რომ თ. ჩიქოვანი დარბაზული საცხოვრებელი კომპლექსებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს ხედავს ქართ-

---

115 თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 55.

ლის ბარის ოსების საცხოვრებელ ნაგებობებში, ერთობის სახლში და მთიულურ სახლებში. მაგრამ მიაჩნია, რომ მთიულეთის ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო და სოციალ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები მოითხოვდა ციხე-სახლების კომპლექსების მშენებლობას და ამდენად, იქ დარბაზული სახლებისათვის დამახასიათებელი, ჰორიზონტალურ დაგეგმარებაში განფენილი ღია დასახლების ფორმა ვერ განვითარდებოდა. მან განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია მხოლოდ ცენტრალურ ამიერკავკასიაში, სადაც საზოგადოების დაცვაზე ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავდა, იქმნებოდა გრანდიოზული სახელმწიფოებრივი თავდაცვითი ნაგებობები[116], მართალია, დროდადრო ფეოდალურმა აშლილო-



სურ. 12. პირიქით ხევსურეთი, სოფ. შატილი, შიმქარაულების ციხე-სახლის III, IV სართულების გეგმა და ფასადი

ბამ და გარეშე მტერთა შემოსევებმა ეს კუთხე, კერძოდ თრიალეთი და მესხეთ-ჯავახეთი, განადგურების პირამდე მიიყვანა, მაგრამ ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჩვენთვის მთავარია ის

[116] თ. ჩიქოვანი, მთიულური სახლისა და დარბაზის ურთიერთობის შესახებ, კეკ, 111, თბ., 1971, გვ. 7—9.

გარემოება, რომ დარბაზული სახლისათვის დამახასიათებელი ელემენტები შენიშნულია მთიულურ სახლში, ხოლო ლიახვის ხეობის ოსურ სოფლებში (მაჩაბლებისა და ფალავანდიშვილების მამულებში) ფიქსირებულია რამოდენიმე დარბაზული ნაგებობა[117]. და ბოლოს, დარბაზისათვის დამახასიათებელი ელემენტები გვხვდება ჩრდილო კავკასიის მთიანეთშიც — ჩაჩნეთის ზემოთ აღწერილ კომპლექსებში (ბოძებზე დაყრდნობილი გადახურვა, ქვის ფილებისაგან შესრულებული გვირგვინისებური წყობით; საცხოვრებელ და სამეურნეო სათავსოთა ერთ ჭერქვეშ ჰორიზონტალურ დაგეგმარებაში გადაწყვეტა).

ალ. რობაქიძის გამოკვლევების მიხედვით, ბალყარეთში საქონლის სადგომი ბაუ, რომელშიც ორიოდე ძროხა ჰყავდათ ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მეტწილად სახლს ჰქონდა მიდგმული. ბალყარული სახლისათვის დამახასიათებელ კომპონენტად მიჩნეულია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთ კომპლექსში მოქცევა, მათი ერთსართულიანობა და ჰორიზონტალური განლაგება. ამ მხრივ ის განსხვავდება ცენტრალური კავკასიონის მთიანეთის კუთხეებისაგან, რომლებისთვისაც, ძირითად ფორმებში, დამახასიათებელი იყო ნაგებობათა მრავალსართულიანობა და საცხოვრებელ და სამეურნეო სათავსოთა ვერტიკალური განლაგება. საცხოვრებელი ფართის გამოყენების წესში გარკვეული თავისებურებაა წარმოჩენილი იმ მხრივაც, რომ ოჯახში ახალი საქორწინო წყვილის გაჩენასთან ერთად ხდებოდა საცხოვრებელი ფართის სეგმენტაცია, რაც სახლზე ოთახის მიშენების პრაქტიკაში გამოიხატებოდა[118]. აქვე პარალელია გავლებული აჭარულ საცხოვრებელ ნაგებობასთან. მკვლევარი განსხვავებას იმაში ხედავს, რომ აჭარული სახლი ორსართულიანია და თავიდანვე სეგმენტირებული სახით შენდებოდა, ბალყარული სახლი კი ერთსართულიანია და მისი სეგმენტაცია საქორწინო წყვილების გაჩენასთან ერთად ხდებოდა[119].

---

117 თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

118 ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, მსე, XI, 1960, გვ. 99.

119 ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99. ამავე საკითხზე იხილეთ ალ. რობაქიძის შრომები დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1960, გვ. 11; დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი აჭარაში, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1967, გვ. 21; თ. ჩიქოვანი, ზემოაჭარული სახ-

ვფიქრობთ, ბალყარული სახლი ყველაზე მეტ სიახლოვეს მაინც მთარაჭის საცხოვრებელ ნაგებობებთან უნდა ამჟღავნებდეს. მთარაჭაში დასახლების ძირითად უჯრედს წარმოადგენს კარმიდამო, რომლის შიგნითაც საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგების პრინციპები მჭიდროდაა ერთმანეთთან შერწყმული (სურ. 13, 14). ჩვენ მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მთარაჭაში გავრცელებული იყო ქვითკირის ორსართულიანი სახლები და მრავალსართულიანი დუროიანი ციხესახლები, რომელთა პირველი სართული ბოსელს ეთმობოდა. ოჯახში ახალი საქორწინო წყვილის გაჩენასთან ერთად, სახლს გვერდით უკეთდებოდა მ ი დ გ მ უ ლ ა (პატარა ოთახი). შ ი ნ ა ს ა ხ ლ შ ი ოჯახი სადილობდა და უფროსები იძინებდნენ, საქორწინო წყვილები კი მიდგმულებში გადიოდნენ. ოჯახის ზრდასთან ერთად სახლს მიდგმულებიც ემატებოდა. როგორც ვხედავთ, აქაც ბოსელი სახლის ერთიან კომპლექსში იყო წარმოდგენილი და მისი პირველი სართული ეთმობოდა, საცხოვრებელი ნაგებობის სეგმენტაცია კი საქორწინო წყვილების გაჩენასთან ერთად ხდებოდა.

მთარაჭაში ჩვენ მიერ ფიქსირებულია ფაქტები, როდესაც ოჯახს ერთი ორსართულიანი ქვითკირის სახლი ჰქონდა, მისი პირველი სართული საქონელს ეთმობოდა და ეს საქონლისთვის განკუთვნილი სათავსო ოჯახს სავსებით აკმაყოფილებდა (სოფ. ღები). მეორე შემთხვევაში კი ოჯახი საქონლისთვის ეზოში ცალკე ნაგებობასაც დგამდა. მაგ,. სოფ. გლოლაში ბესო ბიძიშვილის ოჯახს ჰქონდა ორსართულიანი სახლი, მის პირველ სართულზე ძროხებს ამწყვდევდნენ. სახლის გვერდით ედგათ ორსართულიანი ნაგებობა ქ ო ხ-ბ ო ს ე ლ ი, მისი პირველი სართული ქვით იყო ნაგები და შიგ ხარებს ამწყვდევდნენ, ხოლო მეორე სართული საქონლის საკვების შესანახად იყო განკუთვნილი. სახლიდან რამოდენიმე მეტრის დაშორებით კიდევ ჰქონდათ ხის ნაგებობა თხისა და ცხვრის სამწყვდევად. იმავე სოფელში ვანო ბელაშვილის ოჯახს (უფრო სწორად, ვანოს ბაბუას) ხუთი ბოსელი ჰქონდა, ერთი სახლის პირველ სართულზე, სადაც მეწველი საქონელი ჰყავდათ, მეორე — ქოხ-ბოსელი ხარებს ეთმობოდა, ცალკე ჰქონდათ ნაგებობა მოზარდი საქონლისათვის და თავლა ცხენებისათვის. გარდა ამისა, სახლიდან 10—15 მ დაშორებით ჰქონდათ სადგომი თხი-

---

ლი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე, კკკ, I, თბ., 1964, გვ. 7.

სა და ცხვრისათვის. სამეურნეო ნაგებობათა ოდენობა დამოკიდებული იყო, ერთი მხრივ, ოჯახის სიდიდესა და ეკონომიკურ შესაძლებლობაზე, მეორე მხრივ, მესაქონლეობის წარმოების ფორმებზე.



სურ. 13. ჩრდ. ოსეთი, ქურთათის ხეობა, (ოფ. ხიდიკუსი, ქერიმ გოჟიევის საცხოვრებელი კომპლექსის ფასადი და გეგმა



ნახ. 14. ქსნის ხეობა, სოფ. ქენქანი, ქენქაძის საცხოვრებელი ი კომპლექსის პირველი სართულის გეგმა

ამგვარად, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში სამეურნეო სათავსოებს, საკუთრივ, საქონლის სადგომებს, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საცხოვრებელი ნაგებობების ჭერქვეშ. ისინი ერთმანეთის მიმართ ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ჭრილში იყვნენ განლაგებული. საერთოდ, საცხოვრებელ და სამეურნეო სათავსოთა ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგების პრინციპები მჭიდროდ იყო ერთმანეთთან შერწყმული. საქონლის სადგომი საცხოვრებლის საერთო კომპლექსში ისე იყო დაგეგმარებული, რომ საქონელი მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ო. ბუდინა, იხილავს რა ჩრდილოეთ ალბანეთის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, აღნიშნავს, რომ მოსახლეობა, რომლის ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა, მისთვის და მისი საქონლისათვის საერთო თავშესაფარს აგებდა. შემდეგ დაიწყეს საცხოვრებლიდან საქონლის სადგომის წნული ტიხრით ან დერეფნით გამოყოფა და ზოგჯერ სახლის იმ ნაწილს, სადაც საქონელი იდგა, ცალკე კარებიც კი უკეთდებოდა. შემდგომში სახლის გეგმა ვერტიკალურად ვითარდება და პირველი სართული საქონელს ეთმობა[120]. მიჩნეულია, რომ ჯერ კიდევ მესაქონლეობის განვითარების ადრეულ საფეხურზე, მაშინ როდესაც იგი გამოეყო ნადირობას და მეურნეობის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა, ადამიანმა საქონელს თავის ჭერქვეშ მიუჩინა ბინა. ამავე დროს საქონელი ჰყავდათ ღია სადგომებშიც[121].

ამგვარად, სპეციალურ ლიტერატურაში, ადამიანისა და საქონლის ერთ ფართში, ერთიმეორის გვერდით არსებობა უფრო არქაულ, ხოლო საცხოვრებელ და სამეურნეო ფართობთა ვერტიკალურ ჭრილში განლაგება მის განვითარებულ ფორმადაა მიჩნეული. როგორც ვხედავთ, ანალოგიურმა ფაქტორებმა, უპირველესად განვითარებული ფორმით, კავკასიის მთიანეთშიც შემოინახეს თავი.

საცხოვრებელი ნაგებობები სავსებით პასუხობდნენ ოჯახის როგორც თავდაცვით ინტერესებს, ასევე მის სამეურნეო მოთხოვნილებებს, ყოველ კუთხე-კუნჭულს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქონლის სადგომს, პროდუქტების გადასამუშავებელ და შესანახ სათავსოებს, საქონლის საკვების საცავ ფარ-

---

[120] О. Будина, Народное жилище Северной Албании, Культура и быт народов зарубежной Европы, М., 1967, с. 192.

[121] В. Равдоникас, Энгельс и проблема происхождения скотоводства в Европе, Вопросы истории доклассового общества, М.-Л., 1939, с. 563.

თობს და სხვ. სახლის დაგეგმარებაც, სოციალურ ფაქტორებთან ერთად, ამ სამეურნეო მოთხოვნილებათა შესაბამისად ხდებოდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, სამეურნეო სათავსოები ვერ თავსდებოდა საცხოვრებელი ნაგებობის ჭერქვეშ და ცალკეული ნაგებობების თუ პარალელური სამეურნეო ბაზების სახით გამოდიოდა მისი ფარგლებიდან.

რაჭის ერთ-ერთი საკარმიდამო კომპლექსის აღწერისას, ყურადღება გამახვილებულია ბოსლის წინ შემოკავებულ ადგილზე, ს ა ჩ ი ხ ზ ე[122], რომელიც ზაფხულში, გაზაფხულისა და შემოდგომის თბილ ამინდებში საქონლის საწოლად გამოიყენებოდა. იმერეთშიც ს ა ჩ ი ხ ე//ს ა ჩ ე ხ ე არის სახლის უკან შემოღობილი ადგილი, ეზო, რომელიც სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა. თუშური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საქონლის საზაფხულო სადგომად იყენებდნენ სახლის გვერდით მდებარე ფარდულს ს ა ჩ ე ხ ს და ს ა ქ ს ლ ო ს. ეს უკანასკნელიც ჩვეულებრივი ფარდული იყო, სადაც საოჯახო ნივთები ელაგათ. საჭიროების შემთხვევაში მის ცალ მხარეს ზაფხულში საქონელს აყენებდნენ, ხოლო ზამთარში საქონლის საკვებს ინახავდნენ[123]. ის, ვისაც ალვანში ჰქონდა ფეხი მოკიდებული, იქ ღობავდა ბ ა კ ე ბ ს, რომელშიც იყო გაშლილი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მასშივე ჰქონდა დაცული სახნავი და სათიბი. მთელ ამ ფართობს ზამთარში ცხვრის საძოვრადაც იყენებდნენ. თუშები ბაკს ეძახდნენ ფარეხთან შემოკავებულ ადგილსაც, რომელშიც დედა ცხვარსა და ბატკანს დაურევდნენ ხოლმე, და ლასტით ან ყორით შემოზღუდულ ადგილს, რომელშიც ცხვარი შეჰყავდათ გამოსაწველად. ამგვარად, თუშეთში ბაკი ცხვრისთვის შემოკავებული ადგილია, ხოლო მსხვილფეხა საქონლის საზაფხულო სადგომის მნიშვნელობით, სოფელშიც და მთის საძოვრებზეც — ტბათანაზე, დამოწმებული გვაქვს ტერმინი საჩეხი.

ბ ა კ-ი როგორც ირგვლივ მოზღუდული, უსახურავო საქონლის სამწყვდევი გვხვდება დასავლურ ქართულ დიალექტებშიც[124]. ამ

---

122 ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა, III, თბ., 1975, გვ. 24.

123 პ. ხ უ ბ უ ტ ი ა, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 72).

124 კ. კ ა ხ ი ა ნ ი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბ. 1964, გვ. 87.

შემთხვევაში ის ქ ა რ თ ა-სთანაა გაიგივებული. ძველი ქართული ენის ლექსიკონის ძიებ ედვით ბაკი ეზოსა და საჩეხის სინონიმია[125]. რაც შეეხება ტერმინ ქართას, როგორც დავინახეთ, იმერეთში ის ბაკთანაა გაიგივებული. ქართა საქონლის სადგომის მნიშვნელობით, როგორც შემორაგვული ადგილი და გლეხის კარმიდამოს შემადგენელი ნაწილი, მოხსენებულია ქართულ დოკუმენტებშიც[126]. სამეგრელოში, საქონლის საზაფხულო სადგომის მნიშვნელობით, ქართასთან ერთად გვხვდება მეორე ტერმინიც ა გ უ ა რ ა[127]. ალ. რობაქიძე ტერმინ ქართას (ინგ. к а р т, ჩაჩ. к е р т, ოს. к æ р т, ქართ. k a r t a) უკავშირებს სვანურ л ы-к ы р т а-ს (ერთ-ერთი სათიბის აღმნიშვნელი ტოპონიმი ეცერში), აფხაზურ а-хырта-ს (საძოვარი) და а г в а р т а-ს, რაც დასავლურ ქართულ დიალექტებზე პარალელურ სამეურნეო ბაზას ნიშნავს[128]. ის ასევეა დაკავშირებული ირანულ k a r t a k-თან, სადაც მისი მრავალი მნიშვნელობაა დადგენილი. სხვა მნიშვნელობებთან ერთად კარტაკ მიწის ნაკვეთისა და ქონების აღმნიშვნელიც ყოფილა. გარდა ამისა, ეს ტერმინი დაკავშირებულია საკუთრების ფორმებთან, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს[129]. ფიქრობენ, რომ ეს ტერმინი თურქული წარმოშობისაა და ბოსლის მნიშვნელობით (კერტა) დაცულია ბაშკირულ ენებში[130]. ტერმინ ქართას მთელი სისრულით, ენათმეცნიერული და ისტორიული თვალსაზრისით, იკვლევენ[131] ვ. აბაევი და გ. მელიქიშვილი[132], მაგრამ ჩვენ ასეთ

---

125 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.

126 Документы истории Грузии (1868—1917), т. I, ч. I, под редакцией Ш. Чхетия. Тб., 1954, с. 303, 447. 474,

127 რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად..., с. 39: А. Р о б а к и д з е, Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II, Тб. 1968, с. 93.

128 ნ. თ ო ფ უ რ ი ა, საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, მსე, ტ. XV, თბ. 1970, გვ. 22.

129 მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 391; А. Р о б а к и д з е, Жилища и поселения горных ингушей..., с. 93.

130 ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ისევ ტოპონიმების შესახებ, გაზ. „კომუნისტი", 1974, № 6.

131 В. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М.-Л., 1958, с. 586.

132 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 347; მ ი ს ი ვ ე, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 427.

შორეულ ექსკურსებს არ გავყვებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთში ის ნიშნავს შემოღობილ ადგილს, ეზოს, ღობეს, ზღუდეს, გალავანს, ის იხმარება საქონლის საზაფხულო სადგომის მნიშვნელობითაც. ქართას აკეთებდნენ მსხვილფეხა საქონლისთვისაც და ცხვრისთვისაც, ამიტომ ინგუშეთში მსხვილფეხა საქონლის სადგომს ეწოდება ბ ე ჟ ქ ა რ თ, ხოლო ცხვრისთვის განკუთვნილ სადგომს — ჯ ი ქ ა რ თ. ოსეთში ამ ტერმინთან ერთად, იგივე მნიშვნელობით, ჩაწერილი გვაქვს ტერმინი ი ს ტ ო ი ნ ა (დიგორში). უ ო მ დ უ ნ (მსხვილფეხა საქონლის საზაფხულო სადგომი ქურთათის ხეობაში), ფ შ თ ი ბ უ ვ ა თ (ცხვრის საზაფხულო სადგომი, ქურთათის ხეობაში).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მთის საზაფხულო საძოვრებზე აგებულ სამეურნეო ნაგებობას ოსურად ეწოდება d a r æ n. ვ. აბაევის განმარტებით ეს არის „Стойбище с постройками для скота и постухов“ და მას ირანული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს[133]. რადგან მთის საზაფხულო საძოვრებზე სამეურნეო ბაზები საქონლის ღია სადგომის სახით იყო წარმოდგენილი, მთხრობლები d a r æ e n-ს ხშირად აიგივებენ ქართასთან[134]. სამეურნეო ბაზის, მწყემსის ბინის, ცხვრის ფარის მნიშვნელობით იხმარება მეორე ტერმინიც — y æ m æ p. ოსური d a r x n//u x m x r-ის ანალოგიურია ქართული ბ ი ნ ა და ჩაჩნურ-ინგუშური მ ე თ მ ო თ — ადგილი, სადაც მწყემსები დგანან და სამეურნეო საქმიანობას ეწევიან. მ ა თ კი ჩაჩნურად არის ამა თუ იმ ბინის სარგებლობაში მყოფი საძოვარი ფართობი. მთაზე მეურნეები ბინების მიხედვით იყვნენ დაჯგუფებული და ყველას თავისი საძოვარი ჰქონდა. ჩაჩნური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, 1000 სული ცხვარი იყო ერთი მ ა თ — ერთი ბინა, ამიტომ ეს ტერმინი ხშირად მოიცავდა ზემოხსენებულ მეთმოთს და მწყემსთა ამ-

---

133 В. А б а е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 343.

134 ქართულში სიტყვა დ ა რ ა ნ-ი ნიშნავს გამოქვაბულს კლდეში ან მიწაში, მიწისქვეშა სახიზნავ ნაგებობას, ციხის ქვედა სართულს. დარანი, განმარტავს სუ ლ ხ ან-საბა ორბელიანი, არის „კლდეში ან მიწის ქვეშ შესასვლელი (სამალავი). სახლი მიწის ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად“. ძველი ქართული ენის ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „დარან-ი | დადარანება//დადარანებული ნიშნავს მზირს, ჩასაფრებულს (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969; ს უ ლ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928; ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973).

ხანაგურ გაერთიანებასაც. მთიულეთში ჩაწერილი მასალების მიხედვითაც, ბინაზე სავსებით ნორმალურია 1000-სულიანი ფარა, ამ შემთხვევაში ცხვარი ლაღად გრძნობს თავს და კარგადაც იკვებება, ამაზე მეტი ცხვარი კი, რაც არ უნდა დიდი საძოვარი ჰქონდეს, ერთმანეთს აწუხებს, ვერც ნორმალურად იკვებება, რაც უარყოფითად მოქმედებს ცხვრის ზრდასა და სუქებაზე, ხორცის და მატყლის ხარისხსა და რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე, დიდ მეცხვარეებს მთის სხვადასხვა ადგილას რამოდენიმე ბინა ჰქონდათ.

ერთ-ერთი ტიპიური ბინა ჩვენ აღვწერეთ წოვა თუშეთში, სოფ. მოზართაში. ეს არის ქვის ფილებით მშრალი წყობით ნაგები ქოხი, ქვის ფილებითვე დახურული, ორფერდა სახურავიანი. მისი ჭერი წინა მხარეს ქვის ბოძებს ეყრდნობა, რაც ქოხის წინ ქმნის ღია დერეფანს. აქვეა ტახტი ქვის ფილების და მეორე ტახტი ხის ძელებისაგან შეკრული სარქლის საძინებლად. მთელ ამ ფართობს უწოდებენ სასარქლო ადგილს, რადგან სარქალი ძირითადად აქ ტრიალებდა და საქმიანობდა. ქოხის იატაკი წინა მხარეს მიწის იყო, უკან კი ლასტი ჰქონდა დაგებული და ზედ ყველის გუდებს ალაგებდნენ. უკანა კედლის მთელ სიგრძეზე მოწყობილი ჰქონდათ თარო ხის ძელებისაგან ყველის გუდების დასალაგებლად. ქოხს წინა მხარეს, კუთხეში მიდგმული ჰქონდა სათავსო, რომელიც ყველის გუდების დასალაგებლად იყო განკუთვნილი და საყველე ქოხს უწოდებდნენ. ეზოს პატარა მონაკვეთი ქვის ფილებითაა მოგებული, აქვეა მიწაში ჩამაგრებული ორკაპა ჯოხები ტყავების საშრობად და ყველის საჯური ქვის ფილა. ქოხის უკანა მხარეს ცხვრის საწველი ბაკია, ხოლო ბაკის გვერდით — ცხვრის ღამის სათევი ადგილები.

მეცხვარეობასთან დაკავშირებული ანალოგიური სამეურნეო ბაზები ფიქსირებულია ალაზნისთავში (თუშების), ჭიქაურასა და ნაქერალაზე (პანკისელი ქისტების), ხილდიხაროის ხეობაში (ჩაჩნების) და სხვ. ქოხის კედლები შეიძლებოდა ყოფილიყო ხის მასალისაც, წნული და შემდეგ მიწით შელესილი, სახურავად კი, გარდა ქვის ფილებისა, იყენებდნენ ყარტს და ბორტვს. ამასთან, ყველა ბინას არ ჰქონდა საყველე ქოხი. ადრე თუშებს გალავანშემოვლებული ღია ადგილები ჰქონიათ ყველის გუდების დასალაგებლად. მაგრამ ბოლო დროს ის საყველე ქოხებით შეუცვლიათ, რაც გაცილებით უკეთესია, ყველს უფრო გრილად ინახავს და შიგ სხვა ბარგსაც ალაგებენ. შენიშნულია ის გარემოებაც, რომ ალაზნისთავში ბინები გამართულია წყლის ნაპირებზე მთის კალთების ძირ-

ში. წყლის სიახლოვე მწყემსებს უადვილებდა ბაკში სისუფთავის (სურ. 15, 16) დაცვას[125].

სურ. 15. წოვა-თუშეთი, სოფ. ინდურთა, მეცხვარის ბინა, საერთო გეგმა

[135] ივ. ბ უ ქ უ რ ა ულ ი, ტბათანიდან წოვათამდინ, მოამბე, № 9, გვ. 27.

ადრე ჰქონიათ გაცილებით მარტივი ბინებიც, მეცხვარეები ერთ ადგილზე დაასობდნენ ჯოხს, აქ მოუყრიდნენ თავს ინვენტარს, ხოლო პროდუქტებისა და ჭურჭლის შესანახად ნაბდის ქოხს გააკეთებდნენ. უმეტესად ასეთი ბინები ჰქონდათ ცხვრის ადგილმონაცვლეობის დროს. ამგვარად, ბინა არის სამეურნეო კომპლექსი, რომელშიც შედის მწყემსის ქოხი (ზოგჯერ მას ახლავს საყველე ქოხიც), ბაკი, ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის ღამის სათევი ადგილები და ბინის ირგვლივ მის სარგებლობაში მყოფი საძოვრები. ხშირად ბინაზე მეცხვარეები მცირეოდენ მსხვილფეხა საქონელსაც იყოლიებდნენ ხოლმე. ზოგან კი ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის ბინა, მათი მომსახურე პერსონალი საერთო იყო, საძოვარი კი ცხვარსაც და მსხვილფეხა საქონელსაც თავ-თავისი ჰქონდათ.



სურ. 16. წოვა-თუშეთი, სოფ. ინდურთა, მეცხვარის ბინა, გეგმა და ჭრილი

ჩაჩნეთში პარალელური სამეურნეო ბაზის აღმნიშვნელად, გარდა მოტანილი ტერმინისა, ჩაწერილი გვაქვს ა ი ლ ა, ხოლო მწყემსის ქოხის მნიშვნელობით — ბ უ ნ, ინგ. ბ უ. ეს უკანასკნელი, როგორც სამეურნეო ბაზის ერთ-ერთი ელემენტი, ტერმინოლოგიურად და შინაარსობრივად ახლოს დგას ბალყარულ ბ ა უ-სთან, რაც თავის მხრივ სვანურ ლ ა ბ ა ვ-ბ ა უ ს სრულ შესატყვისობას

წარმოადგენს. შეიძლება პარალელი გავავლოთ ყაბარდოულ ბ ო-სთან და აფხაზურ ა ბ ო რ ა-სთან[136]. ტერმინი ბუ შეიძლება დავუკავშიროთ აგრეთვე ჩრდილო ალბანურ s t a n-ს ან b y n-ს. ეს არის ქვის მშრალი წყობით ნაგები ქოხი, რომელსაც მწყემსები მთის საძოვრებზე დროებით სადგომად იყენებდნენ. ის შეიძლება ბორცვშიც ყოფილიყო ჩამჯდარი, ისე რომ მისი უკანა და ნაწილობრივ გვერდითი კედლებიც ბორცვით ყოფილიყო დაფარული და სწორ ადგილზეც აეგოთ. ორივე შემთხვევაში საძირკვლად კლდოვანი ნიადაგი გამოიყენებოდა[173].

რადგან მეცხვარეობასთან დაკავშირებულ სამეურნეო ბაზებს შევეხეთ, გადაეხედოთ მას ზამთრის საძოვრებზეც. სამაგალითოდ ამ შემთხვევაშიც თუშურ ბინას მოვიტანთ. ზამთრის საძოვრებზე ცხვრისთვის აგებდნენ გრძელი ფორმის დაბალ მიწურ ფარეხებს. ამისთვის არჩევდნენ, ცოტა თუ ბევრად, ქარისაგან დაცულ ადგილებს. შერჩეულ ადგილას 20—50 სმ სიმაღლეზე ამოიღებდნენ მიწას, თხრილის გასწვრივ დაახ. 1,5 მ სიმაღლის ბოძებს აყენებდნენ და კედლებს ამოღობავდნენ. ფარეხის წკნელით ამოწნულ კედლებზე, სითბოსათვის ჯერ ჭაობის ჩალას მიაყრიდნენ, შემდეგ მიწას. კედლებს ზემოდან კოჭებს გაუყობდნენ, კოჭებზე ჯერ ფიჩხს დააყრიდნენ, შემდეგ მიწას და ბოლოს ზემოდან ცხვრის ნაკელს მოტკეპნიდნენ, რომ წყალი არ ჩასულიყო. ფარეხს სახურავზე სასინათლო ხვრელები ჰქონდა დატანებული. ფარეხში 1000-მდე ცხვარი დაეტეოდა, თუ ეს საკმარისი არ იყო, ორ ან მეტ ფარეხს აგებდნენ ისე, რომ ფარეხები ერთმანეთს კუთხურად ებჯინებოდნენ და საერთო განიერი შესასვლელი ჰქონდათ. ამ შემთხვევაში ცხვარი ფარეხებში თანაბრად ნაწილდებოდა. ფარეხს ახლდა ჭნულით შემოკავებული ღია სადგომი, გაზაფხულისა და შემოდგომის თბილ ამინდებში ცხვრის ღამის სათევად, და მიწური ქოხი მწყემსებისათვის.

ასეთი თბილი ფარეხები მეცხვარეებს შირაქისა და სამეხის ველებზე ჰქონდათ, შირვანში კი სამშენებლო მასალად ლერწმის ჩალას იყენებდნენ. საფარეხედ მაღლობ ადგილებს არჩევდნენ და გარშემო თხრილს შემოუყოლებდნენ, რომ წყალი არ დატბორებულიყო. მას სახურავიც ორფერდა უკეთდებოდა. აქ ფარეხს მიწის შემოყრა არ სჭირდებოდა დასათბუნებლად, რადგან შირვანში მლა-

---

[136] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი..., გვ. 39.
[137] О. Б у д и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

შე ადგილებია, მის ბალახს მეტი ძალა და სიმხურვალე აქვს და ამიტომ ცხვრის გაცივების არ ეშინოდათ. საბატკნე ფარეხებს კი გვერდებზე ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მიაყრიდნენ მიწას სითბოსათვის. მართალია სამუხშიც მლაშე ადგილებია და ლერწმის ჩალაც საკმაოდ იშოვება, მაგრამ ლერწმის ფარეხები აქ არ გამოდგებოდა, რადგან შირვანთან შედარებით ცივი ადგილებია. აქ ლერწმის ღეროებს მხოლოდ საბატკნეებში აგებდნენ იატაკზე[138].

სადღლედ მწყემსები ამზადებდნენ საბატკნეებს, რომლებსაც თუშები ჭ ა ლ უ რ ს უწოდებენ. ფარეხისაგან განსხვავებით, ჭალურს დაბლა კაჭახს ან ყორღს უფენდნენ[139]. საფენს დაბლა, მიწაში კი პატარ-პატარა, ერთმანეთთან პატარა არხებით დაკავშირებული ორმოები იყო ამოთხრილი, რომ სისველეს გამოსადენი გზა ჰქონოდა. ჭალურს ფარეხთან აკავშირებდა ბაკი, სადაც ხდებოდა ბატკნების დედებთან დარეკა. დოლისთვის ასევე მზადდებოდა ქ უ ბ უ ლ ე ბ ი და კ ო რ ა კ ნ ე ბ ი. ქუბული იყო ჩვეულებრივი ორმო, რომელშიც სითბოსთვის თივას აფენდნენ, მასში ათავსებდნენ სუსტ ბატკნებს, დედებიც მათთან მიჰყავდათ გამოსაწოვებლად, რომ ბატკნები საერთო ცხვარში არ გაჭყლეტილიყვნენ. კორაკანი კი იყო წკნელის გოდორი, რომელშიც შეაგდებდნენ შვილის მოძულე ცხვარს. აქ მას განძრევის საშუალება არ ჰქონდა და ძალაუნებურად აძლევდა ბატკანს რძეს. ასეთი სისტემატური დაძალების შედეგად დედა თანდათანობით ეჩვეოდა შვილს. ყოველ ბინას ჰქონდა მცირე ფართობის საძოვარი — ბ ი ნ ი ს პ ი რ ი, რომელიც კოქლი და მსუბუქად დაავადებული ცხვრებისთვის გამოიყენებოდა.

ფშაველ მეურნეებს შირაქში, ტარიმანასა და ბურდოს მთაზე (იორზე) ცალკ-ცალკე ჰქონდათ ფ ა რ ე ხ ე ბ ი ცხვრისთვის და ს ა ძ რ ო ხ ე ე ბ ი მსხვილფეხა საქონლისთვის. ამ უკანასკნელს, განსხვავებით ფარეხისაგან, სიგრძე და სიგანე ისეთი ჰქონდა, როგორიც მსხვილფეხა საქონელს შეეფერებოდა. შედარებით მცირე

---

138 თუშეთში დამოწმებულია ტერმინები ს ა ბ ა ტ კ ნ ე და ს ა ქ ო რ ფ ე. ამ უკანასკნელს იყენებდნენ დოლის დროს, მასში ამწყვდევდნენ ქორფებს დედებთან ერთად, რადგან მთელი ფარა ერთი და იგივე დროს არ იგებს ბატკანს, ჭალური კი არის ასხლეტილი ბატკნის ღამით დასაყენებელი ბინა (პ. ხ უ ბ უ ტ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 142, 180).

139 კაჭახი შემოდგომის ხმელი ბალახია, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში თივადაც კი იყენებდნენ ხოლმე, ყარღოი (Arundo donax) კი მრგვალღეროიანი ჭაობის მცენარეა (იხ. პ. ხუბუტიას დასახ. ნაშრომი, გვ. 108, 162).

ცხვრისა და საქონლის პატრონები ახლომახლო ტყეებში აგებდნენ მიწურ ფარეხებს. ეს იყო მიწური ქოხი, ხის ტოტებითა და ფოთლებით გადახურული. ასეთ ქოხში მწყემსებს საქონლის გაცივების არ ეშინოდათ, ხალხის დაკვირვებით, საქონლისთვის ზედმეტი სითბოც არ შეიძლებოდა, რადგან თბილი გომურიდან გამოსული საქონელი შეიძლებოდა ადვილად გაცივებულიყო. ამიტომ იყო, რომ გამოუცდელ მესაქონლეებს ზარალიც მეტი მოსდიოდათ. მართალია, მოყვანილი მასალა თუშ და ფშაველ მეცხვარე-მესაქონლეებს შეეხება, მაგრამ ის საერთოდ დამახასიათებელია ცენტრალური კავკასიონის მთიანი ზოლის მეურნეობისათვის.

რამდენადაც მთის საზაფხულო საძოვრებზე მეწველი საქონლისთვის განკუთვნილი ფართობები სიმაღლის გარკვეულ ზონაში მცხოვრებთათვის სააგარაკოდაც ითვლებოდა, ან იქ მეურნეობის საწარმოებლად ოჯახის წევრთა გარკვეულ ნაწილს ხანგრძლივად უხდებოდათ ყოფნა, საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას მეტი ყურადღება ექცეოდა. აქ იგებოდა შენობები ქვის ან ხის მასალისაგან, ისე რომ მეურნეებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ღამე გაეთიათ, რძე გადაემუშავებინათ და დამზადებული პროდუქტები შეენახათ. საქონელიც იქვე ჰყავდათ, იმავე ფართობში, სადაც მისი მომვლელი პერსონალი ცხოვრობდა, ან მათთვის ცალკე აგებულ სადგომებში. ასეთი ბაზები იყო ს ა ბ ო ს ლ ო//ს ა მ თ ო, ს ა მ თ ო ქ ო ხ ი ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, მთიულთ-გუდამაყარში, ქ ო ხ ი და ქ ო ხ-ბ ო ს ე ლ ი მთარაჭაში, ძ ი რ თ უ ლ ი და ზ ე დ შ ე დ გ მ უ ლ ი ჯ ა რ გ ვ ა ლ ი აჭარაში და სხვა (სურ. 17, 18).

ოსურ-რუსული ლექსიკონის მიხედვით daræн//yæmæp მეცხვარეობასთან დაკავშირებული ტერმინებია[140], მთხრობლები კი მას მსხვილფეხა მესაქონლეობის სამეურნეო ბაზების აღმნიშვნელადაც ხმარობენ. მთხრობელთა გადმოცემით, ის იყო პარალელური სამეურნეო ბაზა, რომელიც ეწყობოდა ბარის რაიონებში ცხვრის თუ საქონლის გამოსაზამთრებლად და მაღალმთიან ზოლში, სადაც რძის პროდუქტები მზადდებოდა.

ტერმინ ვ ო თ ა რ (ჩაჩ. კ უ ო ტ ა რ) სამეურნეო ბაზების მნიშვნელობით ჩაწერილი გვაქვს ინგუშეთში. როგორც ჩანს, ტერმინი კუოტარ რუსული „ხუტორი"-იდან მომდინარეობს და მესაქონლეთა სეზონურ ხუტორულ დასახლებას გულისხმობს. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ მეორე ტერმინ ა ი ლ ა ს, ის ჩაჩნეთში

---

[140] Осетинско-русский словарь, Орджоникидзе, 1970.

მსხვილფეხა მესაქონლეობის სამეურნეო ბაზებთან უნდა იყოს დაკავშირებული. მთხრობელთა გადმოცემით, ის ეწყობოდა ისეთ ადგილებში, საიდანაც სოფელში თივას ვერ გადმოიტანდი, საქონელი იქ მიჰყავდათ და ამყოფებდნენ მანამ, სანამ მომარაგებული საკვები ეყოფოდათ. დროთა განმავლობაში ასეთ ბაზებზე ხალხი ესახლებოდა და ისიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად იქცეოდა. ი ა ი ლ ა სამეურნეო ბაზების მნიშვნელობით შესულია აჭარულ დიალექტში[15], ასე უწოდებენ მთურ ჯარგვალსაც. ტერმინი yayla, yayla (ǧi) თურქულიდან მომდინარეობს და მთის საზაფხულო საძოვარს ნიშნავს[141], აქედან გამო�-ინარე, ხმარობენ სამეურნეო ნაგებობის აღმნიშვნელადაც აჭარაში და როგორც ჩანს, ჩაჩნეთშიც. ასევეა პანკისის ხეობაში დამოწმებული ტერმინი ნ ა ჟ დ ა რ, რომელიც ფარავს როგორც ნაგებობას, ისე მთელ სამეურნეო ზონას.

კვლავ გვინდა დავუბრუნდეთ საზამთრო სამეურნეო ბაზებს და გადავხედოთ ზამთრის ბოსლებს, რომლებიც სოფელთან ახლოს ეწყობოდა მსხვილფეხა საქონლისათვის. ის იგებოდა სოფლის გარეთ მდებარე სახნავ-სათიბებში, გარეყანებში, ახოებში, შედარებით მყუდრო, ქარისაგან დაცულ და მზიან ადგილებში. აქვე მარაგდებოდა საქონლის საკვები — ადგილობრივ ნაკვეთებზე მოწეული ჩალა და თივა უახლოესი სათიბებიდან. ამდენად, ადგილობრივი კლიმატური პირობები საშუალებას იძლეოდა დღის გარკვეულ მონაკვეთში საქონელი გარეთ გამოსულიყო დასარწყულებლად და მუხლის გასამართავად, ესარგებლა ნედლი ბალახით, რაც მნიშვნელოვნად ზოგავდა საკვებ მარაგს. იგივე ფართობები გამოიყენებოდა საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებად. მას შემდეგ, რაც საბოსლოებში ყანები დაიხვნებოდა და სათიბები დაისარყებოდა, საქონელი მაღალმთიან საძოვრებზე გადაჰყავდათ. ამდენად, ზამთრობით ოჯახის სამეურნეო საქმიანობის საბოსლოებში გადანაცვლება, მესაქონლეობასთან ერთად, მიწათმოქმედების ინტერესებს ემსახურებოდა და მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა შრომას. აღნიშნულ გარემოებათა გარდა, სამეურნეო ფართობებიდან საქონლის საკვები მარაგისა და ჭირნახულის სოფელში გადაზიდვის პრობლემა, რაც უგზოობის გამო ხშირად ძნელდებოდა, ოჯახის წინაშე იხსნებოდა

---

[141] ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში..., გვ. 14.



სურ. 17. აჭარული მთ.ური ჯარგვალი, ფასადი, გეგმა, ჭრილი და ინტერიერი



სურ. 18. მთარაკა, ნესტორ ლობჯანიძის სამეურნეო ნაგებობა თევრეშოზე, და II სართულების გეგმა და ჭრილი

და, მეორეც, ზამთრის განმავლობაში საბოსლოებთან დაგროვილი ბუნებრივი სასუქი ყანებში ადვილად გაჰქონდათ.

მ. მაჩაბელს შენიშნული აქვს, რომ თუშეთისა და ხევსურეთის უმეტეს სოფლებში ოჯახებს ორი საკარმიდამო ჰქონდათ, ერთი სოფელში, მეორე, ზამთრის ბოსელი—სოფლის გარეთ სახნავ ფართობებში, ან მასთან ახლოს. სამაგალითოდ მოყვანილია ორი პუნქტი: სოფ. არდოტი პირიქით ხევსურეთიდან და ღული პირაქეთ ხევსურეთიდან. სოფ. არდოტის სამეურნეო ფართობები მდებარეობენ ზღვის დონიდან საკმაოდ დიდ სიმაღლეზე, ყანები და, ცხადია, მასთან ერთად ზამთრის ბოსლებიც მთის ფერდობებზე იყო გაფანტული[142]. თუშეთში ზამთრის ბოსელი იყო ერთ ან ორსართულიანი, ქვის მშრალი წყობით ნაშენი, სიპით გადახურული ნაგებობა. ხევსურული და ფშაური ზამთრის ბოსლები კი ჩალით ყოფილა დახურული, რაც მათ განმასხვავებელ ნიშნადაა მიჩნეული[143].

დღემდეა შემორჩენილი და გარკვეული პრაქტიკული დანიშნულება აქვს სოფ. დართლოს, შენაქოს და სხვათა საბოსლოებს. ყველა შემთხვევაში ორსართულიან ნაგებობათა პირველი სართული საქონლის სადგომად გამოიყენებოდა, მეორე სართული — საცხოვრებლად. ერთსართულიანი ბოსლის ფართობი კი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ცალ მხარეს საქონელი ეყენათ, მეორე მხარეს კერა ჰქონდათ გამართული და ოჯახი ცხოვრობდა. ჭერხოში საქონლის საკვებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და სხვა ნივთებს ინახავდნენ. ბოსლის ფართობი ოჯახში საქონლის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. მთიულები დამხმარე სამეურნეო ბაზებზე, სახნავ ნაკვეთებში, ახოებში დგამდნენ ერთსართულიან ნაგებობას, ერთთვალიან კალოს[144], რომელსაც მ ე ო რ ე ს ა ხ ლ ს უწოდებდნენ. სახლის ერთ მხარეს საქონელი ებათ, მეორე მხარეს კერა ჰქონდათ გამართული და საქონლის მომვლელი პერსონალი ცხოვრობდა. მეურნეობის ის ფორმა კი, რასაც ოჯახი ეწეოდა ძირითად საცხოვრებელ ადგილას და სამეურნეო ბაზებზე, როგორც აღვნიშნეთ, ორხელაობის სახელითაა ცნობილი. მეურნეობის ამ ფორმასთანაა დაკავშირებული სვანური ლ ა ბ ა ვ. ის წარმოადგენს საოჯახო მფლობელობაში მყოფ დამხმარე სამეურნეო ბაზას, რომელიც

---

142 М. М а ч а б е л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 376.

143 იქვე, გვ. 500.

144 გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, XI, თბ., 1953, გვ. 212.

კომპლექსში აერთიანებდა სახნავ-სათიბს, ბოსტანს და ხის ან ქვის ნაგებობას—საქონლის სადგომს[145]. ბალსზემო სვანეთში ლაბავები იმართებოდა სხვადასხვა სიმაღლის ზონაში და ყველა მათგანი ერთ მიზანს ემსახურებოდა—გაეფართოებინა საოჯახო მეურნეობა. ერთ შემოხვევაში ლაბავები იგებოდა სოფლიდან დაშორებულ ადგილებში, ამით ოჯახი უახლოვდებოდა საძოვრებს და აფართოებდა საოჯახო მფლობელობაში მყოფ სათიბებს. სამიწათმოქმედო კულტურებიდან ამ ზონაში მხოლოდ ქერისა და კარტოფილის მოყვანით კმაყოფილდებოდნენ. სოფლის აწლოს მდებარე სახნავებში მოწყობილ ლაბავებში კი მეურნეები, მესაქონლეობასთან ერთად, მნიშვნელოვნად აფართოებდნენ სახნავ-სათეს ფართობებს, აწარმოებდნენ ხორბლისა და სიმინდის კულტურას[146]. თუ ზემო სვანეთში ლაბავები მესაქონლეობის ინტერესებს ემსახურებოდა, ქვემო სვანეთში ის ძირითადად მიწათმოქმედების ინტერესებთან იყო დაკავშირებული[147]. თუ ამ სახით, ვერტიკალური ზონალობის ჭრილში განვიხილავთ ლაბავ-საბოსლოს ტიპის სამეურნეო ბაზების ჩამოყალიბების პროცესს, დავინახავთ, რომ ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში ერთნაირ სისტემასთან გვაქვს საქმე.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მთარაჭაში, მსგავსად საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებისა, ბოსელი, საბელთან ერთად, ეყოფა სახლს და ეზოში ქოხ-ბოსელის სახელწოდებით ცალკე ნაგებობად ყალიბდება[148]. მას აგებდნენ როგორც ეზოში, ისე გარეყანებში და მაღალმთიან ზოლშიც. ის იყო ორსართულიანი, დაბლა საქონელი ჰყავდათ, ზემოთ კი საქონლის საკვებს ინახავდნენ (თუ ის ეზოში იდგა) ან საქონლის მომვლელი პერსონალი ცხოვრობდა (გარეყანებში ზამთრობით და მაღალმთიან ზოლში ზაფხულობით). საზაფხულო საძოვრებზე ბოსელში ამწყვდევდნენ მეწველ საქონელს, მშრალი საქონელი კი გარეთ ჰყავდათ ღია სადგომებში. ამ ზონაში ზოგი მხოლოდ ქოხებით კმაყოფილდებოდა, ნაგებობიდან ბოსელი ადვილად შეიძლებოდა გამოერიცხათ, რადგან ის არ ითვალისწინებდა საქონლის გამოზამთრებას. იყენენ ოჯახები, რომელთაც სხვადასხვა მხარეს ან სხვადასხვა სიმაღლის ზონაში ჰქონდათ ქოხ-ბოსლებიც და ქოხებიც, ხოლო სოფელს,

---

145 რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი..., გვ. 36.
146 იქვე.
147 იქვე, გვ. 58.
148 ვ. შამილაძე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში..., გვ. 24.

ქოხ-ბოსლებსა და ქოხებს შორის იქმნებოდა საქონლის მოძრაობის გარკვეული ვერტიკალურ-ზონალური სისტემა, რაც ცენტრალური კავკასიონის მთაბარული კომპლექსების და მისთვის დამახასიათებელი მეურნეობის ფორმების სრულ შესატყვისობას წარმოადგენს.

ამგვარად, ზამთრის ბოსლების თუ საზაფხულო იალაღებზე სამეურნეო ნაგებობების აგება დაახლოებით ისეთივე გეგმით ხდებოდა, როგორც სოფლად საცხოვრებელი ნაგებობების. ცდილობდნენ ოჯახის წევრებს სეზონურად იქ ცხოვრებისა და მეურნეობის წარმოების სავსებით ნორმალური პირობები ჰქონოდათ. ამიტომ იყო, რომ მას, აღნიშნულ ტერმინებს გარდა, მთიულეთში მეორე სახლს უწოდებდნენ, მთარაჭაში ქოხ-ბოსლებს, აჭარაში ჯარგვალს, ხოლო ოსეთში ერთ-ერთ სამეურნეო ბაზად ასახელებენ ხ ა ძ ა რ თ ა ს, სადაც ქვის ჩვეულებრივი სახლები ყოფილა საქონლის მომვლელი პერსონალისათვის და" სახელწოდება ხაძართაც (სახლები) აქედან მომდინარეობს. ზოგჯერ ისინი თავდაცვითი ფუნქციების მატარებელნიც იყვნენ. ამ მხრივ საინტერესოა მთაინგუშეთში ფიქსირებული სამეურნეო კომპლექსები.

გარკვეულ შემთხვევებში, პარალელური სამეურნეო ბაზების მნიშვნელობას ნასოფლარები ასრულებდა. მაგ., სოფ. ნაკუდურთა (პირიქით თუშეთში) თანდათანობით დაიცალა მოსახლეობისაგან, საბოლოოდ დარჩენილი ორი ოჯახიც გირევში ჩასახლდა, რის შემდეგაც ეს უკანასკნელნი თავიანთ ნასოფლარებს საბოსლოებად იყენებდნენ. აქვე ინარჩუნებდნენ სახნავებს და სათიბებს. საქონლის მოვლა-პატრონობისა და სამიწათმოქმედო სამუშაოების საწარმოებლად ნაკუდურთაში ასული ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი თავიანთ ყოფილ სახლებში ცხოვრობდნენ. უფრო ხშირად კი საღამოს გირევში ბრუნდებოდნენ, რადგან მათ შორის მანძილი არცთუ ისე დიდია. სოფ. აგეურთას (ჩაღმა თუშეთში) საგრძნობლად შეთხელებული მოსახლეობა შენაქოში ჩასახლდა, აგეურთაში სახნავებს კვლავაც ამუშავებდენ, ხოლო ყოფილი საცხოვრებელი ნაგებობები და სოფლის ტერიტორია მთის საბოსლოების ფუნქციას ასრულებდა. და ბოლოს, მას შემდეგ, რაც თუშებმა საბოლოოდ ალვანში დაიდეს ბინა, მთის სოფლები უკვე პარალელური სამეურნეო ბაზების ფუნქციას ასრულებდნენ, სეზონური დასახლების ობიექტად იქცნენ. სამეურნეო ბაზების ფუნქციას ასრულებდა სოფელი ჩერმოილამზე (ჩაჩნეთში) მას შემდეგ, რაც მისმა მოსახლეობამ მახკეტიში გადმოინაცვლა და ა. შ.

მთაინგუშეთში ქვის მტკიცედ ნაშენ სამეურნეო კომპლექსებს ღ ა ლ ა (ციხესახლი) ეწოდება, რადგან სამეურნეო დანიშნულებასთან ერთად, დიდი თავდაცვითი ფუნქციების მატარებელნიც იყვნენ. ასეთი კომპლექსები ფიქსირებულია არმხის ხეობაში, სოფ. ერზის ჩრდილოეთით დაახ. 2 კმ-ზე ღ ა ლ ა გ ი ე. აგებულია კლდოვან ნიადაგზე, მთის უხეშად დამუშავებული ქვით. კომპლექსში შედიოდა ერთი ოთხსართულიანი და მეორე, მისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით მდებარე ერთსართულიანი ნაგებობები. ორივე მათგანი კედლით იყო შეკრული და საერთო კარები ჰქონდა. უ ტ უ ნ ღ ა ლ (სოფ. ბეინის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახ. ერთ კმ-ზე), ციხესახლი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო, აგებულია უხეშად დამუშავებული ქვით, მისი პირველი სართული უსარკმლოა, მეორე და მესამე სართულს კი დატანებული აქვს პატარა ფანჯრები. სახლს მიშენებული ჰქონდა ერთსართულიანი ნაგებობები საქონლის სადგომად. ერთი მათგანი, შედარებით პატარა იყო უშუალოდ სახლის წინ, მეორე — საკმაოდ დიდი ფართობის მქონე კი მის გვერდით. ორივე სადგომი ერთმანეთს კარებით უკავშირდებოდა. ყველა კარები აქვს მაღალი, თაღოვანი, ზოგის თაღი მთლიანი ქვიდანაც კია გამოკვეთილი. მასში შემსვლელს ჯერ უნდა გაევლო ერთი ოთახი, შემდეგ მეორე და შესულიყო სახლის პირველ სართულზე. გადმოცემით, ყველაფერი ეს საქონლის სადგომებად გამოიყენებოდა. აღნიშნული კომპლექსის ანალოგიურია კ ა ძ-ღ ა ლ (სოფ. ქაშეტის აღმოსავლეთით, სოფლიდან 100—150 მეტრზე). კაძ-ღალ ორსართულიანი ყოფილა, მისი პირველი სართული საქონლის სადგომი იყო, მეორე—დროებით საცხოვრებელი. გარდა ამისა, მას ბოსელიც ჰქონდა მიშენებული. ზემოთ აღნიშნულ საიალაღო კომპლექსებს შეიძლება დავუკავშიროთ ი ჟ ი რ ტ-ღ ა ლ (სოფ. ლეჟგის ჩრდილოდასავლეთით), კ ა ლ-ღ ა ლ (ასის ხეობაში, სოფ. თარგიმის ზემოთ), და სხვა.

საინტერესოა ჩულხოის ხეობაში დამოწმებული საიალაღო კოშკი ვ ო უ-გ ი ე (სურ. 19, 20). ჩულხოის ხეობა მდებარეობს მდ. არმხის ხეობის აღმოსავლეთით, ეს ხეობები ერთმანეთს უკავშირდებიან ბილიკით, რომელიც გადადის მთა მაღმათზე. ბილიკი ადის მთის სიმაღლეზე, მისი ერთი ტოტი უხვევს მარცხნივ მდ. ასის ხეობისაკენ, მეორე მარჯვნივ (სამხრეთით), ეშვება ჩულხოის ხეობის მიმართულებით. სწორედ აქ, მთა მაღმათის ფერდობებსა და ღელის პირებზე გაშენებულია სოფლები: კიაზი, ლიალაღ, ხენი, გუ და სელგი. ხეობა დაკლაკნილია, რის გამოც ერთი თვალის გადავლებით



სურ. 19. მთაინგუშეთი, საიალაღო კოშკი ეოუ-გიე, საერთო გეგმა და ჭრილი

სურ. 20. მთაინგუშეთი, საიალაღო კოშკი ეოუ-გიე, გეგმა

ყველა სოფელი აო ჩანს, მაგრამ ერთი სოფელი მეორეს გაჰყურებს, რაც მოსახლეობას სიგნალიზაციის საშუალებას აძლევდა. სოფლები ერთმანეთს უკავშირდებიან ბილიკებით, ასევე არიან ისინი დაკავშირებული ტყესთან, სათიბებთან და საძოვრებთან. ამჟამად ხეობა გაუკაცრიელებულია და სოფლები ნანგრევებადაა ქცეული.

ხეობის მარცხენა (აღმოსავლეთი) მხარე ტყიანია. ტყე ფოთლოვანი და ნაწილობრივ წიწვნარია. მარჯვენა მხარე კი, სადაც სოფლებია გაშენებული, უტყეოა. სოფლის მახლობლად მდებარე ფერდობებს ეტყობა, რომ ადრე იხვნებოდა, ახლა კი გასაძოვრებულია. ამის ზემოთ იწყება მთა მაღმათის ტერიტორია, რომელიც ვრცელდება სოფ. ხულიმდე (არმხის ხეობაში) და მთა წილომამდე. მისი ზედა წელი მოფენილია ვულკანური წარმოშობის დიდი ქვებით, რომელთა შორის მოქცეულია სათიბ-საძოვრები. ამ ტერიტორიაზე ორ უზარმაზარ, ვულკანური წარმოშობის ქვებს შუა აგებულია კოშკი ვოუ-გიე. კოშკი ოთხსართულიანია და მისი გვერდითი კედლები ზემოხსენებულ ქვებს ეყრდნობა. კოშკის მარჯვენა მხარეს, ქვის ქვეშ გამოშენებულია პატარა კარები ცხვრებისთვის (კოშკის კარები მიწიდან დაახ. 2,5 მ სიმაღლეზეა), შიგნით კი ქვა ცალი გვერდით ეყრდნობა მიწას, აქედან, მას აქვს რა ცენტრისკენ დახრილობა, თანდათანობით მაღლდება და ერთდროულად ქმნის კოშკის პირველი სართულის კედელს და ჭერს. პირველი სართულის მარცხენა კედლად გამოყენებულია მეორე დიდი ქვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის სწორ, ვერტიკალურ კედელს ქმნის. უკანა კედლად ორი მეტრის სიმაღლეზე გამოყენებულია კლდე, ხოლო შემდეგ ის საყრდენის ფუნქციას ასრულებს. ყველაფერი ეს ქმნის დაახ. 80 კვ. მ ფართობის სივრცეს. ერთ კუთხეში მიშენებული აქვს ტახტი მწყემსის საძინებლად, ხოლო ჭერში დატანებული აქვს მეორე სართულზე ასასვლელი ხვრელი (ამჟამად იქ ასვლა შეუძლებელია)

ვოუ-გიეს ქვემოთ, დაახ. 100—150 მეტრზე, არის კიდევ ერთი საცხვრე, რომელსაც ჯილიშქის უწოდებენ. უზარმაზარი ქვის ქვეშ გამოღებულია მიწა, გვერდები ქვით აქვს ამოშენებული და დატოვებულია პატარა კარები ცხვრებისათვის. ამგვარად, ამ ქვის ძირში, მიწის ზედაპირიდან ერთი საფეხურით დაბლა, იქმნება დაახ. 40—60 სმ სიმაღლის საკმაოდ დიდი ფართობის სათავსო (მასში 60-მდე ცხვარი დაეტევა). საცხვრეს გვერდით არის საკმაოდ მაღალი, კვადრატული ფორმის ორი ნაგებობის ნანგრევები, ორივეს

ცალ-ცალკე აქვს მაღალი თაღოვანი კარები. ჩანს, ამ ნაგებობებში მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ და მწყემსები ცხოვრობდნენ. ლოდებს ქვეშ გამოშენებული ცხვრის სადგომები მრავლად გვხვდება მთა მაღმათზე, ყველა მათგანი არის მარტივი, მაღლივი ნაგებობის გარეშე, გარდა ზემოთ მაჩვენები ნაგებობებისა. ეს სამეურნეო ნაგებობები, ისევე როგორც კოშკ ეოუ-გიეს ძირში შექმნილი საცხვრე, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველია, თუ ახლოს არ მივიდა კაცი ამ ლოდებთან და კარგად არ დააკვირდა, ვერც მიხვდება, რომ ის რაიმე სამეურნეო დანიშნულებას ასრულებს.

ვფიქრობთ, ინგუშეთის საიალაღო ნაგებობებს შეიძლება დავუკავშიროთ ოსეთში ფიქსირებული კომპლექსი. ეს არის კოშკის ნანგრევები, სოფ. კადათის ჩრდილოეთით, სოფლიდან დაახ. 500 მ-ზე. ფერდობები, სადაც კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი, ქვებით არის მოფენილი, პატარა ქვებთან ერთად არის უზარმაზარი ლოდებიც. აქვე მოედინება პატარა ნაკადული მოთხუიდონ, რომელიც მთის ფერდობების ზედა წელში ღრმა ხეობას ქმნის. აღნიშნული ტერიტორია ადრე სოფ. კადათის საძოვრები იყო, ამავე მიზნით არის ის გამოყენებული დღესაც. კოშკი აგებულია კლდოვან ნიადაგზე, კვადრატული ფორმისაა და აქვს საკმაოდ სქელი კედლები. ამჟამად მისი სართულიანობის განსაზღვრა შეუძლებელია. კოშკის წინ და გვერდით შეიმჩნევა კედლის წყობა. ერთ-ერთი მთხრობელის გადმოცემით, ამ კოშკში ვინმე ღაბიშათს უცხოვრია და კოშკის ირგვლივ მდებარე ადგილებიც მისი ყოფილა. სხვა ცნობით, კოშკს მ ხ ს ი თ ი მ ა შ ი გ ე წ ო დ ე ბ ა, მაგრამ ვინ იყო ღაბიშათი ან მხსითი აღარავის ახსოვს. ის გარემოება, რომ კოშკი აგებულია სოფლის გარეთ, მთის ფერდობზე, სადაც სოფლის მცხოვრებთ ყოველდღიურად დაუდიოდათ საქონელი, ამასთან, ამ მთის ფერდობები ნიადაგ მზით იყო განათებული და ზამთარშიც შეიძლებოდა მისი გამოყენება, გვაფიქრებინებს, რომ ის მესაქონლეობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი სამეურნეო ბაზა უნდა ყოფილიყო. ამავე დროს, ის კარგი თავდაცვითი სიმაგრეც იქნებოდა. შესაძლებელია მისი მფლობელი საბოლოოდ დასახლებულიყო კიდეც იქ, სადაც გარკვეული სიმაგრე შექმნა და სათემო მიწების მნიშვნელოვანი ფართობი მიისაკუთრა.

შეიძლება პარალელის გავლება ბალყარულ ბაუსთანაც, რომელიც ასევე თავდაცვითი ფუნქციების მატარებელი იყო. თავის მხრივ, ის სვანური ლაბავ-ბაუს სრულ შესატყვისობადაა მიჩნე-

ული[149]. რაც შეეხება ინგუშეთისა და ოსეთის იალაღებზე შემორჩენილი ციხესახლებისა და კოშკების სამეურნეო ინტერესებთან დაკავშირებას, ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად მხარს უჭერს ლიტერატურული მონაცემებიც. მითითებულია, რომ ინგუშები ცხვრის საძოვრებად განკუთვნილ ადგილებზე აგებდნენ ქვის ნაგებობებს. ზოგჯერ ასეთი „კუტანები" იყო მტკიცედ ნაგები მთელი საოჯახო მოწყობილობით. ამავე მიზნით იყენებდნენ ბუნებრივ გამოქვაბულებს და ძველ კოშკებს. მაგრამ მათთან ერთად ყოფილა უბრალო თავშესაფრებიც. მოწინავე ქედის ტყიან ადგილებში აგებდნენ მიწით დახურულ ხის სადგომებს, ზოგი მათგანის კედლები იყო მოწნული და შემდეგ თიხით ან ნაკელით შელესილი[150].

ვფიქრობთ, დიდი ზომის ლოდების ძირების გამოყენებით მოსახლეობა ეფექტურად სარგებლობდა ბუნებრივი გარემოთი, ზედმეტი ნაგებობებით აღარ ტვირთავდნენ სამეურნეო ფართობებს. ამასთან, ეს ქვის ძირები, კოშკ ვოუ-გიესთან ერთად, ცხვრის შესანიშნავ სამალავებს წარმოადგენდნენ. მომხვდურისათვის არცთუ ისე ადვილი იყო რომელიმე ლოდი ცხვრის სადგომად შეეცნო და რომც მიეგნო, გაუჭირდებოდა ნადავლის ხელში ჩაგდება. ეს ნაგებობები დიდი თავდაცვითი ფუნქციების მატარებელნი იყვნენ, ხოლო კოშკი ვოუ-გიე ხომ მთელ მიდამოს მეთვალყურეობდა.

ლ. სემიონოვი საიალაღო კოშკს, რომლის აღმნიშვნელადაც ჩაწერილი გვაქვს ვოუ-გიე, უწოდებს მ ა გ ო ი-ჯ ე ლ-ს და იხილავს როგორც ცხვრების სადგომს. მისი გადმოცემით, იგი აგებულია ორ უზარმაზარ კლდის ნატეხს შორის და ქვედა ნაწილში აქვს ვრცელი გამოქვაბული (10X10), რომელიც გამოყენებულია ცხვრის სადგომად[151]. შემდეგ კი ეხება მის სტრატეგიულ მხარეს, გადმოგვცემს ლეგენდას, სადაც ნათქვამია, რომ ძველად სოფ. ხულის მცხოვრებნი ხარკს უხდიდნენ სოფ. ეგხალის, თარგიმის და სელგის მცხოვრებთ. ერთ-ერთმა ხულელმა, სახელად ბორზმა, არ მოისურვა ხარკის გადახდა. ერთხელ, როდესაც ბორზი სოფ. ერზიში იყო წასული, ზემოხსენებული სოფლების მცხოვრებნი თავს დაესხნენ

---

149 რ. ხ ა რ ა ძ ე, აღ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი..., გვ. 39; აღ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახლების ფორმა ბალყარეთში..., გვ. 40.

150 Г. В е р т е п о в, Ингуши, Историко-статистический очерк, ТС, вып. II, кн. II, Владикавказ, 1892, с. 124; В. Х р и с т и а н о в и ч, Указ. работа, с. 141.

151 Л. С е м е н о в, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии, Грозны, 1963, с. 40.

ხულის და ბორზის ცოლი ტყვედ წაიყვანეს. ბორზის მწყემსი გაეშურა თავის ბატონთან ამბის შესატყობინებლად. განრისხებულმა ბორზმა იქვე მოკლა ცუდი ამბის მაუწყებელი მწყემსი, გამაგრდა კოშკში მაგიო-ჯელ და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ განდევნა მომხვდურები, რომელთაც კოშკი ალყაში ჰყავდათ მოქცეული[152]. ამავე ლეგენდის ორი ვარიანტი ჩვენც ჩავიწერეთ სოფ. ერზიში 1962 წ. და ხულში 1963 წ. ლეგენდის სამივე ვარიანტში მოქმედება ხდება მთა მაღმათზე და მისი მსვლელობაც ერთმანეთს ეძთსეევა. მხოლოდ ჩვენ მიერ ჩაწერილ ვარიანტში არ არის ნახსენები კოშკი მაგიო-ჯელ და ბრძოლის მიზეზიც სხვადასხვაა. ერთ შემთხვევაში ინგუში მაღუ იბრძვის ყაბარდოელების წინააღმდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში ხაძი ებრძვის ჩულხოისა და ასის ხეობის მცხოვრებთ, რომლებიც მოვიდნენ ხულის მიწების დასაპყრობად, გაიტაცეს ხაძის ცოლი, ვაჟი, საქონელი და წავიდნენ.

ამგვარად, გადმოცემათა ყველა ვარიანტიდან ჩანს, რომ ზემოხსენებულ კოშკს, სამეურნეოსთან ერთად, სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. როგორც აღვნიშნეთ, ის აგებულია ბორცვზე, მთა მაღმათის ცენტრალურ ადგილას, ერთი მხრივ ხულის, ხოლო მეორე მხრივ ჩულხოისა და ასის ხეობების გზების შესაყარზე და მასში მყოფი ყოველი მხრიდან თვალყურს ადევნებდა მომხდარ მოვლენებს. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ის ეკუთვნოდა ჩებორზუ ტეიფას სოფ. ლიალაღიდან. ჩებორზუ ტეიფა კი მთხრობლებს მიაჩნიათ სოფელში ყველაზე ძველ და ეკონომიკურად ძლიერ ერთეულად. მათ სოფელშიც ჰქონდათ საკმაოდ დიდი თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსი, მაღალი პირამიდულსახურავიანი კოშკი, რომელიც ციხესახლთან ერთად კეტავდა სოფლის მისადგომებს. ცხადია, ასეთ ძლიერ და ეკონომიკურად დაწინაურებულ ტეიფას არ გაუჭირდებოდა სოფლის მომიჯნავე სამეურნეო ფართობებზე ისეთი კომპლექსის შექმნა, როგორიც იყო ვოუ-გიე თუ მაგიო-ჯელ. ამასთან დაკავშირებით, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ხსენებული ლეგენდის გმირს (ბორზ, მაღუ, ხაძი) შევადარებთ ჩებორზუს, ხაძის, რომელთაც საფუძველი დაუდეს გარკვეული ტეიფების არსებობას (მთხრობლებს ხაძი ტეიფა მიაჩნიათ სოფ. ხულის ერთ-ერთ უძველეს მაცხოვრებლად) და ადგილის სახელწოდებას — მაღმათ. ლეგენდის მიხედვითაც ბორზი ჩანს ეკონომიკურად და უფლებრივად

---

[152] Тамже, с. 69.

სხვაზე აღმატებული პიროვნება, შეუძლია განუკითხავად მოკლას მისი ხელქვეითი მონა—მწყემსი და გაუსწორდეს მრავალრიცხოვან მომხვდურებს.

რამდენადაც სამეურნეო ნაგებობები, ამ შემთხვევაში თავდაცვითი ფუნქციების მქონე საიალაღო კომპლექსები, დავუკავშირეთ ციხე-სახლებსა და კოშკებს, გვინდა კვლავ მოვიყვანოთ ერთი შედარება ჩრდილოეთ ალბანეთის მთიანეთიდან. ო. ბუდინას ციტირებულ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ორსამსართულიან ციხე-სახლებზე კ უ ლ ა-ზე (kulla), რომლის პირველი სართულიც საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. ავტორი ასეთი ნაგებობის ჩამოყალიბებას უკავშირებს წარსულში მთიელთა ცხოვრების სპეციფიკას—გარეშე მტერთა თავდასხმებსა და სისხლ-მესისხლეობას. ამასთან, მითითებულია, რომ კულას თავდაპირველად ერთობლივად აგებდნენ ერთი ვლაზნიის ან ბარკუს წევრები, შემდგომში კი ზოგიერთი შეძლებული ოჯახები საკუთრად ფლობდნენ ასეთ ციხე-სახლებს[153]. კოშკებთან ერთად, ციხე-სახლებზე პატრონიმიული საკუთრების ფაქტები დასტურდება ცენტრალური კავკასიის მთიანეთშიც.

როგორც ჩანს, ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, სოფლის მომიჯნავე ფართობებზე ისეთი კომპლექსების აგება, რომელიც ითავსებდა სამეურნეო, საცხოვრებელ და თავდაცვით ფუნქციებს, თავდაპირველად სამეურნეო მიზნით ხდებოდა. მათ აგებდენ ყველაზე ხალხმრავალი და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახები, სოფლის მცხოვრებთა ნებართვითა და იმ პირობით, რომ ისინი არ მოინდომებდნენ მოსახლეობაზე გაბატონებას. მაგრამ საბოლოოდ ძალას მაინც თავისი გაჰქონდა. ეს ნაგებობები მთელ მიდამოს კონტროლს უწევდა და საფუძველს უყრიდა მისი მომიჯნავე სასოფლო თუ სათემო ადგილების მისაკუთრებას. მაგრამ საინტერესოა როდის და რა პირობებში ხდება ამ ნაგებობათა ჩამოყალიბება. ცხადია, ის ემთხვევა სოფლის თემის დაშლისა და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესს. მაშინ, როდესაც სოფლის თემი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სიმტკიცეს, სოფლად თუ იალაღებზე თანატომელი ან უცხო კუთხიდან მოსული მძარცველური ჯგუფების დაცემა საქონლისა თუ ტყვეების მიტაცების მიზნით ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ცალკეული ოჯახები ან ნათესაური გაერთიანებები

---

[153] О. Б у д и н а, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

იძულებული იყვნენ თვითონ ეზრუნათ საკუთარი თავის უშიშროებაზე. ამ მიზნით აგებენ სოფლად კოშკებს და ციხესახლებს, ხოლო იალაღებზე ისეთ კომპლექსებს, რომლებიც ერთი შეხედვით ციხესახლებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე სამეურნეო ნაგებობებს. მაგრამ ასეთი კომპლექსების შენება მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ. ეს უკანასკნელნი, როგორც უკვე ითქვა, თანდათანობით თავის უფლებებს ავრცელებდნენ სასოფლო და სათემო მიწების გარკვეულ ნაწილზე, სხვაზე მაღლა დგებოდნენ ეკონომიკურად და უფლებრივად, ეთიშებოდნენ რიგით მეთემეებს და დგებოდნენ ფეოდალიზაციის გზაზე.

საქონლის, უმეტესად კი ცხვრის, სადგომად, გამოქვაბულებსაც იყენებდნენ იქ, სადაც ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას იძლეოდა. შეკეთებული და სამეურნეო მიზნით გამოყენებული ბუნებრივი გამოქვაბულები გვხვდება ოსეთში და ინგუშეთში. ოსურად გამოქვაბული არის ლ ა გ ა ტ, მაგრამ როდესაც მას შეაკეთებდნენ და გარკვეული მიზნით გამოიყენებდნენ, უწოდებდნენ ს კ ა თ ს (ბოსელს) და არა ლ ა გ ა ტ ს. ასეთი იყო კ უ ლ ი თ ა ს კ ა თ, ნ ა ლ დ ი ყ უ ა თ ა ს კ ა თ (კულოვების, ნალდიკოვების ბოსელი) და ა. შ. ინტერესს იწვევს გამოქვაბულის ჩაჩნურ-ინგუშური ტერმინი ჰ ე ხ. თ. უთურგაიძე მას ქართულ ე ხ ი-ს და პ ა რ ე ხ-ს უკავშირებს, ხოლო ე ხ-ს ნახური წარმომავლობის დაბოლოებად მიიჩნევს[154]. სულხან-საბა ორბელიანი ტერმინებს—ეხის და პარეხის განმარტავს როგორც „კლდე გამონახეთქი ქვაბივით," ხოლო ეხისთან დაკავშირებით აკეთებს შენიშვნას, რომ ეს არის არა ქვაბად გამონახეთქი, არამედ „მცირედ გამონახეთქი, საჩრდილობელი რამე". ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ეხი არის კლდეში ბუნებრივი გამოქვაბული[155]. საქართველოს მთიანეთში ეს სიტყვა აისახება ტოპონიმიკაშიც: გ ა ზ ნ ე ხ ი (ნიშნავს თხის გამოქვაბულს), ა ც ე ხ ი, ბ ა ტ ე ხ ი, ვ ა უ ე ხ ი, ბ ა კ ნ ე ხ ი, დ ა ქ ო ე ხ ი, ფ ე ნ ი ე ხ ი, ა ყ ე ხ ი (ხევსურეთში), თ უ რ ს ი ე ხ ი, მ უ ყ ი ე ხ ი, ს ო ნ ე ხ ი (თუშეთში) და სხვ[156].

პარალელური სამეურნეო ბაზები, პირველ რიგში, ოჯახის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად

---

154 თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, 95.

155 ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 114, 268; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 1522.

156 თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

რსიც გაყოფის საგანი ხდებოდა. მაგრამ შეიძლებოდა ის ძმებს საერთო სარგებლობაშიც დაეტოვებინათ, საერთოდ თუ არა, დროებით მაინც, სანამ გამოყოფილი ძმები ახალს აიგებდნენ. იყო შემთხვევები, რომ არამცთუ ძმებს, ნათესავების უფრო დიდ ჯგუფსაც კი საერთო სარგებლობაში ჰქონდათ საზამთრო თუ საზაფხულო სამეურნეო ბაზები და შრომის ორგანიზაციის ფორმებიც ამის შესაბამისად იგეგმებოდა. პატრონიმიულ საკუთრებაზე მიუთითებს ოსეთში (ალაგირის ხეობის სათავეებში) სამეურნეო ბაზების სახელწოდება ჯ ი ნ გ თ ა, რომელიც ეკუთვნოდა მამიევების ერთ ოჯახს ჯ ი ნ გ თ ა ფ რ თ ა-ს. მეორე ბაზა ხ ა ძ ა რ თ ა ეკუთვნოდა მამიევების მეორე განაყოფს ა ხ მ ა თ ა ფ რ თ ა-ს. მართალია ეს ოჯახები ისე გადასახლდნენ ბარის რაიონებში, რომ არ გაყოფილან და ბაზებიც ბოლომდე საოჯახო საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ მთხრობელთა გადმოცემით, ეს ოჯახები რომც გაყრილიყვნენ მათი სამეურნეო ბაზები, როგორც წესი, განაყარ ოჯახთა საერთო სარგებლობაში უნდა დარჩენილიყო.

სოფ. ლაცში (ქურთათის ხეობაში) მცხოვრებ დულაევების ყაფლანის შთამომავლობის, ყ ა ფ ლ ა ნ ს ო თ-ის ერთ-ერთ შტოს ეკუთვნოდა სამეურნეო ბაზა გ ა კ ა ი ს კ ა თ. ეს ბაზა ეპონიმის სახელს ატარებს, იმ პიროვნებისას, რომელმაც ააგო და ვის საკუთრებაშიც იმყოფებოდა. ის მართალია გაკამ ააგო, მაგრამ მას ერთობლივად ფლობდნენ ის და მისი ძმები ერთად ცხოვრების პერიოდში და გაყრის შემდეგაც. გაკაისკათ არც შემდგომ თაობას გაუყვია და ბოლომდე მთელი შთამომავლობის საერთო სარგებლობაში დარჩა. პატრონიმიულ საკუთრებაზე მიუთითებს პარალელური სამეურნეო ბაზების სახელწოდება: გ უ შ ა თ ა ვ ო თ ა რ, კ ა რ ჯ ი ა თ ა ვ ო თ ა რ, მ ა რ ზ ა გ ა ნ თ ა ვ ო თ ა რ, გ უ ტ ი ა თ ა ვ ო თ ა რ, ც ო ღ ო ი თ ა ვ ო თ ა რ (თრქაი ხომზე) და სხვ. ინგუშეთში სოფ. ფურტოუკში დამოწმებულია პატრონიმიული საზაფხულო სადგომი. პატრონიმიულ (სატეიფო) საკუთრებაში იყო ზემოთ მითითებული საიალაღო კოშკები და ციხესახლები. ასევე შეიძლება ითქვას მთიულეთში სოფ. გოგნაურში მცხოვრებ თამაზიანთ საზამთრო ბაზებზე, სოფ. ცხვედიეთში მცხოვრებ ივანე, გიორგი და შიო აფციაურების საზამთრო ქოხსა და იქ არსებულ სასვილეებზე, სოფ. ძლეთაში მცხოვრებ ნაზღაიძეების ნ ა ზ ღ ა თ ქ ო ხ ზ ე და ა. შ.

გაყრის შემდეგ ქოხები და ქოხ-ბოსლები საერთო სარგებლო-

ბაში დაიტოვეს სოფ. ღებში მცხოვრებ ალექსი ლობჯანიძის (ბელოენი, დაბ. 1885 წ.), სერგო ლობჯანიძის (ჩობეენი, დაბ. 1897 წ.), ალექსი გავაშელის (ქუტუნეენი, დაბ. 1890 წ.) და სხვათა ოჯახებმა. ასეთივე ვითარებას ვხედავთ აჭარაშიც. საერთო სამეურნეო ბაზებზე შრომის ორგანიზაციის ფორმებიც კოლექტიურ პრინციპებს ემყარებოდა. განაყარი ოჯახები აქ კვლავ ერთ სამეურნეო მთლიანობაში იყო წარმოდგენილი, მათ აერთიანებდათ საერთო სამეურნეო ინტერესები და შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ფორმები. აქედან გამომდინარე, როდესაც ოჯახი სამეურნეო ბაზებს აგებდა, ყოველთვის ცდილობდა ის თავისი ძმების და ბიძაშვილების გვერდით დაედგა. ამდენად, მთის საძოვრებზე სამეურნეო ნაგებობათა განლაგება, ისევე როგორც ამას სოფელში საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებით ჰქონდა ადგილი, პატრონიმიულ ხასიათს ატარებდა.

ოჯახის გაყოფის შემდეგ შეიძლებოდა ერთ-ერთი მოწილე (და ზოგჯერ მეტიც) სამეურნეო ბაზებზე დასახლებულიყო. ამით საფუძველი ეყრებოდა ახალი დასახლებული ერთეულის, სოფლის არსებობას. სოფელთა განსახლების ამ ფორმას განსაზღვრავდა სოფელში სამოსახლო და დასამუშავებლად ვარგისი მიწების სიმცირე, მეურნეობის შემდგომი ზრდის პერსპექტივები და სხვა. ამგვარად, სოფლის ზრდის შედეგად იქმნებოდა ახალი დასახლებული ერთეული, რომელიც შემდგომშიც სოფელთან, რომლიდანაც თვითონ განვითარდა, მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. მაგ., სოფ. ცაბის განსახლების შედეგად ჩამოყალიბდნენ სოფლები: უალასეხ, თობორზა და საგოლ; ზემო თიბის განსახლების ძედეგად—თიბის თემში შემავალი სოფლები: თიბწნაყაუ, ბოცითაყაუ, ველთაყაუ და სხვა (ოსეთში); სოფ. ერზის განსახლების შედეგად ჩაეყარა საფუძველი სოფ. ოლგეთის, ხოლო სოფ. თარგიმის განსახლების შედეგად სოფ. გიურითის არსებობას. ჩულხოის ხეობაში სამეურნეო ბაზებზე დასახლების შემდეგ იქმნება სოფლები: კიაზი, ლიალაღ, ხენო, გუ და სელგი. ეს ხეობა შემდეგ თემის ფუნქციებს ატარებდა. ნთიულეთში ამის მაგალითია შონჩო-ჟოჟონის ხეობა, სადაც შონჩო და ჟოჟონი ძველი, ხოლო გიორგიანი და გოგოთურიანი მათგან განსახლებული სოფლებია. ხეობაში შემავალი ხუთივე სოფელი ერთ მთლიანობაში იყო მოცემული და ხევის ფუნქციებს ატარებდა[157]. გუდამაყარში ის ადგილები, სადაც ახლა სოფ-

[157] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 15.

ლები ბოსელი და ბურსაჭირია, ადრე სოფ. დუმაცხოს სამეურნეო ბაზები იყო, შემდეგ იქ ხალხი ჩასახლდა და დროთა განმავლობაში ორივე სოფლად ჩამოყალიბდა. ასეთივე წარმონაქმნად არის მიჩნეული სოფელთა სახელწოდებები: ბუასკრები (მთიულეთში), ბარისახო (ხევსურეთში), ახოები (აჭარაში), ბავარი (სვანეთში)[158]. და სხვა. ანალოგიური მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, თუმცა, სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ამის არაერთ მაგალითზე უკვე გვქონდა საუბარი. ამგვარად, პარალელური სამეურნეო ბაზები გარკვეულ როლს ასრულებდნენ სოფელთა განსახლების საქმეში.

3. მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები

რამდენადაც ცენტრალური კავკასიის მთიანეთში მესაქონლეობა იყო მეურნეობის წამყვანი, ამასთან ტრადიციული და ინტენსიური დარგი, საქონლის მოვლა-პატრონობასა და წველა-დღეებასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები ოჯახში იყო სპეციალიზირებული და მაღალგანვითარებული; მეურნეობის ამ დარგის წლიური ციკლის წარმოების ყოველი დეტალი მტკიცედ იყო დაკანონებული სოფლის ყველა სოციალურ უჯრედში. როგორც ჩანს, მწყემსობის უკეთ ორგანიზების მიზნით სოფელი საგანგებოდ ირჩევდა ერთ ან ორ პიროვნებას—ყ უ ლ თ ი შ ს (ინგუშეთში), ა ხ შ ა ნ ლ ა გ თ ა-ს (ოსეთში). ამავე კუთხეებში მიღებული ცნობების მიხედვით, რიგით მწყემსობის დროს ოჯახს ერთ სულ საქონელზე ერთი დღე უნდა ემწყემსა. ხევსურეთსა და ერწოთიანეთის ფშაურ მოსახლეობაში, ის ოჯახები, რომელთაც საერთო ნახირში სამი და მეტი საქონელი ჰყავდა გარეული, მორიგისში თანაბრად გადიოდნენ, ვისაც სამზე ნაკლები ჰყავდა—სამწყესურში თითო რიგის გამოტოვებით უხდებოდათ გასვლა; ხაროვანში უღელი ხარის პატრონებს თანაბრად უნდა გაენაწილებინათ შრომა, ცალი ხარის პატრონები კი თითო რიგს ტოვებდენ.

ხარებს მეთვალყურეობა სჭირდებოდა დღეც და ღამეც, რადგან ისინი საღამოს ბინაზე არ ბრუნდებოდნენ, თუმცა ზოგ სოფელს სახაროვნეები ახლოს ჰქონდა და მათი მობრუნება შესაძლებელი ხდებოდა. ჩაჩნური მასალების მიხედვით, ოჯახს უღელ ხარზე რიგით

---

158 რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი..., გვ. 48.

უნდა ემწყემსა ერთი დღე ან ღამე, ცალი ხარის პატრონებს, კენ-ჭისყრით, დღე ან ღამე (უშკალოი). სხვა სოფელში მიღებული ცნობების მიხედვით კი ერთ ხარზე იყო გათვალისწინებული ერთი დღე და ღამე (ჭენთოი). თუშეთშიც მ ე ჯ ე რ ე ხაროვანში იმდენ დღეს დაჰყოფდა, რამდენი ხარიც ჰყავდა მასში გარეული[159]. ხევსურეთში (ხახმატი) ხაროვანში ხარს ღამე სჭირებოდა ორი მწყემსი, დღე—ერთი, მწყემსს, როძელიც დღე მორიგეობდა, საღამოს დაემატებოდა მეორე და ისინი ხაროვანს ერთად უთევდნენ ღამეს. დილით მწყემსი, რომელმაც უკვე დღე და ღამე იმორიგეევა, სახლში მიდის, საღამოს უკან ბრუნდება და ეს ორი კაცი კვლავ ერთად რჩებიან ხაროვანში. ამის შემდეგ ორივე მწყემსი თავისუფალია მორიგეობის ახალი ციკლის დაწყებამდე.

სოფლისპირა საძოვრებზე საქონლის მწყემსობა ძირითადად ქალებსა და ბავშვებს ჰქონდათ მინდობილი. ხაროვანში კი კაცები დადიოდნენ. ასევე ქალების მოვალეობას შეადგენდა საქონლის სადგომების დასუფთავება და წველა-დღვება. ამდენად, რიგით მწყემსობა, რაც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული ფორმა იყო, თანაბარუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს ემყარებოდა. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ოჯახი სოფლის ამ საერთო ორგანიზაციაში მონაწილეობას არ ღებულობდა და თავის საქონელს ინდივიდუალურად უვლიდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში მოწმდება მესაქონლეობაში სამხედრო ტყვეების, მონების შრომის გამოყენების ფაქტებიც. მაგრამ ეს დროებით ხასიათს ატარებდა, რადგან ისინი მალე თავისუფლდებოდნენ მონური მდგომარეობისაგან, ხდებოდა მათი მიწაზე დამაგრება და დაყმევება. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთ ამის შემდეგაც გარკვეული ვალდებულება ეკისრებოდათ იმ ოჯახების მიმართ, ვისი ზედამხედველობის ქვეშაც მანამდე იმყოფებოდნენ.

კიდევ ერთი გავრცელებული ფორმა მწყემსობის ორგანიზაციისა, ეს იყო ქირით მწყემსობა. მწყემსს ქირაობდა სოფელი, უბანი, რამოდენიმე ოჯახი საერთო ძალით ან ოჯახი ინდივიდუალურად. ცხადია, დაქირავებულ მწყემსებად ღარიბი ოჯახებიდან მიდიოდნენ და ეს ნაბიჯიც იძულებითი იყო. ინგუშური მასალების მიხედვით, ასეთი ხალხი საზოგადოებაში არ სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, მათ ქორწილში მეჯვარედ არავინ დაუძახებდა, ხოლო კაცი-

---

159 მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მსხვილფეხა მესაქონლეობა თუშეთში. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 60.

სთვის იმის წამოძახება, რომ ის სხვისი დაქირავებული მწყემსი იყო, ყველაზე დამამცირებელი ყოფილა. დაქირავებული მწყემსის შრომის ანაზღაურება (თუშეთში) ხდებოდა ნატურით ან ფულად. ერთ შემთხვევაში მისი გასამრჯელო განისაზღვრებოდა 4—5 მანეთით (ერთი ძროხის ღირებულება), სეზონის ბოლოს სოფელი ამ თანხას გ ა კ ე ნ ჭ ა ვ დ ა და ოჯახებს შეაწერდა იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი სული საქონელი ჰყავდა საერთო ნახირში. მეორე შემთხვევაში, ოჯახი მწყემსს ერთ სულ საქონელზე უხდიდა ერთ ლიტრა ქერს, სვილას ან მის ღირებულებას. და ბოლოს, ზოგ სოფელში მწყემსს ყოველ სულ საქონელზე ეკუთვნოდა თითო აბაზი (ერთი კილო მატყლის ფასი). თუ მწყემსი სხვა კუთხიდან იყო მოსული, ის ოჯახებში რიგრიგობით ათევდა ღამეს. ყოველ ოჯახში იმდენ ღამეს რჩებოდა, რამდენი საქონელიც ჰყავდა მისგან მიბარებული. ამავე ოჯახს ევალებოდა მწყემსის კვება და წინდა-ქალამნის ჩაცმა. წინდა-ქალამანს ის ღებულობდა დროებით, რომელ ოჯახშიც შევიდოდა ფეხთ იმას უნდა ჩაეცმია. თუ მწყემსი ადგილობრივი იყო, ის თავის სახლში იძინებდა, კვება და წინდა-ქალამანი კი მასაც ასევე ეკუთვნოდა.

ოსეთში (ქურთათის ხეობა) მწყემსს თვეში ერთ სულ საქონელზე უხდიდნენ 1,5—2 მანეთს, ცხენზე—3 მანეთს. თუ მწყემსი შორიდან იყო მოსული, დამქირავებლის იყო მისი კვებაც. რიგი მასალების მიხედვით, მწყემსს ურიგდებოდნენ სეზონურად (სამი თვით) და ერთ სულ საქონელზე უხდიდნენ 1, 2 მან. ალაგირის ხეობის სათავეებში დაქირავებული მწყემსი სეზონზე ყოველი 15 სული საქონლის გამწყემსვისთვის ღებულობდა ერთ სულს ან ერთ ფუთ ქერს. დიგორში მწყემსს ქირაობდნენ ექვსი თვით და თითოეულ ძროხაზე უხდიდნენ 8 კგ ქერს. გარდა ამისა, მწყემსს ეკუთვნოდა ერთი საღამოს წველა.

როგორც ვხედავთ, შრომის ანაზღაურება ყველგან თავისებურად ხდებოდა, ამასთან, ის ყოველ პერიოდში იცვლებოდა. XIX ს. ბოლო ხანებისათვის ოჯახების ძალიან დიდი რაოდენობა, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, იძულებული იყო აეკიდა გუდა-ნაბადი და სხვა კუთხეებში საკუთარი შრომის გაქირავებაში ეძებნა საარსებო საშუალებები. სეზონურად მიდიოდნენ დაქირავებულ მწყემსებად, მხვნელ-მთესველებად, მთიბაჟებად და სხვა. ათეულობით დაქირავებული მუშახელი იყო დაბანდებული ნადირაშვილების, ბეწუკელების (ერწოში), ბუქურაულების, ჭყოპიშვილების (თუშეთში) და სხვათა მეურნეობებში.

მოსახლეობის გარკვეული ფენები სამუშაოს საძებნელად მიდიოდნენ არა მარტო მეზობელ სოფლებში, ან ტრიალებდნენ ერთი ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში, არამედ უფრო შორსაც მიდიოდნენ. მოწმდება ფაქტები, რომ ინგუშები ხევსურეთში, ხოლო ჩაჩნები და დაღესტნელები თუშეთში გადმოდიოდნენ სეზონურად. მათი საქმიანობა შემოიფარგლებოდა არა მარტო მწყემსობით, არამედ სხვა რიგით სამუშაოებსაც ასრულებდნენ. მაგ., თუშეთში, რამდენადაც მამაკაცები ძირითადად მეცხვარეობით იყვნენ დაკავებული და სამიწათმოქმედო სამუშაოებისთვის ვეღარ იცლიდნენ, მას ქალები და დაღესტნიდან გადმოსული დაქირავებული მუშახელი ასრულებდა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც დიგორლები გადმოდიოდნენ რაჭაში ან პირიქით, რაჭველები გადადიოდნენ ოსეთში სამუშაოდ და სავაჭროდ. ასეთი თანამშრომლობა საფუძველი ხდებოდა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის სხვა კულტურული ურთიერთობისა, მაგრამ ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სეზონურ სამუშაოებზე მთაში ადიოდნენ ბარიდან და პირიქით, მთიელები ჩამოდიოდნენ ბარში. მაგ., მთიულეთ-გუდამაყარში ადიოდნენ მცხეთისა და მისი მიმდებარე სოფლებიდან სათიბ-სამკალში და სამუშაოს ნარდად ღებულობდნენ. გასამრჯელო უნაზღაურდებოდათ ნატურით—ყველით, ერბოთი, მატყლით. ცხადია, როდესაც მთაში თიბვის ან მკის პერიოდი დგებოდა, ეს სამუშაოები ბარში უკვე მოთავებული იყო და მუშახელს ადვილად შეეძლო გადაენაცვლებია მთაში. თავის მხრივ. მთიულებიც ჩამოდიოდნენ ბარში სათიბ-სამკალად. შრომის საფასურად კი ღებულობდნენ პურს, ღვინოს ან ფულად უნაზღაურდებოდათ, მათ უმეტესად ტკბილი აჰქონდათ მთაში და ქვევრებში ასხამდნენ. ანალოგიური ხასიათის მასალა მოპოვებულია ჩრდილო კავკასიის მთიანეთშიც. ცხადია, მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ მთაში დასამუშავებელი ფართობების სიმცირე და რთული რელიეფი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად გლეხთა ფენებად დაშლა, კაპიტალისტურ მეურნეობებში დიდძალი დაქირავებული მუშახელის დაბანდება და სხვა ამტკიცებდა მთისა და ბარის სამეურნეო მთლიანობას, აჩქარებდა მთის ჭარბი მოსახლეობის დენადობას მთისწინა და ბარის ზოლში, მთავარ სავაჭრო ცენტრებში. ამგვარად, ეთნოგრაფიულ მასალაში აისახება: 1. სოფლის თემის დაშლისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თავისებურებები (იქ, სა-

დაც საუბარია ჩრდილო კავკასიის მთიანეთში ტყვეებისა და მონათა შრომის გამოყენებაზე). 2. ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობანი. ის გამოხატულებას პოულობს შრომის ორგანიზაციის ერთიან ფორმებში, სამეურნეო სფეროში ურთიერთთანამშრომლობაში და სხვა. კავკასიონის ქედზე გამავალი უმოკლესი კომუნიკაციები პირიქით და პირაქეთ მოსახლეობას აახლოებდა ერთმანეთთან, რის გამოც კავკასიონის ფარგლებს შიგნით გამუდმებით ხდებოდა მოსახლეობის მოძრაობა. ამ ურთიერთობის ბუნებრივი შედეგი იყო ურთიერთდამოყვრება, დაძმობილება, ერთი ეთნიკური ერთეულის დამკვიდრება სხვის ტერიტორიაზე და ასიმილაცია მის მოსახლეობასთან, რაც არცთუ იშვიათად ხდებოდა. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ დროდადრო ურთიერთთავდასხმებსა და ტყვეებისა და საქონლის მიტაცებაზე, რაც ფეოდალური პარტიკულარიზმის პირობებში საერთოდ დამახასიათებელი მოვლენა იყო; 3. მთისა და ბარის სამეურნეო ზონების, მთაბარული სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ერთიანობის აუცილებლობა მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნაში; 4. კავკასიის მთიანეთში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტების შეჭრა, რამაც დააჩქარა და თავისებური გზით წარმართა გლეხობის ფენებად დაშლა. რაც შეეხება ექსპლოატაციის ფორმებს, მთისწინა ზოლში გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მთაში, რაც განაპირობა მთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებმა.

როგორც აღვნიშნეთ, ორხელაობა ||ორგანობის ფორმის მეურნეობის წარმოება მხოლოდ დიდ ოჯახებს შეეძლო. ოჯახს უნდა შეძლებოდა ნაწილი თავისი შემადგენლობისა გადაეყვანა მეორე სახლში. ოჯახის წევრებს აქ მეურნეობის წარმოების გარკვეული რიგი ჰქონდათ დაწესებული, ცალკეულ შემთხვევებში კი ამ საქმეს რომელიმე საქორწინო წყვილი ითავებდა რიგის გარეშე. მაგ., ზემო იმერეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით (საჩხერის რ-ნი, სოფ. არგვეთი), ოჯახში რძლებს დიასახლისობის რიგი ჰქონდათ დაწესებული, ერთ დღეს რომ ერთი რძალი იქნებოდა დიასახლისი, მეორე დღეს მეორე შეცვლიდა და ა. შ. ქალს, რომელსაც რიგით უწევდა დიასახლისობა, უნდა მოეზილა ერთი ბათმანი ფქვილი, დაეცხო ჰადები, მოეხარშა ერთი დიდი ქოთანი ლობიო, წყალს მოიტანდა, კაცებს ხელს დაბანინებდა და სუფრასთან მიიწვევდა — ეს იყო აუცილებელი პირობა. ქალის საქმიანობაში შედიოდა აგრეთვე მატყლის ჩეჩვა, ძაფის რთვა, შალების ქსოვა და სხვ. დიდ ჯალაბში ყოველივე ეს მეტად ტვირთავდა ქალს. ყველა ქალი ვერ ეგუ-

ებოდა ცხოვრების ასეთ პირობებს და შეუჩნდებოდა ქმარს გამოყოფოდა ოჯახს, მაგრამ ოჯახის უმცროს წევრს ამ საკითხის გამხელაც არ შეეძლო, ამიტომ თავის ცოლთან ერთად ხალისით მიდიოდა მეორე სახლში. ამით ოჯახი მთლიანობას ინარჩუნებდა, დიდი საოჯახო მეურნეობა კვლავ ერთ ხელმძღვანელობას ექვემდებარებოდა. ოჯახის გაყოფასთან ერთად ეს მეურნეობაც ქუცმაცდებოდა და ამ პატარა სოციალურ უჯრედში ორგანობა იშლებოდა. მაგრამ ოჯახი თავისი შემადგენლობის ზრდასთან ერთად კვლავ აფართოებდა თავისი მეურნეობის მასშტაბებს და სწრაფად უბრუნდებოდა ორგანობას. ამდენად, ორხელაობა // ორგანობა // დუვარან წარმოადგენდა მეურნეობის მთაბარული სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უჯრედს და თავისი ბუნებით დიდ ოჯახთან იყო დაკავშირებული.

ინგუშეთთან დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ, რომ მთის საზაფხულო საძოვრებზე მეწველი ძროხებისათვის განკუთვნილი სამეურნეო ბაზები შედარებით ახლოს უნდა ყოფილიყო, რომ საქონლის მომვლელ პერსონალს სოფელთან სისტემატური კავშირი ჰქონოდა და ეს მასალა განხილული იყო როგორც ზოგადკავკასიური მოვლენა. მთის საძოვრებზე ოჯახს საქონელი მიჰყავდა ინდივიდუალურად ან რამდენიმე კომლი ერთიანდებოდა. აქ კაცთან ერთად აუცილებელი იყო ქალის ყოფნაც, რომლის მოვალეობასაც წველა და რძის პროდუქტების დამზადება შეადგენდა. ჩაჩნეთში სავეცკოეს რ-ნის სოფ. დიდ ვარანტში ჩაწერილი გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა ამხანაგობას ცხვარი და საქონელი ერთად მიჰყავდა, შემდეგ კი ფუნქციები ამხანაგობის შიგნით ნაწილდებოდა—ვის ცხვრისთვის მიეხედა და ვის მსხვილფეხა საქონლისთვის. ცხადია, ამ შემთხვევაში მეურნეობის ფართო მასშტაბებზე ლაპარაკი არ შეიძლება, ამ გზას ადგნენ ის მეურნეები, რომლებიც ცხვრისა და საქონლის დიდი სიმრავლით არ გამოირჩეოდნენ.

ხევსურებს იმდენად ახლოს ჰქონდათ მთები, რომ შესაძლებელი ხდებოდა აქედან სოფელში ყოველდღე ჩამოსულიყვნენ. ქალი, რომელიც ოჯახში მემთევრად იყო გამოყოფილი, დილით ავიდოდა საქონელთან, გამოწველიდა, რძეს გადაამუშავებდა, დამზადებულ პროდუქტებს წამოიღებდა და სოფელში ბრუნდებოდა. აქ საოჯახო საქმეს მიხედავდა და საღამოს კვლავ მთაზე ავიდოდა საქონლის მოსაწველად და დასაბინავებლად. ქალები შეიძლებოდა ღამეც დარჩენილიყვნენ საქონელთან, თან მიჰქონდათ ხელსაქმე და გარკ-

ვეულ დროს იქ ატარებდნენ, მხოლოდ თიბვისა და მკის დროს ვერ იცლიდნენ საამისოდ. ზოგს მთის საბოსლოებთან ახლოს ჰქონდა მამულები, საქონელში საქმეს რომ მორჩებოდნენ, იქვე გავიდოდნენ ყანებში სამუშაოდ. ოჯახში ქალებს მთაზე წასვლის რიგი ჰქონდათ დაწესებული, ერთ დღეს რომ ერთი წავიდოდა, მეორე დღეს მეორე შეენაცვლებოდა. ცხადია, ეს უკვე ოჯახის შემადგენლობაზე იყო დამოკიდებული. რამდენადაც ბინები ახლო-ახლოს იყო, ქალებმა საქონლის მოვლასა და წველა-დღვებაშიც იცოდნენ ერთმანეთის დახმარება. როგორც წესი, განაყარი ძმები ბინებს ერთმანეთის გვერდით იგებდნენ ან ძველ სამეურნეო ბაზას საერთო სარგებლობაში იტოვებდნენ და საქონელიც მთაზე ერთად მიჰყავდათ. ამდენად, საერთო სამეურნეო ნაგებობები, ან ამ ნაგებობათა განსახლების პრინციპები და შრომის ორგანიზაციის ფორმები პატრონიმიას ერთ სამეურნეო ერთეულად წარმოსახავდა.

როგორც ვხედავთ, ყველგან და ყოველთვის არ ხერხდებოდა ოჯახის წევრთა ის ნაწილი, რომლის მოვალეობასაც წველა და რძის გადამუშავება შეადგენდა, მთიდან ყოველდღიურად დაბრუნებულიყო სოფელში. ეს გარემოება, მიუხედავად მკვეთრად ჩამოყალიბებული ურთიერთდახმარების ფორმებისა, რაც სისხლით ნათესავებსა და მეზობლებს შორის არსებობდა, დიდად იყო დამოკიდებული ოჯახის შემადგენლობაზე და იმაზე, თუ სამეურნეო ბაზები სოფლიდან რა მანძილზე მდებარეობდა. რაც შეეხება ხევსურეთს, აქ საქონლის მომვლელ პერსონალს შესანიშნავი პირობები ექმნებოდა იმ მხრივ, რომ შეეძლო ოჯახს არ მოსწყვეტოდა. მეორე მხრივ, ხევსურეთში დასტურდება მხოლოდ პატარა ოჯახები, რომლებშიც ყველა წევრი იძულებული იყო ერთდროულად სხვადასხვა ხასიათის სამუშაოები შეეთავსებინა. ქალი მთაში ავიდოდა, საქონელს საძოვარზე გადენიდა ან დააბინავებდა, რძეს გადაამუშავებდა, სათიბში ან სამკალში გავიდოდა, ოჯახისთვის ან დამხმარე მუშისთვის კერძს მოამზადებდა და ა. შ. ამ დატვირთვას რამდენადმე ამსუბუქებდა პატრონიმიის შიგნით არსებული შრომის ორგანიზაციის ფორმები.

მთობის პერიოდში მემთეს შეეძლო ოჯახს არ მოსწყვეტოდა ივრის ხეობის სათავეებშიც, სადაც სოფელს გარს ეკრა სასაძოვრო მთები. რამდენადმე დაბალ ზოლში, ორხევსა და ერწოს ტერიტორიაზე კი საქონლის მომვლელი პერსონალი მთობის პერიოდს იალაღებზე ატარებდა. დიდ ოჯახში რძლებს მემთეობის რიგი ჰქონ-

დათ დაწესებული. მას შემდეგ, რაც საქონელი ბაგაზე დაებმებოდა, მის მოსავლელად ერთ-ერთი რძალი იყო გაპიროვნებული. მას ბაგაზე საკვები უნდა დაეყარა, გომური დაესუფთავებინა, საქონელი წყალზე გაეყვანა და ა. შ. ზაფხულში იგივე რძალი მიდიოდა მემთედ. ამ დროს მეორე რძალი დიასახლისობდა — ჯალაბისთვის პურს აცხობდა, სტუმრებს ხვდებოდა, მესამე სამიწათმოქმედო სამუშაოებზე გადიოდა და ა. შ. როგორც საკუთრივ ფშაური, ისე ერწოთიანეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქალი და მასთან ერთად მისი ქმარიც, რომელთაც საქონელი ბარდებოდათ, მთელ წლიურ ციკლს ასრულებდნენ. მთაზე ქალები რჩებოდნენ, კაცები კი მათ პერიოდულად აკითხავდნენ, შეშას, ფქვილს, მარილს მოუმარაგებდნენ და დამზადებულ პროდუქტებს სოფელში წამოიღებდნენ. სოფ. ომარაანში ჩაწერილი მასალების მიხედვით, რძლები მთის საძოვრებზე (სათიბის მთაზე) ყოველ ორ კვირაში სცვლიდნენ ერთმანეთს. ეს აქ სავსებით შესაძლებელი იყო, რადგან მთა სოფელს ახლოს ჰქონდა და იქ ასვლა დიდ დროს არ მოითხოვდა. დედამთილი ამ რიგში მონაწილეობას არ ღებულობდა, ის მხოლოდ რძლების საქმიანობას ხელმძღვანელობდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. თუ დედამთილი ცოცხალი აღარ იყო, ქალების საქმიანობას უფროსი რძალი განაგებდა, უმცროსი კი საქონელს მიჰყვებოდა. როდესაც თიბვა და მკა დაიწყებოდა, უფროსი მთაში მიდიოდა, ხოლო უმცროსი სოფელში ბრუნდებოდა. ამით უფროსს მძიმე სამუშაოებისაგან ათავისუფლებდნენ, რაც მისადმი პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენდა. ამგვარად, შრომის განაწილება თანაბარუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს ემყარებოდა. ამით იყო ნაკარნახევი მემთეურობასა თუ დიასახლისობაზე რიგის დაწესება. ამავე დროს შრომის განაწილებაში სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნების დაცვა და უფროსისადმი პატივისცემა ოჯახის ყველა წევრს მტკიცედ ჰქონდა ჩანერგილი. ამიტომ იყო, რომ საქონლის მოვლა, მათი სადგომების დასუფთავება, წველა და სხვა, ძირითადად უმცროსი რძლების მოვალეობას შეადგენდა. ოსეთში, როგორც წესი, მთაზე საქონელს უმცროსი რძალი და მისი ქმარი უნდა გაჰყოლოდა. მთარაკის მასალების მიხედვით, მართალია რძლებს მთაზე წასვლის რიგი ჰქონდათ დაწესებული და ისინი ყოველ სეზონზე ცვლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ სოფელში მესაქონლეობასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა უმცროს რძალსა და მოზარდ თაობას ევალებოდა. ცხადია, ჩვენ საშუალება არა გვაქვს ყველა კუთხიდან მოვიტანოთ კონკრეტული

მაგალითები, მაგრამ ამ მასალებში აშკარად შეიმჩნევა, რომ ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ყველა კუთხეში, მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები ერთიან პრინციპებს ემყარებოდა[160].

ზოგან მთის საძოვრები სააგარაკოდაც ითვლებოდა (აჭარაში, პანკისის ხეობაში, ალვანში მცხოვრები თუშებისათვის, ჩაჩნეთის შუა ზოლში), რის გამოც საქონელს, მის მომვლელ პერსონალთან ერთად, თან მიყვებოდნენ მოხუცები და ბავშვები. ისინი თავიანთ ოჯახის წევრებს საქონლის მოვლა-პატრონობაშიც ეხმარებოდნენ და მთის სუფთა ჰაერითაც სარგებლობდნენ. წოვა თუშები ზაფხულობით თურმე მთელი სახლობითაც კი იყრებოდნენ და ტბათანაზე მიდიოდნენ, ზოგი თავიანთ ნასოფლარებს უბრუნდებოდა, ნაწილი კი ცხვარს მიყვებოდა. ალვანში მთელი გვარი თავის ბარგს რამოდენიმე ბინაში აგროვებდა და მას საერთო მეთვალყურეს უტოვებდა. მთაშიც გვარს ცალკე უბანი ჰქონდა, ამიტომ ალვანიდან ერთად იყრებოდნენ და მთიდანაც ერთად ბრუნდებოდნენ. ტბათანაზე მთხრობლები გამოჰყოფენ გარსევანთ, ლაგაზიძეანთ, ყიზილაშვილების, ქავთარაშვილების, ჯიხუანთ (ჯიხოშვილების), მიქელაძეების, ნასყიდაშვილების, ბაიხოანთ (ბაიხოიძეების) და სხვა უბნებს[161]. ცხადია, ეს გარემოება სათანადო ასახვას პოულობდა შრომის ორგანიზაციის ფორმებშიც. ერთ-ერთ კორესპონდენციაში მითითებულია, რომ თუშები და ფშავლები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, მთელი ოჯახებით, თავიანთ მრავალრიცხოვან საქონელთან ერთად, მონაცვლეობით იმყოფებოდნენ მთისა და ბარის საძოვრებზე. ამით მათი ცხოვრების პირობები ძირეულად განსხვავდებოდა იმ ბინადარი მოსახლეობისაგან, რომელთა სამე-

---

160 რაც შეეხება ოჯახის მმართველობის სისტემას, ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილებას, სათანადოდაა ასახული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. ამ გამოკვლევებითაც დგინდება, რომ საქონლის მოვლა-პატრონობა, მათი სადგომების დასუფთავება და სხვა, საშუალო და უმცროსი რძლების მოვალეობას შეადგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Р. Харадзе, Грузинская семейная община, I, Тб., 1960; II, Тб., 1961. ვ. ითონიშვილი, „ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969; მისივე, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970; მისივე, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან,„ თბ., 1974, გვ. 36; А. Магометов, Общественный строй и быт осетин (XVII—XIX вв.), Орджоникидзе, 1974, с. 171.

161 სამეურნეო ბაზების განსახლების ეს პრინციპი ფიქსირებული გვაქვს ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ყველა კუთხეში. ნაწილი ამ მასალებისა აისახა კიდეც ჩვენს ადრეულ ნაშრომებში (იხ. „სამეურნეო ბაზების საკითხისათვის აჭარაში...“).

ურნეო ყოფაში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედებას ეჭირა, ხოლო საქონელს იმ რაოდენობით ინახავდნენ, რაც მათი ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყო საჭირო[162]. საკუთრივ თუშები ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ ხალხი მთას იყო მიჩვეული და ალვანის სიცხეს ვერ უძლებდა. გარდა ამისა, სანამ ალვანის გეგმიური დასახლება მოხდებოდა, მისი ტერიტორია ჭაობიანი იყო და ხალხი ციებით ავადდებოდა. ჭირნახულის აღებისა და დაბინავების შემდეგ, ვკითხულობთ სპეციალურ ლიტერატურაში, თუშეთის სოფლები იცვლება, მოსახლეობის უმრავლესობა ალვანში მიდის, ნაწილი ბოსელში ბინავდება, მოწეულ სარჩოს კი ადგილზე ინახავენ მომავალი ზაფხულისათვის. ყველაფერი აჩის მოსავლელად თუშები მეკომურს გამოყოფენ, რომელიც ზამთარს მთაში ატარებს[163]. მართალია, თუშებს სპეციფიკური მდგომარეობა შეექმნათ, მაგრამ მათი, ფშავლებისა და საერთოდ ცენტრალური კავკასიის მთიელთა მეურნეობის ფორმების ისეთი კვალიფიკაცია, როგორიც მოტანილ კორესპონდენციაში იყო, მთლად მართებულად არ გვეჩვენება. მთხრობელთა ზემოთ მოტანილი არგუმენტის გარდა, თუშეთისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურობად ისიც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მეცხვარეობის მასიურად განვითარებამ, მისმა შედარებით ფართო მასშტაბებმა მოსახლეობის ყურადღების მთელი კონცენტრაცია მეურნეობის ამ დარგისკენ მოაქცია, მასში იქნა ჩართული მამაკაცების ძირითადი მასა, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მეურნეობის სხვა დარგებზე — მიწათმოქმედებასა და მსხვილფეხა მესაქონლეობაზე. წოვა თუშებში მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგი, როგორიცაა მიწათმოქმედება, დროის ერთ მონაკვეთში დავიწყებასაც კი მიეცა, ხოლო მსხვილფეხა მესაქონლეობა თითქმის მთლიანად ქალის შრომას დაექვემდებარა ალვანში მცხოვრები წოვები სამიწათმოქმედო პროდუქტებს კახელებისა და ქართლელებისაგან ყიდულობდნენ. XIX ს. ბოლოს წოვა თუშებში კვლავ იწყებს წამოწევას მიწათმოქმედება, აქაც ჩნდებიან მხვნელ-მთესველნი, მაგრამ ესენი იყვნენ ის ხალხი, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრება მეცხვარეობას შეალიეს და ოჯახს დაუბრუნდნენ ისეთ სამუშაოებს, როგორიცაა ხვნა, თიბვა, მკა, სახლების მშენებლობა და სხვა, ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული მუშახელი ასრულებდა.

---

[162] О промышленности в тушино-пшаво-хевсурском округе, земледельческой, торговой и прочей, «Кавказ», 1971, № 81.

[163] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 50.

რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა იყო თუშეთის დანარჩენ მოსახლეობაში. მათ წოვებზე გაცილებით გვიან დაიწყეს ალვანში ჩამოსახლება, ამასთან, ეს პროცესი მიმდინარეობდა შედარებით ნელა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ოჯახები მეურნეობას აწარმოებდნენ როგორც მთაში, ისე ალვანში, ოჯახის წევრებს ხშირად ალვანში ჩამოსვლისა და იქაური მეურნეობის წარმოების რიგიც კი ჰქონდათ დაწესებული. ალვანში თუშების სამეურნეო ყოფაში, მესაქონლეობასთან ერთად, მიწათმოქმედებამაც დაიჭირა გარკვეული ადგილი. და ბოლოს, მეცხვარეობას ᲫᲗᲐᲨᲘ ისეთი მასიური ხასიათი და მასშტაბები არ მიუღია, როგორც წოვა თუშებში. მთხრობელთა გადმოცემით, მთიელებიდან ერთეულები თუ გამოერეოდნენ ისეთები, რომლებიც ალვანში ხვნა-თესვას მისდევდნენ, ცხვარ-ბინის პატრონებს სახნავად არ ეცალათ. ბევრი ალვანში ადგილებს სხვას ამუშავებინებდა, ქირაზე სამუშაოდ მოდიოდნენ მაღრანის, ფიჩხოვანის და კახეთის სხვა სოფლების მცხოვრებნი. ქვემო ალვანში მცხოვრები სამსონ ჯიჯურიძის (დაბ. 1891 წ.) მამა გიო 25 მარტისთვის ალვანში ამოვიდოდა, ყანებს მოხნავდა და სხვა საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებდა. ამასობაში დაქირავებული მწყემსები ცხვარს მთის საძოვრებზე აიყვანდნენ და გიოც მათ შეუერთდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ᲫᲗᲐᲨᲘ ხვნა-თესვის საქმეს ქალები უძღვებოდნენ. როდესაც ოჯახიდან ყველა მამაკაცი ცხვარში იყო წასული, ქალი გადიოდა გუთნისდედად, მთიბავად და შეიძლებოდა ოჯახის უფროსიც კი ყოფილიყო.

ამგვარად, მეცხვარეობის განვითარებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა შრომის ორგანიზაციის ფორმებში, ქალის ხელი ჩართო ისეთ საქმეში, რომელიც ᲫᲐᲜᲐᲛᲓᲔ მისთვის მიუღებელი იყო. მეურნეობის ყველა დარგში გაზარდა დაქირავებული შრომის მნიშვნელობა. ცხადია, ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ კაცებმა მთლიანად აიღეს ხელი მიწათმოქმედებასა თუ ხელოსნობასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე და ის ქალებს გადაულოცეს, კაცებმაინც ახერხებდნენ თავისი ხელი ჩაერთოთ ყოველი რიგის სამუშაოებში. აქ დამოწმებულია ურთიერთდახმარების ფორმები ხვნაში, მკაში, თიბვაში და სხვა, თუმცა ყოველივე ამ საქმეში დიდი ადგილი ეჭირა დაქირავებულ შრომას. მთაში როგორც მენახირედ, ისე სახნავად და სახლების საშენებლად ხშირად გადმოდიოდნენ ლეკები, ბარში კი მოდიოდნენ კახეთისა და ქართლის სოფლებიდან

მხვნელ-მთესველები, მთიბავები, მომკელები, რაჭიდან სახლის მშენებლები, შეშის მჩეხელები და სხვა.

კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ცენტრალური კავკასიის მთიანეთში, დიდი ოჯახის დაშლის შემდეგაც ერთი კერიდან განაყარი ოჯახები შრომის ორგანიზაციის ფორმებში კვლავ ინარჩუნებდნენ ერთიანობის ნიშნებს. მათ ერთად მიჰყავდათ საქონელი თავიანთ სამეურნეო ბაზებზე, ხოლო ქალები კვლავინდებურად აწესებდნენ მთობის რიგს. მემთევრი ყველა ოჯახის საქონელს ცალ-ცალკე ჭურჭელში წველიდა და პროდუქტებს ისე ამზადებდა. შეიძლებოდა მას რძე გაეერთიანებია და შემდეგ პროდუქტები გაეყო. ამისთვის რძეს თავიდანვე გამორწყავდნენ. რომ ყველას თავისი ანგარიში ჰქონოდა. თუ ბინაზე ბევრი საქონელი მოიყრიდა თავს და მას ერთი ქალი ვერ აუვიდოდა, მეორეს დაახმარდნენ. ასეთი ოჯახები ბარშიც ეხმარებოდნენ ერთმანეთს და მთელ სამეურნეო საქმიანობას კოლექტიურად აწარმოებდნენ. სწორედ შრომის ორგანიზაციის ეს ფორმები განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ ოჯახის გაყრის დროს მოწილეები სამეურნეო ბაზებს საერთო სარგებლობაში იტოვებდნენ, ან ახლის მშენებლობის დროს დაცული იყო განსახლების პატრონიმიული პრინციპები. მართალია შრომითი გაერთიანება პირველ რიგში პატრონიმიის შიგნით ხდებოდა, მაგრამ გამორიცხული არ იყო ამხანაგობაში ორანათესაური პირების ჩართვაც. ამ ამხანაგობას ქალი — მ ე მ თ ე ვ რ ი აერთიანებდა, რამდენადაც წველა-დღეებასთან ის იყო დაკავშირებული. ამდენად, ერთ ბინაზე გაერთიანებული ამხანაგობა იყო ერთი სამემთევრო. ისეთი ოჯახები, რომელთაც არ შეეძლოთ მთაში წასვლა, ოჯახში მუშახელისა თუ საქონლის სიმცირის გამო, სხვას აბარებდნენ, რისთვისაც გარკვეულ გასამრჯელოს იხდიდნენ ან ამბარებელს შრომითვე უნაზღაურებდნენ.

მეცხვარეობაში შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო მწყემსთა ამხანაგური გაერთიანება მ ო ნ ა რ ე ვ ი. ერთიანდებოდნენ შედარებით მცირე ცხვრის პატრონები 5-დან 12-მდე კაცი და ქმნიდნენ ერთ ბინას. ჩაჩნური მასალების მიხედვით 1000-სულიანი ფარა არის ერთი მ ა თ — ერთი ფარა ანუ ერთი ბინა, 2000 სული ცხვარი—ორი მათ და ა. შ. იტყოდნენ საძოვარზე ამდენი მათ არისო, ე. ი. ამდენი ბინა არისო, ამდენი ფარა დგასო. აქ ტერმინი „მათ" იხმარება მონარევის მნიშვნელობითაც. იყვნენ ისეთი მეურნეებიც, რომლებიც ერთდროულად ფლობდნენ რამოდენიმე მათს. ამხანაგობას განაყარი ძმები და ბიძაშვილები ქმნიდ-

ნენ, მაგრამ გამორიცხული არ იყო მასში არანათესაური პირების ჩართვაც. თუ ამხანაგობას მუშახელი აკლდა, შეიძლებოდა ვინმე დაექირავებინათ. რამდენადაც კაცზე 200 ცხვარს ითვალისწინებდნენ, ქირას იხდიდა ის, ვისაც ფარაში 200-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა. შეიძლებოდა კაცს ინდივიდუალურად დაექირავებინა მწყემსი და თავის მაგივრად გაეშვა ცხვარში.

თუშეთის მაგალითზე რ. ხარაძე მიუთითებს, რომ საოჯახო თემები, რომელთაც 400-ზე მეტი ცხვარი ჰყავდათ, მეურნეობას დამოუკიდებლად აწარმოებდნენ, ისინი კი, რომელთაც ჰყავდათ 400-მდე ცხვარი, სხვა მეცხვარეებთან ერთიანდებოდნენ ამხანაგობაში. 400 სული ცხვარი იყო ერთი ფარა, რომლის მოსავლელადაც საჭირო იყო ორი კაცი, ორი ძაღლი, რამდენიმე ცხენი და სახედარი[164]. დიდ ფარაში 1000-მდე სული ცხვარი შეიძლებოდა ყოფილიყო, ბინაზე კი ორი ასეთი ფარა მოთავსდებოდა. საოჯახო თემი, განაგრძობს მკვლევარი, წარმოადგენდა სამეურნეო-ნათესაურ ორგანიზაციას, რომლის შიგნითაც მეურნეობის წარმოება შრომისა და მოხმარების კოლექტიურ ფორმებს ემყარებოდა. სამეურნეო გაერთიანება ნ ა რ ე ო ბ ა კი სცილდება საოჯახო თემის ფარგლებს. მართალია ისიც წარმოების კოლექტიურ ფორმებზე იყო დამყარებული, მაგრამ, განსხვავებით საოჯახო თემისა, კოლექტიურ საკუთრებასა და მოხმარებას აღარ ითვალისწინებდა, რის გამოც მას უფრო გვიანდელ წარმონაქმნად მიიჩნევს[165].

მეცხვარეობის დიდ ტრადიციებზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ საზოგადოება ამ დარგში ახალი კვალიფიციური კადრების აღზრდას მთელი გულისყურით ეკიდებოდა. ჩვევები, რაც ჩამოყალიბებულ მწყემსს უნდა ჰქონოდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ვაჟებს 8—9 წლის ასაკიდან ასწავლიდნენ მას და მთელი არსებით განაწყობდნენ მწყემსური ცხოვრებისადმი. რაში მდგომარეობდა ეს ჩვევები? მწყემსს კარგად უნდა სცოდნოდა მცენარეული საფარი, უნდა გაერჩია სასარგებლო და შხამიანი ბალახეული, შეძლებოდა სამკურნალო მცენარეულის გამოყენება; ცხვრის ადგილმონაცვლეობის დროს უნდა განესაზღვრა საუკეთესო იალაღებზე გადასასვლელი სწორი მიმართულება; უნდა შეძლებოდა ცხვარი დაეცვა სტიქიური უბედურებისაგან კლდოვან ბილიკებზე გადასვლის დროს, ხოლო დაშავებისას აღმოეჩინა მისთ-

---

164 Р. Х а р а д з е, Грузинская семейная община, I, с. 116.

165 იქვე.

ვის პირველი დახმარება. აი ყოველივე ის, რაც კაცს მშრომელი საზოგადოების თვალში ამაღლებდა, უხვეჭდა დიდებასა და ღირსებას. ყოველივე ამის გამომუშავება ხანგრძლივი დაკვირვებისა და დაუღალავი შრომის შედეგად ხდებოდა. 8—9 წლის ასაკის ვაჟებს სისტემატურად ამყოფებდნენ ფარასთან, ამ პერიოდში ისინი ბინას მეთვალყურეობდნენ, უფროსებს ეხმარებოდნენ წყლის მოტანაში, მარილის დაფქვაში და სხვა. შემდეგ კი მათ კოჭლ ცხვრებს ჩაბარებდნენ. გამოცდილი მეცხვარეები ახალგაზრდებს თანდათანობით ასწავლიდნენ ცხვრის მწყემსვას, ცხვრის გადენისა და მოდენის დროის განსაზღვრას, მოძრაობის მიმართულებას მთელი დღის განმავლობაში, დასასვენებელი და დასარწყულებელი ადგილების მონახვას, წველას, პარსვას და ა. შ. 20 წლის ჭაბუკი უკვე ჩამოყალიბებული მეცხვარე იყო, რომლისთვისაც შეიძლებოდა ნებისმიერი საქმე ჩაებარებინათ. ასეთ ტრადიციებზე აღზრდილ კაცს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი თავისი საქმის ერთგულება და სიყვარული, ხოლო მეცხვარეობა იქცეოდა მთელი ხალხის დიდებისა და ღირსების საქმედ. თუშები თავს იწონებდნენ იმით, რომ მეცხვარეობაში მათ ვერავინ შეედრებოდა, ხოლო კახელებს, რომლებმაც, მათი აზრით, ცხვრის მოვლა-პატრონობა არ იცოდნენ, ზედმეტ სახელად მ უ რ ი ა ყ ე ბ ს ეძახდნენ. არა მარტო თუშეთში, არამედ ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ყველა კუთხეში, სადაც მეცხვარეობა მეურნეობის კლასიკურ დარგად ჩამოყალიბდა, მოსახლეობა მთელი არსებით იყო მისადმი განწყობილი. მაგრამ მისი მასშტაბების ზრდასთან ერთად, ამ სფეროში აშკარად შეიმჩნევა მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია. დიდფარიანების, ანუ როგორც თუშეთში უწოდებენ, დ ი დ ბ ი ნ ი ა ნ ე ბ ს გვერდით მრავლად იყვნენ კ ა ტ ა რ ა ბ ი ნ ი ს პატრონები და ისეთებიც, რომელთაც ცხვარი უმნიშვნელო რაოდენობით ჰყავდათ ან სულ არ გააჩნდათ. ასეთები, თავის მხრივ, ქმნიდნენ ამხანაგობებს ან დიდ მეცხვარეებს ეკედლებოდნენ.

დიდი მეცხვარეების მეურნეობა ძირითადად დაქირავებულ შრომაზე იყო დამყარებული. მათში დიდძალი მუშახელი იყო დაბანდებული მოსახლეობის იმ ფენებიდან, რომლებისთვისაც არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს საკუთარი შრომის გაქირავება წარმოადგენდა. მწყემსის დაქირავება სხვადასხვა ვადით ხდებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საზაფხულო იალაღებზე მეტი მუშახელი იყო საჭირო და მწყემსს მეტი გამოცდილება სჭირდებოდა, გასამრჯელო ზაფხულისა და ზამთრის

პერიოდებში განსხვავდებოდა. ამიტომ ზოგჯერ მწყემსს 6 თვით ურიგდებოდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ დამქირავებელს კვალიფიციური მუშახელი შეენარჩუნებინა, შეთანხმება 1—3 წლის ვადით ხდებოდა. თუშეთში მწყემსს წელიწადში 20—24 ცხვარი ეძლეოდა, უმცროს მწყემსს—თვეში ერთი თოხლი. გარდა ამისა, დამქირავებლის იყო მწყემსის კვება და ქალამანი. თუ დაქირავება ორი წლით ხდებოდა და მწყემსიც კარგ უნარს გამოიჩენდა, „ხაზეინი" პირველი წლის ბოლოსვე 35—40 სულ საბატკნე ცხვარს გადაუთვლიდა, ხოლო თუ სამი წლით უთანხმდებოდა—50-55 სულს. მართალია, ერთ კაცზე 200 სული ცხვარი იყო გაანგარიშებული, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, თუ მწყემსი შეძლებდა მთელი ფარის მოვლას, სრულ ხელფასს ღებულობდა, ხოლო თუ სხვაზე იყო დამოკიდებული და მის რიგით დავალებებს ასრულებდა, ნახევარ კაცად ითვლებოდა და უმცროსი მწყემსის ხელფასს ღებულობდა.

ფშაური მასალების მიხედვითაც, მწყემსის გასამრჯელო მის უნარსა და გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული. პირველ მწყემსად, წ ი ნ ა მ წ ყ ე მ ს ა დ ითვლებოდა ის, ვისაც შეეძლო ცხვრის წველა, პარსვა და ძოვება, ასრულებდა მცნობიარეს ფუნქციებს. ასეთ მწყემსს წელიწადში უხდიდნენ 40 ცხვარს. მას მოსდევდა შუათანა მწყემსი, რომელიც პირველს მხოლოდ იმით ჩამოუვარდებოდა, რომ არ იყო მცნობიარე და ამიტომ წელიწადში 30 ცხვარს ღებულობდა. და მემდეგ, ბოლო მწყემსად ითვლებოდა ის, ვინც ეხმარებოდა პირველ მწყემსს და მის დავალებებს ასრულებდა. მისი გასამრჯელო 20—25 სულ ცხვარს არ აღემატებოდა. მწყემსი, რომელიც რამოდენიმე წელი მუშაობდა კერძო მეურნესთან, თავს უყრიდა სათანადო რაოდენობით ცხვარს. ამ შემთხვევაში დამქირავებელი მწყემსს საკუთარი ცხვრის შენახვაში, თავის ფარასთან ერთად, ახდევინებდა ყოველ ათ ცხვარში ერთ ცხვარს. მწყემსებს, როგორც საოჯახო თემის წევრებს, ისე დაქირავებულებს, წლის განმავლობაში ეკუთვნოდათ ერთი თვის შვებულება. ამისთვის შერჩეული ჰქონდათ ისეთი დრო, როდესაც ცხვარი აღარ იწველებოდა და პარსვაც დამთავრებული იყო[166].

ვისაც ცხვარი არ ჰყავდა, იგონებს მიტალო ცისკარიშვილი, სამი წლით უნდა ემსახურა „ხაზეინთან" და თუ კარგ სახელს დაიმსახურებდა, მას პირველ წელსვე 60 დედაცხვარს გაუსერავდნენ. მწყემსი ამ ცხვარს თავისი ნამატით „ხაზეინის" ხარჯზე ინახავდა-

[166] Р. Харадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

როდესაც დაქირავებული მწყემსის ცხვრის რაოდენობა 200 ასცდებოდა, დამქირავებელი მას დაიამხანაგებდა. ცხადია, თუ მწყემსზე 200 ცხვარს ანგარიშობდნენ, ის თავისი ცხვრის მოვლით იქნებოდა დაკავებული და სხვის საქმეს ვეღარ გაკეთებდა. ამიტომ დამქირავებელი მას რიგით ამხანაგად გაიყვანდა და არა მოჯამაგირედ. მწყემსს კერძო მეურნის ფარაში, ვეცობით იმავე მოგონებიდან, 100-მდე ცხვარი შეეძლო შეენახა ისე, რომ მასზე დახარჯულ შრომას არ უანგარიშებდნენ და არც სასაძოვრო გადასახადს იხდიდა. მაგრამ თუკი მისი ცხვრის რაოდენობა 100 გადასცდებოდა, თავისი ცხვრის სასაძოვრო გადასახადსაც თვითონ იხდიდა და მასზე დახარჯულ შრომის საფასურსაც უქვითავდნენ. რიგი მასალების მიხედვით, მწყემსი თავისი ცხვრის სასაძოვრო გადასახადს, რამდენიც არ უნდა ჰყოლოდა, თვითონ იხდიდა[167].

კერძო მეურნე, დამქირავებელი თვითონ იყო ბინის უფროსი და მწყემსების საერთო ხელმძღვანელი. საერთო საქმეში მას დახმარებას სარქალი უწევდა. სარქალი, როგორც უფროსი მწყემსი, ყველა საქმიანობას ხელმძღვანელობდა, ამავე დროს, მას ბინის მოვლა და ყველის ამოყვანა ევალებოდა. დიდი მეცხვარეების მეურნეობაში შეიძლებოდა სარქალი და ყველის ამომყვანი სხვადასხვა პიროვნება ყოფილიყო, რადგან მას თვალყური უნდა ედევნებინა „ხაზეინის" ყველა ბინისთვის. რაც შეეხება ამხანაგობას, მართალია აქ ყველაზე გამოცდილ პიროვნებას სარქლობას ავალებდნენ, მაგრამ მონარევების ყველა წევრი თანაბარი უფლებით სარგებლობდა, ყველა იყო რიგითი მონარევი. ამხანაგობაში შრომა ასე ნაწილდებოდა: ერთი იყო სარქალი, რომელიც ხელმძღვანელობდა მწყემსებს, უვლიდა ბინას, განაგებდა საერთო ხარჯებს, ამზადებდა ყველს, ორი ბატკანში მიდიოდა, ორი—მშრალ ცხვარში, ერთი ან ორი ყოჩებში, დანარჩენები მეწველ ცხვარში რჩებოდნენ, ისინი ცხვარს აძოვებდნენ, წველიდნენ, ღამესაც ცხვართან ერთად ათევდნენ და მას მეთვალყურეობდნენ. ერთ მწველავს 100 ცხვარი შეეძლო გამოეწველა, მაგრამ თითოეული მწველავიდან 60 ცხვარს ანგარიშობდნენ, რადგან საჭირო იყო იმ მწყემსების ცხვრის წველაც, რომლებიც მშრალ ცხვარსა და ბატკანს მწყემსავდნენ.

საერთო წესის მიხედვით, მონარევები ცხვარს ერთად წველიდ-

---

[167] დიმიტრი (მიტალო) პაველს ძე ცისკარიშვილის (1892—1967 წწ.) მოგონებები ინახება სოფ. ზემო ალვანში, მისი შვილის გიორგი ცისკარიშვილის ოჯახში ხელნაწერის სახით.

ნენ, რძეს აერთიანებდნენ და შემდეგ ყველს ცხვრის რაოდენობის მიხედვით ყოფდნენ. ცხვარი სეზონზე 7—8 კვირის განმავლობაში იწველებოდა და ორი ცხვრის რძისაგან საშუალოდ ერთი ყველი მზადდებოდა, მისი გაყოფაც ამ ანგარიშით ხდებოდა. ზოგჯერ ამხანაგობის წევრები ნაწველს მორიგეობით იღებდნენ დადგენილი რიგის მიხედვით, მწყემსს ყოველ 20 სულ ცხვარზე ერთი დღის ნაწველი ეკუთვნოდა. როდესაც ერთი რიგი ჩამოთავდებოდა, ერთხელ თავისთვის ყველა მწყემსი გამოწველიდა ცხვარს, ახალი რიგი იქმნებოდა. ამჯერად ის, ვინც მანამდე პირველ ნომრად იყო, ბოლო ხდებოდა, ხოლო ბოლო პირველ ნომრად გადმოინაცვლებდა. რიგის დადგენის ამ წესს იცავდნენ იმიტომ, რომ ცხვარი წველაში თანდათანობით იკლებს და ამ ორგანიზაციის რომელიმე წევრი არ დაზარალებულიყო. ასეთ პირობებში შეიძლებოდა ყველა რიგრიგობით ყოფილიყო სარქალი, ყველას თავისი ყველი ამოეყვანა. როგორც აღვნიშნეთ, ოსეთის ერთ-ერთ სოფელში შესაძლებელი ხდებოდა რძე სოფელში გადმოეტანათ და პროდუქტები იქ დაემზადებინათ. ჩაჩნეთის სოფ. ხარაჩოში ჩაწერილი მასალების მიხედვით, რამოდენიმე ოჯახი შექმნიდა ამხანაგობას, აიყვანდა ფარას 1000 სულამდე და მთაზე წაიყვანდა. ეს იყო ერთი ბინა, რომლის მოსავლელად საკმარისი იყო ორი კაცი. ამხანაგობის წევრებიც, ორ-ორი კაცი რიგის მიხედვით, სოფლიდან ადიოდნენ ბინაზე და ცხვარს მწყემსავდნენ. რაც შეეხება წველას, მასზედაც რიგი ჰქონდათ დაწესებული. ოჯახი, რომლის მოწველის რიგიც მოაწევდა დილით, ადრე წავიდოდა მთაზე მთელი შემადგენლობით, თუ საჭირო იყო მიჰყავდა თავისი ახლობლები და მეზობლები, ცხვარს გამოწველიდა, ყველს ამოიყვანდა, დამხმარეს გაუმასპინძლდებოდა და დამზადებული პროდუქტებით სოფელში ბრუნდებოდა. მწყემსობისა და წველის რიგის ყოველი ციკლი ისე იგეგმებოდა, რომ ამხანაგობის არც ერთი წევრი არ დაზარალებულიყო.

ზამთარში ყველაზე დაძაბული პერიოდი იყო დოლი, ის თებერვლის პირველ ნახევარში იწყებოდა და სამ კვირას გრძელდებოდა. დოლს მწყემსები სავსებით მომზადებული უნდა შეხვედროდნენ, მზად უნდა ჰქონოდათ საბატკნეებიც, ბაკები, სადაც ცხვარსა და ბატკანს დაურეკავდნენ, კორაკნები ბატკნების მოძულე დედებისათვის, ქუბულები ბეჩავი და ტყუპი ბატკნებისათვის და სხვ. დოლის დაწყებამდე მშრალი და სადოლე ცხვარი ერთად ჰყავდათ საძოვარზე, ხოლო როდესაც ცხვარი თვეში ჩადგებოდა, სადოლე

ცხვარს ცალკე გამოყოფდნენ და მათთვის საგანგებოდ დაცულ ყორეულებში გადაიყვანდნენ. დოლის დროს ცხვარი რომ საძოვარზე დაიძვრებოდა, მას ორი კაცი მაინც მიყვებოდა უკან, რომ ბატკნები შეეგროვებინა, შემდეგ მათ დანარჩენებიც მიეშველებოდნენ და ბატკნებს ბინაზე ჩამოიყვანდნენ. ახლად მოგებული ბატკნები სანამ არ გაშრებიან, ერთმანეთს არ უნდა შეეხონ, რადგან დედა შვილს სუნით სცნობს. თუ ბატკნებმა ერთმანეთი დაასველეს, მათი სუნი ერთმანეთში გადადის, დედები ვეღარ სცნობენ და ახლოს აღარ იკარებენ. ამ შემთხვევისთვის მწყემსებს საგანგებოდ ჰყავდათ გამოყოფილი მ ც ნ ო ბ ი, პიროვნება, რომელიც გამოირჩევა ერთმანეთში არეული ცხვარ-ბატკნის ცნობის უნარით. მცნობის თვალს არაფერი გამოეპარება, ის შეუცდომლად არჩევს, თუ რომელი ბატკანი რომლისაა, მიიყვანს მათ დედებთან და გამოაწოვინებს. თუ თბილი ზამთარი იყო და ცხვარი კარგად გამოკვებილი ხვდებოდა დოლს, ის თვითონვე პოულობდა ბატკანს, დასუსტებულ ცხვარს კი ბატკანზე გული არ მისდიოდა და მცნობსაც დიდი შრომა უწევდა. საერთოდ კი ზამთრის საძოვრებზე ცხვარს დამატებითი საკვების გარეშე გაჰქონდა თავი და კარგი ზამთრის პირობებშიც კი ის იალაღებზე საკმაოდ დასუსტებული გამოდიოდა, რის გამოც მეცხვარეები დიდ ზარალს ნახულობდნენ.

ახლად დაბადებულ ბატკანს 4—5 დღის განმავლობაში დედასთან ამყოფებდნენ, რომ დედას შეჩვეოდა, შემდეგ კი ასხლეტდნენ. აქედან მოყოლებული ერთი თვის განმავლობაში ბატკანი გამოცალკევებული ჰყავდათ, მათთან დღეში ორჯერ—დილა-საღამოს მიჰყავდათ დედები გამოსაწოვებლად. ერთი თვის შემდეგ ბატკანთან მიყვება დედას საძოვარზე და მასთან ერთად არის მთის იალაღებზე ასვლამდე. მთაზე კვლავ დაარჩენდნენ ბატკანს და მისთვის განკუთვნილ საძოვარზე მიჰყავდათ. მას თან მიყვებოდა ერთი ან ორი მებატკნე. ამათგან ერთ-ერთი კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა ბინაზე პროდუქტისა და მარილის წასაღებად.

ცხვარი იპარსება წელიწადში ორჯერ—გაზაფხულზე, მთის საზაფხულო საძოვრებზე წაყვანის წინ და შემოდგომაზე, როდესაც მთას ტოვებს. თუ თბილი ზამთარი იყო და ცხვარი კარგი ᲘᲝᲕᲚᲘᲚᲘ, შედარებით ადრე, აპრილის შუა რიცხვებში იპარსებოდა, თუ არა და მაისის ბოლოს, მთის საზაფხულო საძოვრებზე ასვლის შემდეგ. ი. ანდრონიკოვის ცნობით, ცხვრის საგაზაფხულო პარსვა ხდებოდა იალაღებზე გასვლის წინ, იშვიათად კი იალაღებზე ასვლის შემდეგ. მომთაბარეები ცხვარს პარსავდნენ დაბლობში ყიშლებზე, ბინადა-

რი მოსახლეობა—ყიშლებზე ან სოფელში, იმის შესაბამისად, თუ იალაღებზე გასვლის წინ ცხვარი სად ძოვდა—სოფლისპირა საძოვრებზე თუ მის მოშორებით ყიშლებზე. საშემოდგომო პარსვა უმეტესად ხდებოდა იალაღებზე, თუმცა ამ დროსაც ჰქონდა ადგილი ისეთ შემთხვევებს, რომ ცხვარი, მთლიანად თუ არა მისი ნაწილი მაინც, იპარსებოდა იალაღებიდან დაბლობში ჩამოსვლის შემდეგ, ან სოფლისპირებში[168].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლალისყურის, ფშაველის, ყარაჯალის და სხვა ფართობებზე, რომლებიც მდებარეობდნენ მთასა და ბარს შორის გამავალ მთავარ ტრასებზე, ხდებოდა ცხვრის საგაზაფხულო-საშემოდგომო ძოვება და პარსვა. ამ ფართობებამდე შემოდგომაზე მწყემსებს ქალებიც ჩამოყვებოდნენ, ისინი, გარდა იმისა, რომ კაცებს ეხმარებოდნენ, ალავერდში ბაზრობაზე ყიდულობდნენ ხახვს, ნიორს, სიმინდს, ხორბალს და სხვა საჭირო პროდუქტებსა და ინვენტარს. ამის შემდეგ კაცები ქალებს კვლავ ააცილებდნენ მთაში (ვინც ჯერ კიდევ არ იყო ბარში ჩამოსახლებული) და გზას გააგრძელებდნენ შირაქისაკენ. აღნიშნულ ზონაში ცხვრის პარსვა იმითაც იყო მოსახერხებელი, რომ გაზაფხულსა და შემოდგომაზე, იმ დროს, როდესაც ცხვრის გადარეკვა ხდებოდა ერთი ან მეორე მიმართულებით, აქ ჯერ კიდევ თბილოდა და აქვე მოასწრებდა ცხვარი მთაზე ასვლამდე სათანადოდ შემოსილიყო. გარდა ამისა, ბინაზე მატყლის გადაზიდვა უფრო ადვილი იყო, შეიძლებოდა ის იქვე გაეყიდათ, ან ალავერდობას ბაზრობაზე გაეტანათ. როგორც ცნობილია, ალვანის ველიც თავდაპირველად გამოიყენებოდა როგორც მეცხვარეების საგაზაფხულო და საშემოდგომო სადგომი მთასა და ბარს შორის ადგილმონაცვლეობის დროს, აქვე ინახავდნენ გასაყიდად განკუთვნილ მატყლს და სხვა პროდუქტებს. შემდგომში ალვანის ველზე, მთათუშეთის პარალელურად, მოსახლეობის მუდმივ საცხოვრებლად დამკვიდრება გამოწვეული იყო მეცხვარეობის ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდით, მისი მასშტაბების გაფართოებით. აქ, ისევე როგორც ლეჩურში, მაგრამ რამდენადმე სხვა ფორმებში, ჩნდება ახალი დასახლებული პუნქტები, რაც თავის მხრივ ასახავს ახალ ეტაპს ქართველ მთიელთა საზოგადოებრივ წყობაში[169].

შეიძლება მოკლედ შევეხოთ მეცხვარეობის სფეროში ჩაჩნე-

---

[168] И. Андроников, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

[169] Р. Харадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ბისა და თუშების ურთიერთთანამშრომლობასაც. ამ მხრივ მეტი სიახლოვე ჩანს ხილდიხაროის ხეობის მოსახლეობასა და პირიქითელ თუშებს შორის, რომლებიც უშუალოდ ემეზობლებიან ერთმანეთს. თუშები და ჩაჩნები არამცთუ სარგებლობდნენ ერთიმეორის სასაძოვრო მთებით, არამედ ამხანაგობასაც კი ქმნიდნენ ერთად და ყიზლარის საძოვრებისაკენ მიუყვებოდენ გზას. ზოგჯერ კი ხილდიხაროელები თუშებს ააბარებდნენ ცხვარს. ყიზლარსა და თუშეთის მთებს შორის ადგილმონაცვლეობის დროს ჩაჩნები თავიანთ ტერიტორიაზე თუში მეცხვარეების მეგზურობასაც კი კისრულობდნენ, რომ ისინი დაეცვათ მძარცველური ბანდებისაგან. თუში მეცხვარეები ყიზლარში 10 ცხვრის გაზამთვრაში ჩაჩნებს ერთ ცხვარს ახდევინებდნენ; თუშეთის საზაფხულო საძოვრებზე კი ცხვრის მოვლა-პატრონობის საფასურში მხოლოდ ყველსა და კრაველს იტოვებდნენ. თუში და მეზობელი კავკასიელი მეცხვარეების ურთიერთობაზე მიუთითებს რ. ხარაძეც. ზამთრის საძოვრებზე, წერს ის, თუშ მეცხვარეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მეზობელ ლეკებსა და აზერბაიჯანელებთან, რომლებისგანაც საძოვრებს ქირაობდნენ. ამან განაპირობა ისიც, რომ თუშები ვაჟებს, ენის სწავლების მიზნით, ხშირად ერთი წლითაც კი ააბარებდნენ თავის აზერბაიჯანელ ყონაღებს. ადრე თითქმის ყველა ოჯახში იყო ერთი აზერბაიჯანული ენის მცოდნე, მ ე ე ნ ე, რომელიც მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს აგვარებდა[170].

მართალია თუშებს, საერთოდ ქართველ მთიელებსა და ჩრდილო კავკასიის მეზობელ ხალხებს შორის ხშირი იყო ურთიერთ დაცემა, ტყვეებისა და საქონლის მიტაცების მიზნით, ამასთან დაკავშირებით სისხლისღვრაც, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ მათ შორის ნამდვილი მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა, ყონაღობისა და ქორწინების სახით დანათესავების ფაქტები და სხვ. საკუთრივ თუშებს ყონაღობა ჰქონდათ ჩაჩნებთან, ლეკებთან, დიდოელებთან, აზერბაიჯანელებთან. მთხრობელთა გადმოცემით ყონაღები ხშირად დადიოდნენ ერთმანეთთან და ურთიერთპატივისცემით სარგებლობდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ერთმანეთის კედელი იყვნენ. მათ შორის ღალატი ყოვლად დაუშვებელი იყო. ასეთ ურთიერთობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ ხევსურებისა ჩეჩენ-ინგუშებთან, მოხევეებისა და მთიულ-გუდამაყრელების—ოსებთან და ინგუშებთან, მთიელი რაჭველების ოსებთან და ბალყარლებთან და ა. შ.

---

[170] Р, Харадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

მეცხვარეობაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მ ო ნ ა მ გ ლ ე ო ბ ა ს. ორი მეზობელი ფარა იყო ერთმანეთის მონამგლე და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს დახმარებას უწევდნენ. მათ ცხვარიც ერთად გადაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეზე, ურ-ოიერთდახმარებისა და დაცვის მიზნით. ცხადია, მეცხვარეობის ზრდის მასშტაბები და მისი წარმოების ფორმები განაპირობებდა იმ ნსხვილი გაერთიანების აუცილებლობას, როგორიც მონამგლეობაა.

ამგვარად, მეცხვარეობაში შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ტრადიციული ფორმა იყო ამხანაგობა, სადაც შრომა მონარევების თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახ-მარების პრინციპებს ემყარებოდა. ხშირად ამხანაგობაში ერთი გა-ნაყრები ერთიანდებოდნენ და შრომას კვლავ ერთიანობის პრინ-ციპით წარმართავდნენ. ამ შემთხვევაში, გარკვეული სახით, თავს ინახავს ის ელემენტები, რაც პატრონიმიული ორგანიზაციისათვის იყო დამახასიათებელი. XIX ს. მეორე ნახევრიდან მეცხვარეობაში დიდ ადგილს იჭერს დაქირავებული შრომა. დიდი მეცხვარეები ექსპლოატაციას უწევდნენ არა მარტო თავიანთ დაქირავებულ მწყემსებს, არამედ იმ მონარევებსაც, რომელთაც ფარაში 200 სუ-ლი ცხვარი ჰყავდათ გარეული. ეს უკანასკნელნი ქირას ღებუ-ლობდნენ, ხოლო მათი შრომა საერთო ფარაში ბევრად აღემატე-ბოდა იმ დატვირთვას, რასაც 200 სული ცხვრის მოვლა-პატრონობა ითვალისწინებდა.

შესაძლებელია ოჯახს საკუთარი ძალებით მოევლო თავისი ცხვრისათვის. არაერთი მაგალითებია იმისა, რომ ოჯახი მხოლოდ მის შემდეგ ამრავლებდა ცხვარს, როდესაც პავშვები წამოეზრდებოდა და საშუალება მიეცემოდა რაც შეიძლება მეტი მუშახელი ჩაერთო მეურნეობის ამ დარგში. მაგრამ ოჯახის წევრთა სიმრავლე გა-დამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენდა მეურნეობის ამ დარგის ფართო მასშტაბით წარმოებაში; შეიძლება ამ ფაქტორს მნიშვნე-ლობა ჰქონდა მისი ზრდის საწყის ეტაპზე. საქმე იმაშია, რომ მეცხვარეობა, რომელიც ოჯახს დიდ შემოსავალს აძლევდა, ოჯახში ნერგავდა კერძო მესაკუთრულ მიდრეკილებას, მის ერთიანობაში ქმნიდა ბზარს. ამდენად, მეცხვარეობა, რომელიც ცენტრალური კავ-კასიის მთიანეთში წარმოადგენდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების .ძირითად საფუძველს, ხელს უწყობდა დიდი ოჯახის დაშლას, რის საფუძველზეც. მეურნეობის ამ დარგის წარმოებაში მტკიცედ იკიდებდა ფეხს დაქირავებული შრომა.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ცენტრალური კავკასიის შთიანეთში გაბატონებული იყო მიწაზე კერძო საოჯახო მფლობელობა. მიჩნეულია, რომ მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, განსაზღვრავდა დიდი ოჯახის, საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის ეკონომიკურ არსს მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე[171]. გ. მელიქიშვილი, იხილავს რა ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს, ძირითადად ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ აქ სახნავ-სათესი მიწა კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო სათიბი და საძოვარი თემის განკარგულებაში იყო, ტყეც საერთო სახალხო საკუთრებად ითვლებოდა. საერთო-სათემო საკუთრების ერთ-ერთ სახედ ქართველ მთიელებში მიჩნეულია ხატის მიწები, რომლის შემოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ საკულტო დღესასწაულების მოწყობას ხმარდებოდა[172].

რამდენადაც მიწის მნიშვნელოვანი ფართობები საოჯახო მფლობელობაში იყო მოქცეული, ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად, ისიც ნაწევრდებოდა. ნაკვეთებს ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ სამანის ქვით, ზოგჯერ მიწის ნაკვეთებს შორის საზღვრის მნიშვნელობას ტერასები ასრულებდნენ. ტერასა, ერთი მხრივ, ფერდობს ეროზიისაგან იცავდა, ხოლო მეორე მხრივ, ნაკვეთებს ერთმანეთისაგან საზღვრავდა. მაგრამ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ოჯახის გაყრის დროს მიწის გარკვეული მონაკვეთი განაყარი ძმების საერთო მფლობელობაში რჩებოდა და პატრონიმიული მფლობელობის სახეს ღებულობდა. ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება საერთო სასოფლო სახნავებიც, ასეთი ყოფილა ჩაჩნეთში ხილდიხაროის ხეობის სოფ. მეორე გორძათში სოფლის ზემოთ მდებარე ჰაუჰაცანა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სოფელი სამ უბნად იყოფოდა და ყოველ მათგანში თითო პატრონიმიული ჯგუფი ცხოვრობდა. სოფ. დიდ ვარანტიში (ჩაჩნეთი, სოვეტსკოეს რ-ნი) ჩაწერილი მასალების მიხედვით, ყველა ოჯახმა იცოდა თავისი ნაკვეთი, რომელიც თაობიდან თაობაზე მემკვიდრეობით გადადიოდა. მასთან ერთად ყოფილა საერთო სასოფლო ფართობიც — ღუინა. იმ სახნავ-სათი-

---

171 Р. Харадзе, Грузинская семейная община, т. II, с. 25.

172 გ. მელიქიშვილი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, მაცნე, № 1, 1979 წ., გვ. 21.

ბებიდან, რომელიც საერთო სასოფლო იყო და პერიოდულ გადანაწილებას ექვემდებარებოდა, წილი ედოთ მხოლოდ სოფლის ძირძველ მოსახლეობას, შემდეგ შემომატებული ოჯახები კი იმით კმაყოფილდებოდნენ, რაც შესყიდვის გზით შეიძინეს ან ახო გატეხეს

სოფ. ანდიათაყაუში (ოსეთში) ბოლო ხანს 9 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან რვა ანდიევი და ერთი ელოევი. ეს უკანასკნელიც გვიან ჩამოსახლებულა. ანდიევებს ადრე ერთ ოჯახად უცხოვრიათ, შემდეგ გაყრილან და მათ ხელთ არსებული სახნავები და სათიბები დაუნაწილებიათ, ერთი ნაკვეთი—გალაჟ კი განაყარ ოჯახთა საერთო სარგებლობაში დარჩენილა. მას სოფელი ერთად ამუშავებდა (ხვნის დროს ყველა ოჯახიდან თითო უღელი ხარი გამოდიოდა), მოსავალს დღესასწაულებზე ხმარობდნენ, საჭიროების შემთხვევაში ღარიბებსაც ეხმარებოდნენ, ჩალას კი თანაბრად ანაწილებდნენ. რაც შეეხება სათიბებს, სოფლისპირებში ოჯახებს შორის იყო დაყოფილი, სოფლიდან რამდენადმე მოშორებით მდებარე ავგარდ და შერხეყუულ საერთო სარგებლობაში იყო. ამრიგად, სახნავ-სათიბები—გალაჟ, ავგარდ, შერხეყუულ, თავდაპირველად საოჯახო იყო, შემდეგ პატრონიმიის საერთო მფლობელობაში მოექცა (რადგან სოფელი ერთი პატრონიმიული ჯგუფით იყო დასახლებული). და ბოლოს, მას შემდეგ, რაც ავგარდასა და შერხეყუულზე ახლად ჩამოსახლებულმა ელოევებმაც დაიდეს წილი, ისინი უკვე სასოფლო სათიბებს წარმოადგენდნენ. ასევე იყო ოსეთის სხვა კუთხეებშიც — მამისონის ხეობის სოფ. ზემო თიბში, ნარის ქვაბულსა და აქედან გამავალ ხეობებში. ზრუგის ხეობის სოფ. ხასიათყაუში საერთო სათიბები ჰქონიათ ხასიევებს, ბირაგთაყაუში — ბირაგოვებს და ა. შ. როგორც კ. ხეთაგუროვი მიუთითებს, ნარის ქვაბულში სახნავები ყველა საოჯახო, ხოლო სათიბები, ტყე და საძოვარი ცალკეული გვარების განუყოფელ მფლობელობაში იყო[173].

გარდა ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ოსეთის ეთნოგრაფიულ მასალებში არაერთი ფაქტია ფიქსირებული[174] იმისა, რომ სათიბები, რომლებიც თავდაპირველად ოჯახის

---

[173] К. Хетагуров, Быт горных осетин (этнографический очерк), Сталинир, 1939, с. 14.

[174] ბ. გამყრელიძე, მიწათსარგებლობის ფორმები მთიანგუშეთში, საისტორიო ფოსმბე, II, თბ., 1971, გვ. 402; მისივე, Система скотоводства в горной Осетии, КЭС, V, ч. 3, Тб., 1980, с. 60, и т. д.

მფლობელობაში იყო და ერთ განუყოფელ ერთეულს წარმოადგენდა, ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად ნაწევრდებოდა. ამის შედეგად, სათიბები თავის პირვანდელ საზღვრებში პატრონიმიის მფლობელობაში ექცეოდა, ხოლო საერთო საზღვრებს შიგნით ყველა პატარა ნაკვეთს ახალი მფლობელი ჰყავდა პატრონიმიაში შემავალი პატარა ოჯახების სახით. მაგრამ მათ გვერდით იყო საერთო, დაუყოფელი სათიბები, რომლებითაც ერთობლივად სარგებლობდნენ არა მარტო განაყარი ძმები, არამედ ნათესაობის თუ საზოგადოების უფრო ფართო ჯგუფები — გვარი (ტ ე ი პ ა —ჩინგ. მ კ ა გ — ოს.), სოფელი.

სასოფლო-სამეურნეო ფართობებთან დაკავშირებით დამოწმებული ტერმინოლოგია და ტოპონიმიკური მასალა[175] სავსებით ასახავს მათი მფლობელობისა და სარგებლობის ფორმებს. ეს მასალა, ერთი მხრივ, ზუსტად მიუთითებს ესა თუ ის სახნავი ან სათიბი ვის ეკუთვნოდა (მითითებულია პიროვნება—ოჯახის უფროსი, ან ის ვინც მიწა პირველად მიისაკუთრა), რაც სახნავ-სათიბებზე საკმაოდ შორს წასულ კერძო საოჯახო მფლობელობის მაჩვენებელია. ისეთი ტერმინები კი როგორიცაა: ი უ ყ უ ი ც ა, ი უ ყ ა რ ლ ე თ, ი უ ყ ა რ ბ ო ჰ ა მ — ჩაჩნეთ-ინგუშეთში ი უ მ ი ა ბ ა ქ ო ტ ა მ, ი უ მ ი ა ბ ა ქ ო ტ ო ი ხ უ ი მ, ი უ მ ი ა ხ უ ი მ გ ა ნ დ, ი უ მ ი ა ნ ი კ ა რ შ ტ ო ი, ა ხ ს ა ნ ი ხ უ ი მ—ოსეთში, საერთო სახნავ-სათიბებზე მიუთითებს, რამაც გადმონაშთის სახით XIX ს. ბოლომდე შემოინახა თავი. ეს უკანასკნელი ტერმინი ა. ცაგაევას მიერ ფიქსირებულია სოფ. ძივღისში და აღნიშნავს, რომ მისი მოსავალი მთლიანად იხარჯებოდა საზოგადოებრივ დღესასწაულებზე[176]. მიწის საერთო მფლობელობაზე მიუთითებს ტოპონიმები: კ უ ლ ი თ ა უ გ ა რ დ ა ნ, მ ა ლ ი თ ა უ გ ა რ დ ა ნ, ბ რ ი ტ ი ა თ ი უ გ ა რ დ ა ნ (კულოვების, მალიევების, ბრიტიევების სათიბები) ოსეთში; ე ვ კ უ რ ც ო ნ (ევკუროვების სათიბი) მთაინგუშეთში. ეს ადგილიც ეპონიმის სახელს ატარებს, იმ პიროვნებისას, რომელმაც ის პირველად მიისაკუთრა და საფუძველი დაუდო ევკურტეიპას არსებობას. შემდგომში კი აღნიშნული სათიბი ევკურის შთამომავლობის

---

[175] გარდა ჩვენ მიერ ველზე ფიქსირებული ტოპონიმებისა, მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვება სპეციალურ ნაშრომებში: А. Ц а г а е в а, Топонимия Северной Осетии, ч. II, Орджоникидзе, 1975; А. С у л е й м а н о в, Топонимия Чечено-Ингушетии, Грозный, 1976: ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971.

[176] А. Ц а г а е в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

საერთო მფლობელობაში დარჩა. მთაინგუშეთში ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ ფიქსირებულია ტერმინები: ტეიპა ცონ და იურთა ცონ, რაც ზუსტად სატეიპო და სასოფლო სათიბს აღნიშნავს[177].

ოსეთში სოფელს საერთო სარგებლობაში ჰქონდა გაშვებული ა რ ნ ა გ. ამ ტერმინით აღინიშნებოდა სოფლის მოშორებით, მაღალმთიან ზოლში მდებარე უხარისხო ადგილები, რომელიც ზოგჯერ არც ითიბებოდა და მხოლოდ საძოვრებად გამოიყენებოდა. არნაგს ისეთი ოჯახები თიბავდნენ, რომლებიც საკვების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. რადგან არნაგ საერთო იყო და მისი გათიბვა სოფლის ნებართვით ხდებოდა, ამ ტერმინს საერთო სათიბების აღმნიშვნელადაც ხმარობდნენ. მიწების ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ მთიულეთში ს ა ფ ო რ ო ქ ო სათიბები, რომლის გათიბვაც დასწრებაზე იყო. ანალოგიური ფაქტები დამოწმებულია მთარაჭაშიც. სოფ. ღებში კერძო საოჯახო მფლობელობაში მყოფ სათიბებთან ერთად ყოფილა ისეთი ფართობები, რომლებიც ყოველ წელს იყოფოდა იქ ასულ მთიბელებზე (სასვანო გორი, ბართუზელი, ლუხუმი, ფიცრიხულა, დომბა) და ბოლოს, სოფლიდან უფრო შორს მდებარე ფასისა და სარწივის მთების ძირში არსებული სათიბები—ზორფასა, ჭარიქვაბი, ედენა, სამწნავე, საერთოდ არ ექვემდებარებოდა გადანაწილებას, ყველას შეეძლო ასულიყო და მოეთიბა რამდენიც უნდოდა. ამ მთების ზედა ფერდობები საძოვრები იყო და მათ ღებელები ბალყარელ მესაქონლეებზე აქირავებდნენ.

მთიულეთ-გუდამაყარში დამოწმებულია ს ა ზ ი ა რ ო და ს ა რ ი გ ა ო მამულები— სახნავები და სათიბები; ს ა კ ო მ ო და ს ა თ ი ბ ს ა კ ო მ ო[178]. სარიგაო სათიბი ყოფილა, მაგალითად, ლომისური მთა სოფ. ზემო მლეთაში, რომელიც ნაზღაიძეების, ლომიანთ და ნინიანთ პატრონიმიული ჯგუფების საერთო მფლობელობაში იყო. სათიბის პატარა ნაკვეთი ღვიტიურა კი, რომელიც სოფ. მლეთიდან დაახ. 3 კმ-ზე მდებარეობს, ნაზღაიძეების შივიანთ კომობას ეკუთვნოდა, რის გამოც მას, გარდა აღნიშნული ტოპონიმისა, შივიანთ სათიბსაც უწოდებდნენ. მის გვერდით იყო ბერიანთ სათიბი (ღვიტიურაზე), ხოლო რამდენადმე ქვემოთ — კოფიანთ სათიბი (წიფლებისთავზე). მიწის პატრონიმიული მფლობელობის ტი-

---

[177] Р. Х а р а д з е, Некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей, КЭС, II, Тб., 1968, с. 169.

[178] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 25.

პიურ მაგალითადაა მიჩნეული ქვემო მლეთის სარიგაო სათიბი ლეკანაურთა, რომელიც ბურდულების სამ პატრონიმულ ჯგუფს — ქურთავლიანთ, ბეეიანთ და ხუციანთ ეკუთვნოდათ[179].

გარდა იმისა, რომ თუშეთში სასოფლო-სამეურნეო ფართობებთან დაკავშირებული ტერმინები: ნ ა ფ უ ძ ვ რ ე ბ ი, ბ ო ს ლ ი ს-კ ა რ ი ს მ ი წ ე ბ ი, კ ა რ ი ს მ ი წ ა, კ ა რ თ ა ნ ა, ს ო ფ ე ლ თ ა-ნ ა, ს ა ს ო ფ ლ ო მ ი წ ა, ს ა ბ ლ ი ს მ ი წ ა, წ ი ლ ი ს მ ი წ ა, ს ა ხ ა ლ ე მ ი წ ა და სხვა უჩვენებენ ამ ფართობების განლაგებას დასახლებული პუნქტების მიმართ, ისინი მიწათსარგებლობისა და მფლობელობის ფორმებსაც ასახავენ. ძაგ., სახალე მიწა იყო ის პატარა ნაკვეთი, რომელსაც მარტოხელა მოხუცს მიაკუთვნებდნენ. მასზე შეიძლებოდა მხოლოდ იმდენი ქერი მოეყვანა, რომ მის მფლობელს ხალის დასამზადებლად ყოფნოდა. საბლის მიწა და წილის მიწა იყო ის ფართობები, რაც პერიოდულ გადანაწილებას ექვემდებარებოდა. სასოფლო მიწაში შედიოდა ადგილები, რომელთაც სოფელი თავის ფონდებში ინახავდა ახლად გამოყოფილი ოჯახების დასაკმაყოფილებლად. ასეთი ფონდები შეიძლებოდა ამა თუ იმ გვარის, ოჯახის დალევის შედეგად დარჩენილიყო[180]. ხშირად მთხრობლები სასოფლო მიწებში აერთიანებენ ხატის მიწებსაც. საერთოდ, თუშეთში სათიბ-საძოვრებიც და სახნავებიც საერთო სასოფლო მფლობელობაში შედიოდა და სოფლის თემი მით სარგებლობაზე განკარგულების დიდ უფლებებს ინარჩუნებდა. ანალოგიურია ხევსურეთში ფიქსირებული ტერმინები: მ ა მ ი ს მ ა მ უ ლ ი—ოჯახის სრულ უფლებებში მყოფი მამულები და ს ა ს ო ფ ლ ო ს ახ ნ ა ვ ი, საერთო სასოფლო ადგილის მნიშვნელობით. მართალია ეს უკანასკნელიც კომლებზე იყო დანაწილებული, შაგრამ ოჯახს მისი გაყიდვის უფლება მამიშვილობაშიც კი არა ჰქონდა, თუმცა ოჯახის სეგმენტაციის დროს ორივე კატეგორიის მიწები გადანაწილების საგანი ხდებოდა.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში საძოვრები იყო სასოფლო (სოფლისპირა) და სათემო-სახეობო (მთის). მართალია კ. ხეთაგუროვი მიუთითებს საგვარო საძოვრების არსებობაზე, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ნარის ქვაბულსა და მის მიმდებარე ხეობებში სოფლების უმრავლესობა თითო გვარით იყო დასახლებული. მა-

---

179 იქვე.

180 ვ. ე ლ ა ნ ი ძ ე, თუშეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1968, გვ. 80, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი.

ვალითად, ნარში მხოლოდ ხეთაგუროვები ცხოვრობდნენ, სლასში — გაგიევები, ხასიათყაუში — ხასიევები, ბირაგთაყაუში — ბირაგოვები და ა. შ. ამდენად, აქ საგვაროს სასოფლო ფარავს. ასევე შეიძლება ითქვას სასოფლო და სათემო-სახეობო მფლობელობის ფორმებზეც. თუ ხეობაში მხოლოდ ერთი სოფელი იყო, მთელი მისი სამეურნეო ფართობები ამ სოფლის გამგებლობაში შედიოდა. ამ შემთხვევაშიც იშლება საზღვრები სასოფლო და სახეობო მფლობელობას შორის. მაგრამ საკმარისია ამ სოფლის განსახლების შემდეგ ხეობაში გაჩენილიყო კიდევ ერთი დასახლებული ერთეული, რომ ამ ხეობის სათიბ-საძოვრების გარკვეული ნაწილი სასოფლო-ტერიტორიული ერთეულის ხელში ექცეოდა და სათემო მფლობელობის სახეს ღებულობდა. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც შეიმჩნეოდა, რომ საკვლევ რეგიონში ადგილი ჰქონდა სასოფლო-ტერიტორიულ გაერთიანებებს, სადაც სოფელთა ჯგუფს პირველ რიგში ხეობა და მთის საძოვრები აერთიანებდა.

დიგორში, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე დაწინაურებული იყო, ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი სოციალურად დაწინაურებული ფენის, ბადელიატების ხელში იყო მოქცეული. მათ სახნავები და სათიბები იჯარით ჰქონდათ გაცემული მოსახლეობაზე, ხოლო საძოვრებით სარგებლობისათვის საბალახოს ახდევინებდნენ. ცხადია, მასთან ერთად იყო ისეთი ადგილებიც — სახნავები და სათიბები, რომლებიც საზოგადოების დაბალ ფენებს ეკუთვნოდათ და სასოფლო, სათემო მთები, რომლებზეც ბადელიატები თავის უფლებებს ვერ ავრცელებდნენ. ასეთი ყოფილა დონიფარსის მთის საძოვრები: თ ა თ ო რ ს, კ ა ი გ ი ნ, მ ე დ ა კ ა ე, ყ უ ჟ ი ლ ა გ ო მ, ს ა გ ა თ ა ხ თ ა. ამ მთებით დონიფარსის თემში შემავალი ყველა სოფლის მოსახლეობა თანაბარი უფლებით სარგებლობდა. მართალია ხალხი აქაც იხდიდა სასაძოვრო გადასახადს, თითოეული დასახელებული ფართობიდან სეზონზე 15 ცხვარს (ანგარიშობდნენ, რომ ერთ საძოვარზე 1500 ცხვარი დაეტეოდა), მაგრამ ეს ხარჯები საერთო დღესასწაულებს, გზების, ხიდების გაყვანა-შეკეთებას და სხვა საზოგადოებრივ საქმეს ხმარდებოდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დიგორშიც ფეოდალური ურთიერთობა ჯერ კიდევ ვერ იყო სათანადო დონემდე ასული, ფეოდალური მიწათმფლობელობა მნიშვნელოვნად იზღუდებოდა.

რამდენადაც მიწა ოჯახის კერძო მფლობელობაში იყო მოქცეული, ის ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა. ოჯახს შეეძლო

ბარში გადასახლების შემდეგ გაეყიდა ან კვლავ თავის უფლებებში დაეტოვებინა, პერიოდულად ასულიყო მთაში და დაემუშავებინა ან სხვისთვის მიეცა სანახევროდ. უ. ლაუდაევის ცნობით[181]. თუ თვითონ ვერ ავიდოდნენ საკუთარი ნაკვეთის დასამუშავებლად. უახლოესი ნათესაობის სარგებლობაში ტოვებდნენ და მოსავლის ნაწილს ღებულობდნენ საჩუქრის სახით. ჩაჩნეთსა და თუშეთთან დაკავშირებით მოტანილ მაგალითებში ნაჩვენები იყო ის გარემოებაც, რომ მოსახლეობა დაბალ ზოლში ჩამოსახლების შემდეგაც არ იღებდა ხელს მთურ მეურნეობაზე, ზაფხულობით თავიანთი ცხვარ-ძროხით კვლავ ესტუმრებოდნენ მთის სოფლებს და მესაქონლეობასთან ერთად სამიწათმოქმედო მუშაობასაც ეწეოდნენ. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, მთიულეთში რომ მიწა ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა, XIV ს. ძეგლებშიც არის ასახული[182]. მაგრამ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თუ ოჯახი მიწის გაყიდვას მოისურვებდა, მყიდველთა შორის უპირატესობა მოგვარეს ეკუთვნოდა — პირველ რიგში ძმას, შემდეგ ბიძაშვილს და ა. შ. გადავხედოთ კვლავ XIV ს. სამართლის ძეგლებს: „ბეითალმანად რაც პარტახტი და მამული დარჩეს, რომე მემამულე აღარ მიაჩნდეს, თუ მისის გუარის კაცნი გამოჩნდნენ ერთგუარნი, და რომელნიმე უფროსნი მეყუსნი და მოსამართლენი იყვნენ. ჭირსა და ლხინსა უფრო თანამდგომნი ყოფილ იყვნენ, მათ ებოძოს, ასრე რომე საჯარო და სალაშქრო და საბეგრო, არ დააკლდეს ქუეყანასა. და თუ მათის გუარისა აღარა დარჩეს რა კაცი, ამავე საჯარო ბეგარი სალაშქროდ ვინცღა შეიწყნარის და ღირს იყვნენ ბოძებასა დარბაზით ებოძოს“[183]. როგორც ვხედავთ, მამული პირველ რიგში რჩებოდა უახლოეს ნათესავს, მოგვარეს.

ხევსურული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ერთ-ერთ უძველეს სოფელ ჯუთაში მამულები საერთო სასოფლო ფონდებში იყო და აღლუმებად ჰქონდათ დაყოფილი, ამიტომ მისი გაყიდვაც არ შეიძლებოდა. სოფ. დათვისში კი, სადაც ჯუთიდან ჩამოსახლებული არაბულები ცხოვრობდნენ, ადგილები აღლუმებად არ იყოფოდა. მისი ფართობები თავიდანვე გაინაწილა აქ დამკვიდრებულმა მოსახლეობამ და ყოველი ნაკვეთი საოჯახო მემკვიდრეობით მფლობელობაში აღმოჩნდა. ცალკეულმა ოჯახებმა ნაწილი მამულებისა შესყიდვის ან ახოს აღების გზით შეიძინა. ამგვარად მიწამ

---

181 У. Лаудаев, Чеченское племя, ССКГ, вып. 6, 1872, с. 40.

182 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 109.

183 იქვე, გვ. 113.

სასაქონლო მნიშვნელობა მიიღო და ოჯახს მისი გაყიდვის სრული უფლება ჰქონდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მიწა მამობაში უნდა დარჩენილიყო, თუ მამობაში, იმ პატრონიმიულ ჯგუფში, რომელსაც ეს ოჯახი ეკუთვნოდა, მყიდველი აღმოჩნდებოდა, სხვისთვის მიყიდვის უფლებას არ მისცემდნენ. მამობის შემდეგ მამულის ყიდვის უპირატესი უფლებით მოგვარე სარგებლობდა. მიწის ღირებულებაც განსაზღვრული ყოფილა—მ თ ა ბ ა რ შ ი ე. ი. მამულში, რომელშიც შედიოდა სახნავი და სათიბი (საძოვარი საერთო იყო), რა ფართობისაც არ უნდა ყოფილიყო, გამყიდველი მამობის შიგნით 18 ძროხაზე მეტს ვერ აიღებდა, სხვა შემთხვევაში შეზღუდული არ იყო მის შეფასებაში. მყიდველს ღირებულების ნახევარი უნდა გადაეხადა ს ა ფ ე ხ ი თ ო (უნდა მიეცა ფეხათ ძროხა) და ნახევარი ს ა ხ ე ლ ი თ ო (უნდა მიეცა ნივთები, რომელიც დარჩენილი ძროხების ღირებულებას აანაზღაურებდა)[184]. თუ გადაიხდიდნენ ღირებულების ნახევარს საფეხითოს და სახელითოს, ეს იქნებოდა წ ი ნ დ ი და პატრონი მამულის უკან დაბრუნების უფლებას იტოვებდა. ამასთან ერთად, დათვისშიც ყოფილა გარკვეული ფართობები — ს ა ს ო ფ ლ ო ა დ გ ი ლ ე ბ ი, ს ა დ ა ს ტ უ რ ო ე ბ ი და ს ა კ ვ ა მ ლ ო ე ბ ი, რომელთა გაყიდვა მამობის შიგნითაც კი არ შეიძლებოდა. ოჯახის აყრის შემთხვევაში ისინი სოფლის თემის უფლებებში რჩებოდა. მთიულეთში აყრილი ოჯახი მიწას ხატს უტოვებდა და მასაც სოფელი იყენებდა როგორც ს ა კ უ ლ უ ხ ე მ ი წ ა ს..

მოტანილი მასალა კიდევ ერთხელ მიუთითებს წარსულში მიწაზე პატრონიმიული, სასოფლო და საგვარო მფლობელობის ფორმებზე. შემდეგში, როდესაც მიწის ცალკეული ნაკვეთები საბოლოოდ მოექცა საოჯახო მემკვიდრეობით მფლობელობაში, მიწაზე გვარის უფლებებმა გარკვეული სახით შემოინახეს თავი, რაც პირველ რიგში, მიწის ყიდვა-გაყიდვის დროს იჩენდა თავს.

ახლა გადავხედოთ, თუ როგორი იყო საერთო მიწებით სარგებლობის ფორმები. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, განაყარი ძმები საერთო სარგებლობაში დატოვებულ მიწის ნაკვეთებს მორიგეობით ამუშავებდნენ ან მისი დამუშავება ერთობლივი ძალებით ხდებოდა და შემდეგ მოსავალს იყოფდნენ[185]. როგორც აღ-

---

[184] თითო ძროხად იყო შეფასებული: 4 კგ სპილენძი, 1 ფარდაგი, 5 მანეთის ვერცხლის ნაკეთობა, 4 კგ ერბო.

[185] ეს გარემოება ასახულია XIX ს. ლიტერატურაშიც, იხ. А. Акинфиев, Поездка в Осетию на Ардон и в Сванетию, ЗКОИРГО, кн. XVI, Тифл., 1894, с. 88; Г. Вертепов, В горах Кавказа, ТС, вып. VI, Владикавказ, 1903, с, 128.

ვნიშნეთ, სოფ. ანდიათაყაუშიც ანდიევებს თავიანთი საერთო ნაკვეთის დამუშავებისა და მოსავლის ხარჯვის პრინციპები ჰქონდათ შემუშავებული. რომ უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს სახნავების მფლობელობისა და სარგებლობის ფორმებზე, მოვიყვანთ ერთ ფაქტს, რომელიც ჩაჩნეთის ბარის რაიონებშია ფიქსირებული. ბარად ჩამოსახლებული ჩაჩნები პირველ ხანებში მიწას ისე იკავებდნენ, რომ მასზე კერძო საკუთრება არ არსებობდა. მთიდან ახლად ჩამოსახლებული ოჯახი ადგილს შეარჩევდა, დაესახლებოდა და მის მომიჯნავე მიწებს ამუშავებდა. ოჯახი ზრდასთან ერთად თავის სამფლობელოს საზღვრებსაც აფართოებდა. დაბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ორი სხვადასხვა ნათესაური გაერთიანება, ნათესაობა, რომელიც ორი სხვადასხვა ოჯახის გამრავლების შედეგად შეიქმნა, თავიანთი გუთნებით გადიოდნენ ყანაში მათ ნაკვეთებს შორის საზღვრის დასადებად. ნათესაობის ერთ შტოს შორის კი მიწა ჯერ კიდევ დაუყოფელი იყო და მთელი ნათესაური გაერთიანების საერთო სარგებლობაში რჩებოდა. ნათესაობა ყოველ წელიწადს, ხვნის წინ, თავს იყრიდა საერთო ფართობში და მას იმდენ ნაწილად იყოფდნენ, რამდენ ოჯახსაც აერთიანებდა[186]. ცხადია, ეს მასალა უნდა ასახავდეს მიწათსარგებლობის იმ ტრადიციულ ფორმებს, რომელიც მანამდე მთაშიც უნდა ყოფილიყო პრაქტიკაში.

მტკიცედ ჩამოყალიბებულ კანონებს ექვემდებარებოდა სათიბებით სარგებლობაც. ის პერიოდულად ნაწილდებოდა თიბვის წინ ან საზოგადოების გარკვეული ჯგუფი ერთად თიბავდა და შემდეგ მოსავალს იყოფდნენ. ერთ ფაქტს, როდესაც სოფელმა მიმართა ასეთ ტრადიციულ ფორმებს საერთო სათიბების გაყოფის დროს, ჩვენც შევესწარით ქურთათის ხეობაში. სოფ. ზემო თიბში (მამისონის ხეობის შუა წელში) ძირითადად ქუჩიევები ცხოვრობდნენ და სამ პატრონიმიულ ჯგუფად იყოფოდნენ — ბატათა, ელდატთა და ქოკათა. მათ ხელთ არსებული სათიბები—რეწ (რეწხოხზე) და ხარისთა (ხალაწაიქომში), ცალკ-ცალკე, აღნიშნულ პატრონიმიულ ჯგუფებზე იყო დაყოფილი. ოჯახის სეგმენტაციის დროს მათ არ ეხებოდნენ, ყოველი პატრონიმია თავის კუთვნილ ფართობს ერთად თიბავდა და შემდეგ თივას ანაწილებდა მათში შემავალ ოჯახებზე. მესამე სათიბი — ხცეუ კი (ხალაწაიქომში) დაუყოფელი იყო

---

186 Чечня, „Кавказ", 1851, № 95; Е. Максимов, Чеченцы, ТС, вып. III, кн. II, Владик., 1893.

და მით მთელი სოფელი ერთობლივად სარგებლობდა. აქვე ჩაწერილი მასალების მიხედვით, თივას სათიბებ'მივე დგამდნენ ძირებად და გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში გადაჰქონდათ სამეურნეო ბაზებზე. თივის ძირს, დაბლა ხის ტოტებს უფენდნენ, რომ მიწას თივა არ დაელპო, ტოტებს ჩაუყოლებდნენ ხის მსხვილ ძელს—მ ა-ყ ი ს, რომელზედაც თივის გადატანის დროს თოკს მოაბამდნენ და თივის ძირი მოძრაობაში მოჰყავდათ. თუ თივა საერთო ფართობში ითიბებოდა, ყველა ოჯახი თავის კუთვნილ ძირს მაყიზე ნიშანს — ბ ა რ ა კ გ ა ნ ა ნ//მ ა ყ ი ბ ა ქ-ს უკეთებდა. ნიშანი იყო ჯვრის, წერტილის, სწორი ხაზის და სხვა სახის. აი. ზოგიერთი მათგანი: +, >, >I, >IX, X, III, XI, XII და ა. შ. ისინი ოჯახის საკუთრების მაჩვენებელი იყო და მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. სანამ ბაგრატ, უღალიკ, ნიკო და შაისმელ ქუჩიევები ერთად ცხოვრობდნენ, მათი საოჯახო საკუთრების ნიშანი იყო ასეთი ფორმის —>I. როდესაც ოჯახი გაიყარა, ეს ნიშანი უფროს ძმას უღალიკს დარჩა, დანარჩენმა განაყარმა ოჯახებმა განსხვავებული ნიშნები შეიმუშავეს. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ნიკოს ნიშანი იყო>IX, რომელიც შემდეგ მის უფროს შვილს გიორგის (დაბ. 1906 წ.) დარჩა მემკვიდრეობით. სოფ. სლასში (ნარის ქვაბული) გაბო გაგიევის ოჯახს ჰქონდა ნიშანი — XI. ოჯახის გაყრის შემდეგ ეს ნიშანი უფროს მოწილეს გაბოს მიაკუთვნეს (მოწილე იყო გაბოს მამა ალექსი, მაგრამ რადგან ის ცოცხალი აღარ იყო, წილში მისი მცირეწლოვანი შვილი გაბო გაიყვანეს). შემდეგ გაბომ ახალი ნიშანი შეიმუშავა — რუსული ასო Г, რაც შემოკლებით გაგიევს ნიშნავს.

მოტანილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ნიშნები საოჯახო საკუთრების გაჩენასთან ერთად ისახება და რაიმე ნივთის, ამ შემთხვევაში თივის ძირების, კერძო საოჯახო საკუთრებაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, ის იმის მაჩვენებელიც იყო, რომ თივის ძირები იდგა საერთო ფართობზე. ნიშანი ედებოდა არა მარტო იმიტომ, რომ ოჯახს გამოეცნო თავისი ძირი, არამედ იმიტომაც, რომ სხვა მკაცრად გაეფრთხილებინა მისი საკუთრებისთვის ხელი არ ეხლო. იქ, სადაც სათიბების ესა თუ ის ფართობი შემომტკიცებული იყო ოჯახის მფლობელობაში, აღნიშნული საკუთრების ნიშანი კარგავდა პრაქტიკულ მნიშვნელობას. ასეთ შემთხვევაში თივის ძირებზე საკუთრების ნიშნის დასმა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა ან საერთოდ იყო ამოვარდნილი ხმარებიდან. გ. ვერტე-

პოვის ცნობით, გაზაფხულის დამდეგს, როდესაც მთაში გუგული გამოჩნდებოდა, ყველა ოჯახს, ვინც კი საქონლის საკვების ნაკლებობას განიცდიდა, შეეძლო ნებისმიერი თივის ძირიდან აეღო იმდენი თივა, რამდენიც უნდოდა. ასეთი ჩვეულება შემორჩენილი ყოფილა XIX ს. 50-იან წლებშიც[187]. ეს ფაქტი უნდა მიუთითებდეს არა მარტო საერთო სათიბების არსებობაზე, არამედ მოსავლის ერთობლივ მოხმარებაზეც, რამაც გადმონაშთის სახით XIX ს. შუახანებამდე შემოინახა თავი. მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ხანაში, კერძო მესაკუთრული ტენდენციების გაძლიერებასთან ერთად, ამ ტრადიციულ წეს-ჩვეულებასაც ეღება ბოლო.

ხევსურეთში, სოფ. შატილის მაგალითზე, სათიბებს ყოველ წელიწადს ანაწილებდნენ კენჭისყრის წესით. აქვე ყოფილა ადგილებიც (მაგ., ყუჩუ), რომელსაც სოფელი არ ეხებოდა, აქ ყველა მამობას ჰქონდა თავისი წილი და ეს სოციალური ერთეულიც ყოფდა მასზე განკუთვნილ ნაწილს მამობაში შემავალ ოჯახებზე. დადგენილია, რომ ხევსურეთში სათიბები აღლუმებზე ნაწილდებოდა, ის ჯერ აღლუმებზე იყოფოდა, ხოლო შემდეგ აღლუმი მასზე გამოყოფილ ადგილს თავის წევრებზე ანაწილებდა. ციტირებულ ნაშრომში აღლუმი ერთმანეთთან სისხლით ნათესაობით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფადაა მიჩნეული, ამდენად, აღლუმებად დაყოფა მამობად დაყოფის პრინციპებს ემთხვეოდა. აქვე მოტანილია სოფ. ჯუთის მაგალითი, სადაც მოსახლეობა სამ მამად იყოფოდა და სათიბებიც სამ აღლუმად იყოფოდა ყოველწლიურად. აღლუმებს შიგნით სათიბებს ან კენჭისყრით გაყოფდნენ ან ერთად გათიბავდნენ და შემდეგ თივას ინაწილებდნენ[188]. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სოფ. დათვისში აღლუმებად დანაწილების ასეთი წესი აღარ არსებობდა, სათიბების ძირითადი ფონდები თავიდანვე დაიყო და შემდეგ სოფლის თემი აღარაფერს შეხებია გარდა საკვამლოებისა და სადასტუროებისა. მ. მაკალათიას ცნობით, აქ თავიდანვე მიწის გაყოფა მოხდა სამ აღლუმად და ასევე დარჩა ბოლომდე[189]. ანალოგიური ხასიათის მასალა მოიპოვება სხვა სოფლებშიც. სოფ. ბაცალიგოში ჩაწერილი მასალების მიხედ-

---

[187] Г. Вертепов, В горах Кавказа, ТС, вып. VI, Владик., 1903, с. 128.

[188] მ. მაკალათია, მსხვილფეხა მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ. 1975, გვ. 109. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი.

[189] იქვე.

ვით, აღლუმი იყო სათიბის ერთი ნაკვეთი და სოფელს რამდენი ნაკვეთიც ჰქონდა, მოსახლეობაც იმის მიხედვით ჯგუფდებოდა. „აღლუმ-აღლუმ გაიყრებოდა“. მართალია აღლუმში მამობაში შემავალი ოჯახები იყრებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლო ხანს ეს უკვე აუცილებელი აღარ იყო. დავუბრუნდეთ კვლავ ჩრდილო კავკასიას. ჩაჩნეთში მთა დაილამ სამ სოფელს ეკუთვნოდა — დაის, ბასოის და შაროარღუნს. რადგან ეს ორი სოფელი დაის განსახლების შედეგად ჩამოყალიბდა. დაილამდე მდებარე სათიბები ჯერ სოფლებზე იყოფოდა, შემდეგ კი მის ოჯახებზე განაწილებას სოფელი აორგანიზებდა. საკუთრივ სოფ. დაიში სათიბებს ჯერ კვარტალებზე ე. წ. კ უ პ-ებზე ყოფდნენ (7 კუპად), შემდეგ კი ყოველი კუპი თავის კუთვნილ ფართობს ოჯახებზე ანაწილებდა. ამდენად, აქ სათიბები კუპებზე იყოფოდა და არა პატრონიმიულ ერთეულებზე, რადგან სოფელში პატრონიმიული განსახლების ტრადიციული პრინციპები უკვე დარღვეული იყო.

სოფლის თემის გადაწყვეტილებით, ხევსურეთში სათიბები იყოფოდა ყოველ წელს ან ორი, სამი და ხუთი წლის ვადითაც. რადგან ეს ადგილები სოფლის განმგებლობაში შედიოდა, ოჯახს მისი გაყიდვის უფლება არ ჰქონდა. მაგრამ მათ გვერდით, ბაცალიგოშივე ყოფილა ისეთი ადგილები, რომლებიც ოჯახის სრულ განმგებლობაში იმყოფებოდა. მეზობელ სოფ. ჩხუბაში სათიბების აღლუმებად და სადასტუროებად დაყოფის წესი აღარ დასტურდება, აქ ყველა ნაკვეთი ოჯახის მუდმივ მფლობელობაში იყო მოქცეული. უმეტესობას ისინი შესყიდვის ან ახოს აღების გზით ჰქონდა მოპოვებული და მასზე ხელყოფის უფლებას არავის მისცემდა.

გადავხედოთ საქართველოს მთიანეთის კიდევ ერთ კუთხეს— თუშეთს. მართალია აქ სახნავების ძნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახებზე იყო დაყოფილი და ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად გადანაწილების საგანი ხდებოდა, მაგრამ მთხრობელთა გადმოცემით, ეს გაყოფა დროებით ხასიათს ატარებდა, რადგან სოფელი მიწის მთელ ფონდებს პერიოდულად აწონასწორებდა კომლებზე. ცალ-ცალკე იყოფოდა სახორბლე, საქერე და სასვილეები. სხვებთან ერთად გადანაწილებაში ექცეოდა ბოსლისკარის მიწებიც, რომლებზედაც ოჯახს დიდი შრომა ჰქონდა დახარჯული და ასე ადვილად სხვას არ დაუთმობდა. მართალია ბოსლისკარის მიწების საერთო გადასანაწილებელ ფართობებში ჩართვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც იმის მაჩვენებელია, რომ სოფლის თემს ამ ადგილებზე ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდა დაკარგული

უფლებები. ცხადია, რამდენადაც მიწა კერძო საკუთრების საგანს არ წარმოადგენდა, ოჯახს არც მისი გაყიდვის უფლება ჰქონდა, თუ ბარში ჩასახლდებოდა, შეეძლო თავისი ნაკვეთი სხვისთვის მიექირავებინა ან სანახევროდ მიეცა დასამუშავებლად.

საინტერესოა რამდენი ხნით ხდებოდა მიწების გადანაწილება. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სოფელი დამოუკიდებლად წყვეტდა ამ საკითხს, არსებული სიტუაციის შესაბამისად. ზოგან ეს ხდებოდა 5—10 წლით, სანამ სოფელში მცირემიწიანი და უმიწო ოჯახები არ მომრავლდებოდა. 1912 წ. სოფ. ბოჟორმაში გაიყარა ჩვენი მთხრობელი ვაქსო ივაჩიძე და მისი ძმები—კიმოთე, ლაზარე და ნიკო. ძმებმა სოფელს სთხოვეს მიწა, მაგრამ მცხოვრებთა უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა მის გადანაწილებაზე. ამ დავაში გავიდა სამი წელი, ამასობაში მათ დაემატა კიდევ სამი ოჯახი და სოფელშიც მოხდა მიწის გადანაწილება. ამგვარად, მთხრობლის გადმოცემით, ოთხი ოჯახი სამი წლის განმავლობაში ერთი კომლის მამულზე ცხოვრობდა.

როდესაც ჩვენი მთხრობელის სამსონ ნავღურაიძის (დაბ. 1892 წ.) წინაპრები ჩასახლებულან სოფ. დართლოში, მიწები 20 წლით ყოფილა დანაწილებული და ამიტომ მათთვის ადგილი აღარ მიუციათ. შემდეგ ნავღურაიძეებს თოთიანთ და ბოთიანთ ნაფუძვრები უყიდიათ. 20 წლის შემდეგ სოფელს მიწები გადაუნაწილებია და ნავღურაიძეების აღნიშნული ოჯახისთვის სოფლის განაპირა ადგილები მიუცია; რადგან გადანაწილების დროს ყველა ოჯახი თავის სარგებლობაში მყოფ ფართობებს ინარჩუნებდა, შეიძლებოდა ერთი ოჯახისათვის ჩამოეკლოთ გარკვეული ნაწილი და სხვისთვის დაემატებინათ. ამგვარად, გადანაწილებამდე მიწის ძირითადი ფონდები უკვე დაკავებული იყო ძირძველი მოსახლეობის მიერ, რის გამოც ახალ მოსულ ოჯახს განაპირა, შედარებით მწირი ადგილები შეხვდა, მთხრობლის მახსოვრობაში კიდევ ერთხელ მომხდარა მიწების გადანაწილება, XX ს. დასაწყისში. მაშინ მიწის მზომელები ყოფილან მიხო იდოიძე და იოსებ ფარეული, მათ თავისთვის მეტი მიუზომიათ, რასაც მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოუწვევია. შეიძლებოდა სოფელს ახალი მოსული ოჯახისათვის სულ არ მიეცა სახნავი და სათიბი, თუ მას სხვაგან ჰქონდა ადგილი. ასე მოქცევიან გირევში ნაკუდურთადან ჩამოსახლებულ პავლე ქელეხიძის ოჯახს. ეს უკანასკნელი მეზობელ სოფელ ნაკუდურთაში, რომელიც უკვე გაუკაცრიელებული იყო, ინარჩუნებდა თავის ადგილებს, მისი სახლი პარალელური სამეურნეო ბაზის როლს ასრულებდა,

საბოსლოდ ჰქონდა გამოყენებული, ამიტომაც მისთვის გირევში დასამუშავებელი ფართობები აღარ გამოუყვიათ, არც სათიბების გადანაწილების დროს შეყავდათ წილში.

ხალხური ადათობრივი კანონი, რაც პერიოდულად მიწის გადანაწილებასთან იყო დაკავშირებული, უმტკივნეულოდ არ ტარდებოდა. მოსახლეობის ის ფენები, რომლებიც შედარებით მეტ და ნაყოფიერ ადგილებს ფლობდნენ, გადანაწილების წინააღმდეგი იყვნენ, ამიტომ ყველა სოფელში მიწის გადანაწილების ერთნაირი ვადები არ იყო დაწესებული, მეტისმეტად ჭიანურდებოდა და ზოგან საერთოდ აღარ მოქმედებდა. როგორც ერთ-ერთ მოყვანილ მაგალითში დავინახეთ, მიწების გარკვეული ნაწილი აქაც ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა, რაც მისი კერძო საოჯახო მფლობელობის უტყუარი საბუთია. კერძო საოჯახო მფლობელობაში ყოფილა სათიბების გარკვეული ნაწილიც, საერთოდ კი სათიბების ძირითადი ფონდი, როგორც საერთო სასოფლო, პერიოდულ გადანაწილებას ექვემდებარებოდა და ის ყოველ წელს იყოფოდა ოჯახებზე კენჭისყრის წესით.

მთხრობლები სასოფლო მიწაში ხშირად აიგივებენ ჯ ვ ა რ ი ს ყ ა ნ ა ს (ხატის მიწებს). ზოგ სოფელში (ბოჟორმა, აგეურთა და სხვა) ჯვარის ყანას მხოლოდ სახელი ჰქონდა შერჩენილი, ფაქტიურად სოფელი მასაც, სხვა ადგილებთან ერთად, ანაწილებდა კომლებზე, შულტებს კი დღესასწაულზე თავისი მამულიდან მიჰქონდათ ხარჯი. სხვა ვითარება იყო ფარსმაში, აქ ხატის მიწებს შულტები ამუშავებდნენ და ხატობაზე სოფელს უმასპინძლდებოდნენ პურით და ლუდით. ანალოგიური ვითარება შეიმჩნევა ოსეთშიც. ცხადია, სასოფლო მიწა თავის დროზე უნდა ყოფილიყო ის, რაც სოფლის საერთო მფლობელობაში იყო, ხატის მიწა კი ხატს ეკუთვნოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც რელიგიურმა დღესასწაულებმა თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა, ზოგიერთ სოფელში ეს ნაკვეთები სასოფლო ფონდებში მოექცა და მოსახლეობამ საჭიროებისდა მიხედვით გამოიყენა იგი.

მთიულური მასალების მიხედვით, ხატს ჰქონდა მამულები—ს ა კ უ ლ უ ხ ე მ ი წ ა (იგივე მნიშვნელობით ჩაწერილი გვაქვს ტერმინი ს ა ყ ა ლ ნ ე), რომელსაც დ ა ს ტ ურ ე ბ ი//ნ ა თ ე ე ბ ი ამუშავებდნენ, და სათიბები—ს ა რ ი გ ა ო. ნათეებად ყოველ წლიურად, რიგის მიხედვით, ორ-ორი ოჯახი იყო გამოყოფილი. მათ მოვალეობას შეადგენდა საკულუხე მიწის დამუშავება, მოსავლიდან არყის გამოხდა და ხატობაზე სოფლის გამასპინძლება. სარიგაო სათიბებ-

საც თიბავდა ის, ვინც რიგით საკულუხე მიწას ამუშავებდა. ამრიგად, ამ სათიბებით რიგრიგობით მთელი სოფელი სარგებლობდა. სოფ. წინამხარში (ხანდოს ხევი) უფრო მეტად ისეთ ოჯახებს უთმობდნენ სარიგაო სათიბებს, რომლებიც სათიბების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, ეს უკანასკნელნიც ვალდებული იყვნენ იმ ხატის დღეობაზე, რომელსაც მათ სარგებლობაში მყოფი ადგილი ეკუთვნოდა. მიეტანათ ორმოცი ლიტრა არაყი და ერთი ბედილა. საკულუხე მიწის დამუშავებით იმიტომაც იყვნენ დაინტერესებული, რომ ხარჯს შემოსავალი სჭარბობდა, ისინი სარგებლობდნენ ჩალითაც. საკულუხე და სარიგაო მიწების კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ხევსურული საკვამლო და სადასტუროები. თავისებურება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ საკვამლოებიც და სადასტეროებიც თანაბრად იყო დანაწილებული კომლებზე. ისინი მარცვლეულს ხატობაზე ხარჯავდნენ, თივას კი ოჯახში იყენებდნენ. ოჯახს რომ ლუდი არ ედუღა და ხატისთვის წესი არ შეესრულებინა. ის ვერც სადასტუროს მოხნავდა და ვერც საკვამლოს გათიბავდა, არც ხატში მიუშვებდნენ და არც დახმარების ხელს გაუწვდიდა ვინმე.

ეხება რა სატაძრო მიწათმფლობელობის საკითხებს, ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიწებს ყოფს ორ ნაწილად. ერთია სათემო, რომელიც მეთემეთა მეურნეობის ინტერესებს ემსახურებოდა, ხოლო მეორე—მიწები, რომელიც ხატს ან ჯვარს ეკუთვნოდა და რომელზედაც სატაძრო მეურნეობა ვითარდებოდა. სათემო მიწათმფლობელობის უფრო არქაულ ფორმად მიჩნეულია პატრონიმიული და საძმო მფლობელობა. ამასთან, დადგენილია გარდამავალი ფორმა სათემო-პატრონიმიული მფლობელობიდან საოჯახო მფლობელობაზე[190].

სასოფლო და სათემო საძოვრებზე ყველა მეთემე თანაბარი უფლებით სარგებლობდა. არავის შეეძლო ეს მიწები მიესაკუთრებინა ან იმდენად ბევრი საქონელი ჰყოლოდა, რომ საძოვრებზე თე-

---

190 В. Бардавелидзе, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, М., 1964, доклад на VII международном конгрессе антропологических и этнографических наук. სატაძრო მიწათმფლობელობის საკითხებს ეძღვნება ვ. ბარდაველიძის ნაშრომები: Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, 1949, № 1, с. 92; Хозяйство крупного и мелкого скота пшавских и хевсурских святилищ. Тезисы доклада на пленуме ин-та этнографии АН СССР, М., 1952, с. 8, და სხვა. მაგრამ ამჯერად ამ საკითხების კვლევა არ შეადგენს ჩვენს ძირითად მიზანს.

მის სხვა წევრები შეეკიწროებინა და ამით მეთემეთა შორის საერთო საძოვრებით სარგებლობის თანაბარუფლებიანობის პრინციპი დაერღვია. თუშეთის მთებით ძირითადად საშუალო მეცხვარეები სარგებლობდნენ, დიდი ბინის პატრონები კი შირაქსა და თრიალეთს შორის მომთაბარეობდნენ ან დაღესტნის მთებს ე. წ. ლ ე კ ი მ თ ე ბ ს ქირაობდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, მართალია მათ არავინ უკრძალავდა თავიანთ მთებში ასვლას, მაგრამ საკუთარი მეურნეობის მასშტაბები აიძულებდა სხვაგან ეძიათ საძოვარი. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენ მიერ მთიულეთში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა. აქ პატარა მცირერიცხოვან ოჯახებს, რომელთაც სხვაზე მეტი საქონელი ჰყავდათ, სოფელი საბალახოს ახდევინებდა, რადგან ისინი მეტ ადგილებს იკავებდნენ, სხვას ავიწროებდნენ და ამით საძოვრებით სარგებლობის თანაბარუფლებიანობის პრინციპებს არღვევდნენ. ეს კანონი არ ვრცელდებოდა მხოლოდ დიდ ოჯახებზე, რადგან მათ მეტი მოთხოვნილება ჰქონდათ და, ბუნებრივია, სხვაზე მეტი საქონელიც უნდა ჰყოლოდათ. მაგრამ, როგორც ჩანს, აქაც იყო გარკვეული ზღვარი, რის ძალითაც გუდამაყარში დიდი ოჯახებიც კი სოფელს სასაძოვროს უპდიდნენ.

ლ. მარგოშვილის ცნობით, ჩაჩნეთში მოქმედებდა ბ ა ი თ ა ლ ვ ა ხ ა რ ი ს წესი, რომლის ძალითაც, თუ რომელიმე მეთემეს საქონლის ჯოგი ძალიან გაუმრავლდებოდა, სოფლის უხუცესნი დაადგენდნენ მათთვის ჩამოერთმიათ საქონელი და სოფლის მცხოვრებთა შორის გაენაწილებინათ. გამდიდრებული მეთემე ქონების ჩამორთმევის შიშით . ტოვებდა თავის საცხოვრებელ ადგილს და სხვაგან —ბარის რაიონებში, საქართველოს ტერიტორიაზე ან დაღესტანში ხასავ-იურთის რაიონში მცხოვრებ ახიელებს შორის ეძებდა თავშესაფარს[191]. ჩვენ მიერ სოფ. დიდ ვარანტში ჩაწერილი მასალების მიხედვით, მთებზე ხშირად ხდებოდა შეტაკებები დიდ-პატარა მეცხვარეებს შორის. ამით სარგებლობდა შამილი და დიდ მეურნეებს, რომლებიც მთაზე მეთემეებს ავიწროებდნენ, ბაითალვახარის წესით ართმევდა ქონებას და ხაზინაში რიცხავდა. თვითონ მარგოშვილებიც ბაითალვახარის წესს გამოექცნენ, გადმოვიდნენ საქართველოში და პანკისის ხეობაში დამკვიდრდნენ.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა მთიულეთში დამოწმებული მეთემის გ ა ბ უ დ ა ყ ე ბ ი ს წინააღმდეგ ბრძოლის

---

[191] ლ. მ ა რ გ ო შ ვ ი ლ ი, პანკისელი ქისტების ისტორიისათვის, „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1968, № 1, გვ. 21.

ფაქტები, რასაც თემი ახორციელებდა. როდესაც მეთემე თემის მიერ მიცემულ ადგილზე იმდენხანს დაჰყოფდა, რომ მას გაბუდაყების ნიშნები შეეტყობოდა. მას სათემო სახლიდან გამოიყვანდნენ და მის ადგილზე სხვას დაასახლებდნენ. თემი მეთემეს იმის უფლებას არ აძლევდა, რომ მას სათემო სახლი და მიწები დაეჩემებინა და შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცა შთამომავლობისათვის, ამიტომ სათემო სახლში დიდი ხნით არავის აჩერებდნენ. აქ, აღნიშნავს რ. ხარაძე, საქმე გვაქვს საზოგადოებრივი პროგროგატივის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რაც სხვა ქართველ მთიელთა ყოფაშიც დასტურდება[192].

მიუხედავად თემის შეუნელებელი ბრძოლისა შეენარჩუნებინა თავისი აქციები, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში სათემო მიწები მაინც მიტაცების საგანი ხდება. მაგრამ სანამ კავკასიურ მასალას შევეხებოდეთ, ვნახოთ ეს საკითხი როგორაა ასახული ზოგად ლიტერატურაში. როგორც ირკვევა, გერმანელ ტომებში სოფლის თემის მ ა რ კ ი ს მიწები ორ ნაწილად იყოფოდა, ერთი იყო სახნავ-სათესად გამოსადეგი ადგილები, რომელიც თემის წევრებს შორის იყო დაყოფილი, ხოლო მეორე—საერთო სათემო სარგებლობაში მყოფი მიწები: საძოვარი, ტყე, ჭაობი. მიწის კერძო მფლობელობაში გადასვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მის სრულ საკუთრებას, მიწა ერთდროულად რჩებოდა გვარის და ტომის მფლობელობაში. მაშინ როდესაც ფრანგებში სახნავი ნაკვეთები ცალკეული ოჯახების კერძო მფლობელობაში გადავიდა, საძოვარი, ტყე და სხვა ადგილები საერთო სარგებლობაში რჩებოდა[193].

მ. კოლგანოვი ა. კაუფმანის ნაშრომ „Русская община"-ზე დაყრდნობით იხილავს ციმბირში პირველგადმოსახლებულთა მიწათსარგებლობის ფორმებს. ციმბირის ხალხებში მიწათსარგებლობის საწყისი ფორმა იყო დატაცება. მოსული შეარჩევდა შესაფერის ადგილს და რამდენიც შეეძლო შემოღობავდა საქონლის გამოსაშვებად და სახნავ-სათესად. ახლად დასახლებული ოჯახი მის მიერ დაკავებულ ადგილზე თავის უფლებას აძლიერებდა შიგ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ჩადგმით. მიწის თავისუფალი დაკავებით ხდებოდა მოსახლეობის ხუტორული განსახლება, მოსახლეობის ახალი ნაკადითა და ადგილობრივის ზრდით დასახლებულ ადგილებზე იქმნებოდა სოფელი. სოფელი უკვე იბრძვის მიწის თა-

---

192 რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 58.
193 М. К о л г а н о в, Собственность, М., 1962, с. 152.

ვისუფალი დაკავების წინააღმდეგ, რის შედეგადაც იქმნება საძოვრებით სარგებლობის თანაბარი უფლება, მიტაცების ნაცვლად, ამ დროიდან საზოგადოებრივი საძოვრებით სარგებლობის ფორმა თავისუფალი ხდება. არც ერთ მეთემეს არა აქვს უფლება მიიტაცოს საძოვრების რაიმე ნაწილი, მაგრამ თითოეულს შეუძლია საქონელი გამოუშვას საძოვარზე თემის მიერ დადგენილი წესის მიხედვით[194].

იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდებოდა მიწის მიტაცებით დაკავება, თუკი მეთემე მიწას თავის შრომის კვალს დააჭხევდა, ამ მიწის სამუდამოდ ფლობის უფლებას იძენდა. საერთოდ, მიტაცებული მიწა საზოგადოებას ეკუთვნოდა და მით მეთემე სარგებლობდა მანამ, სანამ მას ამუშავებდა[195]. მ. კოლგანოვი ასკვნის, რომ ყოველ გვაროვნულ თემში მიწა იმყოფებოდა მეთემის არა მფლობელობაში, არამედ მის მუდმივ სარგებლობაში. მეთემის სიკვდილის შემდეგ მის სარგებლობაში მყოფი მიწები მემკვიდრეობით კი არ გადაეცემოდა მის შვილებს, არამედ თემის საერთო განკარგულებაში რჩებოდა[196]. სოფლის ტერიტორიულ თემში მიწა უკვე საბოლოოდ გადადის კერძო მფლობელობაში. მეთემის მემკვიდრეებად, როგორც მთელ მეურნეობაზე, ისე საზოგადოებრივ მიწაზე, მისი შვილები გამოდიან. როგორც კი მემკვიდრეობის ეს წესი ძალაში შედის, მიწა ექცევა პიროვნების განუსაზღვრელ და განუსხვისებელ მემკვიდრეობით სარგებლობაში. კერძო მფლობელობაში გადადის მიწების მხოლოდ ერთი ნაწილი—სახნავები. ტყე და საძოვარი ისევ საერთო სარგებლობაში რჩებოდა. სოფლის თემში პერიოდულად ხდებოდა მთელი მიწების გადანაწილება მის წევრებს შორის, სახნავი მიწები ნაწილდებოდა რამოდენიმე წელიწადში ერთხელ, ხოლო დანარჩენი გაშვებული ადგილები ყოველ წელიწადს[197]. მოძრავ ქონების ზრდასა და საკუთრების განვითარებასთან ერთად, მიწების გადანაწილება სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება და მიწებიც კერძო მფლობელობიდან ნელ-ნელა გადადის კერძო საკუთრებაში[198].

როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალური კავკასიის მთიანეთშიც სათემო მიწები მიტაცების საგანი ხდება. ოსების—თაგაურელების, ალაგირელების, ქურთათელების და დიგორლების მიწები, წერს

---

[194] იქვე, გვ. 157.

[195] М. Колганов, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[196] იქვე, გვ. 163.

[197] იქვე.

[198] იქვე.

გ. ვერტეპოვი, აქამდე საზოგადოების საკუთრებად ითვლებოდა. საზოგადოების ყველა წევრს, საზოგადოების თანხმობით, უფლება ჰქონდა დაეკავებინა ეს მიწა მხოლოდ სარგებლობის უფლებით და არა მისაკუთრების მიზნით. ამდენად, განაგრძობს მკვლევარი, ადრე მიწათმფლობელობა დამყარებული იყო ნებადართულ მიტაცებაზე, მიწის პირველ დაკავებაზე. დროთა განმავლობაში, მოსახლეობის გამრავლებასთან ერთად, მიწათსარგებლობა თემის კონტროლქვეშ იქნა დაყენებული და ცალკეული ოჯახების მიერ მისი დაკავებაც შეიზღუდა[199]. ჩვენ მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი მაგალითის მიხედვით, სოფ. ზემო ზარამაგის მცხოვრებთ ადაიქომში ჰქონდათ საერთო სასოფლო სათიბი, რომელზედაც 25-მდე ძირი თივა ითიბებოდა. მამითოვებს მოუნდომებიათ მისი მისაკუთრება (მაშინ მამითოვები 3 ოჯახი ყოფილა), რასაც სოფელი წინ აღუდგა და ასეთი მოქმედებისათვის მოკვეთა—ყ ო დ ი ბ ა ქ ა ნ ა ნ გამოუცხადა. მოკვეთა იმაში გამოიხატა, რომ სოფელი მამითოვებს აღარ უშვებდა ნიხასზე, უფლებას არ აძლევდა საქონელი გაედენათ იქ, სადაც სოფლის ნახირი დადიოდა. განსაკუთრებით მეთვალყურეობდნენ იმას, რომ მამითოვების ძროხები სხვის ბუღებში არ გარეულიყვნენ. საბოლოოდ საქმე ურთიერთშეთანხმებით დამთავრდა. მართალია სოფელმა მოახერხა ადგილის გათავისუფლება, მაგრამ მამითოვებმაც შეძლეს ამ ფართობის ნაწილი მაინც დაეჩემებინათ. როგორც ვხედავთ, სოფელი ებრძვის საერთო მიწების მიტაცებას, მაგრამ მას არ ძალუძს მთლიანად აღუდგეს წინ ამ მიმართულებას.

ამ პროცესის ერთ-ერთი ეტაპის ამსახველად შეიძლება მივიჩნიოთ მთაინგუშეთში თავდაცვითი ნაგებობების მსგავსი საქონლის სადგომების გაშენების ფაქტები. ჩანს, სათემო მიწების მიტაცება ინგუშეთშიც დიდი ხნით ადრე დაიწყო, მაგრამ საკუთრივ როდის, ამის თქმა ძნელია. აღნიშნული სადგომების დათარიღება საშუალებას მოგვცემდა სათემო მიწების მიტაცების ეს ფორმა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჩაგვესვა. მიჩნეულია, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის თავდაცვითი კოშკები შეიძლება დათარიღდეს ყველაზე ადრეული XII—XIII, ხოლო ყველაზე გვიანდელი XVII—XVIII სს. ამასთან, ის ემსახურებოდა ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარ ზედა ფენას, რომელთა გამოყოფა და ჩამოყალიბება ხდებოდა თავისუფალი მეთემეებიდან[200]. ვფიქრობთ, მთაინგუშე-

---

199 Г. В е р т е п о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

200 А. Р о б а к и д з е, Жилища и поселения горных ингушей..., с. 85.

თის საიალაღო კოშკები და ციხესახლები თავისი სოციალური მნიშვნელობით მჭიდროდაა დაკავშირებული სოფლის თავდაცვით კოშკებსა და ციხესახლებთან. ეს კი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ სოფლის თემის რღვევისა და ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში, სოფელთა და ხეობათა შორის ურთიერთ თავდასხმების, საქონლისა და ტყვეების მიტაცების, საზოგადოების ერთი ჯგუფის როგორც ქონებრივი, ისე სოციალური დაწინაურების და ყოველივე ამასთან ერთად, საერთო მიწების მისაკუთრებისათვის ბრძოლის პირობებში გარკვეულ როლს ასრულებდა ზემოთ აღნიშნული საიალაღო კოშკები და ციხესახლები, რომელთა ჩამოყალიბებაც აღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა. მათ აგებდნენ სოფლის ნებართვით საერთო სასოფლო ან სათემო ფართობებზე ეკონომიკურად ძლიერი ტეიფები, სამეურნეო დანიშნულებით და იმ პირობით, რომ სხვას არ შეავიწროებდნენ. ეს ნაგებობები ამავე დროს კარგ სიმაგრესაც წარმოადგენდნენ. გარდა იმისა, რომ საქონელი და მისი მომვლელი პერსონალი საიმედოდ იყო გამაგრებული, მთელ მიდამოს კონტროლს უწევდნენ და საფუძველს უყრიდნენ მისი მომიჯნავე ფართობების საბოლოოდ მისაკუთრებას[201].

მიწის დასაკუთრება ხდებოდა პირველი დაკავებისა და მასზე გარკვეული შრომის დახარჯვის გზით. ინგუშური მასალების მიხედვით, ტეიფა, რომელიც პირველად მივიდა სოფელში და დაესახლა, ადგილმამულის დიდ ნაწილზე ავრცელებდა თავის უფლებებს. ამასთან, სახნავებისა და სათიბების ის ნაკვეთები, რომელიც ოჯახის განუყოფელ მფლობელობაში იყო, თაობების შრომის ნაყოფს წარმოადგენდა. იმ მომენტიდან, განმარტავს გ. ვერტეპოვი, როგორც კი მთიელი საზოგადოების მიერ მასზე განკუთვნილ მიწას სახნავად ან სათიბად აქცევდა და დაიწყებდა მის ექსპლოატაციას, საზოგადოება ამ ნაკვეთზე კარგავდა უფლებას[202].

საზოგადოებრივი ადგილების დასაკუთრების, ამასთან სასოფლო-სამეურნეო ფართობების მოპოვებისა და გაფართოების ერთ-ერთ საშუალებას კავკასიის მთიანეთში ახოს აღება წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად დადგენილია, რომ მთაგორიანობა მცირე გასაქანს უტოვებდა მემინდვრეობას და ადგილობრივ მეურნეს აიძულებდა ტყის ზონაში მთის ციცაბო ფერდო-

[201] ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, საქონლის საზამთრო სადგომის ერთი სახეობა მთიანგუშეთში, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 383; მ ი ს ი ვ ე, მიწათსარგებლობის ფორმები მთიანგუშეთში, საისტორიო კრებული, II, თბ., 1971, გვ. 420.

[202] Г. В е р т е п о в, Ингуши, ТС, кн. II, вып. II, Владик., 1892, с. 112.

ბებიც კი გამოეყენებინა[203]. ახობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთურ მიწათმოქმედებაში, საკუთრივ საქართველოს მთიანეთში მან განაპირობა მ თ ი ს მ ა მ უ ლ ე ბ ი ს შექმნა კ ა რ ი ს მ ა მ უ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ განსხვავებით[204]. ოჯახი წინასწარ შეარჩევდა საახოე ადგილს და სოფლის ნებართვით (რადგან ტყე სასოფლო იყო) ხეებზე გარკვეული ნიშნების დასმით, დაიკავებდა. შემდეგში ახოს, უმეტეს შემთხვევაში, იმ პიროვნების სახელით იცნობდნენ, ვინც ითავა ტყით დაფარული ადგილის სასარგებლო ფართობად ქცევა. ეს სახელწოდებები ტოპონიმებშია გადასული და იმაზე მიუთითებს, რომ ახოზე უკვე ამა თუ იმ ოჯახს ჰქონდა ხელი დადებული. ცხადია, სოფელი, თემი ვერ ურიგდებოდა თავისუფალი მიწების კერძო მფლობელობაში გადასვლას, მაგრამ ეს იყო საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ბუნებრივი კანონი. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას რიგი ეთნოგრაფიული მასალებისა, რომლის მიხედვითაც ახო კერძო მფლობელობაში რჩებოდა მანამ, სანამ ოჯახი მასზე გაწეულ შრომას არ აინაზღაურებდა, შემდეგ კი ისიც, სხვა ფართობებთან ერთად, პერიოდულ გადანაწილებას ექვემდებარებოდა.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ჯ ე ლ ი ს დ ა დ ე ბ ა ან ჯ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ა ეს იყო მამულზე უფლების განცხადება და ამ განცხადების ნიშნად მასზე მატერიალური ძეგლის დასმა. ჯ ე ლ ი ხელდადებული მამულის საზღვარზე, მისი გამიჯვნის მიზნით დასმული ჯ ვ რ ე ბ ი ს (საზღვრის ქვების) სახით ყოფილა გამოხატული. ამდენად, ჯელის ამართვა მამულის გამიჯვნაში გამოიხატებოდა, რომლის დროსაც მატერიალურ ძეგლს ჯ ე ლ ს ამართავდნენ, ჯვარს დასვამდნენ[205]. არა მარტო მიწაზე, ხელის ამართვა, ჯვრის დასმა, სცოდნიათ სასაზღვრო ხეებზეც, სადაც ეს შესაძლებელი იყო[206]. ამ ისტორიულ მონაცემებს შეიძლება დავუკავშიროთ კავკასიის მთიელთა ყოფაში დამოწმებული ხეების დაჯვარვის თუ თარჯდასმის ფაქტები. მართალია ხეებზე გარკვეული ნიშნების

---

[203] ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, ახობა აჭარაში, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1967, გვ. 55.

[204] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 14.

[205] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, „ჯელი“, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 141 და შემდ.

[206] იქვე, გვ. 154.

დასმა ხდებოდა საახოედ შერჩეული ადგილის დასაკუთრების მიზნით. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ამ პროცესის პირველი ეტაპი. ხეებზე ჯვრის დასმა ჯერ კიდევ არ იძლეოდა მიწის დასაკუთრების სრულ უფლებას. შემდეგში იქ გაწეული შრომა და მასში სამეურნეო ნაგებობების ჩადგმა—თარჯდასმულის ნახელავად გადაქცევა[207]. ახოს ოჯახის უფლებებში ანმტკიცებდა, შრომის შედეგად ხდებოდა მიწაზე ხელის დადება ანუ დაპატრონება.

მიჩნეულია, რომ ბუნების პროდუქტებით ხანგრძლივი დროით სარგებლობა ნიშნავს მის მფლობელობას. ასეთი ხასიათი ჰქონდა მიწის მითვისებას კაპიტალიზმის წინა ფორმაციებში, მაგრამ როდესაც სარგებლობასა და მფლობელობასთან ერთად გვაქვს წარმოება, გაცვლის სახით ამ პროდუქტების გასხვისება, ეს უკვე ნიშნავს მათ სრულ საკუთრებას[208]. მემკვიდრეობის ინსტიტუტი, წერს ვ. ლენინი, უკვე კერძო საკუთრებას გულისხმობს, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის წარმოებასთან ერთად ჩნდება, მას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი შრომის უკვე დაწყებული სპეციალიზაცია და ბაზარზე პროდუქტების გასხვისება. და იქვე მიუთითებს, რომ კერძო საკუთრებაც და მემკვიდრეობაც ისეთი საზოგადოებრივი წყობილების კატეგორიებია, როცა უკვე შეიქმნა განკერძოებული, წვრილი (მონოგენური) ოჯახები და გაცვლა-გამოცვლამ იწყო განვითარება. ასეთი წვრილი, პატარა ოჯახები კი ბურჟუაზიული საზოგადოების ნაყოფია, დაქუცმაცებული წვრილი ოჯახები მხოლოდ ბურჟუაზიული რეჟიმის დროს გაბატონდნენ[209].

ამგვარად, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში, ეთნოგრაფიული მასალებისათვის ხელმისაწვდომ პერიოდში, სახნავი ნაკვეთების ძირითადი ფონდის საოჯახო საკუთრებაში არსებობა, სათიბების მფლობელობისა და თიბვის დროს შრომის ორგანიზაციის მრავალფეროვნება და ბოლოს, საძოვრების როლი სოფელთა გაერთიანების საქმეში, მიუთითებენ აქ ძველთაგან გაბატონებულ კერძო საკუთრებასთან ერთად თემური მიწათმფლობელობისა და სარგებლობის გადმონაშთური ფორმების სპორადულ არსებობაზე. თუმცა თემური მიწათსარგებლობის ზემოაღნიშნული ფორმები

---

[207] ნ. ჩიჯავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

[208] М. Колганов, Собственность, М., 1962, с. 5.

[209] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. I, თბ., 1948, გვ. 168.

რეფორმის პერიოდისათვის იმყოფებოდა თავის უკანასკნელ სტადიაში[210].

ჩვენ უკვე შევეხეთ საკუთრების ნიშნებს, რომელიც უკეთდებოდა თავის ძირებს საერთო ფართობებზე. აღნიშნული იყო ის გარემოებაც, რომ გარკვეული ნიშნების დასმით ხდებოდა ტყეში საახოე ადგილის დაკავება. ეს იყო საზოგადოებრივ მფლობელობაში მყოფი ადგილის მითვისების პირველი ეტაპი, რომელიც შემდგომ მტკიცდებოდა მასში სათანადო შრომის დახარჯვითა და სამეურნეო ნაგებობების ჩადგმით. ეს ნიშნები საოჯახო საკუთრების მაჩვენებელი იყო და გენეტიკურად უკავშირდება საქონლის ყურზე დადებულ ნიშნებს, ს ე რ ე ბ ს. მაგრამ მოწმდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საკუთრების ნიშანს ფლობდა არა მარტო ოჯახი, არამედ ნათესაობის უფრო ფართო ჯგუფი. მაგალითად, სვანეთში თითოეულ სამხუებს და ზოგჯერ სამხუების ცალკეულ ნათესაურ გაერთიანებასაც — ძ ი რ ი შ მ ე ხ უ ბ ა რ ა რ ს თავისი ნიშანი—დ ა ღ ა რ ჰქონდა ხეზე. სვანეთშიც ეს ნიშნები მიჩნეულია საოჯახო საკუთრების აღმნიშვნელ ნიშნებად და მასთან დაკავშირებით გამოტანილია დასკვნა, რომ დ ა ღ, როგორც სამხუების საკუთრების გამომხატველი ნიშანი ხეზე, დღესაც შენარჩუნებულია, ხოლო ამასთან ერთად ჩნდება ოჯახის საკუთრების აღმნიშვნელი ნიშანი საქონელზე ე. წ. ხ ვ ნ წ ბ რ ა, რაც შესაძლებელია ადრე სამხუებისა და მათი განშტოებების ნიშანი იყო[211].

ცხადია, საქონელი ოჯახის საერთო ქონებას წარმოადგენდა და მისი სეგმენტაციისთანავე განაწილების საგანი ხდებოდა. ცალკეულ შემთხვევებში ისეთ გარემოებასაც ჰქონდა ადგილი, როდესაც საქონელი გაყოფის შემდეგაც კვლავ ერთ სადგომში განაგრძობდა არსებობას, ხოლო მის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები კოლექტიურ პრინციპებს ემყარებოდა. ამ ვითარებაში ერთხელ გაყოფილი საქონელი კვლავ ინარჩუნებდა ერთიანობის ნიშნებს, ფაქტიურად, მათ მხოლოდ სერი განასხვავებდა ერთმანეთისაგან.

ს ე რ ი (ოს. გ ა ქ, ჩაჩ.-ინგ. ჰ ო ს თ//ფ ო ს თ) იყო ცხვრის (და ზოგჯერ მსხვილფეხა საქონლის) ყურზე დადებული ნიშანი, რომლის საშუალებითაც მეცხვარეები თავიანთ ცხვარს გამოარ-

---

210 Р. Х а р а д з е, Некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей, КЭС, II, Тб., 1968, с. 185.

211 რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში. ტფ., 1939, გვ. 23.

ჩევდნენ სხვისაგან. საქონელზე დაღისა თუ სერის დადების წესი კავკასიის ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული და მას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალა[212] მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სერი პირველ რიგში ოჯახის საკუთრების მაჩვენებელი ნიშანი იყო. ოჯახის დაშლის შემდეგ ახლად გამოყოფილი ოჯახები თავის კუთვნილ საქონელს ახალ ნიშანს უკეთებდნენ და ერთმანეთისაგან ამით განასხვავებდნენ. მაგრამ თუ დავაკვირდებით ოჯახის სეგმენტაციასთან ერთად მისი მემკვიდრეობისა და თანდათანობით ცვალებადობის პროცესს, ადვილად შევამჩნევთ, რომ სერის ყველა ნიშანი მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე და ის ყოველთვის უცვლელად რჩებოდა ერთ-ერთ მოწილეს. საერთო წესის მიხედვით, თუ ძმები მამის სიცოცხლეში იყრებოდნენ, მაშინ სერი მამის კუთვნილებას წარმოადგენდა, რომლის სიკვდილის შემდეგ ის მექანიკურად გადადიოდა უმცროს შვილზე, რადგან მშობლები უმცროს შვილთან რჩებოდნენ საცხოვრებლად, უფროსები კი ოჯახიდან გადიოდნენ და თავიანთ საქონელს ახალ ნიშანს უკეთებდნენ. მაგრამ თუ ოჯახის გაყრის მომენტში მოწილეების უფროსი თაობა ცოცხლები აღარ იყვნენ, რაც ძველი ყოფისათვის უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, მაშინ სერი მემკვიდრეობით რჩებოდა ხნით უფროს მოწილეს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ოჯახის უფროსიც იყო და ძველ მამისეულ კერაზე განაგრძობდა ცხოვრებას.

შეინიშნება კიდევ ერთი გარემოება: ოჯახის გაყრის დროს სერი მემკვიდრეობით რჩებოდა არა ერთს, არამედ ყველა მოწილეს, მაგრამ მას უცვლელი სახით ღებულობდა მხოლოდ ერთი, უმეტესად უფროსი, დანარჩენები კი ძველ სერს ახალს, განმასხვავებელ ნიშანს უმატებდნენ. უფრო სწორად, ერთ ყურზე არსებულ ნიშანს ყველა უცვლელად ღებულობდა, ის ოჯახის სეგმენტაციის დროს არ იცვლებოდა და მთელი შთამომავლობის საერთო რელიქვიად იქცეოდა, მეორე ყურზე არსებულ ნიშანს კი ყველა ცვლიდა გარდა უფროსი მოწილისა. ამგვარად, ყოველი ახლად განაყარი ოჯახი გაყრის მომენტში შექმნილ საოჯახო საკუთრების

---

[212] კონკრეტულ მაგალითებს აქ აღარ შევეხებით, რადგან ის სრულადაა მოტანილი ჩვენს ადრე გამოცემულ ნაშრომებში—„საკუთრების ნიშნების საკითხისათვის მთიანგუშეთში", „მაცნე", 1968, № 6, გვ. 194; „Система скотоводства в горной Осетии", КЭС, V, ч. 3, Тб., 1980, с. 76.

ნიშანთან ერთად იცავდა ძველსაც, როგორც ტრადიციულს, მამაპაპისეულს და ამდენად ყველასთვის ძვირფას და ძნელად შესალევ სერს. ამის შედეგად, სერი, რომელიც ოდესღაც დიდი განუყოფელი ოჯახის საერთო საკუთრების მაჩვენებელი იყო, თანდათანობით ნათესაობის გარკვეული ჯგუფის საერთო სარგებლობაში ექცეოდა და ზოგჯერ ის მთელი გვარისთვისაც კი საერთო იყო. მართალია ეს ნიშანი არავითარ ფუნქციას აღარ ასრულებდა, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის შემცველი სწორედ ის არის, რომ სერმა, რომელიც წარსულში საქონლის საერთო საკუთრების მაჩვენებელი შეიძლებოდა ყოფილიყო, XIX ს. ბოლომდე გადმონაშთის სახით შემოინახა თავი.

ამგვარად, სერი უცვლელი სახით მემკვიდრეობით თაობიდან თაობაზე გადადიოდა მხოლოდ ერთი ხაზით, დანარჩენ, ახლად გამოყოფილ ოჯახებს მასში გარკვეული კორექტივები შეჰქონდათ. მიუხედავად ამ კორექტივებისა, მაინც შეინიშნება ისეთი ელემენტი, რომელიც საერთო იყო ყველა ერთი კერიდან განაყარი ოჯახისათვის. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გარკვეულ სოციალურ ერთეულს, პატრონიმიას დავაკვირდეთ მის საწყის ეტაპზე, თვალი გავადევნოთ მისი ზრდისა და განვითარების პროცესს. ცხადია, ჩვენ აქ საქმე არა გვაქვს საქონლის საერთო პატრონიმიული საკუთრების არსებობასთან, მაგრამ საკუთრების ნიშნის ის ერთი ელემენტი, რომელიც საერთო იყო პატრონიმიაში შემავალი ოჯახებისათვის, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ სოციალური ერთეულის მთლიანობას, რაც გარკვეული სახით გამოხატულებას პოულობდა მის ტერიტორიულ ერთიანობაში, მატერიალური კულტურის ძეგლებში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში და ა. შ.

რაც შეეხება სერის მემკვიდრეობის საკითხს, უფროს ძმას აკუთვნებდნენ თუ უმცროსს, ძველი სერი უნდა დარჩენილიყო იქ, სადაც შეიქმნა, მამაპაპისეულ კერაზე უნდა განეგრძო მას არსებობა. ცხადია, აღნიშნული ტრადიციული ნორმები ხშირად ირღვეოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო სერის კენჭისყრით განაწილების წესი. ამასთან, დროთა განმავლობაში პატრონიმიული საკუთრების მაჩვენებელი ის ერთი ელემენტიც იკარგებოდა და მოქმედებაში რჩებოდა ახლად შექმნილი საოჯახო საკუთრების მაჩვენებელი ნიშანი. ეს ბუნებრივიცაა, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, ღრმავდება კერძომესაკუთრული ტენდენციები, იშლება დიდი ოჯახები, იცვლება შრომის ორ-

განიზაციის ფორმები, პატრონიმია, როგორც გარკვეული სოციალური ერთეული, კარგავს თავის ძირითად ნიშნებს, დეფორმაციას განიცდის სერის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ის მწყობრი თანმიმდევრობა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ცხენსა და კამეჩზე საკუთრების ნიშნებად მიღებული იყო დ ა ღ-ის დასმა გახურებული შანთით ან საბეჭდავით. დამღის ნიშნებად გამოიყენებოდა ჯვრის, წერტილის, სწორი ხაზის და სხვა სახის გამოსახულებები. ზოგჯერ დამღის ნიშნებად იყენებდნენ ცხენის მფლობელის გვარის პირველ ერთ. ან რამოდენიმე ასოს. როგორც ნ. ხარუზინი აღნიშნავს, ჩაჩნეთს და ინგუშებს ცხენზე დაღის დასმა ყაბარდოელებისგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. მისივე დაკვირვებით, XIX ს. 80-იანი წლებისათვის ყველა ოჯახი არ ხმარობდა დამღას, ხოლო ზოგი ახლად იწყებდა მის გამოყენებას. თუ მამა აირჩევდა რომელიმე დამღას, ის აუცილებლად უნდა მიეღო ყველა მის მემკვიდრეს, ოჯახის გაყრის შემდეგ ეს ნიშანი უცვლელად გადადიოდა მამიდან შვილზე. იმ შემთხვევაში თუ მამას დამღა არ ჰქონდა, შვილს შეეძლო ამოერჩია ნებისმიერი ნიშანი, რომელსაც უცვლელად ღებულობდა ყველა მისი მემკვიდრე, მაგრამ აუცილებელი არ იყო ის მიეღო ამ პიროვნების მამას და ძმებს[213]. საფიქრებელია, რომ ცხენის დამღა ამ შემთხვევაში უკვე პატრონიმიული საკუთრების სახეს ღებულობს. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე ჩერქეზებში ცხენის დამღას დამწერლობის ნიშნებად, იეროგლიფებად მიიჩნევს და იქვე შენიშვნაში მიუთითებს, რომ დამღები გვაროვნული წარმოშობისაა[214].

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების, კერძოდ, ბაშკირების მაგალითზე დადასტურებულია, რომ საკუთრების ნიშნები—დამღები მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის სოციალურ და ქონებრივ ურთიერთობასთან. მამის ქონების მთავარი მემკვიდრე იყო უფროსი შვილი და მამის დამღასაც იგი უცვლელად ღებულობდა, უმცროსებს კი მასში განმასხვავებელი დეტალები შეჰქონდათ. ამდენად, დამღების შესწავლის საფუძველზე ადგენენ ბაშკირებში

---

[213] Н. Н. Харузин, Заметки о юридическом быте чеченцев и ингушей. Сборник материалов по этнографии, изд. при Дашк. этногр. муз., 1888, № 3, с. 113.

[214] Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, т. I, Сухуми, 1937, с. 57, 168.

ნათესაურ კავშირებს XIX ს. და XX ს. დასაწყისში[213]. როგორც ცნობილია, ფ. ენგელსი საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე მესაქონლეობას, მის სამეურნეო დარგად ჩასახვასა და განვითარებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოების განვითარების საქმეში[216]. საქონლის ჯოგების სახით შექმნილ ახალ სიმდიდრესთან და მწყემსურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთი ძირეული ძვრები, როგორიცაა პატრიარქალური ოჯახის წარმოშობა, კერძო საკუთრებისა და მონოგამიის განმტკიცება[217]. მაგრამ ისმება კითხვა, ვის ეკუთვნოდა ახალი სიმდიდრე? ფ. ენგელსის სიტყვით, რამდენადაც ცხოველთა მოშინაურება მიეკუთვნება საოჯახო-გვაროვნულ ურთიერთობაში მატრიარქალური ფორმების ბატონობის ხანას, როდესაც საკუთრების გვაროვნული ფორმები იყო გაბატონებული, საქონელიც მთელი გვარის საკუთრებაში იყო მოქცეული და შემდეგ გადავიდა ის ცალკე ოჯახების საკუთრებაში[218].

მას შემდეგ, რაც საქონლის ჯოგები საბოლოოდ ოჯახთა მფლობელობაში გადავიდა, მან საცვლელი ღირებულება მიიღო და ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდა. საქონელი დიდი სისწრაფით მრავლდებოდა და მისი მოვლა-პატრონობა სულ უფრო რთულდებოდა. სწორედ ამიტომ დაიწყეს იმ დროს სამხედრო ტყვეების შრომის გამოყენება. როგორც ცნობილია, ადამიანის ცხოვრებაში შექმნილმა ახალმა ვითარებამ შეარყია წყვილად ცოლქმრობაზე და დედისუფლებიან გვარზე დამყარებული საზოგადოება. ოჯახში, რომელიც წყვილად ცოლქმრობაზე იყო დამყარებული, და რომელშიაც დედის უფლებები ბატონობდა, ქალს ოჯახის ავეჯეულობა და ჭურჭელი ეკუთვნოდა, კაცს კი საკვების მოსაპოვებლად საჭირო იარაღები. ამიტომ, რამდენადაც მესაქონლეობა მონადირეობის საფუძველზე განვითარდა და ის მამაკაცის შრომის შედეგად იქნა მოპოვებული, საქონელიც მის საკუთრებას შეადგენდა. მამაკაცი გახდა ჯერ საქონლის, ხოლო შემდეგ ახალი შრომის იარაღის — მონების მესაკუთრეც[219]. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში მეჯოგის შეი-

---

[215] Ю. Симченко, Тамги народов Сибири XVII века, М., 1965, с. 13.

[216] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978, გვ. 22.

[217] იქვე, გვ. 55.

[218] იქვე.

[219] იქვე, გვ. 53.

ლებს მამის მემკვიდრეობის მიღების უფლება არ ჰქონდათ, ქონება უნდა დარჩენილიყო გარდაცვლილის გვარში, მაშინ როდესაც შვილები დედის გვარს ეკუთვნოდნენ. ოჯახის სიმდიდრის ზრდა, ერთი მხრივ, მამაკაცს გაბატონებულ მდგომარეობას ანიჭებდა, ხოლო მეორე მხრივ, იმ მისწრაფებას ქმნიდა, რომ მისი მემკვიდრეობის ტრადიციული წესები შვილების სასარგებლოდ შეცვლილიყო[220].

საქონელსა თუ სხვადასხვა საოჯახო ნივთებზე საკუთრების ნიშნების დასმა დამოწმებულია განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებშიც და ამ ფაქტს მკვლევარებმაც სათანადოდ მიაქციეს ყურადღება[221]. ეს მასალა, თავის მხრივ, უაღრესად საინტერესოა საკუთრების ფორმათა ევოლუციის შესწავლის თვალსაზრისით და არა როგორც პარალელური მასალა.

საერთოდ კი სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია დებულება, რომ დამღები ვითარდებოდნენ საერთო გვაროვნული ნიშნებიდან საკუთრების ინდივიდუალურ ნიშნებამდე. ამ დამღებს შორის ყველაზე ადრინდელად მიჩნეულია გვაროვნული დამღა. გვაროვნული დამღები გამოიყენებოდა გვარის ყველა წევრის მიერ. მათ გვერდით მოქმედებდნენ პირადი დამღებიც, რომლებიც შესაძლებელია რამდენადმე გვიან წარმოიშვნენ. თუ გვაროვნული დამღა გვარის საერთო საკუთრების მაჩვენებელი იყო, პირადი ნიშნები პირად საკუთრებაზე მიუთითებდნენ. გვაროვნული დამღა ედებოდა ისეთ საგნებს, რომლებიც გვარის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. საერთო გვაროვნული საკუთრების ბატონობა არ გამორიცხავდა გვარის შიგნით პირად საკუთრებას, რის მაჩვენებლადაც ამ საგნებს საკუთრების პირად ნიშნებს ადებდნენ[222]. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პროცესში გვაროვნული ნიშნების ფუნქცია მცირდებოდა და პირადი ნიშნების ფუნქცია იზრდებოდა, ისევე როგორც ეცემოდა საერთო გვაროვნული საკუთრების როლი და იზრდებოდა საოჯახო საკუთრების მნიშვნელობა[223].

---

[220] იქვე, გვ. 54.

[221] А. Першиц, Общественный строй туарегов Сахары в XIX в. Разложение родового строя и формирование классового общества, М., 1968, с. 328; Л. Фаинберг, Общественный строй эскимосов и алеутов, М., 1964, с. 89—126.

[222] Ю. Симченко, Тамги народов Сибири XVII веке, М., 1965, с. 4.

[223] იქვე.

საკუთრების პირადი ნიშნები საწყისს ღებულობენ ოჯახის ერთ-ერთი რომელიმე წინაპრისაგან. ეს ნიშნები უცვლელად გადადიოდა ერთ-ერთ მემკვიდრეზე, ხოლო დანარჩენი მემკვიდრეები მათ რამდენადმე ცვლიდნენ. ყოველივე ამის წყალობით შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ ოჯახის დაყოფის პროცესს, რომლიდანაც შედგებოდა თვითონ გვარი. დამღების შემდგომი ევოლუციის შედეგად თანდათანობით ხდებოდა საკუთრების საოჯახო ნიშნების მიერ გვაროვნულის გამოდევნა, ხოლო ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში ის სხვადასხვანაირად ხდებოდა. გვაროვნული ურთიერთობის გადმონაშთები, განაგრძობს მკვლევარი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემოინახა და ეს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში სხვადასხვა ფორმებში გამოვლინდა. ეს გარემოება სათანადოდ აისახა გვაროვნული დამღების გამოყენებაშიც[224].

სპეციალურ ლიტერატურაში დაცული ცნობებისა და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საოჯახო საკუთრების აღმნიშვნელი ნიშნები შეიქმნა გვაროვნული წყობილების დაშლის საფუძველზე. საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე გამოიყენებოდა როგორც გვაროვნული ნიშნები, რომლებიც ედებოდა საერთო საგვარო საკუთრებაში დარჩენილ საგნებს, ისე კერძო საკუთრების აღმნიშვნელი ნიშნები. ამავე დროს, საზოგადოებრივი ურთიერთობისა და საკუთრების ფორმების განვითარების პროცესში გვაროვნული ნიშნების ფუნქცია მცირდებოდა, ხოლო კერძო საკუთრებისა იზრდებოდა. თანდათანობით, ოჯახის სეგმენტაციის შედეგად, ვღებულობთ, ერთი მხრივ, პატრონიმიული საკუთრების აღმნიშვნელ ნიშნებს, რომელიც ჩვენს დრომდე გადმონაშთის სახით შემოინახა, ხოლო მეორე მხრივ — საოჯახო საკუთრების აღმნიშვნელ ნიშნებს.

ცხადია, ცენტრალური კავკასიის მთიანეთში არ შეიძლება ლაპარაკი საქონლის საერთო პატრონიმიული საკუთრების არსებობაზე, პატრონიმიული საკუთრების მაჩვენებელი სერი XIX ს. მეორე ნახევარში არავითარ ფუნქციას აღარ ასრულებდა, მისი გამოყენებისა და მემკვიდრეობის ისეთი მწყობრი თანმიმდევრობა, რომელიც მთელ რიგ ეთნოგრაფიულ მასალებში გვხვდება, მხოლოდ ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენდა. საერთო პატრონიმიული სერის ფუნქციის მოშლამ განაპირობა ის გარემოება, რომ სერის მემკვიდრეობის ტრადიციული თანმიმდევრობა ხშირად ირღვეოდა. მრავლად გვხვდება ისეთი მაგალითები, როცა ეს

224 იქვე.

საერთოდ იყო ამოვარდნილი ხმარებიდან და მოქმედებაში რჩებოდა მხოლოდ ერთი ნიშახი, კერძოდ, ის, რომელიც ერთი ოჯახის საკუთრების მაჩვენებელი იყო. ცხადია, ამ უკანასკნელის ფუნქციები აღნიშნულ პერიოდში საკმაოდ მძლავრი იყო, რადგან საქონელი ოჯახის კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა და მისი სეგმენტაციის დროს პირველ რიგში განაწილების საგანი ხდებოდა. ამდენად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი საკუთრების ნიშნები—სერები, მათი კონკრეტულ გამოხატულებათა ცვალებადობის პროცესი, წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ჩვენს საკვლევ რეგიონში საკუთრების ფორმათა და ზოგი ძველი სოციალური ინსტიტუტის ევოლუციის შესწავლის საქმეში.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ალპურრი მესაქონლეობა და ცენტრალური კავკასიის მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურებები

როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ყველა კუთხეში გამოიყოფა სასოფლო-ტერიტორიული ერთეულები, მთაბარული სამეურნეო-კულტურული კომპლექსები, რომელიც ქმნიდა ერთ მთლიან სისტემას მეურნეობის ფორმებში, მატერიალური კულტურის ძეგლებში და, გარკვეული სახით, სოციალურ ურთიერთობაში. მეურნეობის ამ ფორმების შესწავლა ცხადყოფს მთისა და ბარის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის აუცილებლობას მისი შემდგომი წინსვლისა და განვითარების საქმეში. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებდა ისეთი პუნქტების გამოყოფას, რომელიც კონტროლსა და რეგულაციას უწევდა ამ ურთიერთობას, მთისა და ბარის სამეურნეო კომპლექსების ერთიანობას. მიუხედავად ამისა, მთა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისებურებებით, როგორც მეურნეობის ფორმებში, ისე სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ.

ჯერ კიდევ ნ. ხიზანიშვილი მიუთითებდა, რომ კერძო ბატონს მთის ხალხზე ხელი არ ჰქონდა, მათში იყო გამჯდარი თავისუფლების სიყვარული და ადვილად არავის აპატიებდნენ მის ხელყოფას[1]. მთაში, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, შეიძლება სამხედრო დემოკრატიამდე ამაღლდეს საზოგადოება, მაგრამ ამას ვერ ასცდება[2]. ის გარემოება, რომ სახელმწიფო მხოლოდ ბარში შეიძლებოდა შექმნილიყო და აქვე გაჩენილიყო ქალაქები, როგორც ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრები, გამოწვეული იყო სოციალურ ურთი-

---

[1] ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 128.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 641.

ერთობათა იმ დაწინაურებული მდგომარეობით, რაც მთისგან განსხვავებით, ბარში არსებობდა[3]. ამ საკითხზე შეიძლება მივუთითოთ გ. მელიქიშვილის ნაშრომი, რომელშიც XII ს. საქართველოში, სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ, ავტორი გამოყოფს სამ რეგიონს: ერთია ქართლი და მესხეთი (ტაოკლარჯეთი) — ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ ყველაზე დაწინაურებული კუთხე. მის გვერდით საქართველოს მთიანეთი ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური ან ადრეკლასობრივი წინაფეოდალური წყობილების პირობებში ცხოვრობდა. ამ ორ რეგიონს შორის საშუალო პოზიციაში იმყოფებოდა ისტორიული აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და კახეთი[4]. მომდევნო შრომებში გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა XIX ს. შუა ხანებშიც იდგა საზოგადოებრივი განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურზე. მათში ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული კლასობრივი ანტაგონიზმი და კერძო საკუთრების ინსტიტუტი. მწარმოებელ საზოგადოებას შენარჩუნებული ჰქონდა პირადი თავისუფლება და საწარმოო საშუალებებზე საკუთრება, ხშირად კოლექტიური, სათემო საკუთრების სახითაც კი. მართალია, მთური ფეოდალიზმის საფეხურზე მდგომ საზოგადოებებში გამოიყოფა პრივილეგირებული ფენები, მაგრამ ისინი არ გამხდარან საწარმოო საშუალებათა და მწარმოებელთა მესაკუთრენი; ხალხის ექსპლოატაცია სახელმწიფო და სათემო ინსტიტუტების ფართო გამოყენებით წარმოებდა. მიწაზე ჯერ კიდევ არ არსებობდა ფეოდალური საკუთრება და ამ ფაქტს თუ ჰქონდა ადგილი, იურიდიულად მაინც არ იყო გაფორმებული[5].

მიჩნეულია, რომ კავკასიის მთიანეთში საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეს თავისებურება განაპირობა მთიელთა ეკონომიკური ცხოვრების სპეციფიკამ. მთიელთა სუსტი ეკონომიკა ხელსაყრელ პირობებს არ ქმნიდა ზედმეტი პროდუქციის წარმოებისა

---

[3] იქვე, გვ. 328.

[4] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 105.

[5] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 165.

და მწარმოებელთა ექსპლოატაციის გაღრმავებისათვის. გარკვეული ჯგუფები მაღალი საფეხურებისაკენ გზას იკვლევდნენ მეზობელ ტომებზე დაცემისა და საქონლისა და ტყვეების მოტაცების გზით. სამხედრო ტყვეებში ისინი დიდძალ გამოსასყიდს ღებულობდნენ, ან მიწაზე ამკვიდრებდნენ და მათზე თავიანთ უფლებებს ავრცელებდნენ. ასეთი ქველმოქმედი „ძლიერი გვარები" ექსპლოატაციას უწევდნენ სხვა უფრო სუსტ გვარებს, რომელთაც დაცვა სჭირდებოდათ[6].

აღნიშნული გარემოება კარგად ჩანს მთაინგუშეთის ეთნოგრაფიულ მასალებში. XIX ს. II ნახევარში აქ დასტურდება ეკონომიკურად დიფერენცირებული საზოგადოება. ტეიპები, რომლებიც ამა თუ იმ სოფელში ყველაზე ადრე მივიდნენ და დაესახლნენ, თავიანთ უფლებებს ავრცელებდნენ მიწების დიდ ნაწილზე, გამოირჩეოდნენ მრავალრიცხოვნებით და ჰყავდათ სხვაზე მეტი საქონელი. მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია აისახება მატერიალური კულტურის ძეგლებშიც. როგორც ირკვევა, აქ დასრულებულ პირამიდულსახურავიან კოშკებს მხოლოდ მრავალრიცხოვანი და ეკონომიკურად მძლავრი ტეიპები აგებდნენ და მის მშენებლობაში ტეიპას ყველა წევრი მონაწილეობდა. სუსტი ტეიპები აგებდნენ მხოლოდ დაუსრულებელ კოშკებს — პირამიდული სახურავის გარეშე ან მარტო ციხესახლით კმაყოფილდებოდნენ. და ბოლოს, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ციხესახლის აშენებაც არ შეეძლოთ. ინგუშურ კოშკს მარტო თავდაცვითი მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ ტეიპის ერთიანობისა და ღირსების გამოხატულებასაც წარმოადგენდა. კოშკის მშენებლობა იწყებოდა მაშინ, როდესაც ოჯახი გარდაიქმნებოდა მძლავრ ნათესაურ ორგანიზაციად, ასეთი დიდი მშენებლობისათვის იქნებოდა მომზადებული ეკონომიკურად და მუშახელით. თუ ამ დროს სოფელში სხვა ტეიპებს უკვე ჰქონდათ კოშკები, სოფელი ახალმშენებლობის უფლებას იძლეოდა გარკვეული გარანტიით—მშენებლობა დამთავრებულიყო ერთ წელიწადში. თუ ეს პირობა ვერ შესრულდებოდა, კოშკი სამუდამოდ რჩებოდა დაუსრულებელი, რაც მისი მფლობელი ტეიპის არასრულფასოვნების მაჩვენებელი ხდებოდა. ამასთან, იყვნენ ტეიპები, რომელთაც არამცთუ ეკონომიკური შესაძლებლობა, კოშკის მშენებლობის უფლებაც არ ჰქონდათ. ეს შეზღუდვა პირველ რიგში ვრცელდებოდა ე. წ. მოსულ ტეიპებზე, რომლებიც იძულებული იყვ-

---

[6] იქვე, გვ. 168.

ნენ სხვა უფრო ძლიერ ტეიპას მიკედლებოდნენ და, ცხადია, მათზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ[7]. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მთაინგუშეთის ციხე-კოშკები ასახავს სოფლის თემის რღვევის პროცესს. რაც შეეხება სოციალურ ტერმინოლოგიას — ოზდის (ყველაზე ძლიერ ტეიპას) საპირისპიროდ, ლეში ნაგულისხმევია საზოგადოების ყველაზე დაბალი, სხვაზე დამოკიდებული ფენის წარმომადგენლები, რომლებიც შეიქმნენ როგორც უცხო ტომის პირთა დატყვევების, ისე ადგილობრივთა დაყმევების გზით[8]. ამდენად, საზოგადოებრივი ყოფა მიდიოდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით, თუმცა მას ბოლომდე არ მიეღია სრულყოფილი, ჩამოყალიბებული სახე. დაწინაურებული ფენები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყოფილი თავისუფალი მეთემეებიდან, მათი უფლებები არ იყო იურიდიულად ფიქსირებული. ეს უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მთხრობლები და ხშირად წყაროებიც მიუთითებენ ინგუშეთში ხალხის თანაბარუფლებიანობაზე.

როგორც რ. ლეონტოვიჩი შენიშნავს, ოსეთში არ არსებობდა ხალხის დაყოფა წოდებრივ ფენებად, აქ ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობდა. მართალია გამოიყოფოდნენ ისეთებიც, რომლებიც თავს ძველი თავადური წარმომავლობისად თვლიდნენ და ხალხშიც ერთგვარი პატივისცემით სარგებლობდნენ, მაგრამ მათ მოწიწებით ეკიდებოდნენ არა განსაკუთრებული წარმომავლობისათვის, არამედ ძლიერების გამო. მათ არ ჰქონდათ არავითარი ხელისუფლება და ეწეოდნენ იგივე საქმიანობას, რასაც მოსახლეობის დანარჩენი ფენები[9]. ამიტომ იყო, რომ ოსეთის ყველა კუთხეში, რევოლუციამდეც კი, ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმე გვარდებოდა სოფლის მოედანზე — ნიხასზე, სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადაც უპირატესობით ხნით უფროსები სარგებლობდნენ[10].

სპეციალური ლიტერატურისა[11] და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დგინდება, რომ ოსეთში—ქურთათისა და ალაგირის ხეობებში აქტიურად მიმდინარეობდა სოციალური დიფერენციაციის

---

[7] А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей..., с. 69.

[8] Р. Харадзе, А. Робакидзе, Характер сословных отношении в горной Ингушетии, КЭС, II, Тб., 1968, с. 163.

[9] Р. Леонтович, Адаты кавказских горцев, вып. II, Одесса, 1883, I.

[10] Н. Бердзенов, Из записок об Осетии, «Кавказ», 1852, № 67.

პროცესი, გამოიყოფოდა პრივილეგირებული ფენები—თ ხ ჩ ი ნ მ ი გ ა გ//ს ტ ი რ მ ი გ ა გ, რაც ზუსტად ნიშნავს ძლიერ გვარს, დიდ გვარს. ასეთი ყოფილა, მაგ., ბიგულოვი (სოფ. ცმი). ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, ეს გვარი ეპონიმის სახელს ატარებს, მათი შორეული წინაპრიდან ბიგულადან მომდინარეობს და ბერძნული წარმომავლობისაა. ისინი პირველნი დამკვიდრებულან ცმიაქომში და მის ფართობებზე თავისი უფლებები გაუვრცელებიათ. შემდეგ ამ ხეობის სიღრმეში ბიგულოვების ნებართვით ესახლება ხურუმოვი, რომელიც მანამდე ბიგულოვებთან მწყემსად მუშაობდა. ამის საფუძველზე ხეობაში ჩნდება ახალი დასახლებული ერთეული სოფ. თობორზა. როგორც ვეედავთ, აქ ერთმანეთის გვედრით დგას ძლიერი და სუსტი გვარი, მაგრამ საკითხავია, ექსპლოატაციის ეს ფორმა არის იმ რანგში აყვანილი, რომ ვილაპარაკოთ ფეოდალურ ურთიერთობაზე? ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ფეოდალური წყობის საწყისი ეტაპია. მართალია ხურუმოვი ბიგულოვთან დამოკიდებულ მდგომარეობაშია, ემსახურება როგორც მწყემსი, მაგრამ შემდგომ თავისუფლდება ამ მდგომარეობისაგან, იჩენს საკუთარ მეურნეობას დ ისეთივე საზოგადოებრივი უფლებებით სარგებლობს, როგორც ბიგულოვი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გვარს უცხო პირის მიღებისა და მისთვის სამოსახლო ადგილის გამოსაყოფად სოფლის დასტური სჭირდებოდა.

სოფ. ლაცში ყველაზე დიდი, მრავალრიცხოვანი გვარები იყო ღულაევი და თებიევი. ამ გვარებს სოფელში ჰქონდათ რამოდენიმე კოშკი. სოფ. კადათში თავდაპირველად კულოვები დამკვიდრებულან და დიდძალი ადგილიც მათ სარგებლობაში იმყოფებოდა. მათ ზედა უბანში, სოფლის განაპირას აუგიათ ორი კოშკი სოფლის დასაცავად. კოშკი ჰქონდათ ქვედა უბანშიც, მთხრობლის გადმოცემით, ეს უკანასკნელი კულოვებს აუგიათ არა თავდაცვის მიზნით, არამედ საპატიოდ, გვარის ძლიერების მაჩვენებლად. როგორც ვხედავთ, კოშკი აქაც არის გვარის ძლიერების მატერიალური გამოხატულება. დიფერენცირებული საზოგადოება აისახება საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსებშიც, მაგრამ ყოველივე ეს ვერ თავსდება სოციალური იერარქიის ჩარჩოებში, შეუძლებელია მათი ამა თუ იმ ფენაზე მიკუთვნება. როგორც ალ. რობაქიძე აღნიშნავს,

---

[11] Б. Калоев, Осетины, М., 1967, с. 160; А. Магометов, Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 403; его же, Общественный строй и быт осетин (XVII—XIX вв.), Орджоникидзе, 1974, с. 86.

ეს კომპლექსები მიუთითებენ მათი ჩამოყალიბების პროცესში სამხედრო არისტოკრატიული წყობის არსებობაზე, რომლის ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა უცხოელთა ან თანატომელთა დატყვევება მოსახლეობის იმ ჯგუფის მიერ, რომელიც კლასობრივი დაწინაურების გზაზე იყო შემდგარი[12], მაგრამ ეს პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა.

განსხვავებით ქურთათისა და ალაგირის ხეობებისაგან, ფეოდალიზმი მნიშვნელოვნად განვითარდა დიგორსა და თაგაურში, რაც საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული ოსეთის აღნიშნული კუთხეების მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს ისეთ ფეოდალურ სახელმწიფოებთან, როგორიც იყო საქართველო და ყაბარდო[13]. ეთნოგრაფიული მასალა დიგორში გამოყოფს ორ ძირითად სოციალურ ფენას: ფეოდალთა კლასს ბ ა დ ე ლ ი ა ტ ე ბ ს და დაბალ ფენას ე. წ. შავ ხალხს—ს ა უ ა დ ა ნ. ამათგან გამოყოფილია დამოკიდებული ფენის რამდენიმე კატეგორია—ყ უ მ ა ი ა გ ე ბ ი (ირონულად ქავდასარდი), ქ ო ს ა გ ე ბ ი (შინა მოსამსახურე, მონა). საკმარისია ნახო სოფ. მახჩესკში აბესალოვების თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსი, რომ დარწმუნდე მათ ძლიერებაში. ეს კომპლექსი სოფლის ძირითადი დასახლებიდანაც განცალკევებულია, გაშლილია ბორცვზე და ზემოდან დაჰყურებს სოფელს, მთელ ხეობას, კონტროლს უწევს მის ყოველ პუნქტს. აბესალოვების ხელში იყო მოქცეული სასოფლო-სამეურნეო ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი და ექსპლოატაციას უწევდნენ სოფლის მოსახლეობას. საშიშროების შემთხვევაში აბესალოვების კოშკზე დანთებული ცეცხლი ნიშანს აძლევდა დონიფარსში კანუკოვების კოშკს და აკაცში ტუგანოვების კოშკს, ეს უკანასკნელი—ფასნალში ქუბატოვების კოშკს და ა. შ. საყურადღებოა, რომ კანუკოვები ბადელიატები არ ყოფილან, მაგრამ მათ ტოლს არ უდებდნენ.

მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა მეტყველებს დიგორში ფეოდალური იერარქიის შორსწასულ პროცესზე. ეს აისახება სოციალურ ტერმინოლოგიაში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში საცხოვრებელ და თავდაცვით ნაგებობათა კომპლექსებში. მაგრამ განვითარების რა დონეს მიაღწია აქ საზოგადოებრივმა ურთიერ-

---

[12] А. Робакидзе, Г. Гегечкори, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.
[13] А. Магометов, Общественный строй и быт осетин..., с. 88.

ობამ? ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, ჩვენც ვისარგებლებთ ამით და მივუთითებთ ერთ-ერთ მათგანს, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლთა სოციალური ბუნების შესწავლის შედეგად ალ. რობაქიძე ასკვნის, რომ აღნიშნულ მატერიალური კულტურის ძეგლთა ფორმირების პროცესში მიღწეულ იქნა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გარკვეული დონე, მაგრამ სამხედრო არისტოკრატიული წყობილების აქტიური მოქმედების პირობებში ის მერყეობდა ადრეფეოდალურ (ქურთათა) და განვითარებულ (დიგორა) ფორმებს შორის[14].

რამდენადმე თავისებური მდგომარეობა იყო საქართველოში; ვინაიდან აქ მოქმედებდა სახელმწიფო კანონები, საზოგადოებრივ ურთიერთობას სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები აწესრიგებდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთიანეთმა უხვად შემოგვინახა პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთები. როგორც გ. მელიქიშვილი შენიშნავს, „ჩვენ აქ საქმე გვაქვს განვითარებული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში უფრო ჩამორჩენილი სოციალურ-ეკონომიკური წყობილების ავტონომიურ ფუნქციონირებასთან. მთის მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრეული ხანიდან ბარში არსებული პოლიტიკური წარმონაქმნების გავლენის სფეროში მოექცა და პოლიტიკურად მუდამ მათთან მჭიდრო ერთობაში იმყოფებოდა, მაინც შინაგან ცხოვრებაში ინარჩუნებდა ავტონომიურობას და სოციალურ-ეკონომიკური წყობილების თვალსაზრისით მკვეთრ განსხვავებას ავლენდა ბარის საზოგადოებასთან შედარებით“[15]. ამ განსხვავების ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი.

ერწო-თიანეთის ტერიტორიის ნაწილი სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა, ნაწილი—საეკლესიოს, მაგრამ მისი უმეტესი და საუკეთესო ფართობები თავად-აზნაურთა კუთვნილებაში იყო მოქცეული. რომ აღარაფერი ვთქვათ ეთნოგრაფიულ მასალაზე, XIX ს. კამერალური აღწერის მასალებში მითითებულია თავადები: ჩოლოყაშვილები, ჭავჭავაძეები, ყარალაშვილები, ტუსიშვილები, დავით მუხრანბატონი, შანშე და დავით ერისთავები და სხვ., რომელთა ხელშიც იყო ერწო-თიანეთის სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ აღწერილობებში მოსახლეობაც ასეთი კატეგორიით არის შესული: სახელმწიფო გლეხები, საბატონო ყმები და ხიზნე-

[14] А. Робакидзе, Г. Гегечкори, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

[15] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის. „მაცნე“, № 1, 1979, გვ. 19.

ბი[16]. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებულ ფეოდალურ ორგანიზაციასთან.

ერწო-თიანეთის ტერიტორიიდან ცალკე უნდა გამოვყოთ ივრის ხეობის სათავეები, არტნის საზოგადოება, სადაც ფეოდალიზმი ამ დონით არ იყო განვითარებული. მთხრობელთა გადმოცემით, თავად-აზნაურობას მასზე ხელი არ მიუწვდებოდა. ამ კუთხეში ფშავის ორი თემიდან (ჭიჩოელთ და საგაბიდოუროს) გადმოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობდა, სოფლების უმეტესობა ამჟამად დაცლილია და სახლები ნანგრევებადაა ქცეული. ხალხური მმართველობის სისტემა, გარკვეულ ნაწილში, თემური მმართველობის პრინციპებს ემყარებოდა. რაც შეეხება საზოგადოების განვითარებას, ის მიემართებოდა სოფლის თემის დაშლისა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით, მაგრამ ამ სოციალურ ძვრებს დიდი წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდა. თემი მთელი ძალით იბრძოდა თანაბარუფლებიანობის რღვევისა და რომელიმე მეთემის სოციალური აღზევების წინააღმდეგ. ამ მიმართებით საინტერესოა ჩვენ მიერ თაღლაურის ციხესთან დაკავშირებით ჩაწერილი გადმოცემა[17].

არტანში არის კოშკი, რომელსაც თან ახლავს საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსი, ამჟამად მისი ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ეს ნაგებობათა კომპლექსი ვინმე თაგვა თაღლაურს ეკუთვნოდა. მას თაღლაურის ციხეს უწოდებენ. გადმოცემით, თაღლაური ძალიან მდიდარი ყოფილა — „ცხვარ-ძროხიანი“, მის ციხესთან 3 კალო ყოფილა გამართული. როგორც ჩანს, თაღლაურს მოუნდომებია მთელ ივრის ხეობის სათავეებზე დაედო ხელი, გზა ჩაუკეტია და მასზე გამვლელს ბაჟს ახდევინებდა. ამგვარად, თაღლაური მძლავრდება ეკონომიკურად, იშენებს ციხეს, რაც მისი ღირსებისა და ძალის მატერიალური გამოხატულებაა. სწორედ ციხე-სიმაგრე ხდება იმის საფუძველი, რომ თაღლაური დგება ფეოდალური აღმავლობის გზაზე, სხვაზე ბატონდება, გზას თავისად აცხადებს და მასზე გასავლელ ბაჟს აწესებს. მაგრამ მას იურიდიულად ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული ყოველივე ამის უფლება. თემი დაუნდობლად ებრძვის თაღლაურს და ბოლოს უღებს მის აღმავლობას. ამ რიგის გადმოცემებთან დაკავშირებით

---

[16] სსცა, ფონდი 254, საქ. № 1947, 2042.

[17] ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ტოპონიმ „სოფლიონი“-ს საკითხისათვის ეთნოგრაფიული მასალების შუქზე. „მაცნე“, № 3, 1978, გვ. 78.

თ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ ისეთი ეკონომიკურად აღზევებული პიროვნებები, როგორიც იყვნენ თაგვა თაღლაური, სულა და კუ-ოდღელა (ჩარგალში) და სხვ., თემს უპირისპირდებიან, რითაც მეთემეთა გულისწყრომას იმსახურებენ. მეთემეთა მხრივ ამ რეაქციას ხშირად თან სდევდა პირველთა ფიზიკური განადგურება[18]. ცალკეულ პირთა ასეთ აღზევებას და ამით საქართველოს მთიანეთში ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებას, ხელს უწყობდა საქართველოს ბარში განმტკიცებული ფეოდალური წყობა[19]. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ეკონომიკურად აღზევებული თაღლაური იშენებს ციხეს. ციხე ხდება მისი ძლიერების მატერიალური გამოხატულება, რისი საშუალებითაც დგება ფეოდალიზმის გზაზეეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ციხე-კოშკი პირველყოველისა ფეოდალური კლასის ბატონობას ემსახურებოდა, იყო ამ კლასის ბატონობის იარაღი[20].

საქართველოს მთიანეთში კოშკის სოციალური ფუნქცია, მისი როლი საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის საქმეში, კარგად ჩანს თუშეთის ეთნოგრაფიულ მასალაში. ავიღოთ სოფ. დიკლოს მაგალითი. დიკლოს განაპირას, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდგარა ოთხი ციხე, რომელთაც ერთმანეთთან გალავანი კრავდა. ეს ციხეები სასოფლო იყო; შემდგომში, როდესაც მათ თავისი მნიშვნელობა დაკარგეს და, ალბათ, მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმაც მთის სოფელი მიატოვა, სოფელს ის დაუნგრევია და როგორც საერთო სასოფლო საკუთრება, ქვა კომლებზე გაუნაწილებიათ სამშენებლო მასალად. გარდა სასოფლოსი, ყოფილა საგვარეულო ციხეებიც. ციხეები ჰქონიათ ბექურიძეებს, ქურაძეებს, ქითიძეებს. ცხადია, აქაც ციხეებს აშენებდნენ ეკონომიკურად დაწინაურებული და ხალხმრავალი გვარები, ერთ-ერთი მთხრობელის გადმოცემით, ციხიან გვარებს თავიდანვე ჰქონდათ დაკავებული მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამოსახლო და სახნავი ფართობები. ქითიძეები წარმოშობით ქისტები ყოფილან, მათ წინაპარს ჩაჩნეთის სოფ. ტერელოში კაცი მოუკლავს, დიკლოში მოსულა და ქურაძეებს შეკედლებია. ქურაძეებს ის ერთ-ერთი, მარტოხელა ქურაძის ქალის ოჯახში ჩაუსიძებიათ და თავისი გვარი მიუციათ. ქურაძე მაშინ ძლიერი გვარი იყო, ჰქონდათ საკუთარი ციხე და ჩა-

---

[18] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 122.

[19] იქვე, გვ. 129.

[20] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 88.

სიძებული ქისტიც ყველა იმ სიკეთით და უფლებით სარგებლობდა, რაც ქურაძეებს გააჩნდათ. შემდგომში ქისტის შთამომავლობას თავისი წარმომავლობის შესაბამისად გვარიც გადაურქმევიათ და ამის შემდეგ იშენებენ საკუთარ ციხეს. ქურაძეებს ხარ-ქვაბით შეყრია ვინმე რუსი, გვარად კარტუშოვი. ამ უკანასკნელს ქურაძის გვარი მიუღია, ხოლო მისი ნამდვილი გვარი პატრონიმიულ სახელად შერჩენია. შემდგომში ამათაც დაიბრუნეს თავისი გვარი—კარტუშოვი; ქართულში კარტუში ქორთოშად, ხოლო გვარი ქორთოშიძედ გარდაიქმნა. გარდა აღნიშნულისა, ქურაძეებს ხარ-ქვაბით შემოუყრიათ ბეწუნაიძეები, შაადეები, ბათირიძეები, ვარდიძეები, ოსორაიძეები, ყველა ესენი თავის დროზე ქურაძეების საგვარეულოში ირიცხებოდნენ.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა ნათელს ხდის, თუ როგორ იზრდება გვარი, აფართოებს თავის რიგებს და რაზმავს მათ თავისი საგვარეულო კოშკის ირგვლივ, როგორ თანმიმდევრულად იკრებს ძალებს და უფლებებს. როგორც ჩანს, აბულის აუგია ციხე და შეუქმნია სოფელში ყველაზე ძლიერი საგვარეულო. არამცთუ გვარში, სოფელშიც აბულის სახელი ფრიად ავტორიტეტული ყოფილა. მიწების გადანაწილების დროს ქურაძეებს ვერავინ შეჰბედავდა: „თქვენი მიწები საერთო გადანაწილების სიაში უნდა შევიტანოთო“, შეიძლებოდა თხოვნით მიემართათ აბულისთვის—რაიმე დაეთმოთ სოფლის რომელიმე წევრის დასაკმაყოფილებლად. ცხადია, ყოველივე ამას წინ უსწრებდა საგვარეულოს ეკონომიკური აღზევება. აბულის სიკვდილის შემდეგ ქურაძეების საგვარეულოს სათავეში უდგება მისი ხარ-ქვაბით შემოყრილი, ძმად მიღებული ქორთოში. მას თავისი ძალით, შემართებით და სამშობლოსადმი ერთგულებით თანასოფლელთა სიყვარული დაუმსახურებია. მისი თავდადება ხალხს ლექსითაც კი შეუმკია, ამ ლექსის ერთ-ერთ სტროფში ნათქვამია: „დიკლოს აბულის ქორთოში ყამირობს ყანასავითა, მოსულსა მოძალადეებს აბრუნებს ნახირსავითა“. ერთ ხევსურულ ლექსში კი ვკითხულობთ: „აბულთ ქორთეშას დაღვნატრი გულდიდად დაჯდეს ჯარზედა“ და ა. შ[21]. ამ ლექსშიც ქურაძეების გვარის მეთაური, გარეშე მტრებთან შეუდრეკელი მებრძოლი და თუშეთში დიდად ავტორიტეტული პიროვნება აბულის ქორთოში კაიყმის ფარგლებს არ

---

[21] ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი აღ. ოჩიაურის მიერ, თბ., 1970, გვ. 46.

სცილდება. ქორთოშის სიკვდილის შემდეგ კი ქურაძეების საგვარეულო იშლება, საგვარეულოს თანდათანობით სცილდებიან ხარქვაბით შეკედლებული ჯგუფები, რის შედეგადაც მცირდება მათი რიგები და ძალას და გავლენას კარგავენ.

ამგვარად, ქურაძეების გვარი მტკიცედ დაადგა ფეოდალიზაციის გზას, მაგრამ ვერ მოასწრო ბოლომდე მისვლა. რაიმე საკითხის განხილვის დროს, მართალია, დაწინაურებული გვარის, მისი მეთაურის სიტყვას მეტი ანგარიში ეწეოდა, მაგრამ არა გადამწყვეტი. სოფელი არ თვლიდა სავალდებულოდ მათთვის ემუშავა ან რაიმე გადასახადი ეძლია. ამდენად, ეს გვარები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული თავისუფალ მეთემეთა რიგებიდან. არა მარტო დიკლოში, არამედ თუშეთში, და საერთოდ საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის მთელ რიგ კუთხეებში, ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა ფეოდალთა კლასი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების სოციალური განვითარება სწორედ ამ გზით მიემართებოდა. სოფლის თემის ასეთი სიმტკიცე გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მარქსის დებულებას თემის დუალისტური ბუნების შესახებ. ამ განსაზღვრებაში ხაზგასმულია მიწაზე კოლექტიური საკუთრების თანაარსებობა კერძო საკუთრებასთან; დუალიზმის არსებობა მიწაზე ფეოდალური საკუთრების პირობებში, და მიწაზე სახელმწიფო საკუთრების არსებობის პირობებშიც, სადაც მიწაზე სათემო მფლობელობა უპირისპირდება მეთემეთა კერძო საკუთრებას შრომის იარაღებსა და მუშა საქონელზე[22]. მოყვანილი დებულება სავსებით შეესატყვისება ქართულ-კავკასიურ მასალას. როგორც ცნობილია, კავკასიის მთიანეთის ეკონომიკური ცხოვრების სპეციფიკა არ ქმნიდა ფეოდალური ურთიერთობის სრულფასოვნად განვითარების საფუძველს. სწორედ ეს უსაფუძვლობა, თემის შიგნით დაწინაურებული ფენების სისუსტე და მოუმზადებლობა, შემდგარიყო ფეოდალიზაციის მაღალ საფეხურზე, ხდება ქურაძეების საგვარეულოს დაშლისა და თაღლაურის დაღუპვის მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების განვითარების დონე და თავისებურებები აისახება ტოპონიმიკაშიც. ივრის ხეობის სათავეებში დამოწმებული გვაქვს ტოპონიმები: სოფ. ს ო ფ ლ ი ო ნ ი, ს ო ფ ლ ი ო ნ ი ს მ თ ა და ს ო ფ ლ ი ო ნ ი ს ხ ე ვ ი. გიორგი ბრწყინვალის სამართლის მიხედვით, მთიულეთში სოფლიონი საზოგადო-

[22] К. М а р к с, Наброски ответа на письмо В. И. Засулича; К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с, Соч., изд. II, т. 91, с. 400.

[23] ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1967, გვ. 85.

ების დაბალი ფენებია[23]. როგორც ჩანს, ესაა საზოგადოების ძირითადი მასა, მდაბიონი, თავისუფალი მეთემეები, რომელთა შორისაც თემის ერთობლიობის და სოციალური უთანასწორობის პროცესი „ძეგლის დების“ პერიოდისათვის საკმაოდ შორს იყო წასული. სწორედ აქ შექმნილმა მდგომარეობამ დააყენა დღის წესრიგში აღნიშნული ძეგლის შექმნის აუცილებლობის საკითხი. ადგილობრივი მოხელეები ცდილობდნენ ძალით დაემკვიდრებინათ მთიულეთში ფეოდალური წესები, მთის მოსახლეობა კი ყოველნაირად ცდილობდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას[24]. ამდენად, მითითებულია სპეციალურ გამოკვლევაში, „ძეგლის დება“ შედგენილი იყო მხოლოდ მთიულეთისათვის, სადაც თემური წყობილების ნიშნები და ჩვევები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შემორჩა, და არ ეამოდგებოდა საქართველოს სოციალურად და კულტურულად დაწინაურებული სხვა კუთხეებისათვის[25]. ეს ლოკალური თავისებურებანი ერთსა და იმავე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში დიდხანს განაგრძობდა არსებობას. შემდგომშიც, XVIII ს. მეორე ნახევარში, საკანონმდებლო ძეგლები ცალ-ცალკე იქმნება არაგვის ხეობის მთისა და ბარის ნაწილებისათვის —„განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა“, სადაც ასახულია ის თავისებურებები საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაში, რაც ახასიათებდა მთასა და ბარს. ამჯერადაც მისი ძირითადი მიზანი იყო არაგვის ხეობის მთიანეთში თემური წყობილების ძლიერი გადმონაშთების დაძლევა და ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება. ამის გამო მისთვის დაწერილი კანონები არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო ბარზე და პირიქით, ბარის კანონებს ემოქმედა მთაში[26].

მიჩნეულია, რომ მ ს ო ფ ლ ი ო და მ დ ა ბ ი ო თავდაპირველად სოფლისა და დაბის მაცხოვრებელს ნიშნავდა, მაგრამ შემდეგ მათ შეიცვალეს მნიშვნელობა და, სოფლისა და დაბის მაცხოვრებლებთან ერთად, გულისხმობდნენ მათაც, ვინც დაბალ წოდებრივ ან საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნოდა[27]. XII ს. ძეგლში, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ვკითხულობთ: „ვამცნეთ ყოველსა

[24] იქვე, გვ. 15.

[25] იქვე, გვ. 22.

[26] ი. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 36, 48; რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი..., გვ. 21.

[27] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 71.

—დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, აზნაურსა და მდაბიორსა...“[28] როგორც ვხედავთ, მდაბიორი აქ არის საზოგადოების იურიდიულად ფორმირებული სოციალური კატეგორია, რომელიც აზნაურის შემდეგაა დასახელებული. იგივე გიორგი ბრწყინვალის სამართლის ერთ-ერთ მუხლში კი სოფლიონი მოხსენიებულია ჰ ე რ ო ვ ა ნ ი ს შემდეგ[29]. ჰეროვანის სისხლიც სოლიდურადაა შეფასებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის არ არის მიკუთვნებული „ცალკე იურიდიულ წყობათა რიგს“. ჰეროვანნი იყვნენ მხოლოდ მდაბიო ხალხისაგან, სოფლიონისაგან გამორჩეული პირები, სოფლის ან თემის თავკაცები[30]. მაგრამ ვინ იყვნენ სოფლიონი, ან საერთოდ, მისი სახით რა საზოგადოებრივ ფენასთან გვაქვს საქმე ივრის ხეობის სათავეებში? ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ლეონტი მროველის ცნობა, თუ როგორ გაემართა წმინდა ნინო ქართველ მთიელთა გასაქრისტიანებლად. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ „ერწო-თიანელთა...შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს“[31]. იგივე ადგილი ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს „მოქცევაი ქართლისაჲ“-დან, სადაც ნათქვამია, რომ წმინდა ნინო „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედემს და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. ხოლო ყუარელთა რაი ესმა ესე შეშინდეს და თოშეთს გადაკრბეს“[32].

მოყვანილი ისტორიული წყაროების მიხედვით იხაზება ერწო-თიანეთის მოსახლეობაც, გარკვეული ეთნოგრაფიული ერთეული ე რ წ ო-თ ი ა ნ ე ლ თ ა სახით. შეიძლება ამ ერთეულში ცალკეული ჯგუფების გამოყოფაც. ესენია ე რ წ ო ე ლ ნ ი (ქვედა ზოლში) და ყ ვ ა რ ე ლ ნ ი (ზედა ზოლში). ერწოელნი ანუ საერთოდ, ერწო-თიანელნი და ყვარელნი (ვფიქრობთ, ესენიც ერწო-თიანელთა შემადგენელი ნაწილი იყო) იდეოლოგიურადაც არ იყვნენ ერთნაირი შეხედულების, თანაბრად ვერ აფასებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს. თუ პირველებმა მოწოდებისთანავე ნათელიღეს და ეზიარენ ქრისტიანულ სარწმუნოებას,

---

[28] ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 192.

[29] ი. დ ო ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[30] იქვე, გვ. 81, 85, 108, 109, 115.

[31] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 126.

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1951, გვ. 233.

მეორენი შეშფოთებულნი ტოვებენ თავიანთ საცხოვრისს და თუ-შეთს იხვეწებიან. საინტერესოა, შეიძლება თუ არა ზემოთ მოყვა-ნილი ცნობებით ყვარელთა და ფხოველთა გაიგივება? ამაზე ეთ-ნოგრაფიული მასალით გაგვიჭირდება პასუხის გაცემა, თუმცა მათი სოციალური წყობა ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული არ უნ-და ყოფილიყო. ცხადია, თუ ქრისტიანობა, ფეოდალური კლასის ეს ახალი იდეოლოგია, ადვილად იკაფავდა გზას ერწო-თიანეთში, ივრის ხეობის სათავეებში და სხვა მთიელებში ის დიდ წინააღმდე-გობას ხვდებოდა.

რაც შეეხება ყვარას, დღეს ის ერთ-ერთი გეოგრაფიული პუნქტია ივრის ხეობის სათავეებში და ერთი სოფლით შემოიფარგ-ლება. ამჟამად მიტოვებულია და ნანგრევებადაა ქცეული. ყვარაში შეიძლება ვიგულისხმოთ არა ერთი სოფელი, არამედ ყვარას თე-მიც და ყვარელნი მივიჩნიოთ მთელი ივრის ხეობის სათავეების მოსახლეობად. საკითხი ასედაცაა დასმული სპეციალურ ლიტერა-ტურაში[33], მაგრამ ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა. ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ყოველგვა-რი ვარაუდის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ყვარა იყო ერთი სოფელი, ხოლო მის მოსახლეობას შეადგენდნენ ყვარელნი. ახლა გადავხედოთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების რა დონეზე იდგნენ ყვარელნი. ცხადია, თუ ისინი გაურბიან ქრისტი-ანობის გავრცელებას, ე. ი. ფეოდალიზმის შემოჭრას, იყვნენ თა-ვისუფალი მეთემეები, ფეოდალური იერარქიის უმდაბლეს სა-ფეხურზე მდგომი საზოგადოება, რომელიც სამართლის ძეგლებში სოფლიონის სახელითაა ცნობილი. ამას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სოფლიონი, როგორც მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორია, ცხოვრობდნენ არა მარტო მთიულეთში, რომლისთვი-საც შეიქმნა „ძეგლის დება“, მათი გავრცელების არეალი უფრო ფართო იყო, მოიცავდა საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებს და, კერძოდ, ივრის ხეობის სათავეებს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ ივრის ხეობის სათავეებში დამოწმებული ტოპონიმი სოფლი-ონი, რაც ერთი სოფლის ფარგლებით, მისი მთითა და ხევითაა შე-მოფარგლული, უნდა იყოს ამ კუთხის ძველი მოსახლეობის სო-ციალური დონის ამსახველი.

დავუბრუნდეთ კვლავ თაღლაურის ციხეს. ეს ციხე დგას ზე-

---

[33] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 183.

მო არტანში, სოფლის თავში, სოფელში გამავალი მთავარი გზის სიახლოვეს და შემთხვევითი არაა, რომ გაბუდაყებულმა თაღლაურმა სწორედ ამ გზას დაადო ხელი. თიანეთიდან ივრის ხეობის სათავეების სოფლებში ან, იქ არსებული უმოკლესი კომუნიკაციებით, ფშავში ან ალაზნის ხეობაში მიმავალი ამ გზას ვერ ასცდებოდა. ერთ-ერთი გზა კი სწორედ სოფლიონის მთას გადაივლიდა და ფშავისკენ მიემართებოდა. ამდენად, თაღლაური კვეთდა მთავარ არტერიას, აკონტროლებდა გზას, რომელიც თიანეთს აკავშირებდა მთასთან. თიანეთი კი, როგორც ვიცით, მთიელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პუნქტს წარმოადგენდა—იგი ძველთაგანვე იყო მათი სავაჭრო ადგილი და, საერთოდ, ერთ-ერთი მთაბარული სამეურნეო-კულტურული კომპლექსის მარეგულირებელი ცენტრი. მართალია, თაღლაურის ციხე გვიანფეოდალური ხანის ძეგლია და მისი პატრონის გაბუდაყება ქრონოლოგიურად დიდადაა დაშორებული იმ საზოგადოებას, რომელსაც ვგულისხმობთ ყვარელში (თუმცა ისიცაა ხაზგასასმელი, რომ სოციალურ ურთიერთობათა განვითარების დონით სოფლიონი იყო ამ კუთხის შემდგომი დროის მოსახლეობაც), მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს არა ამ ფაქტების ქრონოლოგიური თანმთხვევა, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პროცესი, რომელიც ერთი ხაზით მიემართებოდა, სოფლის თემის დაშლისა და ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პრინციპებს ემყარებოდა.

ამგვარად, მთამ, მიუხედავად ბართან მჭიდრო სოციალური და ეკონომიკური კავშირისა, მისი ისტორიის მთელ მანძილზე, მაინც შეინარჩუნა თავისებურება როგორც სოციალურ ურთიერთობათა განვითარების სფეროში, ისე სამეურნეო ყოფაში, რაც მესაქონლეობის წამყვან მნიშვნელობაში გამოიხატა. ეს თავისებურება კარგად ჩანს ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ყველა რეგიონში.

ჩვენ ზემოთ არაერთხელ გვქონდა ხაზგასმული, რომ მთიელთა სამეურნეო ყოფაში წამყვანი მნიშვნელობა მესაქონლეობას ენიჭებოდა, რადგან ადგილობრივი გეოგრაფიული გარემო და ბუნებრივი პირობები მას განვითარების მეტ მასშტაბებს უქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ მიწათმოქმედება საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ადგილობრივ ნაკვეთებზე მოწეული მოსავალი მოსახლეობას ვერ აკმაყოფილებდა. ამ დანაკლისის კომპენსაცია ხდებოდა საქონლის ნამატისა და მესაქონლეობის პროდუქტების რეალიზაციის გზით. მთის პირობები, ვკითხულობთ წყაროებ-

ში, მისი ბუნებრივი გარემო, მთებით და კლდეებით შემოსაზღვრული ფართობები საგრძნობლად ზღუდავდა სამიწათმოქმედო სამუშაოების წარმოებას. სამაგიეროდ ეს პირობები მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, მიწათმოქმედებასთან შედარებით, დიდი რაოდენობით ჰყოლოდათ საქონელი, მეტწილად კი ცხვარი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში აძოვებდნენ მთისა და ბარის საძოვრებზე[34].

ერთ-ერთი ავტორის ცნობით, ალაგირის ხეობის სათავეებში, ყოველ მზვარე ადგილზე მოსახლეობა თესდა ქერს, შვრიას, ხორბალს. თუმცა ეს უკანასკნელი ყოველთვის ვერ ასწრებდა დამწიფებას. აქვე მითითებულია ამ კუთხეში მიწის დიდ სიმცირეზე[35]. ნარის ქვაბულის სამეურნეო პირობების დახასიათებისას კი კ. ხეთაგუროვი მიუთითებს, რომ ადგილის დიდ სიმაღლეზე მდებარეობა, ფერდობების მკვეთრი დაქანება და შავმიწა ნიადაგების უქონლობა მიწათმოქმედებას მძიმე პირობებში აყენებდა. ამასთან, გვალვები, ნიაღვრები და ნაადრევი ყინვები საფრთხეს უქმნიდა მოსავალს და მაინც მთიელს სულ მცირე ადგილიც არ რჩებოდა დაუმუშავებელი. სამაგიეროდ ამ კუთხის გეოგრაფიული გარემო შედარებით ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მესაქონლეობის განვითარებას[36] რაც შეეხება დიგორს, XIX ს. შუა ხანებისათვის დიგორლების ძირითად სიმდიდრეს საქონელი წარმოადგენდა, მათ დიდი რაოდენობით ჰყავდათ ცხენი, ხარი, ძროხა და ცხვარი. საერთოდ, ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში მესაქონლეობას ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ სტუმართან შეხვედრისას პირველად საქონელს მოიკითხავდნენ ხოლმე[37].

ზემოთ აღნიშნულმა გარემოებამ, შემდგომი დასაბუთება ჰპოვა საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. მკვლევართა მიერ მითითებულია, რომ ბუნებრივი პირობების შესაბამისად, ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში მოსახლეობა ძირითადად ეწეოდა მესაქონლე-

---

[34] А. В-в. Дорога от Тифлиса до Владикавказа. «Кавказ», 1847 № 31; П. Гаврилов, Устройство поземельного быта горских племен Северного Кавказа. ССКГ, вып. II, 1869, с. 27.

[35] И. Акинфиев, Поездка в Осетию на Ардон и в Сванетию. ЗКОИРГО, кн. XVI, Тифл., 1894, с. 88.

[36] К. Хетагуров, Быт горных осетин, Сталинир, 1939, с. 15.

[37] Н. Бердзенов, Из записок Осетии, «Кавказ», 1852, № 5; его же, Из воспоминания об Осетии, «Кавказ», 1852, № 68; его же, Из воспоминании об Осетии, «Кавказ», 1851, № 92.

ობას, სადაც მეცხვარეობა სჭარბობდა, ხოლო ბარის რაიონებში — მემინდვრეობას, მებაღეობას და, უმნიშვნელო სახით, მევენახეობას. მართალია, მთიელი ოსები მესაქონლეობასთან ერთად მაქსიმალურად ამუშავებდნენ მიწის ყველა ნაკვეთს, დიდი შრომის ფასად ქმნიდნენ ხელოვნურ ტერასებს, წმენდდნენ, ანოყიერებდნენ და სხვ., მაგრამ მთის პირობებში პურეულით უზრუნველყოფის საკითხი გადაუჭრელ ამოცანად რჩებოდა. ეს ნაკლებობა განსაკუთრებით იჩენდა თავს ხეობათა სათავეებში. საერთოდ კი მაღალმთიანეთის ალპური საძოვრები, ამავე კუთხის ბარის რაიონებთან ერთად, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესაქონლეობის და, პირველ რიგში, მეცხვარეობის განვითარებისათვის[38].

XVIII ს. მეურნეობის ორივე დარგი, მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც, ოსეთის მთიანეთში საკმაოდ შეზღუდული ყოფილა. მიწათმოქმედებას ზღუდავდა მცირემიწიანობა, ადგილის კლდოვანება და ხშირი სტიქიური მოვლენები: მესაქონლეობას (განსაკუთრებით კი მეცხვარეობას) —სათიბ-საძოვრების ნაკლებობა. „პირუტყვნი, წერს ვახუშტი ბაგრატიონი, არიან ცხოვარნი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, გარნა არიან ფრიად გემოიანნი სხვათა ადგილებთაგან უმეტეს. და ვინათგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთვის ვერ ინახავენ ცხოვართა, თვინიერ კ, მ, და რ კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი, კ, და მ და უფროსი არღარა"[39]. ცხადია, მაშინ, როდესაც მთა თითქმის მოწყვეტილი იყო ბარის რაიონებს, შეუძლებელი იყო მეცხვარეობის ფართო მასშტაბებით წარმოება, ოჯახი მხოლოდ ბაგის ცხვრით კმაყოფილდებოდა და თავის ეკონომიკას ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობაზე აფუძნებდა. XIX ს. დასაწყისიდან ფართოვდება მთიელთა კავშირი ბარის რაიონებთან, თანდათან მასიურ ხასიათს ღებულობს მთიელი ოსების ბარად ჩასახლება[40]. ამის შედეგად მსხვილფეხა მესაქონლეობა თან-

[38] З. Гаглоева, Скотоводство в прошлом у Осетин, მსე, XII—XIII, თბ., 1963, გვ. 271; Б. Калоев, Осетины..., с. 12; А. Магометов, Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 43; ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969, გვ. 202; მიწათმოქმედების საკითხები შესწავლილია მ. ქანთარიას ნაშრომში — Некоторые вопросы земледельческого быта в горной Осетии, КЭС, V, ,ч. 3, Тб., 1980, с. 92.

[39] ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 636.

[40] Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 года, ИСОНИИ, т. XI, Дзауджикау, 1947, с. 149; История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 162.

დათანობით უთმობს პირველობას მეცხვარეობას. მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის იგი გამდიდრების ძირითად წყაროდ იქცა. ამ საუკუნის ბოლოსათვის გამოიყოფიან ოჯახები, რომელთაც 500—600 და ზოგს 1000—1500 სული ცხვარიც კი ჰყავდა.

ისევე როგორც ოსეთში, ჩაჩნეთ-ინგუშეთშიც მესაქონლეობასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა ოჯახში იყო სპეციალიზირებული, ამავე დროს, ტრადიციული და მაღალგანვითარებული. სახნავი ფართობების ის მცირე ნაკვეთები, რომელთა დამუშავებაც კოლოსალურ შრომას მოითხოვდა, მხოლოდ 2—6 თვის განმავლობაში ყოფნიდა ოჯახს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, XIX ს. 60-იან წლებში მთაინგუშეთში ოჯახის ქონებას შეადგენდა 2—3 ცხენი, 2 სახედარი, 2 უღელი ხარი, 10—12 ძროხა და 200 სული ცხვარი. უმრავლესობას ჰყავდა 1 ცხენი, 1 სახედარი, ცალი ხარი, 10—12 ცხვარი და ბოლოს, იყვნენ ოჯახები, რომელთაც არაფერი არ გააჩნდათ[41]. XIX ს. ბოლოსთვის კი მესაქონლეობა ასე გამოიყურება[42]. ყოველ 100 მოსახლეზე საშუალოდ მო-

თემები	ოჯახები	მსხვილფეხა საქონელი	ცხენი	წვრილფეხა საქონელი	ოჯახები, რომელთაც არ ყავთ მსხვილფეხა საქონელი	ოჯახები, რომელთაც არ ყავთ ცხენი	ოჯახები, რომელთაც არ ყავთ წვრილფეხა საქონელი
ჯარიახი	146	570	96	2000	2	55	22
მეცხალი	252	1610	112	8320	6	160	133
ცორი	253	1498	309	4988	2	11	124
ხამხი	311	1402	209	5670	3	26	20
ს უ ლ	462	5080	757	20978	13	252	299

დიოდა 65 მსხვილფეხა და 187 წვრილფეხა საქონელი[43]. რაც შეხება მიწის ნაკვეთებს, სახნავად გამოიყენებოდა ინგუშეთის მთე-

[41] Н. Грабовский, Экономический и домашний быт жителей горского участка Ингушского округа, ССКГ, вып. 3, 1870, с. 9.

[42] Г. Вертепов, Ингуши, Историко-статистический очерк, ТС, кн. II, вып. II, Владикавказ, 1892, с. 119.

[43] К. Ган, Путешествие в страну пшавов, хевсур и ингушей (летом 1897 г.), КВ, № 6, 1900 г., с. 75.

ლი ტერიტორიის 12%, ე. ი. ერთ მამაკაცზე საშუალოდ მოდიოდა 0, 2 დესეტინა[44]. „აბრამოვის კომისიის“ შრომების მიხედვით, 1907 წ. ინგუშეთის მთიანეთში ერთ სულ მამაკაცზე საშუალოდ მოდიოდა 0, 3 სახნავები, 1, 2 დესეტინა სათიბები და 4, 3 დესეტინა საძოვრები[45]. ეს მცირე ნაკვეთებიც ოჯახებს შორის არათანაბრად იყო განაწილებული. იყვნენ ოჯახები, რომელთაც მიწა სულ არ ჰქონდათ, მაგრამ იმათაც კი, რომლებიც ყველაზე მეტ მიწას ფლობდნენ, საკუთარ ნაკვეთებზე აღებული მოსავალი 5—6 თვის მანძილზე ყოფნიდათ[46]. ვ. ხრისტიანოვიჩის დაკვირვებით, საოჯახო თემები ფლობდნენ რამოდენიმე к(х)аї-ს, მაგრამ ამ ოჯახების დაშლის შედეგად ნაკვეთებიც ნაწევრდებოდა და პატარა ოჯახებს რჩებოდათ ერთი ან ნახევარი დღიური მიწა[47]. სახნავი ნაკვეთების სიმცირე, თავის მხრივ, განაპირობებდა მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას. მაგრამ, როგორც დავინახეთ, აქ მაინცდამაინც არც მესაქონლეობა იყო წარმოდგენილი ფართო მასშტაბით. მართალია, სხვადასხვა თემებში მეურნეობის ამ დარგის განვითარების მასშტაბები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ მისი ხვედრითი წონა ყველგან აღემატებოდა მიწათმოქმედებისას. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ძლიერი ტეიფები მიწების დიდ ნაწილზე ავრცელებდნენ თავის უფლებებს და გამოირჩეოდნენ საქონლის სიმრავლითაც. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისისათვის ყოფილან ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ 10—15 სული ძროხა, 3—4 უღელი ხარი და 600—700 სული ცხვარი.

ჩაჩნეთში იყვნენ ისეთი ოჯახებიც, რომელთაც რამოდენიმე ფარა ცხვარი ჰყავდათ. უმეტესობას ჰყავდა 500-მდე ან მასზე ბევრად ნაკლები. ბაჩალა საიდოვის (დაბ. 1916 წ.) გადმოცემით, მის წინაპრებს (პაპას და პაპის ძმებს) ეყოლებოდათ 30—50 სული მსხვილფეხა საქონელი და 100—200 სული ცხვარი. მათთან ერთად აღწერილია ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ დაახლოებით 500—600 სული ცხვარი და 100-მდე მსხვილფეხა საქონელი. ვ. ითონიშვილი ასახელებს მაზიევების დიდ ოჯახს, რომელთაც ექვს ნაწილად გა-

---

[44] Г. Вертепов, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[45] Труды комиссии по исследованию современного положения землепользования и землевладения в нагорной полосе Терской области, Влад., 1908.

[46] Г. Вертепов, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

[47] В. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

უყვიათ ექვსსართულიანი ციხესახლი, ორი დღიური ყანა, სათიბი, რომელსაც ექვსი კაცი ორ კვირას თიბავდა, 9 ცხენი, 20 ხარი, 35—40 მსხვილფეხა საქონელი და 3000-მდე ცხვარი. ბარის ჩაჩნებში (სოფ. კენი-იურთი) შ. მუსტაფაევის ოჯახის ქონებას შეადგენდა ორი სახლი, ერთი დუქანი, 10 აქლემი, 300 ცხენი, 60 ხარი, 4 კამეჩი, 435 ძროხა, დეკეული და ხბო, 2000 სული ცხვარი და თხა და ა. შ.[48] ამ რიგის მასალები საშუალებას იძლევა ჩაჩნეთ-ინგუშეთში მეცხვარეობა და მსხვილფეხა მესაქონლეობა ერთ დონეზე იქნეს დაყენებული. ვ. ითონიშვილის დაკვირვებით, დიდ მეცხვარეებად დიდი ოჯახები გვევლინებიან. მთის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობა, მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები და ბაზართან კავშირი დიდ მუშახელს მოითხოვდა. ამიტომ დიდი მასშტაბის მეცხვარეობა და მეჯოგეობა ოჯახის წევრთა სიმრავლის გარეშე დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მართალია დიდი მეურნეები აქტიურად იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს, მაგრამ ეს ვერ სწყვეტდა ოჯახის წევრთა წინაშე დასმულ პრობლემებს. ინდივიდუალური ოჯახები ბარად ძირითადად ეწეოდნენ მიწათმოქმედებას და მსხვილფეხა მესაქონლეობას. და საერთოდ, მითითებულია, რომ ჩაჩნეთის ბარში სჭარბობდა მსხვილფეხა მესაქონლეობა, მთაში მეცხვარეობა[49]. მეცხვარეობასა და მსხვილფეხა მესაქონლეობას შორის თანაფარდობა ჩანს ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვითაც. ვ. ითონიშვილს მოჰყავს ინგუშეთის 1928 წ. მონაცემები, სადაც ყოველ 100 სულ მსხვილფეხა საქონელზე 257 სული ცხვარი მოდიოდა. ასეთი მაჩვენებლები მეცხვარეობის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს და ამ მხრივ ინგუშეთი ხევსურეთთანაა გათანაბრებული[50]. მოტანილი მასალიდან ისიც შეიმჩნევა, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთში XIX ს. მთელ მანძილზე მოსახლეობას შორის ქონებრივი უთანასწორობა თანდათან ღრმავდებოდა, ხოლო მესაქონლეობა და კერძოდ, მეცხვარეობა მთიანეთში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ძირითადი საფუძველი ხდება.

საქართველოს კუთხეებიდან პირველ რიგში შევჩერდებით თუშეთზე, როგორც მეცხვარეობის ყველაზე ჩამოყალიბებულ, კლა-

---

[48] ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969, გვ. 38.

[49] იქვე, გვ. 40.

[50] იქვე, გვ. 47.

სიკეურ კუთხეზე. თუშეთის გეოგრაფიულ გარემოსა და სამეურნეო პირობებს ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისას უდარებს და აღნიშნავს, რომ თუშეთი არის „ქუეყანა ესე ყოველითვე, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მოსავლით, პირუტყუთ, ნაყოფიერებით და ჯელოვნებით“[51]. ოსეთს კი გვიხატავს როგორც კლდოვან, მწირ, მცირემოსავლიან მხარეს. „არამედ ნაყოფიერება ამ ქუეყნისა, წერს ის, არს მცირედი, ვინაითგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თუნიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა, სიცივისა, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათჳს. გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანების გამო“[52]. პირიქით თუშეთზე კი მიუთითებს: „ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინ�sა გამოიზამთრებიან ჯახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ“[53]. XIX ს. მდგომარეობის გასაცნობად მოვიყვანთ ცხრილს, რომელიც 1831 წ. კამერალური აღწერის[54] მონაცემებზეა შედგენილი. მოტანილი აღწერის მასალებში მითითებულია, რომ თუშებს მართალია ჰქონდათ სახნავი ფართობები და ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მიწის ნაკლებობისა და ცივი კლიმატური პირობების გამო, საქონლის ძოვების მიზნით, წლის მეტ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ატარებდა. პირიქითისა და ჩაღმა-გომეწრის ხეობათა მოსახლეობა ეწეოდა ხვნა-თესვას, მესაქონლეობას, ამზადებდა ყველს, ერბოს, შალეულს. წოვა თუშებთან დაკავშირებით კი პირველი პუნქტი—ხვნა-თესვა გამოტოვებულია, მიუხედავად იმისა, რომ მოტანილი ცხრილის მიხედვით, იქაც ყველა სოფელს ჰქონდა სახნავ-სათესი ფართობები[55]. მიწათმოქმედება აქ შემთხვევით არ უნდა იყოს გამორჩენილი, საქმე იმაშია, რომ წოვა თუშები უკვე ალვანში იყვნენ დამკვიდრებული და მთელი მათი ყურადღება მეცხვარეობაზე იყო გადატანილი. მეურნეობის ეს დარგი მათ, თუშეთის სხვა კუთხეების მოსახლეობასთან შედარებით, უფრო ფართო მასშტაბითაც განავითარეს[56], როგორც 1929 წ. დასაწყისში შედგენილი ერთ-ერთი

---

[51] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 554.

[52] იქვე, გვ. 635.

[53] იქვე, გვ. 554.

[54] სსცია, ფონდი 254, ანაწერი I, საქ. № 1278.

[55] იქვე,

[56] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ოჯახის ეკონომიური საფუძვლები წოვა-თუშეთში, იე. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 443.

№№	სოფლები	ოჯახების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა		სახნავი ფართობები ღიერებში		წისქვილების რაოდენობა
			კაცი	ქალი	დასამუშავებლად ვარგისი	დასამუშავებლად უვარგისი	
1	2	3	4	5	6	7	3
	პირიქითთუშეთი						
1	ჩიღო	24	64	57	75	42	7
2	დართლო	35	74	62	122	51	5
3	ქეავლო	14	33	39	36	20	4
4	დინო	19	42	39	37	17	7
5	ფარსმა	38	81	82	101	56	7
6	ბასო	4	11	9	22	11	2
7	ჭეშო	6	17	20	17	12	2
8	გირევი	22	55	61	121	47	8
9	ნაკუდურთა	3	8	7	19	9	1
10	დაქიურთა	9	27	28	47	22	5
11	ჭონთიო	39	75	70	115	59	5
12	ჰეღო	8	18	18	25	17	1
	სულ	221	509	492	737	363	—
	წოვათუშეთი						
1	საგირთა	71	209	184	116	72	2
2	ეთელტა	48	121	127	69	48	—
3	ინდურთა	127	354	316	167	121	2
4	წარო	32	68	58	70	37	—
	სულ	278	752	680	422	278	—
	ჩაღმათუშეთი						
1	ბოკორმა	31	79	76	113	61	7
2	ომალო	36	78	88	228	26	8
3	ქეავლო	16	42	52	59	51	3
4	ცოკოლთა	9	20	19	25	22	1
5	ქველურთა	8	21	18	45	34	2
6	ხახაბო	24	56	44	80	42	6
7	ჩიგლაურთა	16	27	30	43	26	—
8	ნაციხვარი	3	10	6	16	6	—
9	შტროლთა	7	13	16	24	13	3
10	ხისო	27	66	58	109	—	6
11	შენაკო	40	86	90	122	53	10
12	აგეურთა	12	22	23	39	14	1
13	დიკლო	37	76	87	211	93	14
	სულ	266	596	607	1114	441	—

1	2	3	4	4	6	7	3
	გ ო მ ე წ რ ი ს ხ ე ო ბ ა						
1	ჯვარბოსელი	23	70	46	98	—	7
2	ვერხოვანი	19	49	41	63	37	5
3	დაქიურთა	11	23	25	63	39	3
4	ვეძისხევი	8	20	27	25	20	2
5	ალისგორი	4	9	6	24	18	1
6	კოკლათა	2	8	10	40	14	1
7	ვაკისძირი	8	27	31	36	18	3
8	ციხე	4	9	6	10	14	1
9	გუდანთა	9	20	22	103	86	3
10	ბეღელა	17	40	47	126	72	3
11	ბიქიურთა	11	16	23	35	21	2
12	ილიურთა	25	54	56	90	44	4
13	ბუხურთა	8	23	20	23	16	1
14	ვესტომთა	7	18	18	26	25	2
15	გოგლურთა	13	30	32	96	53	3
16	ვესტმო	11	26	26	40	24	5
17	საჩიღოლო	8	23	17	36	35	4
18	დოკუ	36	81	94	129	82	10
	ს უ ლ	224	556	547	1063	619	—

საბუთი გვამცნობს, ზოგიერთებს საჭიროდ მიუჩნევიათ საზღვარი დაედოთ მეცხვარეობის ასეთი სწრაფი ზრდისათვის, რათა საძოვრებს დაეტია თუშების მრავალრიცხოვანი ცხვრის ფარები[57]. მეორე საბუთში კი ვკითხულობთ, რომ თუშებს 1833 წლისათვის ალვანში ეჭირათ 150 დესეტინა ფართობი, რაც მათი მეურნეობის ხასიათის მიხედვით, სავსებით საკმარისი იყო. ეს ხასიათი იმაში გამოიხატებოდა, რომ მეურნეები აღნიშნულ ფართობებს ძირითადად საძოვრებად იყენებდნენ და მას რამოდენიმე თვის განმავლობაში ხმარობდნენ, წლის დანარჩენ დროს კი საქონელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიჰყავდათ[58].

1843 წ. კამერალური აღწერის მასალებში დეტალურადაა ნაჩვენები, თუ თითოეულ ოჯახს რა რაოდენობის მიწის ფართობი ეკავა, რამდენი მარცვლეული მოსდიოდა. ოჯახების უმრავლესობას მოსდიოდა 10—20 კოდი ხორბალი და 20—40 კოდი ქერი. ზოგი-

[57] სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 1078, ფურც. 12.
[58] სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 1078, ფურც. 82.

ერთები იღებდნენ ამაზე რამდენადმე მეტს ან ნაკლებს. პირიქითისა და ჩაღმა-გომეწრის ხეობების ყველა სოფელთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მიწა არ არის ნაყოფიერი და მოსახლეობა ეწევა მომთაბარულ ცხოვრებას[59]. წოვა-თუშებს კი, ამ მასალების მიხედვით, სახნავ-სათესი მიწები საერთოდ არ ჰქონდათ და არც ხვნა-თესვას მისდევდნენ[60]. ყოველივე ეს მათი მეურნეობის ხასიათიდან გამომდინარეობს, პირიქითისა და ჩაღმა-გომეწრის თუშები ჯერ კიდევ მთაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ალვანშიც ჰქონდათ ფეხი მოკიდებული და სამიწათმოქმედო სამუშაოებს აწარმოებდნენ მთაშიც და ბარშიც. წოვა თუშები კი ალვანში იყვნენ დამკვიდრებული და, როგორც აღვნიშნეთ, მთელი ყურადღება მეცხვარეობაზე ჰქონდათ გადატანილი. მესაქონლეობა კი ზოგადი სქემის მიხედვით ასე გამოიყურება[61]:

თემები	ოჯახების რაოდ.	ცხენი	მსხვილფეხა საქონელი	ცხვარი
თუშეთი				
წოვა	252	1370	267	57019
პირიქით თუშეთი	220	254	573	7466
გომეწრის ხეობა	205	623	772	1522
ჩაღმა თუშეთი	222	303	714	6347
ს უ ლ	899	2550	2326	36354

1845 წ. 6 აპრილს შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, თუშების 800 ოჯახს, მსხვილფეხა საქონლის გარდა, ჰყოლია 150000 სულზე მეტი ცხვარი და 800-ზე მეტი ცხენი. მათ რამოდენიმე დღითაც კი არ შეეძლოთ ალვანში მოეყვანათ მთელი თავისი საქონელი, არამცთუ გამოსაკვებად გაეჩერებიათ[62].

თუ ზემოთ მოტანილ მონაცემებს დავაკონკრეტებთ, დავინახავთ, რომ წოვა თუშეთში დასახლებული 252 ოჯახიდან 12 ჰყავდა ცხვარი 1000-დან 2000-მდე, 20 ოჯახს—500-დან 800-მდე, 32 ოჯახს—300—400, 88 ოჯახს—100—200, 57 ოჯახს—40-დან

59 სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 2042, ფურც. 68—230.

60 სსცია, ფონდი 254, ანაწერი I, საქ. № 2042, ფურც. 68—192.

61 ცხრილი შედგენილია 1843 წ. კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, იხ. სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 2042, ფურც. 68.

62 სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 1078, ფურც. 202.

100-მდე, ხოლო 17 ოჯახს 30 და ამაზე ნაკლები. კამერალური აღწერის მასალებში 21 ოჯახის ქონება საერთოდ არ არის ნაჩვენები, მხოლოდ რამოდენიმე მათგანზეა მინიშნებული, რომ ჰყავდათ ერთი ან მეტი ცხენი. უმეტესად ესენი იყვნენ ერთი ან ორი სულისაგან შემდგარი ოჯახები, რომელთა გასწვრივაც, უმრავლესობაზე არის უფრო გვიანდელი მინაწერი—გარდაიცვალა ან საღმე გადასახლდა. მოსახლეობის უმრავლესობას ჰყავდა 1—4 სული მსხვილფეხა საქონელი, ძალიან ცოტას—5—6, ხოლო 165 ოჯახზე მსხვილფეხა საქონელი საერთოდ არ არის ნაჩვენები[63]. პირიქით თუშეთის მოსახლეობაში 220 ოჯახიდან მხოლოდ ოთხს ჰყავდა 400—500 სული ცხვარი, ათს—200—300, ხოლო 55-ს 100 და უფრო ნაკლები, მოსახლეობის ნახევარზე მეტს—149 ოჯახს ცხვარი სულ არ ჰყავდა, ამათგან 32 ოჯახის ქონება საერთოდ არ არის ნაჩვენები, 23-ზე კი მიწერილია, რომ ქისტები არიან, მოგვიანებით უმრავლესობა ისევ წასულა ჩაჩნეთში ან წოვათაში დასახლებულა. მსხვილფეხა საქონელი უმრავლესობას ჰყავდა 2—6 სული, უმნიშვნელო ნაწილს (6 ოჯახს) —7—9, ხოლო თითო ოჯახს—10, 12, 15 და 20 სული. 73 ოჯახზე მსხვილფეხა საქონელი საერთოდ არაა ნაჩვენები[64].

ქონებრივი ნიშნის მიხედვით გომეწრის ხეობის მოსახლეობაში შეიძლება გამოვყოთ ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ 20—60 სული ცხვარი. 205 ოჯახიდან ცხვრის აღნიშნული რაოდენობა ჰყავდა 49-ს; მეორე, ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ 100—200 სული ცხვარი, ასეთი, იყო 48 ოჯახი და მესამე, ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ 200-ზე მეტი ცხვარი. ასეთები კი ერთეულები იყვნენ, გომეწრის ხეობაში თითო ოჯახია აღრიცხული, რომელთაც ჰყავდათ 300, 600, 800 და 1500 სული ცხვარი, ორ ოჯახს ჰყავდა 500 და სამ ოჯახს 400 სული. მაგრამ მოსახლეობის თითქმის ნახევარს—97 ოჯახს ცხვარი საერთოდ არ ჰყოლია. მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ 1-დან 8-მდე, უმრავლესობას 3, ძალიან ცოტას 10 და ათზე მეტი. სულ სამ ოჯახს ჰყოლია 10 სული, ხოლო თითო ოჯახი იყო 11, 14, 15, 20 და 35 სული მსხვილფეხა საქონლის მფლობელი[65]. ანალოგიური ვითარება ჩანს ჩაღმა თუშეთშიც. აქ 43 ოჯახს ჰყავდა 100-ზე ნაკლები —20

---

[63] სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 2042, ფურც. 148.
[64] სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქ. № 2042, ფურც. 111.
[65] იქვე, ფურც. 68.

—80 სული ცხვარი; 22 ოჯახს —100—200 სული და ძალიან მცირეს —300—500, ასეთები სულ ხუთი ოჯახია აღრიცხული. მოსახლეობის უმრავლესობას კი, 150 ოჯახს, ცხვარი საერთოდ არ ჰყოლია. ოჯახების უმრავლესობას ჰყავდა 2—6 სული მსხვილფეხა საქონელი, ზოგს ერთი, ძალიან ცოტას (6 ოჯახს) —7-8, ხუთ ოჯახს —10, ორს 13 და თითოს 15 და 30 სული საქონელი. 52 ოჯახს კი მსხვილფეხა საქონელი სულ არ ჰყოლია[66].

მ. მაჩაბელი, ეყრდნობა რა 1872 წ. კამერალური აღწერის მასალებს, აღნიშნავს, რომ მთელი თუშეთის ცხვარი იმ დროისათვის 172408 სულს შეადგენდა და თითოეულ ოჯახზე საშუალოდ 175 ცხვარი მოდიოდა. აქედან ცხვრის ყველაზე დიდი რაოდენობა წოვა თუშებს ეკუთვნოდათ, მათ ანგარიშზე იყო 72420 სული, რაც თითოეულ ოჯახზე საშუალოდ 232 სული ცხვარი გამოდიოდა. ცხვრის რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი ფარსმის საზოგადოებას ეკავა, მათ ანგარიშზე იყო სულ 24015, თითოეულ ოჯახზე საშუალოდ—187 სული ცხვარი. მაგრამ ცხვრის მთელი ეს რაოდენობა ოჯახებს შორის მეტისმეტად უთანაბროდ იყო განაწილებული. მაგ., წოვა თუშების 72420 სული ცხვარი 312 ოჯახს შორის ასე იყო განაწილებული: 7900 სული ანუ ცხვრის მთელი რაოდენობის 11% სამი ოჯახის ე. ი. მთელი მოსახლეობის 1%-ის ხელში იყო მოქცეული. ამ ოჯახებს თითოეულს 2000-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა. რვა ოჯახს (მოსახლეობის 3%) თითოეულს 1000-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა, ყველას ერთად კი 9890 ანუ ცხვრის მთელი რაოდენობის 14%. 25 ოჯახს, მოსახლეობის 8%, ჰყავდა თითოეულს 500-ზე მეტი, ყველას ერთად კი 16300 სული, რაც ცხვრის მთელი რაოდენობის 23%-ს უდრის. დანარჩენი ოჯახებიდან 39-ს ანუ მოსახლეობის 12%-ს სულ არ ჰყავდა ცხვარი. საყურადღებოა, რომ 237 ოჯახს ანუ მთელი მოსახლეობის 76%-ს ჰყავდა 37330 სული ცხვარი, რაც ცხვრის მთელი რაოდენობის 52%-ია. მაგრამ ამ უკანასკნელ ოჯახებს შორის ქონებრივი უთანასწორობა კიდევ უფრო შესამჩნევი იყო. მაგალითად: 300-დან 500-მდე ცხვარი ჰყავდა 33 ოჯახს ანუ მთელი მოსახლეობის 11%-ს; 100-დან 300-მდე 137 ოჯახს, ანუ მთელი მოსახელობის 44%-ს; 10-დან 100-მდე ცხვარი ჰყავდა 67 ოჯახს ანუ მთელი მოსახლეობის 21%-ს[67].

---

[66] იქვე, ფურც. 196.

[67] М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 461.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში თუშეთში გამოიყოფიან ოჯახები, რომელთაც 1000-დან 4000-მდე ცხვარი ჰყავდათ, ასეთები განსაკუთრებით წოვა თუშებში სჭარბობდნენ. შეიძლება გამოვყოთ ძმების—გიორგი, კონსტანტინე და დიმიტრი ბუქურაულების ოჯახი, რომელთაც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს მეცხვარეობის განვითარების საქმეში. მათი ოჯახის ქონებას შეადგენდა 10000-მდე ცხვარი, ცხენების რაშმა, რომელთა რაოდენობა ერთ წელიწადს, კვიცების ჩათვლით, 475-მდე ასულა. მსხვილფეხა საქონელს შედარებით ცოტას იყოლიებდნენ, მის რაოდენობას მხოლოდ ერთხელ, მთხრობელის ბავშვობაში, მიუღწევია 40 სულამდე. გარდა ამისა, ზემო ალვანში ჰქონდათ ქვის ორსართულიანი სახლი, ეზო, ბაკი, ბაღი, ვენახი, სადაც ოთხი საპალნე ღვინო მოსდიოდათ (ამ დროს ვენახი ზემო ალვანში ორ-სამ კომლს თუ ექნებოდა). კოსტანტინე და დიმიტრი ოჯახმა ბავშვობიდანვე მოსწყვიტა სწავლას (თბილისის სასოფლო-სამეურნეო სკოლიდან გამოიყვანეს) და მეცხვარეობაში დასაქმეს, ხოლო მათი უმცროსი ძმა ივანე ბუქურაული (შემდგომში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე) თბილისში დარჩა სასწავლებლად.

ამგვარად, XIX ს. მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგი თუშეთში მეცხვარეობა იყო. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა მამაკაცი, ვისაც კი საამისო ფიზიკური ძალა შესწევდა, მეცხვარეობაში იყო დასაქმებული. აშკარაა ისიც, რომ მეცხვარეობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო წოვა თუშებში. როგორც ჩანს, ისინი სხვებზე ადრე დაუკავშირდნენ ბარის რაიონებს და მეურნეობის ამ დარგის განვითარებას მტკიცე საფუძველი დაუდეს, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო. ამიტომაა, რომ „კახეთის თუშნი", რომელსაც ვახუშტი იხსენიებს, წოვა თუშებადაა მიჩნეული[68]. მეცხვარეობის განვითარებასთან ერთად, ამ ხაზით თანდათან ღრმავდებოდა მოსახლეობას შორის ქონებრივი უთანასწორობა. ცხვრის დიდი ნაწილი მოსახლეობის უმცირესობის ხელში იყრიდა თავს, რომელთა მეურნეობაც კაპიტალისტური წარმოების საფუძველი ხდებოდა.

განსხვავებით თუშეთისა, ფშავი და ხევსურეთი ტიპიური მსხვილფეხა მესაქონლეობის კუთხეებია. აქ ყველაფერი საქონლით ფასდებოდა, საქონელი იყო ამ კუთხეთა მოსახლეობის დოვლათი

---

68 ვ. ითონიშვილი, ოჯახის ეკონომიური საფუძვლები წოვა-თუშებში...

და ბარაქა. ხევსურული ძროხა და ხევსურული ერბო, რომელთაც საერთო აღიარება ჰპოვეს მთელ კავკასიაში, შეიძლება ქართველ მთიელთა მნიშვნელოვან მიღწევად მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში მესაქონლეობას ხევსურეთში არცთუ დიდი მასშტაბები ჰქონდა. ვაჟა-ფშაველას დახასიათებით, „ხევსურეთი ხმელი, ხრიოკი ადგილია და მოსავალს ხელს ვერ უწყობს: დათესილი ქერი ჯერ ჯეჯილობაშივე ჩაირეცხება ღვარებისაგან და, თუნდაც მოვიდეს, სეტყვას მაინც ვერ გაეხვეწება, ვერ გადაურჩება. ხევსურეთში მდიდარი ოჯახები, როგორსაც ფშავში შეხვდებით, იშვიათია ძლიერ. თუ ორი-სამი ძროხა და ოცი თხა-ცხვარი მოეპოვება ხევსურს, მდიდარია“[69]. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ხევსურეთში დასტურდება მხოლოდ პატარა ინდივიდუალური ოჯახები, რომელთაც საშუალოდ ეყოლებოდათ 5—6 ძროხა, ამდენივე მოზარდი, ერთი უღელი ხარი და 20-მდე ცხვარი. ამასთან ერთად, ოჯახის ქონებას შეადგენდა 4—5 დღიური ყანა, რომლის მოსავალი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ოჯახს. იყვნენ ოჯახები, რომელთაც ჰყავდათ 15—20 სული ძროხა და ორი უღელი ხარი. ზემოთ ნაჩვენები მესაქონლეობის მასშტაბები ზაფხულობით რამდენადმე მეტი იყო, რადგან შემოდგომაზე ჭარბ საქონელს ყიდდნენ, „ძროხით და ერბოთი ქალაქობდენ“ და იტოვებდნენ მხოლოდ იმდენს, რის გამოზამთრების საშუალებაც ექნებოდათ. აღებული თანხებით კი პირველ რიგში მარცვლეულის დანაკლისს ინაზღაურებდნენ. პირიქით ხევსურეთის ბუნებრივი პირობები მეცხვარეობის განვითარების მეტ შესაძლებლობებს იძლეოდა, ადგილობრივ ზამთრის სამეურნეო ბაზებზე ოჯახს შეეძლო 100—150-მდე ცხვარი გამოეზამთრებინა.

1850 წ. ერთ-ერთ საბუთში მითითებულია, რომ თბილისის გუბერნიაში გორის მაზრა მიწის ყველაზე მეტ ნაკლებობას განიცდიდა, აქ თითოეულ ოჯახზე მოდიოდა არა უმეტეს ორი დესეტინა მიწისა. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურები, სადაც მიწის დიდი ფართობები სახნავ-სათესად გამოუყენებელი იყო[70]. მიუხედავად ამისა, საქონლის სიმცირემ განაპირობა ის გარემოება, რომ 1886 წ. კამერალური აღწერის მასალებში ხევსურების საქმიანობად მითითებულია მიწათმოქმედება, ხოლო ფშავის

---

[69] ვაჟა-ფშაველა. ხევსურები, თხზ. სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964, გვ. 46.

[70] სსცა, ფონდი 4, ანაწერი 2, საქ. № 1224, ფურც. 6.

მოსახლეობისათვის, სადაც მესაქონლეობას გაცილებით მეტი მასშტაბები ჰქონდა, — მესაქონლეობა[71].

განსხვავებით ხევსურეთისა, ფშავში XIX ს. ბოლომდე დიდ ოჯახებად ცხოვრება ჯერ კიდევ საერთო წესი იყო. ვაჟა-ფშაველას ცნობით, მართალია მიწა აქაც არ კმაროდა, კომლზე 3 -- ½ დესეტინაზე მეტი არ მოდიოდა, მაგრამ საქონელი, ხევსურებთან შედარებით, გაცილებით მეტი ჰყავდათ. სოფ. ჩარგალში, სადაც იმ დროისათვის 100 კომლი ცხოვრობდა, კომლი არ იყო, რომ 10 სული მსხვილფეხა საქონელი არ ჰყოლოდა, ამაზე მეტი საქონლის მფლობელები ხომ ძალიან ბევრი იყო. ამასთან, მოსახლეობის ნახევარს თუ არა, მესამედს მაინც ჰყავდა ცხვრის ფარები[72]. რ. ხარაძე განიხილავს სოფ. შუაფხოდან ჩარბოდაანების საოჯახო თემს, რომელთაც ჰყავდათ 40-მდე ძროხა, 2—3 უღელი ხარი, 5000-მდე ცხვარი, ცხენების რემა. სოფ. ცაბაურთაში ჩიტოანთ (ჩიტოშვილების) დიდ ოჯახს ჰყავდა 400 სული ცხვარი, 30 ძროხა, ერთი უღელი ხარი, 2—3 ცხენი. ამ ოჯახშიც ძირითად შემოსავალს მეცხვარეობა იძლეოდა. სოფ. გოგოლაურთაში გოჯიტაანების დიდ ოჯახს ჰყავდა 30—40 სული ძროხა, 2 უღელი ხარი, 1000-მდე ცხვარი, 25—30 ცხენი. ფშავის ზოგიერთ რაიონებში, კერძოდ, უკანაფშავში სარძეო მეურნეობის განვითარება, მეცხვარეობის პარალელურად მსხვილფეხა საქონლის მომრავლება, ლიმიტირებული საკვები მარაგის პირობებში, იწვევდა მსხვილფეხა საქონლის ზამთრის საძოვრებზე გადენის აუცილებლობას. მოყვანილი მაგალითების საფუძველზე მიჩნეულია, რომ ფშავლების არსებობის ძირითად წყაროს, აღნიშნულ პერიოდში, წარმოადგენდა მეცხვარეობა და სარძეო მეურნეობა. ამასთან, საოჯახო თემის ეკონომიკურ ძლიერებას მეცხვარეობა განსაზღვრავდა, რომელსაც შეიძლებოდა საკმაოდ ფართო მასშტაბები მიეღო. მეცხვარეობის გვერდით ძლიერ განვითარებული სარძეო მეურნეობა განასხვავებდა ფშავს საქართველოს მთიანეთის ისეთი კუთხეებისაგან, როგორიცაა თუშეთი, ხევი და სხვა, სადაც მეცხვარეობის განვითარებამ მეტისმეტად შეზღუდა მსხვილფეხა მესაქონლეობის მნიშვნელობა[73].

---

[71] სსცა, ფონდი 254, ანაწერი 3, საქ. № 1727, ფურც. 211; საქ. № 1728, ფურც. 1, 9, 45, 103; საქ. № 1729, ფურც. 1, 33, 48, 59, 89, 108; საქ. № 1730, ფურც. 13 და შემდეგი.

[72] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე ფშაში. თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1964, გვ. 231.

[73] Р. Х а р а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 152—157.

ერწო-თიანეთის ფშაური მოსახლეობიდან ცხვრისა და საქონლის სიმრავლით გამოირჩეოდნენ ხუცურაულები და ქუმსიაშვილები (ორხევში), ბეწუკელები და ნადირაშვილები (მაგრანეთში), 16000 სული ცხვარი ჰყოლიათ სოფ. ვეძათხევში მცხოვრებ ყაყიჩაშვილებს, 10000-მდე სულ ცხვარს მოითვლიდნენ სოფ. ნაქალაქარში მცხოვრები ფეტვიაშვილები, სოფ. ლიშოში (თიანეთის ზემოთ) უცხოვრია ვინმე გოგია ეღოელს, რომელსაც 17000 სული ცხვარი ჰყოლია და ა. შ. ფშაველი მეცხვარეები დიდი რაოდენობით იყოლიებდნენ მსხვილფეხა საქონელსაც. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 70—80-იან წლებში თიანეთის მაზრის 207 სოფელში ცხოვრობდა 5249 ოჯახი, მოსახლეობა კი შეადგენდა 27198 სულს (ორივე სქესისას). ხალხის სიმდიდრეს წარმოადგენდა 230576,20 დესეტინა საერთო ფართობის მიწა, რომელთაგანაც საკარმიდამო ნაკვეთებს ეჭირა 983, 63; ბალებს—91,45; ტყეებს—12970, 20; სახნავებს—სარწყავ ველებს—116, ურწყავს —8590.51; სათიბებს—2911,74; საძოვრებსა და დასამუშავებლად უვარგის ადგილებს—204911, 20 დესეტინა ფართობი[74]. ამასთან ერთად, აღრიცხულია 335554 სული სხვადასხვა სახის საქონელი. ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 63,92, ხოლო თითოეულ სულ მოსახლეზე — 12.34[75]. ამათგან, მსხვილფეხა საქონელი იყო: 19363 პროდუქტიული, 9574 მუშა, სულ—28937 სული; წვრილფეხა საქონელი —290850, ცხენი და სახედარი—9427, ღორი—6340[76]. ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა: მსხვილფეხა საქონელი—5,51, წვრილფეხა საქონელი—55,41, ცხენი, ვირი და ჯორი—1,79, ღორი —1,21. მოტანილი ციფრებიდან, მუშა საქონელი ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 1,82, პროდუქტიული—3,69; ერთ სულ მოსახლეზე: მუშა საქონელი მოდიოდა 1,35, პროდუქტიული—0,71 სული[77]. აქვე ნაჩვენებია საქონლის რაოდენობის მიხედვით რა თანაფარდობა იყო აღნიშნული კუთხის მთასა და ბარს შორის. ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა მსხვილფეხა საქონელი: ბარის ზოლში 4,59, მთის ზოლში 6,17; წვრილფეხა საქონელი: ბარის ზოლში 49,78, მთის ზოლში 59,39; ცხენი და სახედარი: ბარის ზოლში 1,48; ღორი: ბარის

---

[74] И. Андроников, დასახ. ნაშრომი, გვ. 324.
[75] იქვე, გვ. 284.
[76] იქვე, გვ. 299, 324.
[77] იქვე, გვ. 178, 310, 336.

ზოლში 2,92 (მთაში ნაჩვენები არაა). ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდიოდა მსხვილფეხა საქონელი: ბარში 0,84, მთაში 1,24; წვრილფეხა საქონელი: ბარში 9,84, მთაში 11,93; ცხენი და სახედარი: ბარში 0,27, მთაში 0,41; ღორი 0,53 (მხოლოდ ბარში)[78]. ციტირებულ ნაშრომში ნაჩვენებია ის გარემოებაც, რომ თიანეთის მაზრაში არაფშაურ მოსახლეობაში თითოეულ ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 21, ხოლო ფშაურ მოსახლეობაში —72 სული ცხვარი; პანკისის ხეობის მოსახლეობაში—23, მთიელ ქისტებში —16, ხევსურებში—7, კახეთის მოსახლეობაში—6, ხოლო თუშებში—157 სული ცხვარი. ფშავლების საზოგადოებაში მხოლოდ არტნელებს ჰყოლიათ მთელი ცხვრის ნახევარზე მეტი—36758 სული, სადაც ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 109 სული ცხვარი[79]. მთხრობელთა გადმოცემით, 1912 წ., როდესაც შირაქში დაუთვლიათ ერწო-თიანეთის ცხვარი, 272000 სული ყოფილა, ამაში არ შედიოდა არტნელების ცხვარი.

ამგვარად, ეთნოგრაფიული მასალა და სხვა მონაცემები ცხადყოფენ, რომ ფშავ-ხევსურეთიდან, მთიულეთ-გუდამაყრიდან თუ სხვა კუთხეებიდან მოსული მოსახლეობა ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე კომპაქტურად სახლდებოდნენ. ამ ჯგუფებს თან მოჰქონდათ თავიანთი სამეურნეო ტრადიციები და ახალ გარემოში ანვითარებდნენ, მეთოდურად ზრდიდნენ მეურნეობის მასშტაბებს. ამასთან, XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში, კაპიტალისტურ ურთიერთობათა მძლავრი აღმავლობის კვალდაკვალ, შეიმჩნევა მოსახლეობის სწრაფი ქონებრივი დიფერენციაცია. მთელი სიმდიდრე, ერთი მხრივ, ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი, ხოლო მეორე მხრივ, ნაყოფიერი მიწები მოსახლეობის უმცირესობის ხელში ექცეოდა, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღატაკეში ვარდებოდა. მათ მძიმე ექსპლოატაციას უწევდა თავად-აზნაურობა, რომელთა ხელშიც იყო მოქცეული სასოფლო-სამეურნეო ფართობების დიდი ნაწილი; ვაჭრები, რომელთაც შესყიდვის გზით შეძლეს ხელში ჩაეგდოთ ნაყოფიერი მიწები; დიდი მეურნეები —მეცხვარეები და მესაქონლეები, რომელთა მეურნეობა ძირითადად დაქირავებულ შრომას ემყარებოდა და სხვა მოხელე-მწარმოებლები.

---

[78] იქვე, გვ. 349.

[79] М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 460; И. Андроников, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

ვ. ი. ლენინი, აანალიზებს რა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების თავისებურებებს, რუსეთის გუბერნიის მაგალითზე, მიუთითებს, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, ხდებოდა გლეხობის დაშლა. გლეხთა ფენებიდან გამოიყოფოდა გლეხური ბურჟუაზია, რომელსაც ლენინი გლეხობის უმაღლეს ჯგუფს მიაკუთვნებს. ეს უკანასკნელნი თავს უყრიან დიდძალ ნაყიდ და საიჯარო მიწას და იქცევიან წვრილ მიწათმფლობელებად და ფერმერებად. ამგვარად, მიწა იქცევა საქონლად, ფულის მოგების მანქანად. ამას ემატება სავაჭრო მესაქონლეობა და აღნიშნული ჯგუფის მიერ დაქირავებული შრომის გამოყენება[80]. მათ გვერდით ჩნდება გლეხობის დაბალი ჯგუფი, სოფლის პროლეტარიატი. ისინი არსებობის საშუალებას ეძებენ სამუშაო ძალის გაყიდვაში, მოჯამაგირეებად მუშაობენ თანასოფლელებთან ან მის გარეთ[81]. რაც შეეხება საშუალო ჯგუფს, მისი მდგომარეობა გარდამავალი იყო გლეხურ ბურჟუაზიასა და სოფლის პროლეტარიატს შორის. ამ ჯგუფის წლიური შემოსავალი ჩამორჩებოდა საერთო ხარჯებს; არ შეეძლო საკუთარი ძალებით დაემუშავებინა ნაკვეთები, რის გამოც მეზობელთა დახმარებას საჭიროებდა. აქედან, ის სამუშაო ძალას უფრო იძლეოდა, ვიდრე სხვას ქირაობდა[82]. „გლეხობის დაბალ ჯგუფში, წერს ლენინი, ჩვენ ვამჩნევთ სამუშაო ძალის გადაქცევას საქონლად, უმაღლეს ჯგუფში კი —წარმოების საშუალებათა გადაქცევას კაპიტალად. ორივე ეს გადაქცევა იძლევა სწორედ შინაური ბაზრის იმ პროცესს, რომელიც თეორიით დადგენილია საზოგადოდ კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ“[83].

საქართველოში, და საერთოდ ცენტრალური კავკასიის მთიანეთში, XIX ს. პირველ მეოთხედში აშკარად შეიმჩნევა გლეხთა კლასობრივი დაშლის პროცესი. უკვე რეფორმამდელ საქართველოში შეძლებული გლეხები ფლობდნენ არა მარტო სახნავ-სათესი მიწების უდიდეს ნაწილს, არამედ მათ ხელში იყო მოქცეული საქონლის ჯოგების მნიშვნელოვანი რაოდენობაც[84]. გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს, მითი-

---

80 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, ტ. 3, IV გამოცემა, თბ., 1958, გვ. 68—72.

81 იქვე, გვ. 74.

82 იქვე, გვ. 77.

83 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

84 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 53, 56.

თებულია სპეციალურ ლიტერატურაში, მესაქონლეობა წარმოადგენდა. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საქართველოს მთიანეთში—თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში, სადაც მოსახლეობის წამყვანი საქმიანობა მესაქონლეობა იყო, არამედ მიწათმოქმედების რაიონებშიც[85]. შემდგომ პერიოდში, საკუთრივ XX ს. დასაწყისში, საქართველოს ბარის რაიონებში შინაური პირუტყვის რაოდენობა მცირდება, ხოლო მთაში, მესაქონლეობის სპეციალიზირებულ რაიონებში, იზრდება. ბარში მესაქონლეობის მასშტაბების შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიჩნეულია მესაქონლეობის მთავარი საფუძვლის, სათიბ-საძოვრების სარჯზე სამიწათმოქმედო კულტურათა ფართობების ზრდა[86]. ამავე პერიოდში სწრაფად ღრმავდება გლეხთა დაშლის პროცესი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ხალხთა კეთილდღეობის საფუძველი — ცხვარი მოსახლეობის ერთი ნაწილის ხელში ექცევა[87].

როგორც ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალიდან დავინახეთ, ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ჩრდილო კავკასიაშიც. ცენტრალური კავკასიის მთიანეთში ეკონომიკურად აღზევებული ოჯახები, რომელთა ხელშიც იყრის თავს ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის დიდი რაოდენობა, მეთაურობენ მოსახლეობის ექსპანსიას მთიდან ბარის რაიონებისაკენ, რაც მესაქონლეობის და, პირველ რიგში, მეცხვარეობის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მაგრამ ამ ზოლში მთიელები ეუფლებიან მეურნეობის სხვა დარგებსაც—ბარულ მიწათმოქმედებას, მებაღეობას, მევენახეობას და სხვა, თუმცა უპირატესობას ბოლომდე მესაქონლეობას აკუთვნებდნენ.

---

85 იქვე, გვ. 173.

86 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 119.

87 იქვე, გვ. 130.

АЛЬПИЙСКОЕ СКОТОВОДСТВО ГОРЦЕВ ЦЕНТРАЛЬНОГО КАВКАЗА

(Историко-этнографическое исследование)

Резюме

Во второй половине XIX и в начале XX вв. селения горной части Центрального Кавказа представляли плотно заселённую единицу и в основном были расположены по ущельям. Взятое в отдельности каждое ущелье, объединяющее несколько селений, представляло исторически сложившийся хозяйственно-культурный комплекс, который в плане вертикальной зональности представлял единую систему хозяйства, материальной культуры и социальной организации. Однако, эти комплексы не были изолированы и их развитие было подчинено общей закономерности. Вместе с тем, их социальное и экономическое развитие происходило в тесной взаимосвязи горных и низменных областей. Таким образом, мы получаем сложившуюся горноравнинную систему скотоводства альпийского характера.

Во многих локальных малых и больших единицах выделяется селение, которое являлось соединяющим звеном между горной и низменной частями, регулировало экономические взаимоотношения этих двух зон. Эти селения, как важные торговые центры, постепенно принимали городской вид.

В виду того, что в горной части Центрального Кавказа основной отраслью хозяйства было скотоводство, население в поисках новых мест для жительства выбирало такую местность, которая способствовала дальнейшему подъему их ведущей отрасли хозяйства — скотоводства. Однако, при этом имелось в виду и земледелие, независимо от его масштабов; плодородию почвы придавалось огромное значение, что указывает на симбиозность этих двух отраслей хозяйства, на значение и глубокие традиции земледелия в хозяйственном быту населения.

Сенокосные угодья и пастбища — ресурсы скотоводства, расположенные на склонах Кавказских гор, начинались от окраины селений и простирались до высокогорной альпийской полосы. Под зимние пастбища использовались неполивные участки земель восточных и южных областей Закавказья, расположенных в ущельях рек Куры и Аракса;

площади, находящиеся в низовьях ущелий рек Иори и Алазани; Эльдарские и Ширакские степи; низменные районы Северного Кавказа — земли по берегам реки Терек и Кизлярские степи; западные берега Каспийского моря, Черные горы и Ногайские степи. Совокупность горных и низменных хозяйственных комплексов крупных регионов или малых сельско-территориальных единиц создавала экономическую основу того или иного края, в частности, и всего Центрального Кавказа в целом.

Хозяйственные ресурсы скотоводства, занимавшие значительную территорию, согласно гипсометрическим и климатическим условиям, делились на хозяйственные зоны, которые обусловили выделение четырех категорий пастбищ: выгоны на окраине селений, весенне-осенние, летние (горные), зимние. Горные пастбища, в свою очередь, делились еще на три хозяйственные зоны; первая была предназначена для дойных коров, вторая для быков а третья — для овец. Эта система классификации гор в общих чертах соответствовала принципам горного хозяйства Центрального Кавказа. Заслуживает внимания и то, что каждый край, входящий в горные области Центрального Кавказа, характеризуется общекавказскими формами хозяйствования, что находит ближайшую аналогию с системой горно-альпийского хозяйства Западной Европы. В то же время каждый край, селения, входящие в одно ущелье, отличались локальными особенностями.

Горно-равнинная (мтабарули) система скотоводства в горных областях Центрального Кавказа носит альпийски характер. Продвижение скота в вертикально-зональном разрезе, согласно годами выработанным традициям, подразумевало планомерное освоение местных горных и низменных пастбищ, для него было также характерным горизонтальное перемещение скота для освоения пастбищ, расположенных на разных склонах ущелья.

В системе альпийского скотоводства большое значение придавалось параллельным хозяйственним базам, которые располагались на площадях, расположенных за селением, относительно низменных, защищенных от ветра, обильно освещаемых солнцем местах. Создание хозяйственных баз обусловливалось как интересами развития скотоводства, так и полеводства. Пребывание определенной части членов семьи в хозяйственных базах, прежде всего, было связано с пахотой, севом и сенокосом, затем с обеспечением продовольственных и кормовых запасов, и в конечном итоге, с зимовкой скота. У селений, расположенных в высо-

когорной полосе, такие хлева находились несколько ниже и годичный цикл скотоводства начинался с низин. Та форма хозяйства, которую семья создавала одновременно в селении и на хозяйственных базах, известна в Мтиулети как орхелаоба, а в верхней Имерети — органоба, а среди осетинского населения — дуваран. В таких случаях, когда семья раздваивалась и имела два дома — один в горной части — на месте основного поселения, а другой — в низменной части на хозяйственных базах, или наоборот — жили на низменности, а в горах имели базу, хозяйством занимались и на низменности и в горах.

Такие формы как орхелаоба||органоба||дуваран значительно расширяли хозяйство семьи. При тесном взаимодействии своих членов, семья развивала две основные отрасли своего хозяйства — горное земледелие и альпийское скотоводство, несмотря на их масштабы. Именно это является характерным для природы вертикальной и горизонтальной зональности, его определяющим, что явственно проглядывает в этой форме хозяйства. Вместе с тем, производство орхелаоба было по плечу лишь большой, многочисленной семье. Эта форма способствовала сплоченности, единству семьи, а когда вставал вопрос о разделе семьи, то семья была полностью подготовленной к этому.

В Ингушетии, Осетии, Балкарии ряд хозяйственных баз выполняли и оборонительные функции. Их образование совпадает с распадом сельской общины и процессом формирования феодальных отношений. В виду того, что захват земли и скота в тот период представляли собой обычное явление, на горных летних пастбищах возводили такие строения, которые имели резко выраженную оборонительную функцию.

В указанных условиях массовый характер приобретают культурно-хозяйственные связи представителей различных этнических групп. Северокавказцы свободно переходили в Грузию: осетины — в Картли, Рачу, Хеви и Мтиулет-Гудамакари; чеченцы и ингуши в Хеви, Тушети и Пшав-Хевсурети; дагестанцы в Тушети и Кахети; балкарцы — в Рачу и наоборот. И грузины имели связи с населением соседних Северокавказских областей. Привычные коммуникации, проходившие по главному Кавказскому хребту, сближали население по обеим его сторонам, в результате чего постоянно происходило передвижение населения. Целью этих стойких взаимоотношений был не только наем в пастухи, но и выполнение других работ: пахоты и сева, косьбы и жатвы; постройки дома; создание трудовых товариществ, найм пастбищ,

торговля и пр. Все это обусловливало их побратимство, породившее аманатоба — взаимопокровительство, заселение одной этнической группой территории другой. Результатом этих взамоотношений следует считать проникновение в Грузию этнических элементов осетин, кистин, дагестанцев и др.

В результате длительных культурно-экономических взаимоотношений между грузинами и народами Северного Кавказа в сфере культуры и быта вырабатываются общекавказские элементы; формы ведения хозяйства, аналогичные формы организации труда.

В конце XIX и в начале XX вв. в горных частях Центрального Кавказа господствовала частная собственность семьи на землю, имеющая длительную историю. Земля была наследственной, переходила из поколения в поколение и делилась вместе с разделом семьи. Однако, в отдельных случаях определенный участок земли оставался в общем пользовании разделившийся семьи, его обработка и распределение урожая происходили с общего согласия его владельцев. Таким образом, земля, являвшаяся семейной собственностью, становилась владением патронимии и формы организации труда планировались соответственно.

Известно, что из-за природно-географических условий земледелие в горах носило ограниченный характер, однако эти условия способствовали тому, что население имело возможность содержать скот в большом количестве, особенно — овец, которые паслись в течение целого года на горных и низменных пастбищах. С XIX в. в особенности крепнут связи горцев с низменными областями, в результате чего в целом ряде районов развитие крупного рогатого скотоводства постепенно уходит на второй план, уступая овцеводству. Для большей части населения основным источником увеличения богатства становится овцеводство; выделяются семьи, которые владеют стадами овец в 500—600 голов, а некоторые в 1000—1500.

На протяжении всего XIX в. в горных областях Центрального Кавказа углубляется процесс классового расслоения крестьян. Одним из определяющих факторов экономического положения крестьян являлось скотоводство. В горных областях Центрального Кавказа основа благосостояния населения — баранта — сосредотачивалась в руках одной его части. Именно эти, экономически сильные семьи, возглавляют экспансию населения с гор к их подножью и в низменные районы, что вытекало из интересов развития скотоводства и, в первую очередь, овцеводства.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ცენტრალური კავკასიონის მთური სოფელი და დასახლების სამეურნეო პირობები 10

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მესაქონლეობის წარმოების სისტემა 41
1. მესაქონლეობის წლიური ციკლი და სათიბ-საძოვრებით სარგებლობის ორგანიზაცია 41
2. მესაქონლეობასთან დაკავშირებული ნაგებობანი 109
3. მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები 152
4. მიწათმფლობელობის ფორმები და საკუთრების ნიშნები 173

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ალპური მესაქონლეობა და ცენტრალური კავკასიის მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურება . 203
Альпийское скотоводство горцов Центрального Кавказа (резюме) . 236

Бахва Вахтангович Гамкрелидзе

АЛЬПИЙСКОЕ СКОТОВОДСТВО ГОРЦЕВ ЦЕНТРАЛЬНОГО КАВКАЗА

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით
სბ 1889

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატები — ა. ქალდანი, მ. ქანთარია

•

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯვებვნავა
მხატვარი გ. ლომაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ც. დევდარიანი

გადაეცა წარმოებას 3.2.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.12.1982;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.9;

უე 01003; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 388;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19